კვირის პალიტრა

ფეხი

N8(89) 21/II.-27/II.2002. ფასი 60 თ.

„...ბიო სიზმარში ყველას გვეკითხება: რისთვის მომკლესო?..“

1168
2002

„...სანდროს ძალიან ენაზრება მამიკო...“

მამაკაცური პროგლემები

წინამდებარე ჯირკვლის ადენომა

რას ეხვეწებოდა „ტაქსისტი“ ეთერ კაკულიას

ლილიპუტები საქართველოში — როგორ მრავლდებიან პატარა ადამიანები

გურამ ლორთქიფანიძე:

„პირველ სცენას კოცნით ვიწყებდით. ვალიამ, ულვაშიანი, ჩექმებიანი ქართველი რომ დამინახა, ალბათ იფიქრა — მეგდღვნებაო. გადალების წინ მორიდებით მითხრა: ძალიან გთხოვთ, მაგრად არ მაკოცოთო. მე ვუთხარი — რას ამბობთ, თქვენთვის მეც იგივე უნდა მეთხოვა-მეთქი...“

ᲥᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲕᲐᲚᲔᲑᲠᲐ
ᲒᲖᲐ
№8 (89)
21 - 27 თებერვალი 2002
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
სტიქიური ბედნიერება!!! 3
ერთი კითხვა 4
ტკივილი
„... გიო სიზმარში ყველას გვეკითხება: რისთვის მოკლესო?..“ 6
ფრთები
შვეულმფრენში, ფარდის უკან, ქალი ამშობიარეს 9
კრიმინალი
პეტრე ცისკარიშვილი: „გამტაცებლებიდან ნიღაბი მხოლოდ ერთს არ ეკეთა“ 12
ქალი საჭესთან
რას ეხვეწებოდა „ტაქსისტი“ ეთერ კაკულიას... 15
ტესტი
ერთგული მკითხველი 17
კოლორიტი
ლორთქიას ცხოვრებისა და საეკრანო სახეების არაჩვეულებრივი „გამოფენა“ 18
პროგლემა
სიელმეს მშობიარობის დროს მიღებული ტრავმა იწვევს 21
სასარგებლო აზრები
აფორიზმების ენციკლოპედია 23
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის შაბის წიგნაკიდან 24
პატარა ადამიანები
ერთ დღესაც, მაღალმა რომ გავიღვიძო, შეიძლება გავგიჟდე... 24
იუმორესკა
იაპონური შარფი 27
იმიგრანტები
ხოსე სუარესი – ჩვეულებრივი ნახალოვკელი ბიჭი... 28
კულტი
სტალინთან ერთად, მუგეუმში თავისი სულიც გამოამწყვდია... 30
სამყარო
ნუ იტყვით უარს თავსაბურავზე 32
ტრადიციები
სუბსარქისის ქარები და ყვავის მოყვანილი საბედო... 34

რატომ წავაგეთ 1921 წლის ომი?



თითქოს ლენინს არ ენდობაო, სტალინმა დეპეშა გაუგზავნა ს. ორჯონიკიძეს, სადაც რუსული ასოებით ქართული ტექსტი ჩაწერა: Ахлаве, шеутие, дастуриа, аиге калаки.

40

„... გიო სიზმარში ყველას გვეკითხება: რისთვის მოკლესო?..“

გადავწყვიტე, სანდროსთვის ეს, იმ მძიმე დღეებში არ გამემხილა. ჩემმა მეგობარმა წაიყვანა თავისთან და დაკრძალვის შემდეგ წამოვიყვანეთ. ჩემმა ძმამ აუხსნა, რომ მისი მამის სული ზეცაში წავიდა და იქიდან უყურებს მას. ძალიან ენატრება თავისი მამიკო.

6

22391

„გამტაცებლებიდან ნიღაბი მხოლოდ ერთს არ ეკეთა“

აღნიშნულმა ბანდამ, ციხისთავის მონაწილეობით, ფულის გამოძალვის მიზნით, ებრაელთა სასულიერო პირის – რაბინ ა. ლევინის გატაცება განიზრახა. ამისათვის კი ავტომანქანა სჭირდებოდათ. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს 2001 წლის 7 მაისს პეტრე ცისკარიშვილის მანქანის გატაცება.

12

შვეულმფრენში, ფარდის უკან, ქალი ამშობიარეს



ყარამანა, ხარჯიხვს შეარქვეს ბერებმა. მიუახლოვდებოდა ხოლმე თურმე მლოცველ ბერს და მისგან ექვსიოდე მეტრში ჩერდებოდა. რამდენიმე დღე აღარ გამოჩნდა თურმე ყარამანა. დანაღვლიანდნენ ბერები, მერე კი, მისი რქები ჩამოუტანია ზვავს...

9

ჩემპიონი

ნინო სალუქვაძე: „დაკვირვებული ვარ, რომ კურიოზული შემთხვევების დროს მიზანში უფრო კარგად ვისვრი“ 36

ისტორია

რატომ წავაგეთ 1921 წლის ომი? 40

ვარსკვლავი

„საიდუმლო მასალების“ დედოფალს ერთი საყვარელი ადამიანი შემორჩა 43

რომანი

ნუგზ ბაშელი. ელა (დასასრული) 46

ავტო 48

აქეთური-იქითური 50,51

ჯანმრთელობა

- რჩევები 52
- მამაკაცების საყურადღებოდ 53
- კონსილიუმი 54
- კითხვა-პასუხი 55

ფასონი

თეთრეული ქართველი ქალებისთვის 56

FASHION

დასავლელი მოდელიერები ცივი ფერებისა და მკაცრი სტილის თეთრეულს გვთავაზობენ 57

საუკუნის ადამიანები

ალისა საოცრებათა ქვეყნიდან 58

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (25 თებერვალი – 3 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

გიყვართ თუ არა მბრძანებლობა? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

სიმღერამ მუზიკოროზის დროს მიღებული ტრავმა იწვევს

მშობლებმა და მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, რომ წერა-კითხვის დროს, მანძილი თვალებიდან მაგიდის ზედაპირამდე 30-35 სანტიმეტრი უნდა იყოს. არ შეიძლება ასევე წოლით მდგომარეობაში ტელევიზორის ყურება, მით უმეტეს – ჩაბნელებულ ოთახში.

21

ერთ დღესაც, მაღალმა რომ გავიღვიძო, შეიძლება გავგიჟდე...

სულ 106 სანტიმეტრი ვარ. მყავდა მეგობარი, რომელიც 185 სანტიმეტრის სიმაღლის იყო. ძალიან ვუყვარდი. ხშირად, ხელში აყვანილს დამატარებდა: მე ხომ 4-5 წლის ბავშვის სიმაღლე და წონა მაქვს.

24

დასავლელი მოდელიერები ცივი ფერებისა და მკაცრი სტილის თეთრეულს გვთავაზობენ



გამოსასვლელი ლიფი ტანსაცმლის შიგნიდანაც შეგიძლიათ ჩაიცვათ იმ შემთხვევაში, თუ იცით, რომ ვიღაცის თანდასწრებით გაიხდით. ძალიან მოდურია ე.წ. „ქამელეონი“.

56

ელა



ელა შეძრწუნებული თვალებით შესცქეროდა, პირი ოდნავ დაეღო, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა. ერთხანს უცქირეს ერთმანეთის, შემდეგ შავომ ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო, ელვის სისწრაფით ამოიღო რევოლვერი და...

46

სტიქიური ბედნიერება!!!



„თბილისი ინტერნაციონალური ქალაქია!“ – ეს ლოზუნგი ამშვენებდა ერთ დროს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის შესასვლელ-გამოსასვლელებს. სხვა ლოზუნგებისგან განსხვავებით, ამაში მართლაც იყო სიმართლე და ტურისტებისათვის განკუთვნილ ყველა ბუკლეტსა და ბროშურაში სიტყვასიტყვით იყო ნათქვამი: „თბილისი განსაკუთრებით ამაყობს იმით, რომ აქ 80 (ოთხმოცი) სხვადასხვა ერისა და ეროვნების ადამიანი ცხოვრობს გვერდიგვერდ, ერთად არის ჩაბმული კომუნისტური მშენებლობის ფერხულში“... და ა.შ.

ამ ფერხულმა და ხტუნვა-თამაშმა რაც მოიტანა, ყველამ ვიცით: როგორც იმ 80-დან ყველაზე საყვარელი „ერისა და ეროვნების“ წარმომადგენლები იტყვიან – допрыгались! მაგრამ მთავარი ის არის, რომ თბილისი კვლავ მრავალეროვანია და თბილისელობა დღესაც ერთნაირად უხდება ქართველსა და აფხაზს, სომეხსა და აზერბაიჯანელს, ბერძენსა და თურქს, რუსსა და ჩეჩენს... და თბილისის ქუჩებში დღესაც დადიან: გურამა, ხაჩიკა, რაჩიკა, ჰასანა, შამილა, იგორა, თარაშა და როგორც პოეტი იტყოდა: „იარონ, იარონ, იარონ – ამინ!“

კარგი და პატიოსანი, ჩემო ბატონო, მაგრამ თბილისელობა რომ მხოლოდ მის ქუჩებში სიარული არ არის, ეს „თბილისის სახელმწიფო ქუჩის აკადემიის“ კურსდამთავრებულმა ყველა „კაი ბიჭმა“ იცის. ამიტომ სულაც არ გაგვკვირვებია, როდესაც „კვირის პალიტრის“ (იგივე „გზის“) რედაქციას „ეროვნებით თბილისელი“, გურამ ალოევი ეწვია და საშიშროების შესახებ გვამცნო! ნახა კაცმა წინასწარმეტყველური სიზმარი, დაინგრევაო ჩვენი საყვარელი დედაქალაქის ნახევარი და ხალხი მაინც გადავარჩინოთ, გავაფრთხილოთო! ეს არის თბილისელობა, სიყვარულობა და ამბავი! აბა, „თბილისოს“ სიმღერა და განსხვავებული ჭიქით სმა ბევრს შეუძლია, მთავარია, რამე არგო ქალაქსა თუ ქვეყანას – ჰოდა, გურამა ალოევმაც, როგორც ჭეშმარიტმა თბილისელმა, დანარჩენი თბილისელების გადარჩენა გადაწყვიტა!

მაგრამ ბიბლიური ჭეშმარიტებაა, რომ „წინასწარმეტყველებისა საშობლოში არ სწამთ“ და „უკვირისპალიტროდ“ ვინ დაუჯერებდა ერთ დროს ჰავლაბრელ და აწ კი გლდანელ წინასწარმეტყველს?! ამიტომ „კვირის პალიტრამაც“, რომელსაც მართალია, სიზმრებისა მაინცადამაინც არ სჯერა, მაგრამ გაითვალისწინა რომ გურამ ალოევს, შარშან, იუველირის სიზუსტით, უწინასწარმეტყველია თურქეთის დიდი მიწისძვრა და როგორც „ძირძველმა თბილისელმა“ გაზეთმა, ქვეყანას ამცნო სიზმრისა და იქ ნანახი მოსალოდნელი საშიშროების „სავარაუდოდ ზუსტი დრო“ და ყველას, ვისაც თავისი თავი და ქალაქი უყვარს, ყოველი შემთხვევისთვის ქუჩაში გასვლა ურჩია!..

ატყდა, მაგრამ რა ატყდა! ორი დღით ადრე „ზაგაჟნიკების“ კეთება და ბანკებიდან ანაბრების გამოტანა, სარჩულში ფულისა და საბუთების ჩაკერება და ბეჭდებისა და საყურეების გადაყლაპვა... რედაქციის ტელეფონსაც „ბოლი ასდიოდა“: „როდის იქნება?..“, „მართალა იქნება?..“, „აუ, რა მაგარი იქნება!..“, „ერთი არ მოხდეს, ნახეთ, რას გიზამთ!..“ და ა.შ.

ერთი სიტყვით, დარწმუნებული ვიყავი, რომ ბაბილონის გოდოლს დაემსგავსებოდა (არა მარტო მრავალეროვნებით) ჩემი საყვარელი დედაქალაქი ოთხშაბათის დილით, მაგრამ რაღაც ეჭვის ჭია კი მიღრღნიდა გულს... არადა, ამ ეჭვის გამოც მრცხვენოდა საკუთარი თავის – გურამა ალოევი, თბილისელი კაცი, ასე სასტიკად ხომ არ მოატყუებს თბილისელებს-მეთქი?

ასეა თუ ისე, იმ დილით რაღაცამ მაინც მიკარნახა, რომ შინ უნდა დავრჩენილიყავი და აივნიდან ვუქნევდი ხელს ხურჯინგადაკიდებულ ცოლ-შვილს, რომელიც იქვე მდებარე საფეხბურთო მოედანზე, დაახლოებით მარჯვენა ნახევარმცველის ადგილისაკენ მიიჩქაროდა, რომელიც წინა საღამოს „გავაჩალიჩე“ ყარაულისგან...

და აი, გახდა ზუსტად ნოლ-რვა საათი და ოცი წუთი! მუხლების ოდნავი კანკალით მოვავლე თვალი (იქნებ უკანასკნელად?!) შეჩვეულ კედლებს და კვლავ აივანს მივაშურე. გადავიხედე და... თვალი უკეთესს რას ნახავს?! მაშინვე „გამიიასნდა“ ის გაორებული შეგრძნება და იმასაც მივხვდი, რომ გურამ ალოევს უფრო მეტად „ნაყვარება“ თბილისი და თბილისელები, ვიდრე მეგონა: დილაადრიან, სუფთა ჰაერზე, ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ, ქალები იქვე ლობიოს ხარშავდნენ, ვიღაცა გიტარაზე უკრავდა და გუნდურად მღეროდნენ: „გადამრიე, გადამრიეეე...“ ვიღაცა მწვადებს წვავდა, ვიღაცა ღვინოს ასხამდა ბოციდან ბოთლებში... მოკლედ, სიხარულ და სიყვარულდავიწყებულ თბილისელებს კვლავ უყვარდათ ერთმანეთი და გურამ ალოევის მიერ გაჩალიჩებული „სტიქიური ბედნიერებით“ ტკბებოდნენ!

საღოლ, გურამ! „სპასიბა“, ძმაო-ჯან! თბილისი არ დაგივიწყებს ამ სიკეთეს!

P.S. საღამოს თანაკლასელმა დამირეკა – მეშვიდე კლასამდე სწავლობდა ჩემთან, მერე მამამისთან დაიწყო მუშაობა ნაგვის მანქანაზე.

– „ბრატ-ჯან“, ომარა ვარ, კუროიანი! ჰურმარილი დაგვიძველდა! ოცდახუთში საღამოს „პაჟარი“ იქნება, მთელი ქალაქი დაიწვება. სანაპიროზე გელოდებით, კოჭს რო ვაგორებდით, იმ ადგილას, ჩვენები ყველანი იქნებიან!..

ე.ი. ოცდახუთშიც მთელი ქალაქი გრიალებს!

P.P.S. „თბილისობამ“ ვეღარ გაჭაჩა. არ იყო თბილისური პონტი და იმიტომ. საერთოდ, ისტორიას არ ახსოვს მთავრობის მიერ „დანიშნული“ დღესასწაული.

არადა, უდღესასწაულოდ ქალაქი არ ვარგა! ჰოდა, იქნებ გურამის იდეას შეესხას ხორცი – წელიწადში ერთხელ მაინც, რიოს კარნავალის ამბავში, „თბილისური სტიქიური ბედნიერება!!!“

პროვოკატორი

„პოლიციელი და ყაჩაღი ერთმანეთისგან ხომ უნდა გამოირჩეოდნენ...“

როგორც ცნობილია, სამდღიანი ტყვეობის შემდეგ, ბოროტმოქმედებმა გაათავისუფლეს ოთხი პოლიციელი, რომლებიც პანკისელმა კრიმინალებმა პირდაპირ პოსტებიდან „მოხსნეს“... მათ სანაცვლოდ, გამტაცებლები იურა ბაღაკაშვილის სახელით ცნობილი (პასპორტით – იურა დაუდაშვილი) „ნარკობარონის“ გათავისუფლებას მოითხოვდნენ. ცნობისათვის: იურა ბაღაკაშვილი ხანგრძლივი დროის მანძილზე სამართალდამცავების მიერ, ნარკოტიკების გავრცელებისთვის იძებნებოდა. სამართალდამცავთა გატაცების ფაქტის კომენტირებისას, საქართველოს პრეზიდენტმა პოლიციელებს დოყლაპიები უწოდა. საინტერესოა, როგორ აფასებს მომხდარს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

გიორგი ბარამიძესა და დეპუტატ კობა დავითაშვილს ერთი და იმავე შეკითხვით მივმართეთ:

— რას ფიქრობთ მომხდარ ინციდენტსა და საერთოდ, პანკისში არსებულ მდგომარეობაზე?

გიორგი ბარამიძე:

– სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ საგუშაგოები, რომლებმაც რეგიონი უნდა გააკონტროლონ, საკუთარ თავსაც ვერ იცავენ და საკუთარ უსაფრთხოებასაც ვერ უზრუნველყოფენ. სწორედ ამის გამო იქმნება ხოლმე საგანგაშო მდგომარეობა, რაც იმის შედეგია, რომ სახელმწიფო ვერ ან არ უზრუნველყოფს თუნდაც, იგივე თავდაცვის ან უშიშროების სამინისტროებს, დაზვერვის დეპარტამენტსა და ა.შ. თუ არაფერი შეიცვალა, მარტო პანკისში კი არა – მთელ საქართველოში, კიდევ უფრო გაღვივდება სეპარატისტული განწყობილებაც და პოლიტიკური ქაოსიც...

კობა დავითაშვილი:

– პოლიციელების გატაცების ფაქტი, თავისთავად აღმაშფოთებელია. იმ ადამიანების სიცოცხლე რამდენიმე დღის განმავლობაში საფრთხეში იყო, ვფიქრობ, ამ საკითხზე ქილიკი და დამცინავი საუბარი დაუშვებელია! მე პირადად, არც ვაპირებ ამაზე ქილიკს! კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ძალოვან სტრუქტურებში სერიოზული და მნიშვნელოვანი რეფორმებია გასატარებელი. ამიტომაც, მივესალმები ნებისმიერ მშვიდობიან აქციას, რომელიც მდგომარეობას სასიკეთოდ შემოაბრუნებს და წესრიგის დამყარებას დაისახავს მიზნად. ბევრმა პოლიციელები უნიათობაში დაადანაშაულა! გეკითხებით: რა უნდა იღონოს პოლიციელმა, რომელსაც ელემენტარული აღჭურვილობაც კი არ გააჩნია, რომ კრიმინალს გაუმკლავდეს?! პოლიციელების გატაცების ფაქტი, მართლაც, აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი ძალოვანი სტრუქტურები მზად არ არიან კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტებთან საბრძოლველად, მაგრამ ამასაც თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს... პოლიცია ჩაფლულია კორუფციაში, ხოლო მისი წაქეზება თავად პრეზიდენტისა და ხელისუფლების მიერ ხდება. რაც შეეხება პრეზიდენტის შეფასებას – პოლიციელები დოყლაპიები არიანო, აუცილებელია ითქვას: იმის მაგივრად, რომ საცოდავ პოლიციელებს ხელფასები მისცეს და მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაღაც რეალური ნაბიჯები გადადგას, ქილიკობს... პოლიციელები ყაჩაღებს რომ დაამსგავსეს, ამაზე რატომ არავინ ფიქრობს?! ბოლოს და ბოლოს, პოლიციელი და ყაჩაღი ერთმანეთისგან ხომ უნდა გამოირჩეოდნენ?!.. ■

გოგიჩაიშვილი „სნაიპერს“ „ნამიოკს“ ვერ მიუხვდა...

„რუსთავი 2“-ის ოფისის მისამართით გასროლილი ტყვიის გამო, რაც დაახლოებით ღამის სამ საათზე, დაუდგენელმა პირმა ჩაიდინა, ხულიგნობის მუხლით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ვარაუდობენ, რომ გამოძიების შედეგად, შესაძლოა, დანაშაულის კვალიფიკაცია შეიცვალოს. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა მომხდარი ინციდენტი პირად კონტროლზე აიყვანა. მიუხედავად ამისა, აკაკი გოგიჩაიშვილი, რომლის სამუშაო ოთახშიც იქნა ნაპოვნი მსრა, ეჭვობს, რომ ძიება შედეგიანი იქნება. „დიდი იმედი არ მაქვს, რომ ნაპოვნი იქნება ის პირი, ვინც ეს ჩაიდინა. შემთხვევის ადგილზე მოსულმა ოცამდე ექსპერტმა მთელი დღის მანძილზე ვერ დაადგინა ის, თუ რა მანძილიდან ან რა სისტემის იარაღიდან მოხდა გასროლა. ისინი ჯერჯერობით მხოლოდ ერთ საკითხში შეთანხმდნენ: ტყვია არ არის ნასროლი ქვემოდან ზემოთ და ვარაუდობენ, რომ გასროლა მაღლივი კორპუსიდან ან მისი სახურავიდან მოხდა. უიმედობის საფუძველს ისიც მაძლევს, რომ „60 წუთის“ ჯგუფს, რამდენიმე თვის წინ, შეხება ჰქონდა ქალაქის ექსპერტიზის სამსახურთან. მათ ჩვენგან ამოიღეს კასეტა, სადაც დაფიქსირებული იყო ის, თუ როგორ ჩაუდეს პოლიციელებმა უდანაშაულო ადამიანს ნარკოტიკი. ექსპერტიზას პოლიციელთა ხმების იდენტიფიცირება უნდა მოეხდინა. 3-4 თვის წინ ამოღებული კასეტისა და ექსპერტიზის შედეგების შესახებ, პასუხი დღემდე არ მიგვიღია. როდესაც ამის მიზეზით დავინტერესდით, გვითხრეს, რომ კასეტა ამერიკაში უნდა გაეგზავნათ. როგორც დავადგინეთ, ესეც მორიგი სიცრუეა და კასეტა კვლავ მათ ხელში ყოფილა. უნდა გითხრათ, რომ ის კასეტა 50 დოლარი ღირს და ძალიან დაგვაკალებენ, თუ მას დროულად დაგვიბრუნებენ. აი, ამ ყველაფრის გამო გვაქვს ეჭვი, რომ ექსპერტები დროულად დაადგენენ, ან საერთოდ დაადგენენ რაიმეს“.

აკაკი გოგიჩაიშვილს თქმით, გასროლის მიზანი – ჯგუფის დაშინება იყო. ჩვენი შეკითხვაც ამით იყო ნაკარნახევი:

— თქვენი ვერსიით, რის გამო სურდათ თქვენი დაშინება?

– აშკარაა, რომ ეს იყო მუქარა, მაგრამ კონკრეტულად რის გამო, ან ჩვენ მიერ მომზადებული თუ მზადების პროცესში მყოფი რომელი გადაცემის გამო, – ამას გადაჭრით ვერ გეტყვით. მოკლედ, შემიძლია ვთქვა, რომ „სნაპიერს“ „ნამიოკს“ ვერ მივუხვდი. ამიტომ ვურჩევ, ტყუილად ნუღარ დახარჯავს ტყვიებს და სჯობს, სხვა ხერხით გაგვაგებინოს, რა უნდა ჩვენგან... საერთოდ, მუქარის ზარები ჩვენთან ახალი ამბავი არ არის, მაგრამ ამ დღეებში, მსგავსი არაფერი ყოფილა. ერთადერთი რამ, რაც ჩვენს ჟურნალისტს – ვახტანგ კომახიძეს საეჭვოდ მოეჩვენა, მოხდა სწორედ იმ საღამოს, რომელსაც ღამით გასროლა მოჰყვა: ვახტანგი, თავის სტუმრებთან ერთად, გვიანობამდე შემორჩა ოფისში. მან სამუშაო ოთახი ღამის 12 საათზე დატოვა. თავისი სახლის სადარბაზოსთან ორი მანქანა შენიშნა. გაჩერებულ მანქანებში არც ვინმე ჩამჯდარა და არც გადმოსულა. შევიდა თუ არა ვახტანგი სადარბაზოში, ორივე მანქანა ერთდროულად დაიძრა და ერთი მიმართულებით წავიდა. ვახტანგი ფიქრობს, რომ ისინი სწორედ მას ელოდებოდნენ... ■

„მაინც ვერ გავიგე – რაში გვედება ბრალი?“

მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის პოსტის დატოვების შემდეგ, რასაც ლამისაა, საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ რეალური ბრძოლის დაწყებად აცხადებენ, კობა ბუჩუკური დუმს. მისი ბოლო საჯარო განცხადება საკმაოდ ლაკონიური იყო: პრეზიდენტი ყოველთვის მართალიაო... ***რამდენად მოულოდნელი იყო გუბერნატორისა და მისი ოჯახისთვის სამთავრობო სხდომაზე „მეხის გავარდნა“?*** *– ამ კითხვით, კობა ბუჩუკურის მეუღლეს,პარლამენტარ* ***მარინა მოლოდინს*** *მივმართეთ:*

– ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო ეს ამბავი, რომ საუბარიც კი მიჭირს. ვერასდროს ვიფიქრებდი, თუ პრეზიდენტი კობას საქმიანობაში ეჭვს შეიტანდა. მაინც მგონია, რომ ის უბრალოდ, შეცდომაში შეიყვანეს. როცა იქნება, სიმართლე გაირკვევა და ყველასა და ყველაფერს თავ-თავისი სახელი დაერქმევა!.. მაინც ვერ გავიგე – რაში გვედება ბრალი? ენერგოკომპანიებიდან (*„არაგვისპირზე“ და „არაგვზეა“ საუბარი. – ავტ.*) მიღებული წილი დეკლარაციაში რატომ არ აღნიშნაო?! ამ ენერგოკომპანიებიდან არანაირი შემოსავალი არ გვქონია და რა უნდა დაეწერა კობას?! თუ კობა კორუმპირებულია, გამოდის, რომ მეც კორუმპირებული ვყოფილვარ! საკითხი დავაყენე, რომ შესაბამისმა სამსახურებმა მასალები შეისწავლონ. ეს პროცესი დაახლოებით ერთ კვირაში დასრულდება და ვნახავთ, ვინ ვინ არის! ■

„მოვითხოვ... დაცვა გამომიყონ...“

სპორტის სასახლეში ჩატარებული დევნილთა ყრილობის ირგვლივ დღემდე უამრავი ჭორ-მართალი ისმის. ყრილობის სკანდალური ექო დღემდე არ მიწყნარებულა. მისი ერთ-ერთი გამოკვეთილად სკანდალური „ხმა“, ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენლის მიმართ, ***ბორის კაკუბავას*** *მიერ გამოთქმული ბრალდებებია.*

— ბატონო ბორის, კონკრეტულად, რაში ადანაშაულებთ ავთანდილ იოსელიანს, ნუგზარ საჯაიასა და გივი ლომინაძეს?

– იოსელიანი და საჯაია თანამაზრეები არიან და ქვეყანაში მიმდინარე ბნელ პროცესებს უწყობენ ხელს, პრეზიდენტს კი, მცდარ ინფორმაციებს აწვდიან! ისინი არიან ასლან აბაშიძის მიმართ დაგეგმილი ტერაქტის მთავარი დამკვეთებიც! ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ! მაქვს მასალები, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ პროკურატურას გადავცემ. ჯერჯერობით ხმამაღლა ვერ განვაცხადებ, რა მასალებზეა ლაპარაკი, მაგრამ მოვითხოვ: ორივე მათგანს თანამდებობა დაატოვებინონ, ხოლო მანამდე, დაცვა გამომიყონ... რაც შეეხება ლომინაძეს, ის დამნაშავე – რუსეთის სპეცდაზვერვის რეზიდენტია! გივი ლომინაძე არ იყო, ქართველები რომ განაიარაღა და აფხაზებს დაურიგა იარაღი?! მანვე გააღვივა კონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებს შორის, გაძარცვა და დაანგრია მთელი აფხაზეთი და ახლა, გულარხეინად ცხოვრობს შევარდნაძის ■ აარემოცვაში...

„დაზვერვის დეპარტამენტის დისკრედიტაცია...“

ასლან აბაშიძის წინააღმდეგ დაგეგმილ ტერაქტში მორიგ ეჭვმიტანილად, ამჯერად, დაზვერვის დეპარტამენტის შეფი, ავთანდილ იოსელიანი მოგვევლინა. როგორც ცნობილია, ეს ბრალდება პირველად, მას საპარლამენტო ფრაქცია „აღორძინების“ თავმჯდომარემ, ჯემალ გოგიტიძემ წაუყენა, რომელმაც არც ინფორმაციის პირველწყარო გაამჟღავნა და არც ის, თუ სად და როდის უნდა მომხდარიყო ტერაქტი და რა ხერხით აპირებდნენ ტერორისტები აჭარის ლიდერის განადგურებას: საზოგადოებისთვის ეს ყველაფერი მოგვიანებით გახდება ცნობილიო, – დაგვაიმედა, ტერაქტში ეჭვმიტანილს კი, „უწინასწარმეტყველა“: იოსელიანი ჩივილით ტყუილად იმუქრება, პროკურატურაში სარჩელს მაინც ვერ შეიტანს, რადგან მტყუანია და ეს თვითონაც მშვენივრად იცისო. ავთანდილ იოსელიანმა საპასუხოდ განაცხადა: ასეთი ბრალდების სისწორის გადასამოწმებლად, გენერალური პროკურატურა ვალდებულია, საქმე აღძრას და მტყუან-მართალი დაადგინოს და თუ ეს არ მოხდა, ამ მოთხოვნით მე მივმართავო.

როგორც შევიტყვეთ, პროკურატურამ მართლაც მიიღო ავთანდილ იოსელიანის ოფიციალური წერილობითი განცხადება. თუმცა, წერილის შინაარსი პრესცენტრისთვის ჯერჯერობით უცნობი ყოფილა. ***დაზვერვის დეპარტამენტის მოთხოვნის არსის დასადგენად, დეპარტამენტის პრესსამსახურს მივმართეთ და მისი ხელმძღვანელის — არჩილ ჩხარტიშვილისგან*** *ასეთი პასუხი მივიღეთ:*

– გენერალური პროკურორის, ნუგზარ გაბრიჩიძის სახელზე გაგზავნილ წერილში ჩამოთვლილია ყველა ის ბრალდება, რომელიც ავთანდილ იოსელიანის წინააღმდეგ გამოითქვა და შეფასებულია, როგორც დაზვერვის დეპარტამენტის დისკრედიტაცია, იოსელიანის პატივისა და ღირსების შელახვა და აფხაზეთის პრობლემებით სპეკულირება. იოსელიანმა თხოვნით მიმართა გაბრიჩიძეს, რომ ობიექტურად გამოიძიოს ყველა ბრალდება და მისცეს მას სამართლებრივი შეფასება; ამის შემდეგ, თუ თავად არის დამნაშავე, მის მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომები გაატარონ, ხოლო თუ ეს ბრალდებები არ დადასტურდება, აღიძრას საქმე ცილისწამების მუხლით და პასუხი მოეთხოვოს ჯემალ გოგიტიძეს. ■

მოამზადა ნინო ჯავახიშვილმა

„სანიკა“ — ასე ეძახდნენ გიორგი სანაიას მეგობრები. კონტაქტური და ხალისიანი გიორგი სანაია, თბილისში თექვსმეტი წლის ასაკში ჩამოვიდა, აქ მხოლოდ ათი წელიწადი იცხოვრა და ძალიან ბევრი რამ მოასწრო...

გიორგი სანაია 26 წლის ასაკში, 26 ივლისს, გამთენიისას, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. 24 თებერვალს მისი დაბადებიდან ოცდაშვიდი წელი შესრულდება...

„... გიო სიზმარში ყველას გვეკითხება: რისთვის მოგკლესო?..“

ლელა ჭანკოტაძე

1975 წლის 24 თებერვალს, როცა გიორგი დაბადებულა, საშინლად ცუდი ამინდი ყოფილა. ციოდა, თოვდა და ქროდა ძლიერი ქარი. მას შემდეგ მისი დაბადების დღეს არასოდეს უთოვია, მხოლოდ უკანასკნელ დაბადების დღეს ყოფილა სუსხიანი ამინდი. გიორგი ავად იყო და იწვა. მას უამრავმა ადამიანმა დაურეკა და დაბადების დღე მიულოცა... საერთოდ, არ უყვარდა პომპეზურობა, უახლოესი მეგობრების წრეში ერჩივნა ყოფნა. დროის უმეტეს ნაწილს მათთან ატარებდა, „ჩობას ბარში“ დადიოდა. ცოლ-შვილი და მეგობრები — აი, ჩემი პირადი ცხოვრებაო, — ამბობდა ხშირად. გაბრაზებას ყვირილით გამოხატავდა, თუმცა, ცდილობდა, სხვებისთვის თავისი საზრუნავი დაემალა. ყველაზე მეტად, ბებიის გარდაცვალება განუცდია თურმე... მეგობრების დაკარგვასაც საშინლად განიცდიდა... აღიზიანებდა ამბიციები და ამბიციური ადამიანები...

გიოს დაღუპვის შემდეგ, მისი ცოლ-შვილი სიდედრ-სიმამრის სახლში ცხოვრობს. იმ სახლში, სადაც მისი ნეშტი იყო დასვენებული...

— ხათუნა, გაიხსენე, ბოლოს როდის ნახე გიორგი?

— ბაკურიანში წაგვიყვანა. გზაში საბურავი გაგვიფუჭდა. ორი საათი მაინც ვიდექით. იმ დღეს ეკა ბერიძე მიდიოდა აჭარაში ბავშვთან ერთად. გააჩერა მანქანა, ვისაუბრეთ, ერთ-ერთი ყველაზე საოცარი დღე იყო. იქიდან გიორგი ბათუმში წავიდა. ბაკურიანში შაბათს ჩავედით, ხუთშაბათს კი ეს ამბავი გავიგეთ.

— ვინ შეგატყობინა?

— ჩემი მეგობარი გოგოც ისვენებდა ბაკურიანში. მას ქმარმა დაურეკა. როცა ესაუბრებოდა, ისეთი რეაქცია ჰქონდა, რომ მივხვდი — რაღაც დიდი უბედურება მოხდა. სასტუმროს წინ ვიდექით. ამ დროს, უკვე ტელევიზორშიც აცხადებდნენ, რომ გიო დაიღუპა. მეგობარმა მითხრა, მგონი, გიოს რაღაც შეემთხვაო. დავიწყე თბილისში რეკვა, მაგრამ სიმართლეს არავინ მეუბნებოდა, ბოლოს, დედაჩემს დავურეკე. საშინლად დაბნეული ვიყავი, არ ვიცოდი მეტირა თუ არა, დედაჩემმა მითხრა: ვიღაცამ ესროლა და სახლში ვიპოვეთო...

— არ გიცდია გიოს მობილურზე დაგერეკა?

— გიო ყოველდღე მირეკავდა, წინა დღეს ერთი ჟურნალის გარეკანზე იყო მისი ფოტო. ცისანა სეფიაშვილი ისვენებდა ბაკურიანში. იმან მომცა ჟურნალი. მე და ჩემმა მეგობარმა ხმამაღლა წავიკითხეთ ინტერვიუ. ყოველ ფრაზას კომენტარს ვუკეთებდით. მერე გადავწყვიტე, გიოსთვის დამერეკა და მისთვისაც გამეზიარებინა ჩემი აზრი ამ ინტერვიუს შესახებ. 12 საათამდე არ დავურეკე — ვიფიქრე, ეძინება-მეთქი. მერე დავურეკე. მობილური გამორთული ჰქონდა. სამსახურში დავურეკე, მითხრეს — არ მოსულაო. სახლშიც ვრეკავდი, ყურმლს არავინ იღებდა. შემდეგ, ინსტინქტურად, ეკა ბერიძეს დავურეკე. დამავიწყდა, რომ ის აჭარაში იყო. მითხრა, მეც ვურეკავ და ვერ ვუკავშირდებიო. მათე კირვალიძემაც იგივე მიპასუხა. არც ის იმყოფებოდა თბილისში. ეს იყო ყველაზე მოულოდნელი და ცუდი დღე, ისეთი უბედურების დღე, რომელსაც ვერასდროს წარმოვიდგენდი. მკლავს იმის გაფიქრებაც კი, რომ გიოს ასე ვერაგულად ესროლა ვიღაცამ. ჩაუსაფრდა და როცა ის წვებოდა, მაშინ ესროლა. ამის წარმოდგენა ძალიან მამწარებს.

— გიოს ნივთები თუ გაქვთ დარჩენილი?

— ეს პულოვერი, მე რომ მაცვია, გიოსია. მისი ნივთების დიდი ნაწილი გავაჩუქე. რაც შეიძლებოდა, მე თვითონ ჩამეცვა, ჩემთვის დავიტოვე. მისი პიჯაკები და ჰალსტუხები „რუსთავი 2“-ში დავტოვე. მისი თანამშრომლები გამ-

ხათუნა და გიორგი

ოიყენებენ. როცა მიცვალებულის ნივთების გაჩუქება ორმოცამდე ხდება, ეს თურმე კარგია. მისი ნაწერები, რა თქმა უნდა, მე მაქვს.

— სანდრო როგორ შეეგუა მამის დაკარგვას?

– მე გადავწყვიტე, რომ სანდროსთვის ეს, იმ მძიმე დღეებში არ გამემხილა. ჩემმა მეგობარმა წაიყვანა თავისთან და დაკრძალვის შემდეგ წამოვიყვანეთ. ჩემმა ძმამ აუხსნა, რომ მისი მამის სული ზეცაში წავიდა და იქიდან უყურებს მას. სანდრომ უმტკივნეულოდ გადაიტანა გიოს დაღუპვა, მაგრამ ახლა ძალიან ენატრება თავისი მამიკო. შეუძლია, მთელი დღე იჯდეს და გიოს სურათები ათვალიეროს. მისთვის მამა იყო იდეალი. მისი ოცნებაა, იმუშაოს „რუსთავი 2“-ის ოფისში – მამის სამსახურში. უნდა, ჟურნალისტი გამოვიდეს. ადრე, ხან მღვდელი უნდოდა რომ გამხდარიყო, ხან – პოლიციელი...

— ალბათ, შენმა მშობლებმა განსაკუთრებით განიცადეს გიოს დაღუპვა?

– მტანჯავს იმის წარმოდგენა, რომ ჩემი სახლი სისხლით იყო სავსე. მე ვერ შევესწარი ამ საშინელებას. თურმე ყოფილა სისხლის უზარმაზარი გუბე... დედაჩემისთვის გიოს სიკვდილი ძალიან მტკივნეული იყო. დედამისს ორმოცი წლის ასაკში დაელუპა ქმარი, მისი და 29 წლის იყო, რომ დაქვრივდა. მეც რომ დამეღუპა ქმარი, დედაჩემისათვის ეს შოკი იყო... საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდა მამაჩემი, მას გიო ძალიან უყვარდა. რომ გავიპარე – გიოს რომ გავყევი, – მამაჩემი გადარეული იყო, მაგრამ გიო რომ დაინახა, ისე მოეწონა, რომ შვილივით შეიყვარა. თან ჩემი ძმა ხომ გერმანიაშია, ფაქტობრივად, მე ვიყავი მათთვის ერთადერთი შვილი, რომელიც ახლოს იყო და გიო მეორე შვილი იყო.

— მშობლები თუ გეხმარებოდნენ მატერიალურად?

– რომ გავყევი, გიო უკვე გაზეთში მუშაობდა ჟურნალისტად. ძალიან ბევრს შრომობდა, მას უნდა მოეტანა სახლში პროდუქტები, პამპერსი. ოცლიტრიანი „კანისტრებით“ ამოჰქონდა ხოლმე ნავთი. იყო პერიოდი, როცა გვიჭირდა, პურის ფულიც არ გვქონდა. გიო არავის შეაწუხებდა, არავის სთხოვდა დახმარებას. შემიძლია ვთქვა, რომ რაც ერთად ვიცხოვრეთ, გიოს არავინ შეუწუხებია. კიდევ კარგი, რომ ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ ახლოს და ნებისმიერ დროს შეგვეძლო მათთან მივსულიყავით. დედაჩემი ისე არ გააკეთებდა საჭმელს, გიოსათვის ცალკე რომ არ გადაენახა და ჩემთვის არ გამოეტანებინა... არაჩვეულებრივი ბიჭი იყო გიო, მახსოვს, დელფინების შოუზე მე და სანდრო რომ წაგვიყვანა, საოცრად ბედნიერები ვიყავით. სანდროს დელფინის მიერ დახატული ნახატი უყიდა. უჩვენოდ ვერ ძლებდა. ბოლოს, სანამ ბაკურიანში წამიყვანდა დასასვენებლად, მითხრა: წყნეთში წადით, სამსახურში მეც წყნეთიდან ვივლიო. მაგრამ მე მეგონა, რომ ბავშვის ჯანმრთელობისთვის ბაკურიანის ჰაერი უკეთესი იქნებოდა...

— თუ ელოდი, რომ ძიება ასე გაჭიანურდებოდა და გიოს მკვლელი ამდენი ხნის მანძილზე დაუსჯელი იქნებოდა?

– თავიდან ძალიან იმედიანად ვიყავი, მეგონა გამოიძიებდნენ, მაგრამ დღემდე, ძიებაში არანაირი სიახლე არ არის იმის გარდა, რომ აშკარად გამოიხატა ჩემი უფლებების უხეში დარღვევა. მე მივწერე რამდენიმე საჩივარი პროკურატურას. ისინი ვალდებულები იყვნენ, დაუყოვნებლივ, გაეცათ პასუხი, მაგრამ იმასაც აღარ კადრულობენ, რომ ჩემი საჩივრები განიხილონ. როდესაც ოდოროლოგიური ექსპერტიზა დაინიშნა, მაშინაც გავასაჩივრე და მოვითხოვე, რომ ასეთი ექსპერტიზა არ ჩატარებულიყო. ორი კვირის შემდეგ მივიღე პასუხი, რომ ჩემი საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ისევ გავასაჩივრე. ამჯერად გენერალურ პროკურორთან, რომელიც დღემდე არ მცემს პასუხს. ოდოროლოგიური ექსპერტიზის ჩატარება არ მინდა, რადგან სუნი, რომელიც შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს, არ არის ვარგისი ექსპერტიზისთვის. როცა არ არის ვარგისი ესა თუ ის ნიმუში, გამოკვლევისთვის, მაშინ ექსპერტიზის ჩატარება არ შეიძლება. ნიმუში ამ შემთხვევაში დაუშვებელ ნივთიერ მტკიცებულებას წარმოადგენს.

— რა იყო ძიების პროცესში შენთვის ყველაზე გულსატკენი?

– მიზანმიმართულად ავრცელებენ ჭორებს გიოს შესახებ. როგორ შეიძლება მისი სახელის ასეთი შეურაცხყოფა?! გიოს ჰქონდა ყველა თვისება, რომელიც უნდა ჰქონდეს ვაჟკაცს და კარგ მამაკაცს. უშიშარი და რისკიანი პიროვნება იყო.



გელა სანაია

ერთ-ერთ ინტერვიუში გიო წერდა: „ჭორებს არ გავუკეთებ კომენტარს და არ გავხდი პოპულარულს. მოიგონონ ისეთი, რომელშიც სიმართლის მარცვალი იქნება და კი ბატონო. ადრე მოდაში იყო, თუ ადამიანზე ცუდის თქმა უნდოდათ, ამბობდნენ, ნარკომანიაო. ახლა მოდაშია ორიენტაციაზე ჭორაობა, ხვალ სხვა რამ შემოვა მოდაში... ვინც მიცნობს, იცის, ვინც ვარ სინამდვილეში...“

გიორგი სანაიას შესახებ უკვე იმდენი ითქვა და დაიწერა, ალბათ, შეუძლებელია, მისი ხასიათის ახალი შტრიხების წამოწევა. მაგრამ იმ ადამიანებისთვის, ვისაც გიო გვიყვარდა, ასჯერ წაკითხულიც კი ძვირფასია და არ კარგავს ინტერესს. გიოზე სასაუბროდ მის ძმას, **გელა სანაიას** *შევხვდი. ძალიან ჰგავს გიოს: მისი მზერა აქვს, მის მსგავსად იღიმება.*

— გელა, ძალიან მოულოდნელი იყო გიოს დაღუპვა? თუ გიფიქრია ოდესმე, რომ შეიძლებოდა, ის მოეკლათ?

– როცა გიორგიმ ჟურნალისტად დაიწყო მუშაობა, როცა ომი მძვინვარებდა, ის ხშირად დადიოდა აფხაზეთში, მთელი ოჯახი იმის შიშით ვიყავით შეპყრობილები, რომ რაიმე ცუდი არ შემთხვეოდა, მაგრამ მერე, ამაზე აღარც გვიფიქრია. ჩვენთვის მისი სიკვდილი მეხის გავარდნასავით იყო. სამტრედიაში ვიყავით. მეზობლებმა ტელევიზიის მეშვეობით გაიგეს ეს ამბავი და ჩვენც გვითხრეს. 26 ივლისს საღამოს, ღამის თეთრმეტ საათზე დედაჩემი სულ ხოხვით და ჩოქვით გამოვიდა ქუჩაში. ხალხი უკვე შეგროვილი იყო. ათასჯერ გადავამოწმეთ ეს ინფორმაცია. ტელევიზორში რასაც აცხადებდნენ, არ მჯეროდა.

— ბოლოს როდის ნახე გიორგი?

– შაბათი დღე იყო. ბათუმში მიდიოდა და გამოიარა. მე ხშირად დავდიოდი თბილისში და ვნახულობდი ხოლმე. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ხალხს ასე უყვარდა. მთელი საქართველო ტიროდა. გიორგი საერთოდ, ბავშვობიდანვე მიზანდასახული იყო და ვიცოდით, რომ ბევრს მიაღწევდა, მაგრამ ასე თუ შეაყვარებდა მთელ ქვეყანას თავს, ეს არ მეგონა.

— როგორი ბავშვი იყო გიო?

– ცელქი. თუ რამე გაფუჭდებოდა, ყველაფერს გიოს აბრალებდნენ. ჩვენს

ოჯახში დასჯის მეთოდი ასეთი იყო: სკოლაში არ გვიშვებდნენ. გიო სულ კითხულობდა, სტალინისა და ლენინის ტომებიც ხშირად მინახავს მის მაგიდაზე. შინ დიდი ბიბლიოთეკა გვქონდა. გიოსთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა ჩაუვარდებოდა ხელში – ყველაფერს კითხულობდა. გაკვეთილების სწავლას რომ მორჩებოდა, ხუთ-ექვს საათს კითხვას ანდომებდა. კარგად სწავლობდა. კარგი მეხსიერება ჰქონდა. მასწავლებლის ახსნილ გაკვეთილს იოლად იმახსოვრებდა. თორემ ბევრს არ მეცადინეობდა. მე სულ ფეხბურთს ვთამაშობდი. გიოს თუ მოსწყინდებოდა კითხვა, ისიც მოგვაკითხავდა ხოლმე ბავშვებს. სპორტის არც ერთი სახეობა არ ხიბლავდა. თუ თამაშში ჩაგვერთვებოდა, ფეხებს გვალეწავდა. გიო ჩემზე სამი წლით უფროსი იყო. მშობლები ძალიან ენდობოდნენ. ამიტომ ძალიან ადრე დაიწყო დამოუკიდებლად ცხოვრება. ჩვენ რომ გულრიფშიდან წამოვედით, გიო მხოლოდ ჩვიდმეტი წლის იყო, უკვე „შვიდ დღეში“ მუშაობდა, თბილისში ნათესავთან ცხოვრობდა.

— როგორ დატოვეთ გულრიფში? თქვენი ნივთების წამოღება თუ მოასწარით?

– ვერაფერი წამოვიღეთ, ფოტოებიც კი. როგორც გვითხრეს, ჩვენი სახლი ჯერ კიდევ დგას... უზარმაზარი სახლი გვქონდა, ალბათ, ვერ დაანგრიეს. მე, ჩემი უმცროსი ძმა და ბებია გემით წამოვედით, დედ-მამა კი ფეხით გადმოვიდა სვანეთის მთებზე... მათთვის ძალიან ძნელი გადასატანი აღმოჩნდა გიოს სიკვდილი. ერთადერთ ნუგეშად სანდრო დარჩათ. სანდროა მათი იმედი. ძალიან ჰგავს გიოს, ხასიათითაც კი. დედაჩემი ამბობს, ზუსტად ისეთივეა, როგორიც გიო იყო ბავშვობაშიო. სანდრო ახლა ის ერთადერთი სიხარულია, რაც ჩემს მშობლებს გიოსგან დარჩათ.

— გელა, გიოს რომელიმე დაბადების დღე თუ გახსენდება?

– თვითონ არ უყვარდა დაბადების დღის გადახდა. ამიტომ, ამ თარიღს ყოველთვის ვიწრო წრეში აღვნიშნავდით ხოლმე. ბავშვობიდან ვერ იტანდა კომუნისტებს. არ მოსწონდა, რომ მისი დაბადების დღე 23 და 25 თებერვალს შორის იყო მოქცეული... უმეტესად, წიგნებს ვჩუქნიდით ხოლმე, ეს ყველაზე მეტად ახარებდა. სულ ინახავდა გაზეთებს. უამრავი გაზეთი იდო მის ოთახში.

— ბავშვობაში შეყვარებული თუ ჰყავდა გიოს?

– ყოველთვის შეყვარებული იყო. მას და ერთ გოგონას სკოლის ასაკში ერთმანეთი უყვარდათ. ამაზე გიო ხმამაღლა არ საუბრობდა.

— ხათუნა რომ შეუყვარდა, მაშინაც არაფერი გითხრათ?

– არა. ხათუნა პირდაპირ მოიყვანა შინ და გამოგვიცხადა: ჩემი ცოლიაო... გიო სამსახურის საქმეებზეც არასოდეს საუბრობდა, პოლიტიკაზე ერთ სიტყვასაც არ იტყოდა. უბრალოდ, როცა ჩვენ გულრიფშიდან წამოვედით, გვითხრა: დიდი დრო დასჭირდება აფხაზეთის დაბრუნებასო. ჩვენ ამის დაჯერება არ გვინდოდა... ბოლოს, ძალიან პესიმისტურად იყო განწყობილი.

— გიოს თუ ბაძავდი?

– კი, როგორ არა. ბავშვობიდან იცოდა ტანსაცმლის შეყვარება – რაღაცას რომ ამოიჩემებდა, სულ იმით დადიოდა. გამოცდებზე აუცილებლად ერთი და იმავე ტანსაცმლით უნდა წასულიყო. მისით ყოველთვის მოხიბლული ვიყავი. გულრიფშში, ჩვენს სახლში, საღამოობით მეზობლები შემოდიოდნენ ხოლმე და იმართებოდა დისკუსიები სხვადასხვა თემაზე. ბოლოს, აუცილებლად პოლიტიკაზე იწყებოდა სჯა-ბაასი. სულ მიკვირდა, საიდან იცოდა გიომ დაწვრილებით კომუნისტების შესახებ ყველაფერი.

— როცა გიო თბილისში ჩამოვიდა, ძალიან დაძაბული იყო მდგომარეობა. დედა ნერვიულობდა?

– ღამეები არ ეძინა. გაგრა რომ დაეცა, დედაჩემს მე და ჩემი ძმა მოვყავდით თბილისში. საშინელება ხდებოდა. იბომბებოდა სოხუმი, იწვოდა თვითმფრინავი, ირგვლივ უბედურება ტრიალებდა. უეცრად, გიო დავინახეთ. დედა გადაირია: აქ რა გინდაო? – ჰკითხა. გიო აფხაზეთიდან მოდიოდა... ახლა ყველანი მოგონებებით ვცოცხლობთ. ჯერ „კურიერსაც“ ვერ ვუყურებთ, ვერც გიოს კასეტებს, ჟურნალ-გაზეთებსაც აღარ ვკითხულობთ. ამით თავს ვიცავთ – თითქოს არ გვინდა დავიჯეროთ, რაც მოხდა.

— სიზმარში თუ ნახულობთ გიოს?

– ყველანი ვნახულობთ. ძნელია სიზმრებს ენდო, მაგრამ გიო სიზმარში ყველას გვეკითხება: რისთვის მომკლესო?.. სიზმრები არანაკლებ მწარეა ჩვენთვის, ვიდრე რეალობა. სამწუხაროდ, მგონია, რომ ამ ხელისუფლების ხელში გიოს მკვლელობა არ გაიხსნება. სიმართლე არ გაირკვევა.

— თუ გიჩხუბიათ ოდესმე?

– ბავშვობაში ხშირად ვჩხუბობდით. გიო უფროსი იყო და მერეოდა. ერთხელ თავი გამიტეხა. სათამაშო ავტომატი წამართვა, მე ტირილი დავიწყე. მან კი ეს ავტომატი მესროლა და თავში მომარტყა...

— გიოს ნაჩუქარი ნივთები თუ დაგრჩა?

– ყოველთვის მჩუქნიდა ტანსაცმელს. კარგი გემოვნება ჰქონდა, ღია ფერის სამოსს იცვამდა. თუ რამე ისეთს შეიძენდა, მეც რომ მომეწონებოდა, უეჭველად წავართმევდი. თუ თვითონაც მოსწონდა ან უყვარდა ის ჩასაცმელი, მაშინ მოპარვაც მიხდებოდა. ბოლოს, თეთრი სვიტრი მოვპარე... არაფერი უთქვამს. ის უფროსი ძმა იყო და ჩვენთვის არაფერი ენანებოდა. ჩვენს უმცროს ძმაზე ათი წლით იყო უფროსი. ვახოს ჟურნალისტობა უნდა... ბოლოს, რომ ჩამოვიდა გიო, გვერდით მოისვა და დიდხანს ესაუბრა... ვახოს ძალიან გაუჭირდა გიოს სიკვდილთან შეგუება...

— მშობლების აზრს თუ ითვალისწინებდა გიო, თუ დამოუკიდებლად წარმართავდა თავის ცხოვრებას, ისე როგორც თვითონ მიაჩნდა საჭიროდ.

– ძალიან დამოუკიდებელი იყო გიო, თექვსმეტი წლის ჩამოვიდა თბილისში. ჩამოვიდა არაფრით და ათ წელიწადში გააკეთა იმდენი, რამდენსაც სხვები მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ აკეთებენ.

მართლაც, ბევრი გაჭირვების გადატანა მოუხდა გიორგის ოჯახს: აფხაზეთის ომის დროს, როცა დევნილები უკან დაბრუნდნენ, სანაიების ოჯახიც გულრიფშში ჩავიდა. არ უნდოდათ იმ აზრთან შეგუება, რომ მშვიდობიან ცხოვრებას ძალიან მოკლე დღე ჰქონდა... მდგომარეობა რომ დაიძაბა, ისინი სახლიდან ისე გამოიქცნენ, ვერაფრის წამოღება ვეღარ მოასწრეს. ჯერ ქუთაისში, დევნილთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ, შემდეგ კი – სამტრედიაში. გიორგის მამა ვახტანგ სანაია, პროფესიით ტექნოლოგია, ხოლო დედა – ნაზი სანაია – ეკონომისტი. ახლა გიორგის მშობლები თბილისში ცხოვრობენ და სხვაგან წასვლას არც აპირებენ. შვილის საფლავს ხომ ვერ დატოვებენ...

■

ბავშვობაში, თითქმის ყველა ბიჭს უოცნებია მფრინავობაზე, მაგრამ საქართველოში ამ ოცნების ასრულება, არცთუ ისე ადვილი საქმეა. ვალიკო მიზანდარის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ოცნებაახდენილი მფრინავები დიდობაშიც ისევ მფრინავობაზე — ამჯერად, უკვე დიდ ავიაციაზე და მომხიბლავ სტიუარდესებზე ოცნებობენ.

ნანა ქიბიშაური

შვეულმფრენში, ფარდის უკან, ქალი ამშოზიარეს

კინოფილმი „მიმინო“ და მისი გმირი ტყუილად არ გავიხსენეთ. ჩვენი რესპონდენტისა და ვალიკოს ცხოვრება და, წარმოიდგინეთ, ოცნებაც, გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს. სასაზღვრო ავიარაზმის მეთაურს, ვიცე-პოლკოვნიკ შამილ ქორთოშიძეს, ერთი, ძროხა არ გადაუყვანია მთიდან ბარში შვეულმფრენით, თორემ სხვა — რა გინდა, სულო და გულო!.. ყოველ შემთხვევაში, მას უკვე არანაირი თხოვნა აღარ უკვირს. მხოლოდ ერთი რამ ვერ გაუგია: ამ მთიელებს ვერაფერი გავუგე: წესით, ავადმყოფი ან მშობიარე ქალი, მთიდან ბარში უნდა ჩამყავდეს, აქ კი, ყველაფერი პირიქით ხდებაო, — შემოგვჩივლა შეწუხებულმა. როგორ იმშობიარა ქალმა შვეულმფრენში, ამას თავად მფრინავი მოგვითხრობს. მე პირადად კი, იმის მოწმე გავხდი, როგორ შეუსრულეს თხოვნა 80 წელს მიტანებულ ნათელა ნარიზაულს. არხოტში მინდა მოვკვდე, იქ წამიყვანეთ, სადაც ჩემი ჯალაბის საფლავებიაო, — უთხოვია ნათელას და თანაც ისე, რომ ავადმყოფი მოხუცი ვეღარ გააწბილეს. ხელით შეიყვანეს ძმისშვილებმა ნათელა, შვეულმფრენში მყოფი უცხოელები გაოცებულნი მისჩერებოდნენ მოხუცს. უცხოელთაგან არხოტში, ზოგი, მწყობრიდან გამოსული რადიოგადამცემის აღსადგენად მიდიოდა, ზოგი — დაბომბვის შედეგად დაზიანებული კოშკის სანახავად, ზოგიც — დათოვლილი მთებისთვის სურათის გადასაღებად. ისე კი, რას გაუგებ ამ უცხოელებს, რატომ მიდი-მოდიან ასე ხშირად ჩვენს მთიანეთში... ისინიც ვერ გვიგებენ ბოლომდე: ვერ გაიგეს, რატომ მიდიოდა ბარიდან თითქმის გაუკაცრიელებულ მთაში ნათელა. ასე რომ, მგონი, ბარი-ბარში ვართ.

ზამთარში, დიდთოვლობისას მთაში გზა იკეტება. შორ მანძილზე ფეხით სიარულს ვინ ჩივის, ზვავის შიშით საქონელსაც ვერ შეუძახებს კაცი ხმამაღლა. შვეულმფრენი ერთადერთი საშუალებაა, რომელიც საზღვრისპირა მთიანეთს ბართან აკავშირებს. ამიტომ უჭირს შამილ ქორთოშიძეს მძიმე პირობებში მყოფი ადგილობრივი მოსახლეობისთვის რაიმე თხოვნაზე უარის თქმა. არადა, გულღრძო კაცს რა დალევს?! ამის გამო უწერენ თურმე საჩივრებს და დაატარებენ ზემოთ-ქვემოთ. არხოტის ხეობაში არის სოფლები, სადაც მხოლოდ თითო კაცი ცხოვრობს. ახლა წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს იმ კაცისთვის შვეულმფრენის გამოჩენა. არხოტელებს და მფრინავებს ერთმანეთისთვის გასაგები პირობითი ნიშნები აქვთ. ამ ნიშნებს მე ბევრი ვერაფერი გავუგე, ერთს კი მივხვდი: ხანმოკლე „გასაუბრების“ შემდეგ, არხოტელები ჯიხვის მწვადზე გვეპატიჟებოდნენ, თან იცინოდნენ და ყელზე წკიპურტის მირტყმით გვანიშნებდნენ — ჟიპიტაურიც მოგვეძევებაო... სამწუხაროდ, დრო არ ითმენდა. მზის ჩასვლამდე, თბილისში უნდა დავბრუნებულიყავით. არხოტის ხეობაში სტუმარმასპინძლობა სამომავლოდ გადავდეთ. ჯერჯერობით კი, მთაში ყველა ოჯახისთვის სასურველ სტუმართან — მფრინავ **შამილ ქორთოშიძესთან** *ინტერვიუს დავჯერდით.*

— ბატონო შამილ, როგორი იყო გზა — ბავშვობის დროინდელი ოცნებიდან, ახდენილ ოცნებამდე, ანუ როგორ გახდით მფრინავი?

— 6 წლის ისე გავხდი, რომ დიკლოდან *(მთა-თუშეთის მაღალმთიანი სოფელი. — ავტ.)* არ ჩამოვსულვარ. მანქანაც კი არ მქონდა ნანახი. 8 კლასამდე ომალოში ვსწავლობდი. 4 და-ძმა ვართ. მშობლებს მატერიალურად უჭირდათ. ძნელი იყო მთაში ცხოვრება, მით უმეტეს, ისეთი ოჯახისათვის, როგორიც ჩვენი იყო. ჩემმა მშობლებმა ერთი ხელი ტანსაცმლით დაიწყეს დამოუკიდებლად ცხოვრება. არც მემკვიდრეობა ჰქონდათ და არც გავლენიანი სანათესავო ედგათ გვერდით. 5-6 წლის ვიყავი, როდესაც ცხვარში წავედი. მშობლების გარეშე მივიღე გადაწყვეტილება და მოველაპარაკე კაცს, რომელსაც ცხვარი ჰყავდა მთა-თუშეთში: თუ შეიძლება, ცხვარს მე გიმწყემსავ-მეთქი, — ვთხოვე. მთელი ზაფხული ვმწყემსავდი. შემოდგომა რომ დადგა, დამიძახა, ერთი თიკანი მომცა და 15 მანეთი. ფულის ცნობა არ ვიცოდი. გახარებული გავიქეცი სახლისკენ და ფული დედას მივეცი. თვალები ცრემლით აევსო. ფული უკანვე გამომიწოდა და მითხრა: წადი და დაუბრუნეო. მაშინ მივხვდი, რომ თურმე გაცილებით მეტი მეკუთვნოდა და დამჩაგრეს... ახლა ის კაცი მოხუცია. დღესაც უფასოდ გადამყავს და გადმომყავს მთა-თუშეთში. ისევ შემეკუმშება ხოლმე გული მის დანახვაზე — ბავშვობის დროინდელი ტკივილი მახსენებს თავს, მაგრამ მაინც არ შემიძლია უარი ვუთხრა. საერთოდ, როდესაც მოხუცებულს ან გაჭირვებულს ვხედავ, რატომღაც მაშინვე ჩემი მშობლები დამიდგებიან ხოლმე თვალწინ და არ შემიძლია, გაჭირვებულ ადამიანს, რომელიც რაღაცას მთხოვს, უარი ვუთხრა. ახლა იმას მოგახსენებთ, მფრინავობა რამ გადამაწყვეტინა. გახსოვთ, ალბათ კინოფილმი „მიმინო“. როდესაც ამ ფილმს იღებდნენ, მე ომალოში ვსწავლობდი. ერთ-ერთ ეპიზოდში გადაღებულიც კი ვარ. აი, სწორედ მაშინ დავინტერესდი მფრინავის პროფესიით. მერე ჩემი უფროსი ძმაც მფრინავი გახდა და საბოლოოდ გადავწყვიტე, ჩემი მომავალი ამ პროფესიისთვის დამეკავშირებინა. მოგვიანებით, ჩემმა უმცროსმა ძმამ — ომარმაც ეს პროფესია აირჩია. აფხაზეთის ომის დროს, მისი შვეულმფრენი და მთლიანი ეკიპაჟი უგზო-უკვლოდ დაიკარგა...*

— სამივე ძმა ერთ ეკიპაჟში რომ ყოფილიყავით, ასეთი შემთხვევა არ ყოფილა?

— იყო ასეთი შემთხვევაც. მაშინ სამივე ძმა საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით. ყიზლარიდან მოვფრინავდით, ძალიან ცუდი ხილვადობა იყო. ბოლოს, უკვე აღარაფერი ჩანდა და უფროსმა ძმამ — ზაურმა გვიბრძანა, გადახტითო! ორნი გადმოვხტით, ზაური კი შვეულმფრენში დარჩა. ახლაც არ ვიცით, როგორ მოახერხა უსაფრთხოდ დაშვება. მერე რომ ვნახეთ, მიწა ნახევარი მეტრის სიღრმეზე იყო საბურავებისგან ამოთხრილი.

— უმცროსი ძმის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გაქვთ?

— ომარი, ეკიპაჟთან ერთად, 1993 წლის 6 ივნისს აფრინდა ეროვნული გვარდიის საავიაციო რაზმის ტერიტორიიდან. სოხუმში უნდა ჩასულიყვნენ და იმ დღესვე დაბრუნებულიყვნენ. უამინდობის გამო, ეს ვერ მოახერხეს. მეორე დღესაც წვიმდა. ბოლო ინფორმაცია, რაც ეკიპაჟისგან მივიღეთ, ასეთი იყო: „ავფრინდით, მივდივართ დავალების შესასრულებლად...“ თვეზე მეტხანს ვეძებდით. ვეძებეთ ყველგან — ხმელეთზეც და ზღვაშიც, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ. გვეუბნებიან, რომ მფრინავები აფხაზებს ჰყავთ ტყვედ, მაგრამ დაზუსტებული ინფორმაცია ამის შესახებ არ გაქვს.

— თქვენ როდის განახორციელეთ პირველი დამოუკიდებელი ფრენა?

— ომის დროს. მანამდე მეორე მფრინავის მოვალეობას ვასრულებდი. მას შემდეგ, რაც მობილიზაცია გამოცხადდა, დავფრინავდი ყველგან, სადაც თავდაცვის სამინისტრო მგზავნიდა. დიდი გულისტკივილით ვიხსენებ იმ წლებს. მფრინავებს ერთმანეთთან კავშირი არ გვქონდა და ერთმანეთის უფრო გვეშინოდა, ვიდრე მტრის. რამდენჯერ უთქვამს ჯიმი მაისურაძეს: კიდევ კარგი, რომ წარწერით ვიცანი ჩვენი სამხედრო ტექნიკა, თორემ არასწორი კოორდინატები მომცეს და შეიძლებოდა, ჩვენებისთვის გამეხსნა ცეცხლიო. აფხაზეთის ომის დროს სამი ეკიპაჟი დაიკარგა უგზო-უკვლოდ. არც მათ შესახებ არის დღემდე რაიმე ცნობილი.

— რა სამხედრო წოდება გაქვთ და როგორ მოხვდით სასაზღვრო ავიარაზმში?

— ომის დროს ვიყავი ხომალდის მეთაური, შემდეგ — ესკადრილიის მეთაური. კაპიტნის სამხედრო წოდება მაშინ მივიღე. ომის შემდეგ მუშაობა დავიწყე ავიაკომპანია „აისში“. შემდეგ ისიც დაიშალა და სასაზღვრო ჯარში გადავედი.

— გატაცებულ ბერებთან დაკავშირებით, თქვენს სახელსაც ხშირად ახსენებენ ხოლმე — თითქოს საჯიხვის მთაზე, იქ, სადაც ბერები ცხოვრობდნენ, აეროდრომი გქონდათ მოწყობილი და მათთვის საეჭვო ტვირთი ჩაგქონდათ.

— ასეთი ხმების გავრცელება მხოლოდ უსინდისო ადამიანებს შეუძლიათ. მათ, ვინც კარგად იცნობდა განდგომილ ბერებს, იციან, რომ ჭორში, რომელსაც მათ შესახებ შეგნებულად ავრცელებენ, სიმართლის ნასახიც კი არ ურევია. პირველად ბერებს აღდგომის დღეს დავეკონტაქტე. კახეთიდან მიმქონდა ღვინო. ვიფიქრე, შეიძლება ამ დღეს, არც საჭმელი აქვთ და არც სასმელიმეთქი. დავჯექი საჯიხვის მთაზე. მივედი ბერებთან, მივულოცე აღდგომის დღესასწაული და ვუთხარი: ჭურჭელს თუ მომცემთ, ღვინოს ჩამოგისხამთ-მეთქი. მამა ბასილმა სამლიტრიანი ქილა გამომიტანა, თან თვალზე ცრემლი მოადგა და მითხრა: დღეს, როდესაც მთაზე მივდიოდი სალოცავად, ჩემთვის გავიფიქრე — ღმერთო, ნუთუ ამ დღეს ერთ ჭიქა ღვინოსაც ვერ დავლევ და ვერ დავილოცები-მეთქი?! და ისმინა ღმერთმა ჩემი თხოვნა: ახლა აქ რომ ხარ, ეს მისი წყალობაა. მას შემდეგ, რაც ბერების ყოფას გავეცანი, გული აღარ მითმენდა, რომ არ შევხმიანებოდა. ბერებს ორი ძროხა ჰყავდათ, წარმოუდგენლად მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ და მძიმე შრომას ეწეოდნენ. მოჰყავდათ ბოსტნეული, გამოჰყავდათ ყველი, აგროვებდნენ შეშას და ზურგით აჰქონდათ იქ, სადაც ტვირთის გარეშეც ძლივს ავიდოდა ადამიანი. თავიანთი ხელით მოწეულ მოსავალს მე მატანდნენ და მეუბნებოდნენ: წაიღე და გაჭირვებულებს დაურიგეო. ერთხელ ვთხოვე: ძალიან შორი მანძილიდან მოგაქვთ შეშა და შვეულმფრენით გადმოგიტანთ-მეთქი. სასტიკად იუარეს: ჩვენ ყველაფერი ჩვენი შრომით და ზურგით უნდა ამოვიტანოთ აქამდეო. იმ ადგილას, სადაც ცხოვრობდნენ, მშვიდობის მთა დაარქვეს. იქვე აპირებდნენ მონასტრის აშენებას. შვეულმფრენის დასაჯდომი მოედანიც კი საკუთარი ხელით გააკეთეს — კლდე გამოანგრიეს. როდესაც ვნახე, გავოგნდი, დღემდე მიკვირს — როგორ შეძლეს შიშველი ხელით ამ უმძიმესი საქმის გაკეთება... 6 წლის განმავლობაში ბარში არც ერთი არ ჩამოსულა. მეც მთხოვეს: როდესაც შვეულმფრენში მანდილოსანი გეყოლება და მთაზე დაჯდები, ქალმა ფეხი მიწაზე არ უნდა დაადგასო. მახსენდება ასეთი შემთხვევაც. მთებში 47 კაცი ჩავრჩით. ამინდი იმდენად გაფუჭდა, რომ ფრენა შეუძლებელი გახდა. ბერებამდე გაჭირვებით მივაღწიეთ. 47 კაცს გვიმასპინძლეს — გაგვათბეს, დაგვაპურეს, ყარამანას ამბავიც მაშინ მოვისმინეთ...

— ყარამანა ვინლა არის?

— ყარამანა ხარჯიხვს შეარქვეს ბერებმა. მამა ბასილი დილით სალოცავად სულ ერთ მთაზე ადიოდა. ერთი ულამაზესი ხარჯიხვი მიუახლოვდებოდა ხოლმე თურმე მლოცველ ბერს და მისგან ექვსიოდე მეტრში ჩერდებოდა. საერთოდ არ უფრთხოდა მამა ბასილს. თითქოს ესმოდა, რომ ბერი არაფერს დაუშავებდა. რამდენიმე დღე აღარ გამოჩნდა თურმე ყარამანა. დანაღვლიანდნენ ბერები, მერე კი, მისი რქები ჩამოუტანია ზვავს... ბერებმა იმ ორი რქიდან ერთი ჩვენ გამოგვატანეს და დაგვიბარეს: ყარამანა ჯიხვების ჯოგს წინამძღოლობდა, მისი რქებიდან გამოთლილი ყანწით, მხოლოდ ერთი ნუ დალევს — საძმოში ჩამოატარონ და თითო ყლუპი, სუფრის ყოველმა წევრმა ერთი ყანწიდან შესვასო. მეორე რქა კი, თუშეთში გაგზავნეს... მე ისიც ვიცი, როგორ წაიყვანეს ბერები. მივიდა მათთან ერთი კაცი, რომელსაც თითქოს ფეხი ჰქონდა ნატკენი. ამასთანავე, ვითომდა დანიშნულების ადგილამდე აუცილებლად უნდა მიეღწია. ბერებმა იმ ადგილამდე ზურგით

ატარეს, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, როგორმე მგზავრს რომ არ დაგვიანებოდა. მითითებულ ადგილას თურმე დანარჩენი გამტაცებლები, ცხენებით ელოდნენ. დაღლილ-დაქანცულ ბერებს იარაღით დაადგნენ თავზე, ბოდიშიც კი მოუხადეს – ჩვენ არ გვინდა ამის ჩადენა, მაგრამ გვაიძულებენო, უთხრეს – და წაიყვანეს. ნამდვილად მოწამებრივად ცხოვრობდნენ ბერები და ძალიან მტკივა გული, როდესაც მათ შესახებ არასწორი ინფორმაცია ვრცელდება.

— თქვენს მგზავრებთან დაკავშირებით, რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევას ხომ არ გაიხსენებთ?

– სვანეთში დავფრინავდი ხშირად და იქ მქონდა „განსაკუთრებული შემთხვევები“. შვეულმფრენი ყოველთვის გადატვირთული იყო მგზავრებით. ხან ვეჩხუბებოდით, ხან ვეფერებოდით, მაგრამ ვერაფერს ვაგებინებდით. მოკლედ, გვქონდა ასეთი დიალოგები:

– შვეულმფრენი გადატვირთულია, გთხოვთ, გაათავისუფლოთ სალონი!

– არა უშავს, ვიქნებით.

– ასე ადგილიდან ვერ დავიძვრებით...

– იქნებ დავიძრათ.

– შეიძლება დავიძრათ, მაგრამ შვეულმფრენი ჰაერში ვერ ავა და თუ ავა, მიწაზე დავენარცხებით.

– გავრისკოთ!

– როგორ გავრისკო? მარტო კი არა ვარ – პასუხს ვაგებ თითოეულ თქვენგანზე!

– ჩვენ ოცდაცამეტი ვრისკავთ და თქვენ სამმა გარისკეთ – ვაჟკაცები არა ხართ?..

ერთ დღეს მფრინავს მართლაც გაურისკავს (ისიც სვანი იყო). ავიდა შვეულმფრენი, მაგრამ სიმძიმის გამო, სიმაღლის აღება ვერ შეძლო და მგზავრებიანად მიწაზე დაენარცხა. გამწარებული მფრინავი სალონში შეიჭრა: ხომ გითხარით, ვერ გავრისკავ-მეთქი! აი, რა გამაკეთებინეთო!

– მთლად ეგრე არ უნდა გაგერისკაო... – ისევ თავისას ბურტყუნებდნენ თურმე, ცოტა არ იყოს, ფერდაკარგული სვანები...

გავიხსენებ კიდევ ერთ შემთხვევას: ორი შვეულმფრენით სვანეთისკენ მივფრინავდით. მეც და ჩემს კოლეგასაც, მგზავრებს შორის თითო ორსული ქალი გვყავდა. უცებ, მეორე შვეულმფრენიდან დამიკავშირდნენ: ჩვენსას მშობიარობა დაეწყო და რა ვქნათო? – რა უნდა ქნათ და სასწრაფოდ დაეშვით-მეთქი, – ვუთხარი. გორის თავზე მივფრინავდით, იქ შესაძლებელი იყო დაშვება, მაგრამ მფრინავს სვანებმა უბრძანეს, რომ არ დაშვებულიყო. მოკლედ, შეიქნა თურმე ერთი ამბავი. მგზავრებმა სასწრაფოდ ფარდით გაყვეს სალონი და ქალმა ჰაერში იმშობიარა. ბავშვი ჯანმრთელია და იზრდება. ვინ იცის, შეიძლება მფრინავიც გახდეს – ბოლოს და ბოლოს, 1500 მეტრ სიმაღლეზეა დაბადებული...

— იქნებ ისეთი კურიოზიც გაიხსენოთ, რომელიც კარგად დამთავრდა?

– მაშინ ისევ ჩემი ბავშვობის დროინდელ ფილმს – „მიმინოს“ გავიხსენებ. იქ მარტო მე კი არა, ერთ-ერთ ეპიზოდურ როლში, ჩემი ნათესავის ჭრელი ძროხაც არის გადაღებული. პატრონებს ჯერ ძალიან უხაროდათ და ამაყობდნენ თავიანთი „არტისტი“ ძროხით. მაგრამ ერთხელაც, როდესაც ზემოთ აიხედეს და შვეულმფრენზე თოკებით დაკიდებულ ძროხას მოჰკრეს თვალი, მუხლებში წაიშინეს ხელები: ეს რა უქნიათ ქალაქელებს, სად ჩამოუკიდიათ ჩვენი ძროხაო?! შეიქნა ერთი ამბავი და გაწევ-გამოწევა. ეს კურიოზი კარგად დამთავრდა – იმდენად, რამდენადაც მალე გაირკვა, რომ „ქალაქელებს“, ნამდვილი ძროხის ნაცვლად, ძროხის მაკეტი გაუკეთებიათ, ზუსტად ისეთი ხალები მიუხატავთ, როგორიც ნამდვილს ჰქონდა. როდესაც პატრონები გაერკვნენ, რაში იყო საქმე, ისე გაიხარეს, თითქოს ის ჭრელა რამდენიმე წლის დაკარგული ყოფილიყო და თავისი ფეხით მისულიყო შინ.

— როგორ არის ჩვენი საზღვარი დაცული და რამდენად უსაფრთხოა ჩვენი შვეულმფრენები?

– ჩვენი საზღვარი გაცილებით უკეთ არის დაცული, ვიდრე სახელმწიფო საამისოდ გვაფინანსებს. მარტის ბოლო რიცხვებისთვის მდგომარეობა გაუმჯობესდება, რადგან საზღვრებზე საგუშაგოების დამატებაა დაგეგმილი. რაც შეეხება შვეულმფრენებით მგზავრობის უსაფრთხოებას – აუცილებელია მათ, როგორც აფრენამდე, ასევე დაშვების შემდეგაც, ჩაუტარდეთ ტექნიკური დათვალიერება. თუმცა, გართულებებისგან დაზღვეულნი მაინც არ ვართ. რამდენჯერ მქონდა შემთხვევა, როდესაც ჰაერში ძრავა გამოვიდა მწყობრიდან. საბედნიეროდ, მიწაზე უსაფრთხო დაშვება მაინც მოვახერხეთ. ჩვენი შვეულმფრენები (МИ-8МТВ) მთის რეგიონისთვის ძალიან მოსახერხებელია. ამ მხრივ, მსოფლიოში მათი ანალოგი არც არსებობს.

— ავარიის შემთხვევაში, შვეულმფრენის ეკიპაჟს თუ შეუძლია პარაშუტით სარგებლობა?

– არ შეუძლია. შვეულმფრენის მგზავრებისათვის პარაშუტები გათვალისწინებული არ არის. ამდენად, ის მფრინავებსაც არ უნდა ჰქონდეთ. შვეულმფრენის პილოტი, ისევე, როგორც გემის კაპიტანი, ბოლომდე ხომალდში რჩება...

— სასაზღვრო შვეულმფრენით, მესაზღვრეების გარდა, სხვა მგზავრების გადაყვანა აკრძალული არ არის?

– მფრინავებს, ვალერი ჩხეიძისგან უშუალოდ გვაქვს დავალებული, რომ ადგილობრივ მოსახლეობასაც ისევე მოვემსახუროთ, როგორც მესაზღვრეებს, რადგან იქაური მოსახლეობა, ყველაფერთან ერთად, მესაზღვრის მისიასაც ასრულებს. ხშირად გადაგვყავს უცხოელებიც. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ჩვენზე მეტად უფრთხილდებიან ჩვენს მთიანეთს: მთებზე სრიალის დროს თან დააქვთ პოლიეთილენის პარკები და ნაგავს აგროვებენ. თოვლსაც კი უფრთხილდებიან და არ აბინძურებენ. ეს მათი საოცარი თვისებაა. სასურველია, რომ ქართველებსაც ჰქონდეთ გარემოსთან ასეთი დამოკიდებულება.



შამილ ქორთოშიძე

— სულ რამდენი საათი გექნებათ ცაში გატარებული?

– მთლიანად ალბათ 4500 საათი. არ ვიცი, უნდა დავუმატო თუ არა ამას ის საათები, რაც სიზმარში მიფრენია...

— სიზმარშიც დაფრინავთ? როგორც ამბობენ, ეს ბედნიერების მომასწავებელია.

– არ ვიცი, რისი მომასწავებელია, მაგრამ ფაქტია – სიზმარშიც ხშირად დავფრინავ. ალბათ იმიტომ, რომ ცაში უფრო კარგად ვგრძნობ თავს, ვიდრე მიწაზე.

■

პეტრე ცისკარიშვილი: „გამგაცვლებლებმა ნილაბი მხოლოდ ერთს არ ეკეთა“.

პარლამენტარისა და მისი საცოლის გატაცებაში ბრალდებულმა სასამართლოს ჩვენება არ მისცა

მეგი ცანავა

თბილისის საოლქო სასამართლომ 2001 წლის მაისში მომხდარი გახმაურებული ფაქტის – პარლამენტის წევრის, პეტრე ცისკარიშვილისა და მისი საცოლის (ამჟამად – მეუღლის) – ანა სურმავას გატაცების გამო, აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაიწყო. სამართალდამცავებმა ჩადენილ დანაშაულში ეჭვმიტანილთაგან, მხოლოდ ერთი პიროვნება დააკავეს – 33 წლის თელაველი, ცოლიანი, ადრე ნასამართლევი კონსტანტინე ციხისთავი. იგი უკვე სასამართლოს წინაშე წარდგა, თუმცა დუმილის უფლება გამოიყენა და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ჩვენების მიცემისგან ამ ეტაპზე თავი შეიკავა.

სასამართლოში დაზარალებული – პეტრე ცისკარიშვილი გამოცხადდა. რაც შეეხება ანა სურმავას, იგი პროცესზე არ მოსულა. სასამართლო, საქმის ძიებისას სურმავას მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებას გაითვალისწინებს. ცისკარიშვილმა მოსამართლეების წინაშე, გამტაცებელთა შორის კონსტანტინე ციხისთავის ყოფნის ფაქტი დაადასტურა და განაცხადა:

პეტრე ცისკარიშვილი

„მე იგი, ჯერ კიდევ საქმის წინასწარი გამოძიების პერიოდში ამოვიცანი. გამომძიებლებმა მასთან სპეციალურად შემახვედრეს და მკითხეს – იყო თუ არა ის ბოროტმოქმედთა შორისო? მე ციხისთავის ამოცნობა არ გამჭირვებია, რადგან გამტაცებელთაგან ნიღაბი მხოლოდ მას არ ეკეთა.“

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 2001 წლის 7 მაისს, საღამოს, დაახლოებით 11 საათზე, თბილისში, კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, კონსტანტინე ციხისთავმა და მასთან ერთად მყოფმა რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა „ბე-ემ-ვე“-ს მარკის გაჩერებული ავტომანქანა შენიშნეს. საჭესთან პეტრე ცისკარიშვილი, გვერდით კი – ანა სურმავა იჯდა. ავტომატებით შეიარაღებული ბოროტმოქმედები ავტომანქანას მიუახლოვდნენ და შიგ მსხდომთ მოულოდნელად დაესხნენ თავს. ყაჩაღებმა მათი ვინაობა ჯერ კიდევ არ იცოდნენ და ამიტომაც, მათთვის მხოლოდ მანქანის წართმევას ცდილობდნენ, ხოლო როცა ცისკარიშვილის პარლამენტარობის შესახებ შეიტყვეს, ამ უკანასკნელისა და მისი მეგობრის მძევლად აყვანა და ამ გზით, მათი ოჯახებისათვის ფულის გამოძალვა განიზრახეს. ბოროტმოქმედებმა ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანეს კიდეც. ფულის გამოძალვა მათ ვერ მოახერხეს, რადგან სამართალდამცავებმა 2001 წლის 12 მაისს ცისკარიშვილისა და სურმავას გათავისუფლება შეძლეს.

„გავაღე თუ არა კარი, მაშინვე დავინახე, რომ ჩემკენ ავტომატები იყო მოშვერილი. იქ ციხისთავის გარდა, რამდენიმე შეიარაღებული პირი იდგა, ყველას ნიღაბი ეკეთა.“

პეტრე ცისკარიშვილი:

„საღამოს 11 საათი იქნებოდა, როცა მანქანით ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე გავჩერდი. გვერდით ჩემი ამჟამინდელი მეუღლე, მაშინ – საცოლე, ანა სურმავა მეჯდა. ამ დროს მანქანასთან პოლიციის ფორმაში გამოწყობილი პირი (როგორც შემდეგ გაირკვა – კონსტანტინე ციხისთავი) მოვიდა, საჭის მხარეს დადგა და ფანჯრის ჩამოწევა მთხოვა. ასეც მოვიქეცი. მერე საბუთებიც მომთხოვა. მე განვუმარტე, რომ პოლიციელს ჩემი ჩხრეკისა და საბუთების შემოწმების უფლება არ ჰქონდა. იგი თავისას მაინც არ იშლიდა, მე მანქანიდან გადმოსვლა დავაპირე, რათა სიტუაციაში გავრკვეულიყავი. გავაღე თუ არა კარი, მაშინვე დავინახე, რომ ჩემკენ ავტომატები იყო მოშვერილი. იქ ციხისთავის გარდა, რამდენიმე შეიარაღებული პირი იდგა, ყველას ნიღაბი ეკეთა. მაშინ ჩვენ შორის ჩხუბი ატყდა, თუმცა, ამ შეხლა-შემოხლაში ციხისთავს მონაწილეობა არ მიუღია. ერთხელ გაისროლეს კიდეც. სწორედ იმ მომენტში, შემეშინდა, ჩვენთვისაც არ ესროლათ და სასიკვდილო ჭრილობა არ მიგვეღო, ამიტომაც ჩხუბის შეწყვეტა გადავწყვიტე. მათ მაშინვე ხელბორკილები დაგვადეს, ნიღბები ჩამოგვაცვეს და ისევ ჩემს მანქანაში ჩაგვსვეს. მივხვდი, რომ ციხისთავი ორ ნიღბიან პირთან ერთად წინ დაჯდა, დანარჩენები კი, ჩვენთან ერთად, მანქანის უკანა სავარძელზე მოთავსდნენ. გზაში გვკითხეს – ვინა ხართ, სად ცხოვრობთო? როცა შეიტყვეს, რომ პარლამენტარი ვიყავი, ფულის გამოძალვაზე დაიწყეს საუბარი. ერთმანეთში ლაპარაკობდნენ. ერთხელ ისიც თქვეს – ხომ არ გავუშვათ, მგონი, შეცდომა მოგვივიდა და ეს ამბავი რაში გვჭირდებაო?.. ბოლოს, მაინც ჩვენი დატყვევება გადაწყვიტეს. მართალია, ნიღაბი

მეკეთა, მაგრამ მათივე საუბრიდან ვხვდებოდი, რომ პანკისისკენ მივდიოდით. რომელ სოფელში ჩავედით, მაშინ არ ვიცოდი. ვიღაცის ოჯახში მიგვიყვანეს, ნიღბები და ბორკილები არ მოუხსნიათ, თუმცა გვითხრეს – თქვენ არავინ შეგეხებათო. ამის შემდეგ, მათი მხრიდან რაიმე ძალადობას ან მუქარას ადგილი არ ჰქონია.

იმ სოფელში (სოფელი ომალო) გამთენიისას ჩავედით. მანქანიდან გადმოგვიყვანეს და სახლისკენ ფეხით წაგვიყვანეს. ციხისთავი სწორედ მაშინ ჩამოშორდა დანარჩენ ბოროტმოქმედებს. მას შემდეგ იგი აღარ გამოჩენილა. ექვსი დღის მანძილზე ვიყავით დაკავებულები. ბოლოს, თითქმის ორი დღის განმავლობაში მანქანით ვმოძრაობდით. როცა დაცხა, მივხვდი, რომ მთებიდან ჩამოვედით. იქიდან ორჯერ სხვადასხვა მანქანაში გადაგვსვეს. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ გვათავისუფლებდნენ. დაახლოებით 3-4 წუთში, სამართალდამცავებიც მოვიდნენ, ბოროტმოქმედები იქიდან უკვე წასულები იყვნენ...“

პოლიციამ კონსტანტინე ციხისთავი 2001 წლის 15 ივლისს ქალაქ ახმეტაში, მდინარე ილტოს ხიდთან არსებულ ბლოკსაგუშაგოზე დააკავა. როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, დაკავებისას, პირადი ჩხრეკის დროს, მას „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი (შვიდი ვაზნით), „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი (ერთი მჭიდითა და რვა ვაზნით) და ერთი ხელყუმბარა აღმოუჩინეს.

ციხისკარიშვილისა და სურმავას გატაცების გარდა, პროკურატურა ციხისთავს კიდევ სამ სხვა დანაშაულში სდებს ბრალს. სამართლადამცავები მას ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებადი ნივთიერებისა და საბრძოლო მასალის შეძენაში, შენახვაში, ტარება-გადაზიდვასა და დანაშაულებრივ ჯგუფთან ერთად არაერთგზის ჩადენილ ყაჩაღობაში ამხელენ. მის თანამზრახველთა შორის კი, პროკურატურის თანამშრომლები უკვე კარგად ცნობილ კრიმინალებს – მევლუდ (შოთა) ჭიჭიაშვილს, ჰუსეინ შარაბიძეს, მამუკა ღუზარაულს და ზურაბ მიქაძეს ასახელებენ. ამჟამად აღნიშნული პირების ძებნაა გამოცხადებული.

როგორც გაირკვა, კონსტანტინე ციხისთავი 1997 წელს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაასამართლა და ჩადენილი დანაშაულისთვის მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 1999 წლის 12 ივნისიდან ციხისთავი ქალაქ რუსთავის კოლონიაში იხდიდა სასჯელს. სამართალდამცავთა ინფორმაციის თანახმად, მან მსჯავრდებულებთან – ჰუსეინ შარაბიძესთან და ვიტალი შიოშვილთან ერთად, ციხიდან გაქცევა განიზრახა. დაახლოებით 20 დღის განმავლობაში ისინი ლითონის საგნებით, ე.წ. „შტირებით“, ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული დუმთავრებელი შენობის სარდაფიდან, გარე დაცვის საგუშაგოს მიმართულებით, 32 მ სიგრძისა და 50 სმ დიამეტრის გვირაბს თხრიდნენ, 2000 წლის 13 ნოემბერს კი, სწორედ ამ გვირაბით, ციხის ტერიტორია დატოვეს და მიიმალნენ.

დაკავებისას, პირადი ჩხრეკის დროს, მას „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი (შვიდი ვაზნით), „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი (ერთი მჭიდითა და რვა ვაზნით) და ერთი ხელყუმბარა აღმოუჩინეს.

ამის შემდეგ, ციხისთავი შარაბიძესთან ერთად, პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში ჩავიდა. იქ ერთ-ერთ ადგილობრივ მკვიდრს – მევლუდ ჭიჭიაშვილს დაუკავშირდნენ და ერთობლივი გადაწყვეტილებით, ცეცხლსასროლი იარაღები შეიძინეს. 2001 წლის თებერვალში, მათ ახმეტის ფოსტის ავტომანქანა გააჩერეს და ნიღბებაფარებულებმა შიგ მსხდომთ – ფოსტის დირექტორს, მის მოადგილესა და მცველს, მოსახლეობისათვის გადასაცემი საპენსიო თანხა – 11 ათასი ლარი წაართვეს. მათგან ასევე გაიტაცეს იარაღები, ზემოთ ხსენებული თანხაც ერთმანეთში გაინაწილეს.

2001 წლის მაისის დასაწყისში აღნიშნულმა ბანდამ, ციხისთავის მონაწილეობით, ფულის გამოძალვის მიზნით, ებრაელთა სასულიერო პირის – რაბინ ა. ლევინის გატაცება განიზრახა. შეთანხმებისამებრ, გატაცებული ლევინი მათ პანკისის ხეობაში უნდა ჩაეყვანათ, ამისათვის კი ავტომანქანა სჭირდებოდათ. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს 2001 წლის 7 მაისს ციხკარიშვილის მანქანის გატაცება.

ანა სურმავა

პარლამენტარისა და მისი საცოლის მძევლად აყვანისა და გათავისუფლების შემდეგ, ბანდას, როგორც ეს ციხისთავის საბრალდებო დასკვნიდან ჩანს, სხვა გეგმებიც ჰქონია. კერძოდ, ბოროტმოქმედებმა ყალბი პასპორტების შეძენა და საჭიროების შემთხვევაში, რუსეთში მიმალვა გადაწყვიტეს. ამ მიზნით ისინი 2001 წლის ივნისის შუა რიცხვებში თეთრი „მერსედესით“, ახმეტის რაიონის სოფელ დუისიდან ჯერ თბილისში ჩავიდნენ, შემდეგ კი, ქალაქ გორში გაემგზავრნენ. შეიარაღებულ ბოროტმოქმედებს თან ახლდათ გამოძიებით დაუდგენელი ერთი პირი, რომელიც მათ ვინმე თოთესთან შეხვედრაში უნდა დახმარებოდა. გზაში შეთანხმდნენ, რომ ავტომანქანა „ნივა“ ან ჯიპის მარკის უცხოური მანქანა გაეტაცებინათ და იგი საჩუქრად თოთესთვის მიეყვანათ. ამ მიზნით, 2001 წლის 20 ივნისს, ღამის პირველ საათზე, გორის რაიონის სოფელ ორთაშენის მახლობლად, ისინი თავს დაესხნენ მოქალაქე ვ. დვალს და მას ავტომანქანა – თეთრი „ნივა“ წაართვეს.

გორი-ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე ისინი თოთეს შეხვდნენ, მას 1.200-1.500 დოლარად ყალბი პასპორტების გაკეთების პირობა ჩამოართვეს და საჩუქრად, გატაცებული „ნივაც“ გადასცეს. რამდენიმე დღის განმავლობაში ისინი გორის ერთ-ერთ სოფელში იმყოფებოდნენ, შემდეგ კი, თბილისში დაბრუნდნენ.

წინასწარი გამოძიების პერიოდში, ბრალდებულად დაკითხვისას, კონსტანტინე ციხისთავმა, სხვებთან ერთად, მის მიერ ზემოთ ხსენებული დანაშაულების ჩადენის ფაქტი დაადასტურა. ორგანიზატორთა შორის კი, მან ვინმე კობა ოთანაძე და ზურაბ მიქაძე დაასახელა. ასევე აღნიშნა, რომ მათთან ერთად განიზრახა ნავთობის ბიზნესმენის – ვინმე ჭუკულას გატაცებაც, თუმცა, ამისათვის ხელსაყრელი მომენტი ვერ შეარჩიეს. აღნიშნულ ოქმში ციხისთავი პეტრე ცისკარიშვილისა და ანა სურმავას გატაცების ფაქტსაც ადასტურებს და მის მიერ ჩადენილ დანაშაულს არ უარყოფს. ბრალდებული წერს, რომ მათთვის წართმეული ნივთები გამტაცებლებმა ერთმანეთში გაინაწილეს, რაც შეეხება მობილურ ტელეფონებს, ციხისთავის თქმით, ისინი მევლუდ ჭიჭიაშვილმა წაიღო.

დაზარალებულებმა, მათ შორის ცისკარიშვილმა და სურმავამ, სასამართლოს ციხისთავის მიმართ სამოქალაქო სარჩელი არ წარუდგინეს. მომდევნო სხდომა საოლქო სასამართლოში 26 თებერვლისთვისაა დანიშნული. ამ დღეს მოსამართლეებმა მოწმეები უნდა დაჰკითხონ.

■

მკვლელობის ვერსია ჯერ არ დადასტურებულა

ამ დღეებში საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე, საკუთარი მეუღლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი თბილისელი, ვინმე სოსო ბურდული დააკავეს. ამავე ცნობით, ბურდულმა ცოლი ცემით მოკლა. ჩვენ დავუკავშირდით გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურას, სადაც აღნიშნული ინფორმაცია უარყვეს, თუმცა ბურდულის მეუღლის 44 წლის ვერა მასლოვას გარდაცვალების ფაქტი დაადასტურეს. პროკურორის მოადგილის ზურაბ საძაგლიშვილის თქმით, 45 წლის სოსო ბურდული არავის დაუკავებია. უფრო მეტიც, პროკურატურას იგი ცოლის მკვლელობაში ეჭვმიტანილად არ უცვნია. „ჯერ ამის საფუძველი გამოძიებას არა აქვს. საქმის მასალებს ახლა ვაგროვებთ. გარდაცვლილის – ვერა მასლოვას გვამზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარდა, თუმცა ჯერჯერობით, ექსპერტთა პასუხი ოფიციალურად არ მიგვიღია. ასე რომ, ვერ ვიტყვით მასლოვა ცემის თუ სხვა რამის შედეგად გარდაიცვალა. თავად სოსო ბურდული ამჟამად შინ იმყოფება. მისი თქმით, ვერა მასლოვა კიბიდან დაგორდა, მან კი შინ შეიყვანა ცოლი და საწოლში ჩააწვინა. დილით, როცა გავიღვიძე აღარ სუნთქავდაო, – ამბობს“ – განაცხადა პროკურორის მოადგილემ.

■

კიდევ ერთი ოჯახური ტრაგედია

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ სამართალდამცავებმა ბორჯომელი, 33 წლის მამუკა მაჭარაშვილი დააკავეს. იგი საკუთარი დედის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. გამოძიების ცნობით, ეს ტრაგიკული შემთხვევა 2002 წლის 17 თებერვალს მოხდა. ერთ-ერთი ვერსიით, მამუკა მაჭარაშვილმა დედას – 60 წლის გულიკო მაჭარაშვილს სახლში ჩხუბისას ნაჯახი ჩაარტყა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ქ. ბორჯომის პროკურატურა იძიებს.

■

ლონდონში დაქირავებული ქილერები დათარეშობენ

სტატისტიკური მონაცემების შედეგად გაირკვა, რომ ლონდონში ყველაზე მომგებიანი პროფესია – ქილერობაა (ჩვენებურად – კაცისკვლა). მაგალითად, 2001 წლის აპრილის თვის, პირველი 20 დღის განმავლობაში ყოველდღიურად თითო მკვლელობა მაინც ხდებოდა. ქალაქის პოლიციისთვის ცნობილი გახდა, რომ იმ პერიოდში პროფესიონალი ქილერები ადგილობრივი დანაშაულებრივი დაჯგუფებების – ბანდების შეკვეთებს ასრულებდნენ. სკოტლენდ-იარდში მთელი ორი თვის მანძილზე, თურმე ქილერები გაძლიერებული რეჟიმით „მუშაობდნენ“. ლონდონელმა სამართალდამცავებმა ისიც გამოარკვიეს, რომ დაქირავებული მკვლელი ერთი შეკვეთის შესრულებისთვის 20 ათას გირვანქა-სტერლინგს (დაახლოებით 28 ათასი ამერიკული დოლარი) იღებდა. დადგინდა, ისიც, რომ ქილერთა „მომსახურებით“ უმეტესად, თურქული კრიმინალური დაჯგუფებები სარგებლობდნენ. აღნიშნული ბანდა, ამასთანავე, ჰეროინით ვაჭრობასაც მისდევდა.

■

იაპონიაში დანით შეიარაღებულ მანიაკებს ბაძავენ

იაპონიაში სამართალდამცავებმა გაავრცელეს ცნობა, რომ დანებით შეიარაღებული მანიაკების მიერ ჩადენილმა დანაშაულებმა საოცრად იმატა. განსაკუთრებით ხშირი შემთხვევები 2001 წელს ფიქსირდებოდა. ყველაფერი კი იმ დღიდან დაიწყო, როცა ქალაქ ოსაკაში ახალგაზრდა მანიაკმა დანით რვა ბავშვი დაჭრა. მას შემდეგ, იგივე ხელწერით შესრულებული არაერთი დანაშაული მოხდა. როგორც ადგილობრივი სამართალდამცავები ამბობენ, აღნიშნულ მანიაკს ფსიქიკურად არაჯანსაღი ადამიანები ჰბაძავდნენ. მომხდარი ფაქტიდან ერთი კვირის განმავლობაში, ქვეყანაში დანით დაჭრის სამი შემთხვევა დაფიქსირდა: სამზარეულო დანით შეიარაღებული მამაკაცი ერთ-ერთი წამყვანი გაზეთის –„სანქეი სიმბუნის“ ოფისში შევარდა. იგი უაზროდ ღრიალებდა და თანამშრომლებზე თავდასხმას ცდილობდა, თუმცა, რედაქციიდან პოლიციაში დარეკვა მოახერხეს და თავდამსხმელი დააკავეს. მეორე ინციდენტი ტოკიოს რაიონში – სუგინამში მოხდა. ხანში შესული ქალი დანით ხელში საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე შევიდა და მის შესახვედრად გამოსული აღმზრდელ-მასწავლებელი დაჭრა. საბედნიეროდ, იმ მომენტში ბავშვები შენობიდან გაყვანილები ჰყავდათ. თავდამსხმელმა მიმალვა შეძლო. მესამე შემთხვევა კი, ტრაგიკულად დასრულდა: ტოკიოს ბუნკიოს უბანში ახალგაზრდა მამაკაცმა 78 წლის მოხუცი იმსხვერპლა, 97 წლის ქალი კი, მძიმედ დაჭრა.

■

რაც ეცვენებოდა „ცაცილაცი“ ეთერ ჯაჯუღიას...

ყველამ მშვენივრად იცის, როგორი მომღერალია ეთერ კაკულია, მაგრამ ბევრისთვის უცნობია, რომ ის ძალზედ სტაჟიანი მძღოლიც არის, იუმორის იშვიათი გრძნობა კი, საგზაო ფათერაკების საინტერესოდ მოყოლის საშუალებას აძლევს.

ნინო ჯავახიშვილი

— კომუნისტების პერიოდზე ამბობენ, საშინელი დრო იყო... სხვისი არ ვიცი და მე პირადად, იმ წლებთან ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს, — თუნდაც ის, რომ სწორედ მაშინ ვიყიდე პირველი მანქანა. მაშინ ხომ ადვილად ვერ შეიძენდი უცხოური წარმოების პროდუქციას — ყველაფერი მხოლოდ ნაცნობობით იშოვებოდა. ჰოდა, საძინებელი გარნიტურის ყიდვა მინდოდა. მაშინდელ ვაჭრობის მინისტრთან — მამია მეგრელიშვილთან მივედი და ვთხოვე: ავეჯის ყიდვა მინდა და უნდა დამეხმაროთ-მეთქი. გაეცინა: კი ბატონო, როგორ არ დაგეხმარები? — საწყობში შეგიყვან და რომელიც მოგეწონება, ის ამოარჩიეო... გახარებული გამოვედი და ფოიეში ნაცნობი შემხვდა. თურმე ისიც ბატონ მამიას ელოდებოდა: ახალი გამოსული „ჟიგულები“ ჩამოსულა და უნდა ვთხოვო, იქნებ როგორმე გამიხერხოსო... კაცი კიდევ მელაპარაკებოდა რაღაცებს, მაგრამ მე უკვე აღარაფერი მესმოდა — უცებ ძალიან მომინდა ახალთახალი მანქანა და ვიფიქრე: საძინებელი რად მინდა? მანქანა არ სჯობს-მეთქი?!. არადა, მაშინ მართვა არ ვიცოდი, თანაც ძალიან მშიშარაც ვიყავი. მამაჩემს და ჩემს ძმას კი ჰყავდათ მანქანა, მაგრამ შიშისგან საჭესთან ვერ ვჯდებოდი ხოლმე. გარდა ამისა, ქალი საჭესთან მაშინ დიდი იშვიათობა იყო. მაგრამ მაინც გადავწყვიტე და მეორე დღეს, ისევ ვესტუმრე ბატონ მამიას: აზრი შევიცვალე — საძინებელს მანქანა მირჩევნია-მეთქი. კი გაუკვირდა, მაგრამ არც ამ თხოვნაზე უთქვამს უარი და თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი კი არა — ორი მანქანა მომცა.

— **ორი მანქანა რატომ?!**

— ფილარმონიის სოლისტი ვიყავი. მაშინ კი, მანქანა ოფიციალურად, იმ დაწესებულებისთვის უნდა გამოეყოთ, სადაც მუშაობდი. ჰოდა, ჩემს მეგობარს — კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიასაც არ ჰყავდა მანქანა და მთხოვა: კიდევ ერთი მანქანა რომ გამოუყონ ფილარმონიას, მე ვიყიდიო... ასე ვაჩუქე „ჟიგული“ ნუნუს...

— **როგორ, ორივე მანქანის ფულიც თქვენ გადაიხადეთ?**

— არა, რას ამბობთ? ნუნუმ თვითონ იყიდა. მე რას გადავუხდიდი?! ვაჩუქე-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ რაღაცნაირად, მაინც ჩემგან დაებედა მანქანის ყიდვა.

— **მანქანის მართვა ვინ გასწავლათ, მეუღლემ?**

— არა, მეუღლემ გამომიცხადა: მე მაგის ნერვები არა მაქვსო — და მასწავლებელი დავიქირავე — მშვენიერი, მწვანეთვალება ახალგაზრდა კაცი იყო. სულ იმის თვალებისკენ გამირბოდა მზერა, ის კი გაჰყვიროდა: ვაიმე, ვაიმე, წინ იყურეთ, ქალბატონო, რამეს არ დაეჯახოთო... არადა, ძალიან ნელა, სულ კუს ნაბიჯებით დავდიოდი. სისწრაფე ახლაც არ მიყვარს... უმეტესად, ვაკე-საბურთალოს გზაზე დავდიოდით ხოლმე სავარჯიშოდ. ერთხელ დავინახე, ულამაზესი პეპელა მიფრინავს. ისე მომეწონა, მეც მექანიკურად გავყევი პეპელას — საითაც ის მიფრინავდა, მეც იქითკენ მიმყავდა მანქანა. იმ კაცის ყვირილმა გამომაფხიზლა: წინ იყურე, თორემ სადაც არის, კედელს შევასკდებითო!.. ერთხელაც, გამაფრთხილა — ნელა და სწორად იარეო. კი, როგორ არა-მეთქი, — დავამშვიდე. ამის თქმა იყო და... ტროლეიბუსს შევასკდი. ძალიან მიჭირდა „რულის“ დამორჩილება. ტროლეიბუსს რას დავაკლებდი, მაგრამ ჩემი ახალთახალი მანქანა კი კარგა გვარიანად დავამტვრიე... ამის შემდეგ, ისევ ვაკე-საბურთალოს გზაზე, როგორღაც „მოვახერხე“ და ჩემი „ჟიგული“, პირდაპირ დავუმიზნე ძველისძველ ყვითელ ტაქსის, რომელიც ძლივს მიჩაჩაკებდა. ჩემი მასწავლებელი გაგიჟებული იყო: ვერ გამიგია, მაინცდამაინც მანქანებს რატომ უმიზნებ ხოლმეო?! გადმოვიდა „ტაქსისტი“ მანქანიდან, გადავედით ჩვენც. ორივე კარი ჰქონდა მიჭეჭყილი. რაღას ვიზამდით? წავედით ხელოსანთან. პროფილაქტორიუმის უფროსი, ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა. უცებ მესმის: გამარჯობათ, ჩემო საყვარელო ეთერი მასწავლებელო! როგორ ბრძანდებით, რამ შეგაწუხათ?! შევხედე და ჩემი ნასტუდენტარი არ აღმოჩნდა? — ადრე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გერმანულ ენას ვასწავლიდი. იცით, როგორ გაიხარა ჩემი ნახვით? თქვენს ლექციებს რა დამავიწყებსო, — მითხრა: სტუდენტებს ხშირად ვუყვებოდი ხოლმე, როგორ ვიმოგზაურე პარიზში, როგორ ვიმღერე ლონდონში და ა.შ. მოკლედ, სხვა ლექციებზე კაციშვილი არ შედიოდა, ჩემთან კი, ტევა აღარ იყო ხოლმე. ჰოდა, ჩემი „კარ-

ნდობის ტელეფონი
822-009044
დღე-ღამის განმავლობაში (18 წლიდან)

გი“ ლექტორობა პროფილაქტორიუმში გამომადგა: ერთი კაპიკიც კი არ გადამახდევინა ჩემმა ნასტუდენტარმა, ისეთი კარი დაუყენა ტაქსის, რომ მძღოლმა სიხარულისგან აღარ იცოდა, რა ექნა, – თან მეხვეწებოდა: ქალბატონო ეთერ, რა იქნება, კიდევ რომ გამოიაროთ იმ ადგილზე და ერთხელაც დამარტყათ? – ბარემ უკანა კარსაც გამომიცვლიდითო...

— **საჭესთან დამჯდარხართ თუ არა, მაშინვე დაგიზარალებიათ სხვა მძღოლები. თავად არასდროს აღმოჩენილხართ დაზარალებულის როლში?**

– ერთხელ ვარაზის ხევში გავაჩერე მანქანა. ერთ „ტაქსისტს“ მანქანა დაუგორდა და დამეჯახა. მძღოლი ხანში შესული კაცი იყო. ისე განერვიულდა, რომ შემებრალა და ვუთხარი: თქვენ ნუ ინერვიულებთ, მე თვითონ გავაკეთებ მანქანას-მეთქი. დიდად გაოცებული დარჩა...

— **დამოუკიდებლად ქალაქში პირველი გასვლა თუ გახსოვთ?**

– დადგა ის დრო, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, მარტო უნდა მივჯდომოდი საჭეს. „ახლა კი გულმა მაცნობა, ბედი გექნება მწარეო,“ – წავიმღერე და მანქანაში ჩავჯექი. მოკლედ, იმ დღეს ბევრი სიმწარე ვნახე. თან მეგობარი მახლდა, მაგრამ მანქანისა არაფერი გაეგებოდა. ვარაზის ხევით ვაკეში გვინდოდა ასვლა. მივდივარ, მაგრამ ვაი, ამ წასვლას... ვარაზის ხევი, როგორც იქნა, ავათავე და უნივერსიტეტის წინ, არ ვიცი რატომ, მანქანა მაგდანას ლურჯასავით გაჩერდა, ველარც წინ მივდივარ, ველარც უკან. ატყდა ერთი ამბავი, მძღოლები აყვირდნენ: გზა რატომ ჩაკეტეთო? ჩემი მეგობარი გადავიდა მანქანიდან და ლამის ყვირილი დაიწყო: ძალიან გთხოვთ, დაგვეხმარეთ, საჭესთან ეთერ კაკულია ზის და მანქანას ვერაფერს უხერხებსო... რამდენიმე კაცი მოვარდა: თქვენ გადმობრძანდით, რომელიმე ჩვენგანი მიუჯდება საჭეს და წაგიყვანთო. ვიღაც „პაპკიანმა“ კაცმა მიგვიყვანა გაჩერებამდე და გვითხრა: ძალიან მეჩქარება, აქედან უკვე სწორი გზაა და აწი, თქვენითაც წახვალთო... ძალიან გთხოვთ, ცოტა ხანს კიდევ არ დაგვტოვოთ-მეთქი, – ვთხოვე. ისევ ვერ გვითხრა უარი – კარგით, მეორე გაჩერებამდეც მიგიყვანთო... დაგვემშვიდობა და ის-ის იყო, მანქანიდან უნდა გადასულიყო, რომ შევეხვეწე: არ წახვიდეთ, რა, იქნებ, ბარემ ტელევიზიამდეც მიგვიყვანოთ-მეთქი. რაღას იზამდა?! მიგვიყვანა ტელევიზიასთან და რომ იფიქრა, მეშველაო, ახლა ჩემი მეგობარი ჩაებღაუჭა ჩვენს „დაქირავებულ“ მძღოლს: გეხვეწებით, არ დაგვტოვოთ, მართვა არც ერთმა არ ვიცით და ნამდვილად ავარიაში მოვყვებით: ეთერი ერთი წუთით შეირბენს ტელევიზიაში, რაღაც აქვს გადასაწერი და მერე სახლამდეც თქვენ მიგვიყვანეთო... კაცმა ხვეწნა-მუდარას ისევ ვერ გაუძლო და დარჩა, მე კი, ტელევიზიაში რომ შევედი, სულ გადამავიწყდა პირობა და თითქმის 40 წუთი ვალოდინე საბრალო...

— **თქვენი ვაჟიშვილი 21 წლის არის, მაგრამ, როგორც ვიცი, ისიც უკვე გამოცდილი მძღოლია. საჭესთან დაჯდომის გამო, ჩხუბი ხომ არ მოგდით ხოლმე?**

– *(იცინის)* არა, ჩხუბამდე საქმე ნამდვილად არ მიდის. პატარაობისას ალეკო ყოველთვის გვერდით მეჯდა მანქანაში. სწავლებით, მისთვის არაფერი მისწავლებია, მაგრამ 9 წლის იყო, პირველად რომ მიუჯდა საჭეს და პირდაპირ დაძრა მანქანა. ახლა მხოლოდ დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ თუ დამსვამს ხოლმე საჭესთან: მოგეხსენებათ ახალგაზრდების ამბავი?!. საზიარო მანქანა – ნაცრისფერი „ვაზ-099“ გვყავს. თავის დროზე, სულ ახალთახალი ვიყიდეთ. მინდა, რომ საზიარო კი არა, საკუთარი მანქანა მყავდეს და ჩემთვის სხვა მანქანის ყიდვას ვაპირებ, ამას კი ალეკოს დავუთმობ.

— **მაინც რომელი მარკის ავტომობილის ყიდვას აპირებთ?**

– ძალიან ბევრს მოსწონს ჯიპები, მაგრამ მე მაინცდამაინც არ მომწონს. ჯიპი მამაკაცს უფრო უხდება. ქალს კომპაქტური მანქანები უფრო შეეფერება – პატარა „პეჟო“, „მერსედესი“ ან „ბე-ემ-ვე“. ალბათ, ამ სამიდან ავირჩევ რომელიმეს.

— **როგორ ფიქრობთ, პროფესიონალი მძღოლი ხართ?**

– პროფესიონალი შეიძლება არა, მაგრამ გამოცდილი მძღოლი ნამდვილად ვარ. ძალიან ფრთხილი მძღოლიც ვარ. საერთოდ, ქალები უფრო დაკვირვებულად დადიან და ნასვამებიც კი არ კარგავენ ხოლმე სიფრთხილის გრძნობას?!

— **ეი. როდესაც ნასვამი ჯდებით საჭესთან, არც მაშინ კარგავთ სიფრთხილეს, არა?**

– არა, ჩემი ნაკლი სწორედ ის არის, რომ საერთოდ არ ვსვამ ალკოჰოლიან სასმელებს. ისე, ძალიან კი მაინტერესებს, როგორია სიმთვრალე... შეიძლება ერთიორი ჭიქა შავი ღვინო დავლიო – დაბალი წნევა მაქვს და მეუბნებიან: შავი ღვინო შენთვის მისწრებააო, მაგრამ ნასვამი მაინც არასდროს მივუჯდები საჭეს.

მოვლენებს ცოტა წინ გავუსწრებთ და გაგიმხელთ: ქალბატონმა ეთერმა ორივე პირობა ინტერვიუს დასრულებისთანავე (მართალია, ჩვენ გამო) დაარღვია, როდესაც გულთბილი მასპინძლის როლში მოგვევლინა და სახელდახელო სუფრა, სუფთა ჭაჭის არყითაც დაამშვენა. მერე, რაც იქნება იქნება – არაყს მეც გავსინჯავ, ერთი ჭიქა ხომ არ დამათრობსო – გადაწყვიტა და... ჩვენმა „პაპარაცმაც“ დრო იხელთა და არყის ჭიქის ნაცვლად, ხელში კვლავ ფოტოაპარატი მოიმარჯვა... და ეს მომენტიც ფირზე აღბეჭდა...

მეორე პირობის (საჭესთან ნასვამი არასდროს დავჯდებიო) დარღვევა კი, მომღერალს მაშინ მოუხდა, როდესაც ვთხოვეთ, სურათები საკუთარი მანქანის საჭესთანაც გადაეღო...

— ქალბატონო ეთერ, პოლიციელებთან ურთიერთობაში თუ გშველით ხოლმე პოპულარობა?

— აბა რა! არ მახსოვს, პოლიციელებთან ოდესმე რაიმე კონფლიქტი მომსვლოდეს. როგორც კი დაინახავენ, რომ საჭესთან ეთერ კაკულია ზის, მაშინვე უპრობლემოდ მიშვებენ ხოლმე, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ მათი. ერთხელ გასტროლებზე დასავლეთ საქართველოში მივდიოდით მე და ნუნუ გაბუნია, თან ადმინისტრატორი გვახლდა. მე და ნუნუ უკანა სავარძელზე ვისხედით. გზაზე რამდენჯერმე გაგვაჩერა პოლიციამ და მძღოლს საბუთები მოსთხოვა. სამტრედიას რომ მივუახლოვდით, ისევ გაგვაჩერეს. გადავიდა მძღოლი და ვეღარ მოითმინა: რას მერჩით, რატომ აღარ მომასვენეთ? — მოძრაობის წესები ნამდვილად არ დამირღვევიაო. — არა, გინდა თუ არა, დაარღვიეო, — დაიჟინა პოლიციელმა. გადავედი მანქანიდან. ავტოინსპექტორს მოულოდნელობისგან თვალები გაუფართოვდა. ახლა ნუნუც გადმოვიდა და პოლიციელს ჩვენს დანახვაზე აღმოხდა: „ვაჰ, კაკულია! ვაჰ, გაბუნია!..“ რა თქმა უნდა, გაგვიშვა. სამეგრელოშიც იგივე სიტუაცია განმეორდა. ადმინისტრატორი გადავიდა და პოლიციელს უთხრა, მანქანაში ესა და ეს ცნობილი მუსიკოსები მისხედანო — და სთხოვა: გზაზე ძალიან გაგვაწვალეს ავტოინსპექტორებმა და იგივე რომ არ განმეორდეს, პაროლს გეტყვით: „კაკულია-გაბუნია“, დაურეკე დანარჩენ „გაიშნიკებს“, ეს პაროლი უთხარი და თქვენც დაისვენებთ და ჩვენცო...

— გამოდის, რომ პოლიციელებს არასდროს აბრაზებთ და ურჩი მძღოლი არა ხართ, არა?

— დაუმორჩილებელი მძღოლი არა ვარ, მაგრამ ზოგჯერ მაინც ვაწვალებ ხოლმე ავტოინსპექტორებს. ერთხელ, თურმე მოძრაობის წესები დამირღვევია და ვერც კი შევამჩნიე, როდის მანიშნა პოლიციელმა — გაჩერდიო. მანქანაში ხშირად ვდიღინებ და შუქნიშანს ვეღარც ვამჩნევ — ისე გავივლი ხოლმე. პოლიციელი გამომეკიდა და მანიშნა: მანქანა გადააყენეო. მანქანა კი გადავაყენე, მაგრამ სიმღერა არც შემიწყვეტია. პოლიციელი მომიახლოვდა და, მიცნო თუ არა, მაშინვე თვითონაც სიმღერა შემოსძახა: „... და მე არ მინდა სხვა ნეტარება...“ ისე კარგად მღეროდა, რომ მეორე სტროფზე მეც ავყევი. იცით, რა კარგი მომენტი იყო?!. ერთხელაც, დონარა კინწურაშვილთან მივდიოდი სახლში და ყაზბეგის ქუჩაზე ახვევისას, მოძრაობის წესები დავარღვიე. ალბათ გახსოვთ ის დრო, პოლიციელები „კალიასკიან“ მოტოციკლებზე რომ იყვნენ ამხედრებულნი. ჰოდა, სარკეში ვხედავ, რომ უშველებელი, ბუდიონივით ულვაშიანი პოლიციელი გამწარებული მომდევს. თან იმის ულვაშებზე მეცინებოდა, თან ვფიქრობდი: რა უნდა, რას მომდევს, მაინც არაფერი გამოუვა-მეთქი... სიჩქარეს მოვუმატე. მან იფიქრა: აჰა, ნამდვილად დამნაშავე გავაბი მახეშიო — და თვითონაც მოუმატა სიჩქარეს. დონარას სახლთან გავაჩერე მანქანა. გადმოხტა მოტოციკლიდან და... სახტად დარჩა: რას მერჩოდით, ამდენი რიღასთვის მარბენინეთ, თქვენ თუ იყავით, სახით მაინც ვერ დამენახვეთო?!. — ისე მომეწონა თქვენი ულვაში და ისე მინდოდა მისთვის ახლოდან თვალის შევლება, რომ ამის გამო გარბენინეთ ამდენი ხანი-მეთქი, — ვუპასუხე. გამწარებულმა ხელი ჩაიქნია და წავიდა... ■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ვის ეკუთვნის გამოთქმა — „ფულს სუნი არ უდის“?

ა) ვესპასიანეს;
ბ) შაჰ-აბასს;
გ) არისტოტელე ონასისს.

2. რას უწოდეს კოსმონავტ იური გაგარინის სახელი?

ა) მთვარის კრატერს;
ბ) ჩინეთის ქალაქს;
გ) თვითმფრინავის მოდელს.

3. კონსტანტინე გამსახურდიამ დაამთავრა:

ა) თბილისის ვაჟთა გიმნაზია;
ბ) ზუგდიდის ზოგადსაგანმანათლებლო გიმნაზია;
გ) ქუთაისის ქართული გიმნაზია.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

„არაჩვეულებრივი გამოფენა“

ლორთქიას ცხოვრებისა და საეკრანო სახეების „არაჩვეულებრივი „გამოფენა“

ერთ მოქანდაკეს დიდი ოცნება ჰქონდა — თავისი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო და მაყურებელი გაეოცებინა. როგორ დასრულდა ეს ამბავი, ყველამ კარგად იცის: ელდარ შენგელაიას ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“ დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. აი, იმას კი, თუ რა იყო **გურამ ლორთქიფანიძის** *ცხოვრებაში ამ ფილმამდე, რა საოცარი ურთიერთობები ჰქონდა სახელგანთქმულ ადამიანებთან და რაოდენ უჩვეულო ამბები გადახდენია გადასაღებ მოედნებზე, — ინტერვიუდან შეიტყობთ. როგორც ბატონმა გურამმა „გაგვიმხილა“ — ნაპოლეონის მსგავსი ბიოგრაფია არ მაქვს, მაგრამ არც ჩემია მთლად უინტერესოო... და კიდევ ერთი: 72 წელს მიტანებული მსახიობი, 1930 წლის 6 მაისს თბილისში, სახლში დაბადებულა — და ამის ხაზგასმა უყვარს ხოლმე, თუმცა, ზოგ მის კოლეგას ეს ფაქტი, ანგლობის საფუძველს აძლევს:*

ელენე ხირსელი

— გოგი ქავთარაძემ თქვა: ვინ არის ეს ველური? — მე, მისგან განსხვავებით, ცივილიზებული (ე.ი. სამშობიაროში) წესით გავჩნდიო... ჩემს ცხოვრებაში მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა, ჩემი ნათლობა იყო. შვიდი წლის რომ შევსრულდი, მამიდაჩემმა, მამაჩემის უჩუმრად მომნათლა. მომნათლა თვით საქართველოს პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ. 1937 წელი იყო და იმ დროს ამისთვის სახელმწიფო მოხელეებს აციმბირებდნენ კიდეც (მამაჩემი ბანკში მუშაობდა). ნათლობიდან რომ დავბრუნდით, შინ შემოხვევით სტუმრები დაგვხვდნენ. ამდენი უცხო ადამიანი რომ დავინახე, ხმამაღლა შევძახე — მომნათლეს-მეთქი. მახსოვს, როგორ ეცვალა მამაჩემს ფერი და რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა ყველა იქ მყოფი..

— **დღესაც რომ ასეთი აქტიური და ენერგიული ხართ, წარმომიდგენია, ბავშვობაში როგორილა იქნებოდით...**

— ერთ სკოლაში დიდხანს ვერ ვჩერდებოდი. ათი სკოლა მაინც მექნება გამოცვლილი. საღამოს სკოლაშიც მისწავლია. კონსერვატორიასთან არსებულ ათწლედშიც ვსწავლობდი. თავიდან საქმე კარგად მიდიოდა. მეშვიდე კლასამდე სიგელებსაც ვიღებდი. ყველაფერი კი ერთმა საბედისწერო შემთხვევამ შეცვალა. იმ დღეს, როგორც ყოველთვის, მეცვა ბრიჯები, გოლფები, ყელზე მეკეთა პეპელა, თმა „რადიოზე“ მქონდა დაყენებული და ვიოლინოთი ხელში თვითკმაყოფილი სახით ქუჩაში მივდიოდი. უცებ მესმის ვიღაც მეძახის: „სკრიპაჩ-ტრიპაჩ“! — და ამას გულიანი სიცილიც მოჰყვა. ეს იყო და ეს — მოვისროლე ვიოლინო და სწავლაზეც საბოლოოდ ავიღე ხელი.

ისე კი, მართლა ძალიან ცელქი ვიყავი, მეშვიდე კლასი რომ დავხურეთ, მეოთხე სართულიდან მერხი გადმოვაგდეთ.

— **პირველი პაემანი თუ გახსოვთ?**

— ეს იყო სამამულო ომის დროს. მაშინ ცამეტი წლის ვიყავი და მომწონდა ერთი გოგონა. ერთხელ ვკითხე: მოხვალ შეხვედრაზე-მეთქი? მან მორცხვად თავი დამიქნია. შევხვდით კიროვის ბაღში, თავსხმა წვიმაში, მერე გაშტერებულები ერთმანეთს დიდხანს მივჩერებოდით და წვიმისგან გალუმპულები სახლებში დავბრუნდით... სიყვარულთან დაკავშირებით ერთი ამბავიც მინდა გავიხსენო: უნივერსიტეტში სწავლის დროს, ერთი სტუდენტი გოგო მომწონდა. ვერა და ვერ ვბედავდი ამის გამხელას. ერთხელაც გადავწყვიტე, მეთქვა და უნივერსიტეტში მივედი (რა თქმა უნდა, ნასვამი), ის კი ამ დროს ლექციაზე იჯდა. მეც ავდექი და შევიპარე იქ, საიდანაც ზარს რეკდნენ და ზარი დავრეკე. აუდიტორიები დაიცალა... ამის გამო ჩემზე დაიწერა ბრძანება — მოეხსნას სამი თვის სტიპენდია, რაც მაშინ დიდი ტრაგედია იყო. მაგრამ მერე, ჩემმა დეკანმა (ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი), დავით გამეზარდაშვილმა დამიბარა (ეტყობა, საიდანღაც შეიტყო მიზეზი) და მკითხა: სიყვარულისთვის გააკეთეო? თავი დავუკარი. აბა, ამისთვის როგორ დაგსჯიო?.. — და ბრძანება გააუქმა...

— **ვიცი, რომ ბახუსის დიდი მოტრფიალე ხართ. ახალგაზრდობაშიც გიყვარდათ?**

— კი, ვგიჟდებოდი. მიყვარს სასმელი. ადრე, შეიძლება ითქვას, არყის „მანიაკი“ ვიყავი. კარგად მახსოვს, როგორ მოვიყუდე ერთხელ არყის ბოთლი და მთლიანად გამოვცალე. ახლა კი, დალევა სასტიკად მეკრძალება: გულის ოპერაცია მაქვს გადატანილი, ერთხელ, კუჭიც გამისკდა. ჩემმა მოსკოველმა ექიმმა მითხრა: იცოდე — რომ გავიგო, კიდევ სვამ, ხელს აღარ ჩამოგართმევო... რა ვქნა, სასმელს ვერაფრით შევეღიე. სხვათა შორის, ერთმა ამერიკელმა ასტრონავტმა თქვა: რაც არ უნდა გააკეთო — რამდენი დარტყმაც უწერია ჩემს გულს, მაინც იმდენჯერ დაარტყამსო...

— **როგორია ნასვამი გურამ ლორთქიფანიძე?**

— წვეთს არ დავლევდი, ცუდი ხასიათი რომ მქონდეს. რომ დავლევ, ჩანგალიც კი მიყვარს — ადამიანებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

— სასმელებში რომელს ანიჭებთ უპირატესობას?

— გაჩნია, სად და როდის: მაგალითად, რუსეთში, არაყი უნდა დალიო, კახეთში, ლუდი რომ დალიო, სირცხვილია, — იქ ღვინო უნდა სვა: თევზზე — თეთრი, მწვადზე — წითელი. თუმცა, მინდა ვაღიარო, რომ ლუდზე ვსულელდები, ისე მიყვარს. ცივი ლუდი მომენატრება ხოლმე, კარგი სატრფოსავით. პარიზში კი ვარდისფერი ცხელი ღვინო უნდა დალიო...

— რამდენ ჭიქაზე თვრებით?

— პირველ ჭიქაზე ვარ მთვრალი, მერე ვსვამ და ვსვამ — სულ ერთნაირად ვარ. როცა ვატყობ, რომ კარგად შევზარხოშდი — ვიპარები (ეს ყველასთვის ცნობილია).

— რატომ?

— იმიტომ რომ აღარ ვარ საჭირო: რატომ უნდა შევუშალო სხვებს ხელი?! ჩუმად წავალ... წავიდა ლორთქიაო — იტყვიან ხოლმე...

— თქვენი ახლობლები ამბობენ, რომ ძალიან გულჩვილი ბრძანდებით.

— მართალია. ფილმის ყურების დროსაც ხშირად მიტირია. მაგალითად, ფილმს — „ერთხელ ამერიკაში", ყოველდღე შემიძლია ვუყურო და ვიტირო. სპექტაკლზეც მიტირია, სიხარულისგანაც ხშირად მიტირია. მაგალითად, იმერეთის ერთ-ერთ სოფელში ფილმ „მიქელას" გადაღებაზე ვიმყოფებოდით. ტელევიზორი არ გვქონდა და რადიოთი ვუსმენდით საფეხბურთო მატჩის რეპორტაჟს, საიდანაც შევიტყვეთ, რომ ჩვენი „დინამო" საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. 20 კაცი ვუსხედით რადიოს და კი არ ვტიროდით — ვბღაოდით... მე მგონი, ცრემლი არ უნდა დაშრეს, კაცმა უნდა იტიროს. მე არ ვიწყევლები — ვფიქრობ, რომ კაცს ცრემლი ამაღლებს. რაღაც გავუხეშდით, გაცვდა რაღაც — გვალვაა ცრემლის. მე ხანდახან წავუტირებ ხოლმე ჩემთვის — ისე, სხვებს რომ არ დავანახვო.

— ბატონო გურამ, თქვენ ორი შვილიშვილი გყავთ. როგორი ბაბუა ხართ?

— თავში მიტყაპუნებენ, რაც უნდათ, იმას მაკეთებინებენ: ხან სპილო ვარ, ხან ლომი... უარის თქმა არ შემიძლია. რამეს რომ შევპირდები, ცუდად ვარ, სანამ არ შევუსრულებ.

— არასდროს უბრაზდებით?

— გეფიცებით ყველაფერს — არა! შენიშვნაც კი არ მიმიცია — ამიტომაც არიან კარგები.

— ახალგაზრდობაში თუ გიჩხუბიათ?

— როგორ არა — გავლახულვარ და გამილახავს კიდეც. თუმცა, დიდი ჩხუბისთავი არასოდეს ვყოფილვარ, რადგან ვერაზე (სადაც ვცხოვრობდი), ისეთი მოჩხუბარი ბიჭები იყვნენ, ვერ გაეკარებოდი: შოთა სალუქვაძე, დოდო აბაშიძე, თენგიზ კეკელიძე, რეზო შარაბიძე... დოდო აბაშიძე კარგი დამრტყმელი იყო, მაგრამ პირველი, ჩხუბს არასდროს წამოიწყებდა. ჩვენს უბანში ერთი ქურთი მენავთე ბადანა ცხოვრობდა — უშველებელი, შავი კაცი. გამომწვევად იქცეოდა. ერთ-ორ ქართველს, სრულიად უმიზეზოდ, „მოხვდა" მისგან. ეს გაიგო დოდომ და დაიბარა. მიიმწყვდია კუთხეში. იქვე ნაგვის ყუთი იდგა. ჯერ კარგად გალახა, მერე ამ ყუთში ჩააგდო და ზედ დააჯდა... მას მერე ბადანა დაწყნარდა, აღარ ერჩოდა ქართველებს.

— აზარტული თუ ხართ?

— ვგიჟდები ისე მიყვარს კაზინო. დღე და ღამე შემიძლია ვითამაშო. რა სჯობს, ჯიბეში ზედმეტი ფული რომ გაქვს?! ზოგჯერ უბრალოდ ვერთობი — სხვების თამაშს ვუყურებ.

— უფრო ხშირად, იგებთ თუ აგებთ?

— კაზინოში მოგება გამორიცხულია — ეს კი ვიცი, მაგრამ მაინც ვთამაშობ. რომ იცოდეთ, გოგონები როგორ თამაშობენ — კაცებზე აზარტულები არიან!..

— რა თანხით შედიხართ ხოლმე კაზინოში?

— 150-200 დოლარით. იქიდან კი, ცარიელი ჯიბით გამოვდივარ. კიდევ კარგი, ახლოს ვცხოვრობ, თორემ, გზის ფულიც აღარ მრჩება. ხანდახან ისეთი გამწარებული გამოვსულვარ — შეგრძნება მქონია, თითქოს ყელში მაგრად წამიჭირეს...

— სახლში თუ გითამაშიათ ფულზე?

— ადრე ხშირად ვთამაშობდი მეგობრებთან პოკერს. ამ ბოლო დროს კი, ისე ხშირად ვეღარ ვიკრიბებით — მობერდა ალბათ საზოგადოება.

— მდიდარი კაცი ხართ?

— ერთხელ ტელევიზიით გამოსვლისას ვთქვი, რომ ძალიან მდიდარი კაცი ვარ-მეთქი, მეორე დღეს სამი კაცი მომადგა — ფული მასესხეო. თქვე კაი ხალხო, ვიხუმრე — მდიდარი კი ვარ, მაგრამ მატერიალურად კი არა-მეთქი...

— გინდათ ბევრი ფული გქონდეთ?

— ფული რომ გაქვს, ძალიან კარგია, ისეთ გუნებაზე ხარ — ფრენ. უნდა ჰქონდეს კაცს ფული. ნურავინ იტყვის, რომ ფული ხელის ჭუჭყიაო, — როგორც მოიხმარ, ისეთია: ჭუჭყიანი კაცის ხელში — ჭუჭყია, კარგი კაცის ხელში — კარგია. რაც შემეხება მე — არაფერი მიჭირს, რაც მაქვს, იმით კმაყოფილი ვარ.

— თქვენ მრავალ ფილმში ხართ გადაღებული. ალბათ ბევრი დაუვიწყარი მოგონება გაქვთ?

— პირველ რიგში, მინდა გავიხსენო ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა" და მისი მართლაც არაჩვეულებრივი გმირი — პიპინია ერისთავი — ვასილ ჩხაიძე. საოცარი ადამიანი იყო, დონ კიხოტის სული ჰქონდა. ჩვენ ძალიან კარგად ვიყავით ერთმანეთთან. ისეთი კოლექტივი გვყავდა, სულ ქეიფსა და დროს ტარებაში ვიყავით. ვასილსაც განსაკუთრებით უყვარდა დალევა. ერთხელ ბათუმში კაფეში ვსხედვართ და ის უცებ, მთელი სერიოზულობით აცხადებს — დღეიდან აღარ ვსვამო. ცოტა წავიმღერეთ, ვისაუბრეთ და მერე ვეუბნები: 50 გრამს ხომ არ დალევ-მეთქი? — 50 გრამი შეიძლებაო. ცოტა ხანი გავიდა და — კიდევ 50 გრამი დამისხიო — ახლა უკვე თვითონ მოითხოვა... ისე დათვრა, იმ დღეს, როგორც არასდროს... უნიჭიერესი, საოცრად ორგანიზებული ქალია ჯულიეტა ვაშაყმაძე. გვაოცებდა თავისი უნიკალური მეხსიერებით. გვიჭირდა ხოლმე ტექსტის

ფოთი. 1974 წელი. „პირველი მერცხლის" გადაღებებზე

დამახსოვრება, მან კი ყველა გმირის ტექსტი ზეპირად იცოდა და გვკარნახობდა.

საინტერესოა გლაფირას სახის შექმნის ამბავი. ამ როლში თავიდან ელდარ შენგელაია მსახიობ გალია პოლსკიხს იღებდა. მაგრამ ფილმის ნახევარი რომ გადავიღეთ, გალია „გაგვეპარა“: მოსკოვიდან საქმრომ შემოუთვალა — თუ არ ჩამოხვალ, აღარ შეგირთავო (არადა, ქალი ორსულად იყო)... სხვათა შორის, ამ — „პირველ“ გლაფირასთან რატომღაც უკეთ გამომდიოდა თამაში. მერე ჩამოიყვანეს მსახიობი ვალია ტელიჩკინა. პირველ სცენას კოცნით ვიწყებდით. გადაღების წინ, მან მორიდებით მითხრა: ძალიან გთხოვთ, მაგრად არ მაკოცოთო. მე ვუთხარი — რას ამბობთ, თქვენთვის მეც იგივე უნდა მეთხოვა-მეთქი. მე ვკანკალებ, ისე მრცხვენია, ორივეს გვერიდება... ვალიამ, ულვაშიანი, ჩექმებიანი ქართველი რომ დამინახა, ალბათ იფიქრა — მებდღვნებაო. არა, ბატონო, არ ვარ მე ასეთი-მეთქი, — დავამშვიდე... საკმაოდ ნიჭიერი მსახიობია, მშვენიერი ოჯახი აქვს. ამას წინათ მოკითხვა შემომითვალა კახი კავსაძის პირით, რომელსაც ერთ-ერთ ფესტივალზე შეხვედრია. მერე, გალია პოლსკიხი პრემიერაზე მოვიდა, მოსკოვში კინოს სახლში და იმდენი იტირა, ცრემლები სულ ღაპაღუპით სდიოდა: რა კარგი სურათი გადაგიღიათ, ეს რა ვქენიო? — გული დასწყდა ძალიან... სხვათა შორის, ფილმში ერთი კადრია, სადაც ელდარმა გალია დატოვა, — ზურგით დგას, ქოლგით ხელში. ელდარმა უთხრა: ეს შენ ხარ, ზურგი რომ შეგვაქციეო, — და გალიამაც უმატა ტირილს...

— მოდით ახლა, „პირველი მერცხალიც“ გავიხსენოთ?

— მთლიანად კურიოზია ის ფაქტი, რომ ფილმს ფეხბურთის შესახებ რეჟისორი ქალი (ნანა მჭედლიძე) იღებდა. ამ ერთმა ქალმა ეს თერთმეტი მამაკაცი ისე „აგვიყვანა“ — გადაგვრია, გიჟებივით გვარბენინებდა. ფილმის კონსულტანტი ლეგენდად ქცეული ფეხბურთელი, ბორის პაიჭაძე იყო, რომელზეც ბავშვობიდან ვიყავი შეყვარებული. ერთხელ, მინდორზე რომ ვთამაშობდით, ხმამაღლა ვთქვი: რას წარმოვიდგენდი, თუ პასს ოდესმე პაიჭაძე მომცემდა-მეთქი. ეს ნამდვილი ზღაპარი იყო ჩემთვის. 4-5 თვის განმავლობაში, „ფეხბურთელები“ უმკაცრეს რეჟიმში ვყავდით. ძალიან მძიმე პირობები იყო: სტადიონზე რომ ვვარჯიშობდით, კოღოები არ გვასვენებდნენ, სირბილის დროს ქარი რომ დაუბერავდა, თვალებში ცხელი სილა გვეყრებოდა. თუმცა, ვაღიარებ: დოდო აბაშიძეც და მეც, რატომღაც შეღავათებით ვსარგებლობდით: ძალიან ადრე არ ვდგებოდით, ვსვამდით კიდეც... ერთი ეპიზოდის გადაღების დროს, ნანა მთხოვდა: შენ ახლა ადექი, მოატყუე ერთი, მოატყუე მეორე, მოატყუ მესამე, მეოთხე, მეხუთე, მერე ბურთი გადაუგდე თავზე, თავზე აიგდე, ფეხზე გადმოიტანე და ბოლოს, გოლი გაიტანეო... ნანა, — ვეუბნები, — ამას პელე ვერ აკეთებს, გარინჩა და აგერ, ბატონ ბორიასაც არ გაუკეთებია და მე როგორ გავაკეთო-მეთქი?! — აი, ასეთი, სუფთა „ქალური“ თხოვნა ჰქონდა, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ შევუსრულე...

— „პირველმა მერცხალმა“, როგორც საუკეთესო ფილმმა, ირანში „ოქროს ლომი“ აიღო. თქვენც იყავით თეირანის ფესტივალზე?

— არ ვყოფილვარ, მაგრამ იქაური კურიოზული ამბავი ვიცი. დაჯილდოების ცერემონიაში შაჰის ცოლიც მონაწილეობდა. პრიზის მისაღებად, ნანა მჭედლიძე და დოდო აბაშიძე მიიწვიეს სცენაზე. დოდომ შაჰის ცოლს ხელი მაგრად ჩასჭიდა და კარგა ხანს არ უშვებდა. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, სიტუაცია უაღრესად დაიძაბა, ყველა რაღაც საშინელების მოლოდინში იყო. ცოტაც და ალბათ, დაცვა გამოვარდებოდა სცენაზე... დოდომ ეს განგებ გააკეთა — იხუმრა. მაინტერესებდა, რა რეაქციას გამოიწვევდაო...

— ამბობენ, დოდო აბაშიძეს მარტო მკლავი კი არა, ენაც მაგარი ჰქონდაო?

— ამან ერთი ამბავი გამახსენა. დოდო აბაშიძეს და იპოლიტე ხვიჩიას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და საკმაოდ შეხუმრებულებიც იყვნენ.

ერთხელ თამაშობდნენ ნარდს. იპოლიტემ კარგი თამაში იცოდა, მაგრამ იმ დღეს დოდომ, მარსი მოიგო. იპოლიტე გაბრაზდა და უთხრა: რა სახალხო არტისტი შენ ხარ? მე ვარ ნამდვილი სახალხო არტისტი (არადა, ეს წოდება მაშინ ორივეს ჰქონდა), ყველა მიცნობს, შენ კი ნაკლებად გიცნობენო — უთხრა დოდოს. მოკლედ, შეჰყვნენ, შეჰყვნენ და ბოლოს, იპოლიტე ეუბნება: კაცო, იცი რა გითხრა, აბაშიძეების გვარი, გამყიდველების გვარია — თქვენ არა ხართ, ხალხს რომ ყიდდითო?!. დოდომ თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა და უთხრა: შენისთანებს გავყიდდით, აბა რას ვიზამდითო?!.

გადაღებების დროს ძალიან დავახლოვდით — მართლაც, ნამდვილი გუნდი შეიქმნა. სულ ვხუმრობდით, ვცუდლუტობდით, ფეხბურთზე ვკამათობდით — ვის პელე უყვარდა, ვის — გარინჩა... იყო ამაზე ბჭობა, ჩხუბი და დავიდარაბა.

გახსოვთ ალბათ ეპიზოდი, როდესაც მე და დოდო შიშვლები ვსხედვართ ქვებზე, ხიდის ქვეშ და ვსვამთ ღვინოს. ამ ეპიზოდს ქუთაისთან, რიონზე, ე.წ. თეთრ ქვებზე ვიღებდით. მოვიდნენ ჩვენი ნაცნობი ქუთაისელები: ჟორჟიკა იაშვილი, ოთარ სულაბერიძე, მერაბ კაპანაძე, სოსო ხარაბაძე, ელიზბარ ლომინაძე და გვითხრეს: მორჩით ახლა გლახაობას, წავიდეთ და გელათში კარგი პური ვჭამოთო. ელდარ შენგელაიამ უთხრა: ნახევარი საათი დაგვრჩა და მოვალთო. ამ დროში ვერ ჩავეტიეთ. კინოგადაღებას თავისი კანონები აქვს — მზეს ვეშურებოდით... ისევ მოვიდნენ. კიდევ ნახევარი საათი დაგვაცადეთ-თქო, ვუთხარით. წავიდნენ და ცოტა ხანში ისევ მოვიდნენ. ასე გაგრძელდა კარგა ხანს. მერე სადღაც დაიკარგნენ, აღარ მოგვაკითხეს. უცებ, შევნიშნეთ, რომ რიონი ადიდდა. წყალმა საგრძნობლად იმატა, სასწრაფოდ მოვკიდეთ ხელი აპარატურას, ტანსაცმელს და ავძვერით მაღლა. ეს წყალდიდობა ჩვენი მასპინძლების მოწყობილი ოინი არ ყოფილა?! — წასულან და ახლომდებარე საცავიდან გამოუშვებინებიათ წყალი. ახლაც არ წამოხვალთო?!. გავყევით გელათში და მაგრად, ქუთაისურად მოვულხინეთ.

■

ნანა ქიბიშაური

სიელმეს მშობიარობის დროს მიღებული ტრავმა იწვევს

წინა ნომერში შემოგთავაზეთ წერილი თვალის დაავადებების შესახებ. საჭირო მასალის შესაგროვებლად, რამდენიმე ოფთალმოლოგთან მომიწია მისვლამ. ერთ-ერთ ექიმთან ვიზიტის დროს, მოსაცდელში მყოფ პაციენტებსაც გავესაუბრე და ერთმანეთისგან განსხვავებული პრობლემები მოვისმინე. თამარი და მარიამი დედა-შვილი აღმოჩნდა, თამარი 48 წლის გახლავთ, მარიამი — თხუთმეტის. ქალბატონი თამარი, თვალის ოპერაციის შემდეგ მთლიანად დაბრმავებულა. როგორც დედისგან შევიტყვეთ, გოგონასაც დარღვეული აქვს თვალის ბადურის მთლიანობა. ექიმები ამბობენ, რომ მარიამიც საოპერაციოა, მაგრამ შეშინებული დედა, უარს ამბობს შვილისთვის ოპერაციის გაკეთებაზე.

– 1982 წელს ავარიაში მოვყევი და მივიღე თავის მძიმე ტრავმა. მას შემდეგ გამიჩნდა მხედველობის პრობლემა. როდესაც ექიმთან მივედი, მითხრა, რომ სასწრაფოდ მჭირდებოდა თვალის ოპერაცია და ოპერაციამდე სასტიკად ამიკრძალა სიმძიმეების აწევა, მაგრამ ვერ მოვუარე თავს. წლების განმავლობაში ვიყავი ერთ-ერთი სამშენებლო ტრესტის მთავარი ბუღალტერი. დრო რომ შეიცვალა, სხვების მსგავსად, მეც ვაჭრობა დავიწყე. ლილოდან მომქონდა საქონელი და ჯიხურებში ვაბარებდი. ერთ დღესაც, ჩანთის აწევის დროს, თვალთ დამიბნელდა. გამიკეთეს ოპერაცია ლაზერით, მაგრამ უარესი დამემართა. ორი თვის შემდეგ მთლიანად დავბრმავდი. მეუღლესთან გაცილებული ვარ. მყავს ერთი გოგონა და მოხუცებული დედა. ფაქტობრივად, ოჯახში სამი უმწეო ადამიანი ვართ. ესეც არ მაკმარა ბედმა. ექიმთან ერთ-ერთი ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ ჩემს გოგონასაც სჭირდება თვალის ოპერაცია. სასოწარკვეთილი ვარ. არ ვიცი, კიდევ ერთხელ ვენდო თუ არა ექიმებს. ოპერაციაში 500 დოლარი მოგვთხოვეს, გარანტიას კი არავინ გვაძლევს. მეუბნებიან, თვალი ისეთი რამეა, რომ წარმატებული ოპერაციის შესახებ გარანტიას არც ერთი ექიმი არ მოგცემთო...

მეორე პაციენტი დალტონიკი აღმოჩნდა. სოსომ არ იცის, რა ფერისაა სამყარო. არადა, ოთხი წლის უმუშევრობის შემდეგ, სამარშრუტო ტაქსის მძღოლობა შესთავაზეს. სოსომ არ გაამხილა, რომ ფერებს ვერ არჩევდა და სამკურნალოდ, სასწრაფოდ მიმართა ექიმს.

– არ მინდა ამ შანსის ხელიდან გაშვება. იმის მიუხედავად, რომ დალტონიზმი უკურნებელი დაავადება ყოფილა, ამ წინადადებაზე უარს მაინც არ ვიტყვი.

— კი მაგრამ, შუქნიშნის ფერებს რომ ვერ გაარჩევ?

– არ არის პრობლემა, როდესაც სხვა მძღოლები გააჩერებენ მანქანებს, მეც მაშინ გავაჩერებ. აქამდე ამ პრობლემას არასოდეს შევუწუხებივარ, ვფიქრობ, ეს არც ახლა შემიშლის ხელს. არ დამიჯერებთ, მაგრამ რასაც გეტყვით – სიმართლეა: 33 წლის ვარ და ჩემი ოჯახის წევრების გარდა, არავინ იცის, დალტონიკი რომ ვარ.

მოსაცდელში ყველაზე პატარა პაციენტი, ბექა აღმოჩნდა. ბიჭი ბებიასთან ერთად იყო ექიმთან მიღებაზე მოსული:

– გული გამიწყალეს, სახლშიც და სკოლაშიც მეუბნებიან, წიგნს ცხვირს ნუ ადებ ზედო. ჰოდა, ახლა ექიმი ჩამაწვეთებს წამალს და უფრო კარგად დავინახავ.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, რომ თვალის დაავადებები მართლაც აქტუალური თემაა ჩვენი საზოგადოებისათვის. ვესაუბრებით ექიმოფთალმოლოგ **ვალერიან ხუროძეს**, *რომელიც აცხადებს, რომ ბავშვთა ასაკში, თვალის დაავადებების უმეტესი წილი, ოჯახში და სკოლაში მხედველობის ჰიგიენის წესების უგულებელყოფითაა გამოწვეული. ამ ბოლო დროს ბავშვებში გავრცელებული სიელმე და ე.წ. „ზარმაცი თვალი“ კი, ძირითადად, მშრობიარობის დროინდელი ტრავმის შედეგი ყოფილა.*

— ბატონო ვალერიან, რა უნდა იცოდნენ მშობლებმა და მასწავლებლებმა, რომ ბავშვებს თვალის დაავადებები არ განუვითარდეთ?

– თავდაპირველად მოგახსენებთ იმას, თუ რა დაავადებები ჭარბობს ბავშვებში და რა არის მათი გამომწვევი მიზეზი. ყველაზე გავრცელებული დაავადებაა ათენოპია – თვალის ბროლის გადაღლა, რასაც მხედველობითი რეჟიმის დარღვევა იწვევს. მისი სიმპტომებია: კითხვის დროს თვალების წვა და აცრემლება, კითხვის დაწყებისთანავე თავის ტკივილი, სიმძიმის გრძნობა შუბლის არეში. ბავშვები მშობლებს უხსნიან, რომ აღარ შეუძლიათ კითხვა, დიდები კი, ამ ჩივილს სიზარმაცით ხსნიან და ხშირ შემთხვევაში, არ უჯერებენ შვილებს. არადა, ადრეულ სტადიაში ათენოპიის მორჩენა

მშობლებმა და მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, რომ წერა-კითხვის დროს, მანძილი თვალებიდან მაგიდის ზედაპირამდე 30-35 სანტიმეტრი უნდა იყოს. ათენოპიას იწვევს წოლისას კითხვა...

ვალერიან ხუროძე

ძალიან ადვილია. საჭიროა სულ რამდენიმე პრეპარატი და პრობლემა გაქრება. სამწუხაროდ, სკოლებში არავინ ითვალისწინებს იმ მოთხოვნებს, რასაც მხედველობის ჰიგიენა გულისხმობს: მერხები და სკამები შეუსაბამოა, კლასები ცუდად არის განათებული, დაფა ირეკლავს სხივებს და ბავშვი იძულებულია, არეკლილ სხივებს შორის ეძებოს ასოები. ეს დასკვნა მას შემდეგ გამოვიტანეთ, რაც ორმოცდაათიოდე სკოლაში ჩავატარეთ მოსწავლეების უფასო გამოკვლევა. მშობლებმა და მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, რომ წერაკითხვის დროს, მანძილი თვალებიდან მაგიდის ზედაპირამდე 30-35 სანტიმეტრი უნდა იყოს. ათენოპიას იწვევს წოლისას კითხვა. არ შეიძლება ასევე წოლით მდგომარეობაში ტელევიზორის ყურება, მით უმეტეს — ჩაბნელებულ ოთახში. თორმეტ წლამდე, დაუშვებელია, ბავშვმა ტელეეკრანთან 2-3 საათზე მეტი გაატაროს. მე, როგორც ექიმი, სასტიკი წინააღმდეგი ვარ სათამაშო კომპიუტერის და მიმაჩნია, რომ ჩვენთან ასე ფართოდ გავრცელებული კომპიუტერული თამაშები არის დივერსია ჩვენი ბავშვების წინააღმდეგ. ეს არა მარტო თვალს ასნეულებს, არამედ ფსიქოლოგიურ დეგრადაციას იწვევს. ხდება ბავშვების ზომბირება და ჩნდება დაავადება, რომელიც არცთუ ისე ადვილი განსაკურნებელია. სასტიკი წინააღმდეგი ვარ აგრეთვე იმისა, რომ ბავშვი აიძულონ, სანთლის ან ლამპის შუქზე იკითხოს. ეს არ არის რომანტიკა — ეს არის ნოყიერი ნიადაგი ავადმყოფობისთვის: თუნდაც 10-20 სანთელი აანთოთ ერთდროულად, განათება მაინც არათანაბარია, შუქი ციმციმებს და თვალის ბროლის გადატვირთვას იწვევს.

— რა შეგიძლიათ თქვათ თვალის ბადურის დისტროფიების შესახებ? რამდენად ექვემდებარება ის მკურნალობას და ჩვენი ექიმები თუ არიან მზად, ლაზერით ოპერაციის წარმატებით ჩასატარებლად?

— დისტროფიები ექვემდებარება მკურნალობას, ოღონდ ადრეულ სტადიაში. მე იშვიათად შემხვედრია პაციენტი, რომელსაც დაავადების II-III სტადიაში მიუმართავს ოპერაციისათვის, IV-V სტადიაში კი, ადამიანი თითქოს ბრმაა და მისი განკურნება ძალიან ძნელდება: ასეთ დროს შედეგის მიღწევაც სათუოა. რაც შეეხება ლაზერით ჩატარებულ ოპერაციებს — ამის შესახებ, თვით ოფთალმოლოგების აზრიც ორად არის გაყოფილი. ეს სფერო ჯერ კიდევ ძიებისა და შესწავლის პროცესშია. თუმცა, არსებობს რამდენიმე ჩამოყალიბებული მეთოდი, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს, მეტ-ნაკლებად დახვეწილია და სწორედ მას იყენებენ უმეტესად. მე პირადად არ შემხვედრია პაციენტი, ლაზერით გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, დამატებითი პრობლემები რომ გასჩენოდეს.

— დალტონიზმზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?

— დალტონიზმი მართლაც უკურნებელი დაავადებაა. მოგეხსენებათ, დალტონიკები ის ადამიანები არიან, რომლებიც მხოლოდ შავ-თეთრ ფერებს ხედავენ. მაგრამ არსებობს კიდევ დაავადება — ფერანომალია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბადურის უჯრედები მხოლოდ ერთ გარკვეულ ფერს ვერ აღიქვამს. მაგალითად, ვერ ხედავენ მწვანეს, ან ყველაფერს წითლად ხედავენ. ჯერჯერობით, ასეთ პაციენტებს მედიცინა ვერ ეხმარება.

— რამდენადაც ვიცი, მიოპიაც (თვალის შიდა წნევა) ძალიან გავრცელებული და უკურნებელი დაავადებაა.

— მიოპიის შეჩერება შესაძლებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მდგომარეობა აღარ რთულდება, მაგრამ მისი საბოლოოდ განკურნება შეუძლებელია. მიოპიის შეჩერების — ისევე, როგორც ჩამოშლილი ბადურის მკურნალობის ერთადერთი გზა — ოპერაციაა.

— რამდენად ეფექტურია ხალხური მედიცინის გამოყენება ოფთალმოლოგიაში?

— ვფიქრობ, ის ექიმბაშები, რომლებიც თავს ხალხური მედიცინის წარმომადგენლებად მიიჩნევენ, ოფთალმოლოგისთვის ძალიან საშიშები არიან. მე ვიცნობდი ერთ ასეთ ექიმბაშს, რომელიც იკვეხნიდა — რომელიღაც მცენარის დაწვის შედეგად წარმოქმნილი ბოლით თვალიდან ჭიები გამომყავსო. ეს ჭიები სხვა არაფერი იყო, თუ არა თვალის ლორწოვანის ანაფცქვენი, რომელიც ბოლზე იწვებოდა და იგრაგნებოდა. 1989-იდან 1992 წლამდე ჩვენი მედიცინა წალეკეს ცრუ-ექიმებმა, რომლებმაც ზიანის მეტი არაფერი მოუტანეს ჩვენს პაციენტებს. ასე რომ, არ ვარ იმის მომხრე, რომ ხალხმა თავისი თვალები ექიმბაშებს ანდოს.

— რით აიხსნება ბავშვებში გახშირებული სიელმე და „ზარმაცი თვალი“?

— დარწმუნებული ვარ, რომ ორივე დაავადების გამომწვევია მშობიარობის დროინდელი ტრავმა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი პაციენტების 95%, ვისაც თვალის სიელმე ან გაზარმაცებული თვალის პრობლემა აქვს, სწორედ ტრავმული მშობიარობით არის დაბადებული. არც ის არის მართალი, თითქოს, საკეისრო მშობიარობა აბსოლუტურად უსაფრთხოა, როგორც დედისთვის, ასევე ბავშვისთვის. ფიზიოლოგიური ნორმებიდან გადახვევა ყოველთვის დიდი რისკის ქვეშ აყენებს ადამიანს. ძალიან დიდი ყურადღება მართებთ მათ, ვისაც

ჩვილთან უწევს კონტაქტი. ამ დაავადებების მკურნალობას ყველაზე კარგი შედეგი 12 წლამდე მოაქვს.

— ძალიან ბევრი სამედიცინო პრეპარატი თურმე უარყოფითად მოქმედებს მხედველობაზე. ასეთი წამლები მხოლოდ დასნეულებული თვალისთვის არის საშიში თუ ჯანმრთელისთვისაც?

— ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა ჩვენთვის. ძალიან ბევრი წამალია, რომელიც მხედველობაზე უარყოფითად მოქმედებს. ამ წამლების ნუსხას ოფთალმოლოგიურ ცნობარში ნახავთ. არსებობს მთელი რიგი ჰორმონალური პრეპარატებისა, რომელიც მხედველობის დაქვეითებას იწვევს და საშიშროებას წარმოადგენს როგორც დასნეულებული, ასევე ჯანმრთელი თვალისათვის. მაგალითად, ანტიეპილეფსიური პრეპარატები, ძლიერი ტრანკვილიზატორები, ნარკოტიკების შემცველი წამლები, ქიმიოთერაპია, ნარკოზი და ა.შ.

— ალბათ საკვები პროდუქტებიც ახდენს მხედველობაზე გავლენას?

— რასაკვირველია, უხარისხო საკვები პირდაპირ მოქმედებს თვალზე. ხელმოკლეობის გამო, ჩვენს პირობებში ჭირს ხარისხიანი ხორცეულის, ნორმალური ცხიმის და ვიტამინებით მდიდარი პროდუქტების შეძენა. მავნე ინგრედიენტების შემცველი საკვები კი, თვალზეც ისევე მოქმედებს, როგორც კუჭ-ნაწლავზე.

— მათთვის, ვისაც სუსტი მხედველობა აქვს, სასარგებლო ყოფილა თევზეული...

— სასარგებლოა, მაგრამ არა ის თევზეული, რომელიც საქართველოში შემოდის — სუფთა მდინარეში დაჭერილი თევზი და სუფთა, წითელი ხიზილალა, ნამდვილად ისევე სასარგებლოა, როგორც წამალი, — ოღონდ, ისიც ისეთივე დოზით უნდა მიიღოს ადამიანმა, როგორც სამკურნალო საშუალება. მაგალითად, ხიზილალა — მხოლოდ 15 გრამი დღეში; ხარისხიანი სტაფილო, ჭარხალი, ლიმონი და საერთოდ, ის პროდუქტი, რომელიც C ვიტამინს შეიცავს, მაგრამ ყველაზე სასარგებლოა შავი მოცვი, რომლისგანაც მზადდება ძალიან ბევრი პრეპარატი, თვალის დაავადებების საწინააღმდეგოდ რომ იყენებენ. მოკლედ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, ისევე, როგორც მთლიანად ორგანიზმისთვის, კონკრეტულად თვალისთვისაც აუცილებელია. ■

ძალიან ბევრი წამალია, რომელიც მხედველობაზე უარყოფითად მოქმედებს. არსებობს მთელი რიგი ჰორმონალური პრეპარატებისა, რომელიც მხედველობის დაქვეითებას იწვევს და საშიშროებას წარმოადგენს თვალისათვის.

ადამიანს ანსებულ ბედნიერებას

პატიოსნად შესრულებული ყოველი შრომა სასარგებლოა და ამდენად ღირსი პატივისცემისა.

სტენდალი

ვინც ბუნებით მხდალია, გმირობას ხომ ვერ ჩაიდენს და სხვასაც ხელს შეუშლის.

თომას მორი

იყო სოფელში და არაფრით აღნიშნო შენი ყოფნა — საშინელებად მიმაჩნია.

ნიკოლაი გოგოლი

მაგალითი მუქარაზე ძლიერია.

პიერ კორნელი

შენზე ბრძენს ნუ შეუწყრები,
ფრთხილად ფანტე განაჩენი!
ვიდრე საქმეს შეუდგები,
ჯერ გაზომე ძალა შენი.

აბუ ალი იბნ სინა (ავიცენა)

უხასიათო, უპრინციპო ადამიანი ემსგავსება გემს, რომელსაც არ გააჩნია საჭე და კომპასი, ქარის მიხედვით იცვლის მიმართულებას.

სამუელ სმაილსი

ვისაც ჭეშმარიტება არ უყვარს, მყისვე ზურგს აქცევს იმ საბაბით, რომ სადავო და საეჭვოაო.

ბლეზ პასკალი

მეგობარს რომ შეეყრები, გაიხარე ისე მარად,
თითქოს ნახე ოქროს ზვავი, ჩამოსული მთიდან ბარად.

კონსტანტინე ჰერმონიაკი

მით რაცა მინდა, არა მაქვს;
რაცა მაქვს, არ მომინდების.

შოთა რუსთაველი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

1. სკვითურ მახვილს აკინაკი ერქვა.
2. იური როსტს ფიზკულტურის ინსტიტუტი აქვს დამთავრებული.
3. სიტყვა „ბრენდი“ რუსულში ხან მამრობითი სქესისაა, ხან საშუალოსი.
4. ალექსანდრ ბლოკი თავის ქორწინებით დიმიტრი მენდელეევს დაუნათესავდა.
5. ჩიკაგოს კოშკი „სიერსი“, მსოფლიოში ყველაზე მაღალი ნაგებობაა.
6. „ჩემთვის ყველაზე კარგი დიეტა არჩევნებია“, – განაცხადა ინტერვიუში პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელმა, ხათუნა გოგორიშვილმა.
7. არასოდეს მიუჯდეთ მოლაპარაკების მაგიდას მშიერ კუჭზე, – გვირჩევენ კონფლიქტოლოგები.
8. ამერიკის შეერთებულ შტატებში სექსუალური მანიაკები ტრადიციულად თეთრკანიანი მამაკაცები არიან.

9. სიმღერა „შატილის ასულოს“ კლიპი ალპებში, 3600-3800 მეტრ სიმაღლეზე არის გადაღებული. ამ კლიპის ზოგიერთი სცენის გადასაღებად კასკადიორთა მოწვევა დაპირეს, მაგრამ ქართველმა მოცეკვავეებმა უარი თქვეს დუბლიორებზე და ყველა ილეთი თავად შეასრულეს.
10. სახელგანთქმული „ქრისტეს დატირება“ მიქელანჯელომ საკუთარი საფლავისთვის შექმნა, მაგრამ ქანდაკება თვითონვე გაანადგურა. დამტვრეული ნაწილები შეკრიბა და დაასრულა მისმა მოწაფემ, კალკანიმ. ეს ქანდაკება დღეს ფლორენციაში, სანტა მარია დელ ფიორეს ეკლესიაში ინახება.
11. პოემა „აბდულმესია“ (ქრისტეს მონა) თამარის კარის პოეტის, იოანე შავთელის, დაწერილია. დროთა განმავლობაში ამ პოემას ცვლილებები განუცდია და მკვლევარებს უჭირთ იმის დადგენა, თუ ვის ასხამს ხოტბას მგოსანი: დავით აღმაშენებელს, თამარს თუ დავით სოსლანს.
12. „მისი მოუსვენარი და მღელვარებისგან დაუცხრომელი ცხოვრება ერთი დიდი ტრაგედიაა, განსაკვირვებელი და გასაოცებელი“ – ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძემ გიორგი საკაძის შესახებ წარმოთქვა.
13. ნიაზ დიასამიძე ტრამვაიში ავიდა. კონტროლიორი არ ასვენებს: „გაიარეთ წინ, ბილეთები აიღეთ!“ ცოტა ხნის შემდეგ: „გაიარეთ წინ!..“ შემდეგ ისევ: „გაიარეთ!..“ – „კაცო, ამდენი სიარული რომ მდომოდა, აქ კი არ ამოვიდოდი!“ – გაბრაზდა ნიაზი.
14. ჰოლივუდში იღებენ მსოფლიოში გა-

ეხლ ღლესაც, მაღალმა ჩემ ბავშვიღმეძ, ბეიძლება ბავბიიდ...

ერთხელ ასეთი კურიოზი შემემთხვა. ტალინში, ავტობუსების გაჩერებაზე ვიდექი. საკმაოდ ბევრი ადამიანი ელოდებოდა ტრანსპორტს. ავტობუსი რომ გაჩერდა, ხალხი შესასვლელს მიაწყდა, ამ დროს, ვიღაც ხუთიოდე წლის ბავშვმა მუჯლუგუნი გამკრა და ავტობუსის კიბესთან ჩემ წინ აღმოჩნდა. რამდენჯერმე შეხტა, რომ საფეხურზე დაედგა ფეხი, მაგრამ უშედეგოდ. გადავწყვიტე, მივხმარებოდი. უკნიდან, იღლიებში ხელები ჩავჭიდე და ავტობუსის სალონში შევსვი. გმადლობთ! — მომიტრიალდა და... ხელში ულვაშიანი, საკმაოდ ასაკოვანი, პატარა ტანის მამაკაცი შემრჩა.

ისიც მახსოვს, ბავშვობაში ლილიპუტების საცირკო წარმოდგენა რომ ვნახე, არ ვიჯერებდი, რომ ისინი ზრდასრული ადამიანები იყვნენ. სულ მეგონა, რომ ბავშვები გამოდიოდნენ და მებრალებოდნენ, რადგან ბაგა-ბაღში, ან სკოლაში სიარულის ნაცვლად, ცირკის მანეჟზე უწევდათ მუშაობა.

ლილიპუტები — თავიანთი სიხარულითა და ტკივილით, პრობლემებითა და კურიოზებით, განსხვავებული ცხოვრების წესით, — ჩვენი საზოგადოების ნაწილია. ბევრს ისინი მხოლოდ შორიდან თუ უნახავს და, ბუნებრივია, მათი ცხოვრების უმნიშვნელო დეტალიც კი, გარკვეულ ინტერესს იწვევს. გვესაუბრება თბილისში საგასტროლოდ ჩამოსული ლილიპუტების ცირკის მსახიობი მარიშა:

მარი ჯაშარიძე

— მარიშა, რამდენი წლის ხარ?

– ოცდაექვსის. ჩვენს კოლექტივში სიმაღლით, ბოლოდან მესამე ვარ. სულ 106 სანტიმეტრი. ყველაზე პატარა, ვალენტინა – 80 სანტიმეტრსაც ვერ აღწევს. კლოუნი იური კი, ერთ მეტრამდეა.

— გათხოვილი ხარ?

– დიახ. 6 თვეა, რაც გავთხოვდი. ჩემი მეუღლე ამავე კოლექტივის წევრია. ის ჩემზე გაცილებით მაღალია – 135 სანტიმეტრს აღწევს. ერთმანეთი კოლექტივში გავიცანით.

ცოლ-ქმარი ირინა და მიხაილი

2 წელი ვმეგობრობდით, შემდეგ კი ცოლობა მთხოვა და მეც დავთანხმდი. შვილი არ მყავს.

— **გამიგია, რომ პატარა ადამიანებს *(ასე ეძახიან ისინი საკუთარ თავს.* — *ავტ.)*, შვილები არ უჩნდებათ.**

— არა, ეს მართალი არ არის. დედაც და მამაც პატარები მყავს, ძმაც, დეიდებიც, ბიძებიც და მათი შვილებიც. დედაჩემი, ჩემზე 10 სანტიმეტრით მაღალია. ისეც ხდება, რომ მაღალ ადამიანებს პატარა შვილი უჩნდებათ, ან პირიქით — პატარა წყვილს სავსებით ნორმალური სიმაღლის შვილები ჰყავს. მე თვითონ არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ შვილი შემეძინოს. პირველ რიგში, იმიტომ, რომ თუ ისიც ლილიპუტი იქნება, ისეთივე პრობლემები შეაწუხებს, როგორიც ჩვენ. მეორეც, მე რომ ახლა შვილი შემეძინოს, ცირკიდან უნდა წავიდე და უმუშევარი დავრჩები. პატარა ადამიანებისთვის არც ისე იოლია სამსახურის შოვნა. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, პატარებს, რომლებსაც მაღალი მშობლები ჰყავთ, უფრო უჭირთ ცხოვრებასთან შეგუება, რადგან გვერდით არ ჰყავთ ისეთი ადამიანი, ვინც ცხოვრებას ასწავლის. დედაჩემის მადლობელი ვარ, რომ ბავშვობიდან მომიხსნა სიმაღლის კომპლექსი, მასწავლა, როგორ მეცხოვრა სწორად. თავიდან მეგონა, რომ დედამიწის ზურგზე მხოლოდ მე და ჩემი ოჯახის წევრები ვიყავით პატარები. ერთხელ ჩვენს ქალაქში (მარიშა ეროვნებით რუსია, მაგრამ ყაზახეთში დაიბადა) ლილიპუტების ცირკი ჩამოვიდა და დედამ წარმოდგენაზე წამიყვანა. მაშინ მივხვდი, რომ ჩვენ გარდა, სხვა პატარა ადამიანებიც არსებობდნენ. ცამეტი წლის რომ გავხდი, ისევ დედამ დამაკავშირა ერთ-ერთი ცირკის კოლექტივთან და მას შემდეგ აქ ვმუშაობ.

— **სკოლა არ დაგიმთავრებია?**

— *(იცინის)* პირველ კლასში რომ შევედი, სულ 86 სანტიმეტრი ვიყავი. მიზნად დავისახე, რომ ფრიადოსანი უნდა ვყოფილიყავი და სკოლის დამთავრების შემდეგ, ექიმი-პედიატრი გამოვსულიყავი. ფრიადოსანი მართლაც ვიყავი. დედა სულ ჩამჩიჩინებდა: ნუ ოცნებობ იმაზე, რაზეც მხოლოდ მაღალმა ადამიანმა უნდა იოცნებოსო. მე-7 კლასი რომ დავამთავრე, დედამ დამარწმუნა ჩემი გეგმების აბსურდულობაში. მეც მის ნებას დავყევი და დღემდე ასე ვცხოვრობ.

— **ხომ არ ნანობ, დედას რომ დაუჯერე?**

— არც კი ვიცი, რა გითხრათ. ვფიქრობ, რომ დედა მართალი იყო: საუკეთესო პედიატრიც რომ ვყოფილიყავი, სამსახურის შოვნა ძალიან გამიჭირდებოდა. ცირკი ჩემნაირი ადამიანების არსებობისთვის, ვფიქრობ, ერთადერთი გამოსავალია.

— **ძირითადად რა ყოფითი პრობლემები გექმნება ხოლმე შენი სიმაღლის გამო?**

— მაგალითად, სინათლის გამომრთველები ყველგან ძალიან მაღლაა დაყენებული. იმისათვის, რომ მივწვდე, სკამზე უნდა ავიდე. თოკზე რომ სარეცხი გავფინო, ისევ სკამზე მიწევს ასვლა. მაღაზიებში დახლები ხშირად ისეთ სიმაღლეზეა, რომ თითის წვერებზეც რომ ავიწიო, ვერაფერს ვხედავ. თუ ვინმე მაღალი დგას ახლომახლო, შეიძლება ვთხოვო კიდეც: გამოიჩინეთ გულისხმიერება და თუ შეიძლება, ამიყვანეთ, რომ დახლზე რამე დავინახო-მეთქი. ზოგი მეხმარება, ზოგიც მღუმარედ ზურგს მაქცევს და მიდის.

— **როგორ იქცევი, როცა მაღალ სართულზე უნდა ახვიდე, ლიფტში კი შენს მეტი არავინაა?**

— ამ დროს, ვცდილობ, ვინმეს დაველოდო. თუ არავინ გამოჩნდება, ფეხით მივდივარ. თუ არა და, რომელ ღილაკსაც ვწვდები, იმ სართულამდე ლიფტით ავდივარ, შემდეგ კი ფეხით ვაგრძელებ გზას.

— **რაზე ოცნებობს პატარა ადამიანი?**

— შენ ალბათ ფიქრობ,რომ გიპასუხებ — მაღალი რომ ვიყო-მეთქი. სულაც არა. გერმანიაში მყავს ახლობლები, რომლებმაც მითხრეს, რომ არსებობს წამალი, რომელიც ჩემნაირ ადამიანებს სიმაღლეში ზრდის. მართალია, ის 2.000 დოლარზე მეტი ღირს, მაგრამ მე საჩუქრად შემომთავაზეს. მე კი უარი ვთქვი: ერთ დღეს, რომ დავიძინო და მაღალმა გავიღვიძო, შეიძლება გავგიჟდე. მე უკვე ვეღარ შევძლებ ვიცხოვრო ნორმალური სიმაღლის ადამიანის ცხოვრებით, ასეთი ცხოვ-

მარიშა

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

მოშვებული მხატვრული ფილმების მხოლოდ 10%-ს, მაგრამ ამერიკული კინოს ექსპორტი მსოფლიო ექსპორტის 1/3-ს შეადგენს, ხოლო მათ წილად მსოფლიო კინომოგების 50% მოდის.

15. თხელ, არამკვრივ, ცომისებურ მასას დღლუ ჰქვია.

16. უფხო, უხეირო, უუნარო, მოუხერხებელ კაცს ბუტუსურას ეძახიან.

17. გამრავლების დროს ზღვის ომარი თავის 700000 ახალდაბადებულ პირმშოს წყლის დინებას ატანს. P.S. ეს თავისებური რეპროდუქციული ქარბუქი მართლაც საოცარი სანახავია.

18. „დებირსი“ ბრილიანტების მომპოვებელი ყველაზე დიდი კომპანიაა მთელ მსოფლიოში. ამ კომპანიის მთავარი ოფისი ლონდონში, Cherterhouse 17-ში მდებარეობს. P.S. ეს კომპანია ყოველწლიურად 180 მილიონ კარატზე მეტ ძვირფას ქვას ამუშავებს.

19. კომოდოს კუნძულზე მცხოვრები ვარანის ნერწყვი ოცდაათამდე სახის პათოგენურ ბაქტერიას შეიცავს. ერთადერთი ცხოველი, რომელიც მისი კბენის შედეგად არ კვდება, ეს თავად ვარანია. ამ გიგანტური ხვლიკის გასაოცარი იმუნიტეტის გამოსაკვლევად, მეცნიერებმა მისი სისხლი 76 ნაწილად დაყვეს და მისი ერთი კომპონენტი ხელოვნურად დათესილ პათოგენურ ბაქტერიებში ჩააწვეთეს. შედეგი გასაოცარი იყო: პრეპარატი ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ ბაქტერიები პირდაპირ სკდებოდნენ. P.S. ამ ფენომენის მკვლევარები იმედოვნებენ, რომ სულ მალე ვარანის სისხლისგან უძლიერეს ანტიბიოტიკს დაამზადებენ.

20. „ვეფხისტყაოსანი“ პოლონურად ლაფჩინსკიმ თარგმნა.

21. „ყველაზე დიდი ქონება არის ნათელი გონება“, — მტკიცედ სწამს კოტე ყუბანეიშვილს.

22. „უკვდავება არ დაჰკარგო წუთისოფლის გულისთვისა“, — წერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი.

23. „არიან ქვეყნები, სადაც სილამაზე უპირატესობად არც ითვლება, რადგან ყველა ლამაზია. მოგზაურები ამას ერთხმად ამბობენ საქართველოზე“, — წერდა ისტორიკოსი სტრაბონი თავის „გეოგრაფიკაში“.

■

რებისთვის ნაბიჯის აწყობა გამიჭირდება. საერთოდ, მთავარი ის კი არ არის, როგორი სიმაღლე გაქვს, მთავარია, როგორი პიროვნება ხარ. დიდ ადამიანებსაც უამრავი პრობლემა აქვთ, ჰყავთ მტრები, ვერ შოულობენ სამსახურს, ავადმყოფობენ და ა.შ.

— შენს თაყვანისმცემლებს შორის ჩვეულებრივი სიმაღლის კაცი თუ ყოფილა?

— კი. მყავდა მეგობარი, რომელიც 185 სანტიმეტრის სიმაღლის იყო. ძალიან ვუყვარდი. ხშირად, ხელში აყვანილს დამატარებდა: მე ხომ 4-5 წლის ბავშვის სიმაღლე და წონა მაქვს და სულ არ უჭირდა ჩემი ტარება. შემდეგ დავშორდით, რადგან მას ჩემს კოლექტივში არ ღებულობდნენ, მე კი მასთან ვერ დავრჩებოდი და კვლავ მსხვერპლის გაღება მომიხდა.

— ჩაცმის პრობლემას როგორ აგვარებ?

— წინათ უფრო მიჭირდა მზა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ყიდვა. ახლა უამრავი პატარა ზომის ტანისამოსია, რომელიც ისეთ სტილზეა შეკერილი, რომ მოზრდილი ადამიანიც ჩაიცვამს. თუ მკაცრი სტილის კოსტიუმი მჭირდება, თავად ვიკერავ, ყოველდღიურ ტანისამოსს — მზას ვყიდულობ. თითქმის ყველა დიდ ქალაქში არსებობს გოლიათების მაღაზია. სპეციალური მაღაზია ლილიპუტებისთვის მხოლოდ სოჭში ვნახე და გამიკვირდა. მართალია, იქ ყველაფერი ძალიან ძვირი იყო და ვალუტაზე იყიდებოდა, მაგრამ ჩემი გარდერობისთვის რამდენიმე ნივთი მაინც შევიძინე.

— მაღალი ადამიანი რომ დაგელაპარაკოს, წელში უნდა მოიხაროს. ეს უხერხულობას ხომ არ გიქმნის?

— პირიქით. რომ არ მოიხაროს, ჩემი ხმა ვერც მისწვდება მის სმენას, — ჩვენ ხომ წვრილი და დაბალი ტემბრი გვაქვს. ასე რომ, იძულებული ვიქნები, მთელი ძალით ვიყვირო, რომ გავაგონო, ეს კი უფრო მეტ უხერხულობას შემიქმნის. თუ მამაკაცი მესაუბრება, უმეტესად ჩამუხლულია.

— საკუთარი ბინა როგორ გაქვს მოწყობილი?

— რატომღაც ეს ყველას აინტერესებს. ჩვეულებრივად, როგორც ყველას: ჩვეულებრივი ავეჯი და ჭურჭელი მაქვს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სინათლის გამომრთველები შედარებით დაბლა გვიყენია.

— თბილისი მოგეწონა?

— ამ ქალაქში პირველად ვარ. აღფრთოვანებული ვარ ხალხით. სხვა ქვეყნებში, ყველაზე მეტად — ყაზახეთში, ხალხი დაგვცინოდა, ქებსაც კი გვესროდნენ. ქალაქში საერთოდ ვერ გავდიოდით: გვაგინებდნენ, მანეჟზე კი შურდულიდან ათასგვარ საგანს გვესროდნენ. ეს საშინელებაა. აქ კი ძალიან კარგი ხალხია. არავისგან დამცინავი ღიმილიც კი არ მიგრძნია. ერთ ამბავს მოგიყვებით. ორი დღის წინ ბაზრობაზე ვიყავი წასული. ჩემს დანახვაზე, ორმა ქალმა სიცილი დაიწყო. გავბრაზდი. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ სიმპათიური ქალები იყვნენ, ვუთხარი: ჯერ სარკეში ჩაიხედეთ და ჩემზე მერე გაიცინეთ-მეთქი. ერთმა მითხრა: იმიტომ კი არ ვიცინით, პატარა რომ ხარ, — ძალიან ლამაზ თოჯინას ჰგავხარ და ამაზე გაგვეცინა. ისე მომივიდა, რძისგან შეშინებული დოს რომ უბერავდა. მეგონა, დამცინოდნენ, ისინი კი, თურმე ცუდად სულაც არ ყოფილან ჩემდამი განწყობილნი. ის ქალები რომ შემახვედრა, ბოდიშსაც მოვუხდიდი, ჩემი აგრესიის გამო.

— რას ეტყოდი მაღალ ადამიანებს?

— ლილიპუტს რომ მეძახიან, ამას უკვე მივეჩვიე და აღარ მწყინს, მაგრამ ვბრაზდები, როდესაც ცდილობენ, ხელით შემეხონ — თმაზე, სახეზე, ცხვირზე. მწყინს, როცა მომაძახებენ — მახინჯოო. ადრე ვბრაზდებოდი და მეც ცუდად ვპასუხობდი. ოთხი წელიწადია, ეკლესიურ ცხოვრებას ვეწევი, ეკლესიაში დავდივარ, ვლოცულობ, ვმარხულობ და სხვანაირად ცხოვრებაც ვისწავლე. თუ ვინმე შეურაცხყოფას მომაყენებს, ვპასუხობ: შენ ღმერთს უყვარხარ! გაკვირვებულები შემომხედავენ ხოლმე, მე კი ჩემს გზას მშვიდად განვაგრძობ. ასეთ ადამიანებთან ლაპარაკიც კი შეუძლებელია: დაბალი ინტელექტუალური დონისანი არიან და რა ქნან?

— რაიმე უპირატესობას თუ განიჭებს სიმაღლის სიმცირე?

— კი, დადებითი მხარე ამ ნაკლსაც აქვს. მე შემიძლია ისეთ გასასვლელში გავეტიო, სადაც მაღალი ადამიანი ვერ გავა. ჩემი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, სულ ვმოგზაურობ. ხანდახან 10-12 დღე ვართ ავტობუსში. ისე კარგად ვთავსდები ავტობუსის სავარძელზე და ვიძინებ, რომ მაღალი ადამიანი ამაზე ვერც იოცნებებს... მახსოვს, ერთხელ, მე, ვალენტინას (ყველაზე პატარა) და იურას (კლოუნი) გზად ისეთი ბარიერი შეგვხვდა, რომელზეც ვერ გადავდიოდით. შემოვლით, შორი გზა უნდა გაგვევლო. ჯდგავართ სამივე, ერთი-ერთმანეთზე პატარები და ვერაფერს ვახერხებთ. გამოიარა ახალგაზრდა კაცმა. ვთხოვეთ, გადავესვით ბარიერის მეორე მხარეს. გაიღიმა და სათითაოდ გადაგვიყვანა.

— მაინტერესებს, თავიდანვე გაიზარდე ამხელა და შეჩერდი, თუ ნელა იზრდებოდი?

— ნელა ვიზრდებოდი. ბავშვობაში საკმაოდ შეუხედავიც ვიყავი. Гадкий утёнок-ს მეძახდნენ. ჩემი ძმა, მართალია, ლილიპუტია, მაგრამ ძალიან ლამაზია. ჩემი ყურით მოვისმინე, მეზობელმა დედაჩემს რომ უთხრა: ანიუტა, რა საწყენია, რომ ბიჭი ასეთი ლამაზი გყავს, გოგო კი საშინლად მახინჯიო. მერე და მერე უფრო გავლამაზდი.

— მე ვერც ერთი პატარა ადამიანის ასაკს ვერ გამოვიცნობ. შენ თუ შეგიძლია, გარეგნობით მაღალი ადამიანის წლოვანების დადგენა?

— ჩვენ, პატარები, გარკვეულ, ასე 40-45 წლის ასაკამდე, სახითაც და აღნაგობითაც ბავშვებს ვგავართ. შემდეგ უცებ ვბერდებით და მაქსიმუმ, 50-55 წლამდე ვცოცხლობთ. ამიტომ გიჭირთ ჩვენი ასაკის დადგენა. მე კი, ერთი შეხედვით შემიძლია ვთქვა, რამდენი წლისაა ესა თუ ის მაღალი ადამიანი. დიდიდიდი, 1-2 წელიწადში შევცდე.

— ხელფასი თუ გყოფნით?

— სავსებით. ერთ წარმოდგენაში 10 დოლარს მიხდიან, ამდენივეს — ჩემს ქმარს. კვირაში, სულ ცოტა, 6 წარმოდგენას ვმართავთ ხოლმე. ასე რომ, სავსებით უზრუნველყოფილები ვართ. ამ კვირაში, საქართველოს სხვა ქალაქებში გასვლითი წარმოდგენებიც გვექნება და შესაბამისად, ხელფასიც მოგვემატება.

გულთბილად დამემშვიდობა ჩემი „მინიატურული“ მასპინძელი, რომელსაც მხოლოდ ზომები აქვს ბავშვის, თორემ ქალური აღნაგობა, მკერდი, გამოკვეთილი თეძოები, ჯდომისა და საუბრის მანერა, მარჯვენა ხელის არათითზე წამოცმული პაწაწინა საქორწინო რგოლი, ვარცხნილობა და გრიმი აშკარად მიგვანიშნებს, რომ ჩვენ წინ ზრდასრული, გონიერი და სრულყოფილი ადამიანია.

■

კლოუნი იურა

იაპონური შარფი

ლეილა მეტრეველი

კაბინეტში შესულმა, პირველად კედლის უზარმაზარი კალენდარი დავინახე, დავინახე და მხოლოდ მაშინ გამახსენდა მეუღლის დაბადების დღე. ამის გაფიქრება და ტელეფონის აწკრიალება ერთი იყო.

— ალეკო! — ხმა დაითაფლა ტელეფონში ჩემმა მეორე ნახევარმა, — ხომ დამპირდი ძვირფასო, დაბადების დღისათვის...

მეტი აღარაფერი გამიგონია, თვალთ დამიბნელდა. ვგრძნობდი, რაღაცას მეტიტინებოდა ჩემი მშვენიერი გულიკო, მაგრამ სახელდობრ რას, ვერ ვარჩევდი. მხოლოდ ბოლო სიტყვები გაიცნობიერა გონებამ:

— ჰოდა, ჩემო ალეკო, შარფი მინდა, მხოლოდ და მხოლოდ შარფი, ი-ა-პო-ნუ-რი! — მოამთავრა სათქმელი გულიკომ და ყურმილი ნაზად დაკიდა.

აკანკალებული ხელით მოვიწმინდე შუბლიდან ჭირის ოფლი, მაგრამ მიღებული ინფორმაცია რომ გავისიგრძეგანე, მეუღლის ულტიმატუმი არც ისე უსაშველო მეჩვენა. კაცი ხარ, უმაღლესი დაგიმთავრებია, ამხელა განყოფილებას განაგებ და ისე როგორ დადედლდი, შე გლახავ, მეუღლისათვის ერთი შარფი ვერ გიყიდია-მეთქი! — შემოვუძახე საკუთარ თავს და ბედად ჩვენი ინსტიტუტის ბიბლიოთეკარი, შინაბერა პეპელა გამახსენდა. პეპელა ჩვენს დაწესებულებაში მოდების დემონსტრატორი და უნატიფესი გემოვნების ქალია. ადრე, სარვამარტოდაც მისი დახმარებით შევიძინე ფრანგული „სალვადორ დალი“. მართალია, ქალბატონი პეპელას მაშინდელი უანგარო დახმარება სუნამოს მარკის მოძველების მოტივით სრული კრახით დამთავრდა, მაგრამ არც ამჯერად მქონდა სხვა გზა და პეპელასაკენ გავქანდი თავქუდმოგლეჯილი. „ქალის კაპრიზებისა რა ვთქვა, თორემ რაღა მაინცადამაინც იაპონური მოუნდა, განა ჩვენი, თბილისური შარფი ცოტაა, — ვბრაზობდი გულში, — აირჩიე დალოცვილო, რომელიც გნებავს — თბილი, საშუალო სისქის, თუ, შენ ხარ ჩემი ბატონი, თხელი, ბრჭყვიალა ძაფებით გაწყობილი. მე შენ გეტყვი, შოვნა გაგიჭირდება. რომელ მაღაზიაშიც არ უნდა შეხვიდე, საღლუმო დროშებივით აგიფრიალდებიან ცხვირწინ ყოველ ნაბიჯზე“.

პეპელას დიდი თავპატიჟი არ გამოუდვია და რაღაც ერთ საათში სულ შემოვირბინეთ რაც ახლომახლო საკომისიო-კომერციული მაღაზიები იყო. ო-ჰო-ჰო, რა შარფები ვნახეთ?! ფრანგული, იტალიური, იაპონური, ჩინური, თურქული. ახლა ფერებს არ იკითხავთ? ცისარტყელას ნაირნაირი ფერით ავსებდნენ მაღაზიის სალონებს. ბოლოს პეპელას რჩევით, კუბოკრული შევარჩიე, როგორც წლის უპირველესი მოდა (ერთი ფერის შარფები თურმე შარშან შემოსულა მოდაში და პეპელას შეხედულების თანახმად, უკვე მოდიდან გასულად ითვლებოდა). შარფი გრძელი იყო, ფოჩებიანი. თანაბარი ზომის შავი და იასამნისფერი კვადრატული უჯრები ჰქონდა. რბილი იყო, ლამაზი და ღუნღულა და, რაც მთავარია, ჰქონდა იაპონური ფირმის ეტიკეტი „ჩორი“.

საღამოს შვიდი საათისათვის იაპონური შარფით, თეთრი ვარდების თაიგულითა და შოკოლადის ნაკრებით ხელდამშვენებული, ღიღინ-ღიღინით მივადექი სახლს.

კარი მეუღლემ გამიღო.

— ჩემო ძვირფასო, გილოცავ დაბადების დღეს! — ნაზად ვეამბორე ლოყაზე და საჩუქრები გადავეცი.

— რა არის ეს?! — ხმა შეეცვალა გულიკოს და იჭვნეულად შეათვალიერა შეფუთული (საჩუქრის გაბარიტებმა თუ დააეჭვა).

— შარფია ქალო, იაპონური! სხვა რა უნდა იყოს, შეხედე, რა საოცარი ფერებია! — ვუპასუხე, ცოტა არ იყოს, ნირწამხდარმა.

გულიკომ შეფუთული გახსნა და...

— კრეტინო, დებილო! — იკივლა და იაპონური შარფი და შოკოლადის კოლოფი ერთდროულად გამოფრინდა ჩემკენ.

სიმწრისაგან თვალთ დამიბნელდა.

გონს მეგობრის ბინაში მოვეგე. ის დაწყევლილი შარფი ყელზე მქონდა შემოხვეული (ინსტინქტურად თუ მოვიხვიე გამწარებულმა). ჩემი თავგადასავალი რომ გაიგო იმ ჩემმა მეგობარმა, იმდენი იცინა, კინაღამ გაიგუდა. სიცილს რომ მორჩა, ცოლს სუფრა გააშლევინა და კარადაზე შემოდებული იაპონური მაგნიტოფონი ჩართო.

მაგნიტოფონიდან ჯაზური მუსიკის სასიამოვნო ხმა დაირხა.

იმ საღამოს ორივემ სულ „შარფ“-ის აკომპონიმენტის თანხლებით ვსვით ჩვენი ქალების და იაპონური ტექნიკის სადღეგრძელო.

■

ხოსე სუარესი – სმაგლაყეობამ კეთილსინდისიერ იმპერატორად

ნათია თენიეშვილი

ხოსე სუარეს-ინაშვილი

1937 წელს, როცა ესპანეთში კომუნისტების დევნა დაიწყო, რესპუბლიკელებმა სხვადასხვა სახელმწიფოს სთხოვეს, დროებით შეეფარებინათ ესპანელი კომუნისტების შვილები. ასე მოხვდა 4000 ესპანელი ბავშვი საბჭოთა კავშირში. მათ შორის ხოსე სუარესის მამა, 12 წლის დარიო სუარეს-ორდონესიც იმყოფებოდა. თავდაპირველად, ბავშვები ლენინგრადში სპეციალიზებულ ბავშვთა სახლში ცხოვრობდნენ. ჰქონდათ განსაკუთრებული კვება და მოვლა. როგორც ამბობენ, რესპუბლიკურმა ესპანეთმა საბჭოთა კავშირს ამ ბავშვების შესანახად 4000 კილოგრამი ოქრო გამოატანა...

ლენინგრადის ბლოკადის დასაწყისში, სტალინს განკარგულება გაუცია – პირველ რიგში, ესპანელი ბავშვები გაიყვანეთო. 4000 ბავშვიდან, ზოგი გზადაგზა, სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში დარჩა. დარიო სუარეს-ორდონესი კი, თბილისში ჩამოვიდა. ომის დამთავრების შემდეგ, ესპანეთში ფრანკოს რეჟიმი დამკვიდრდა. ფრანკომ ყველა სახელმწიფოდან დაიბრუნა ესპანელი ბავშვები, საბჭოთა კავშირის გარდა, – იმ მოტივით, რომ კომუნისტების ხელში გაზრდილი ბავშვები მას არაფერში გამოადგებოდნენ... დღეს ესპანეთში, იმ პორტში, საიდანაც ეს ბავშვები საბჭოთა კავშირში წამოიყვანეს, უზარმაზარი მონუმენტი დგას: შავებში ჩაცმულ დედას ხელები ზღვისკენ აქვს გაწვდილი. ეს იყო უზარმაზარი ტრაგედია: 4000 ბავშვი სამუდამოდ დაკარგეს მშობლებმა.

ალბათ ყველას გვახსოვს ზაალ კაკაბაძის ფილმი „მზიური“ და ამ ფილმის მონაწილე, ესპანურ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ბიჭი, რომელიც რაფაელის სიმღერას „დიგანს“ მღერის. ეს ბიჭი ხოსე სუარეს-ინაშვილია, მამით — ესპანელი, დედით ქართველი. სამწუხაროდ, 2002 წლის იანვარში, ხოსე სუარესი 38 წლის ასაკში გარდაიცვალა.

დარიო სუარეს-ორდონესი თბილისში, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. დაამთავრა პროფტექნიკური სასწავლებელი, უცხო ენების ინსტიტუტი, ფრანგული ენის სპეციალობით. შემდეგ ინჟინრის დიპლომიც აიღო და ტრიკოტაჟის სართავ კომბინატში, ინჟინერ-მექანიკოსად მუშაობდა. სწორედ იქ გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე – ევგენია ინაშვილი. დაქორწინდნენ და სამი შვილი გაუჩნდათ: ტერეზა, გია და ხოსე სუარეს-ინაშვილები. დარიო სუარეს-ორდონესი სრულყოფილად ფლობდა ესპანურს და იყო საქართველოში ესპანელთა კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

მარცხნიდან: ტერეზა (ტერი), მაია, ხოსე და დარიო (დაჩი)

ტერეზა სუარეს-ინაშვილი:

– მიუხედავად იმისა, რომ აქ არაფერი გვიჭირდა, მამას, საშინელი ნოსტალგია ჰქონდა. ღამით რომ გაგეღვიძებინა, ესპანურად გიპასუხებდა: „ქე პასო“ (რა იყო). ფიქრობდა და აზროვნებდა ესპანურად. ეს ალბათ იმანაც განაპირობა, რომ თბილისში მცხოვრები ესპანელები ერთი ოჯახივით იყვნენ. ერთის ტკივილი, ყველას ტკივილი იყო და ერთის სიხარული – ყველას სიხარული. 1956 წელს, ფრანკომ შემოუთვალა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ესპანელებს: თუ გინდათ, ახლა დაბრუნდით, თუ არა და, ვეღარასოდეს დაბრუნდებითო. ესპანელების დიდი ნაკადი წავიდა მაშინ. მამასაც ძალიან უნდოდა წასვლა. დედას მოხუცი მშობლები ჰყავდა და იმათ ვერ ტოვებდა. მამას უთქვამს, ერთი შვილი – შენ და ერთი – (ვერ ხოსე დაბადებული არ იყო) – მეო... მომკიდა ხელი და წავიდა აეროპორტში. დედა ისტერიკაში ჩა-

ევგენია და დარიო შვილებთან: ტერეზა, ხოსე (დედასთან) და გიასთან ერთად

ვარდნილა. ჩანთა ჩაულაგებია და სახლიდან რომ გადიოდა, ამ დროს მამა დაბრუნებულა. ვერ დატოვა ცოლ-შვილი. სიცოცხლის ბოლომდე გვაყვედრიდა – მე თქვენი გულისთვის ამხელა დათმობაზე წავედი და თქვენ არ გინდათ ანგარიში გამიწიოთო... მას ძალიან უნდოდა, რომ ესპანეთში გავთხოვილიყავი. მე არ მინდოდა და ამაზე სულ ბუზღუნებდა. როცა გაბრაზდებოდა, მეუბნებოდა: **Ты не видела ленинградскую блокаду, потому ты такая,** სანამ ლენინგრადიდან გამოიყვანდნენ, ბლოკადის დროს ათასგვარი უბედურება გამოიარეს. მამას მეგობარი, ულამაზესი ესპანელი გოგო, ტიფით გარდაცვლილა. მაშინ, ყველას ერთად ასაფლავებდნენ და 11-12 წლის ბავშვები, მათ შორის მამაჩემიც, შეიპარნენ მორგში, მოძებნეს თავიანთი მეგობარი, გაახვიეს სუდარაში და კათოლიკური წესით დაკრძალეს...

მამა ისე გარდაიცვალა, საქართველოში პური არ უჭამია. ძალიან გამიკვირდა, ესპანეთში ჩასულმა პურის ჭამა რომ დაიწყო. ესპანური ყველაფერი მისაღები იყო მისთვის. ძალიან უყვარდა თბილისი, მაგრამ წასვლა მაინც უნდოდა. მე ჩემს სამშობლოში უნდა მოვკვდეო – ამბობდა. სამშობლოში კი არა, სახლშიც არ ეღირსა სიკვდილი. მეგობრის დედის გასვენებიდან მოდიოდა და გზაში გარდაიცვალა 59 წლის ასაკში.

— პირველად როდის ჩავიდა ესპანეთში?

– მამიდაჩემი ცხოვრობს პატარა ქალაქ ასტურიოში, კორტინა დე ფიგარეროს პროვინციაში. პირველად 1962 წელს წავედით მთელი ოჯახი და 30 წლის უნახავმა დამამ ერთმანეთი ნახა. მამიდაჩემი ვერავის ხედავდა, მამაჩემის გარდა. ღამით მამის ოთახში ფეხისწვერებზე შედიოდა და საბანს უსწორებდა... უნდოდა მამის დარჩენა, მაგრამ სანამ ფრანკო ცოცხალი იყო, ეს ძალიან დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული.

— თქვენ არა გაქვთ ესპანეთში წასვლისა და იქ ცხოვრების სურვილი?

– არანაირი სურვილი არა მაქვს იქ ცხოვრების. ეს არის ჩემი სამშობლო. აქ დავიბადე, გავიზარდე, ვზრდი ქართველ შვილებს და თუკი ვინმე მიყვარდა, ყველა ქართულ მიწაში განისვენებს, მათ შორის – ხოსეც. სად უნდა წავიდე?!.

— როგორ მოხვდა ხოსე ფილმ „მზიურში“?

– ხოსეს მოფერებითი ფორმა არის პეპე. ჩვენ მას სწორედ ასე ვეძახდით. დაიბადა 1963 წელს. ძალიან მხიარული, ენამოსწრებული ბავშვი იყო. ეტყობა, მამის გენი გამოჰყვა და ბავშვობიდან ძალიან კარგად მღეროდა (დარიო სუარეს-ორდონესი და მისი მეგობარი – კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორ-მულტიპლიკატორი ლუის ფერნანდესი, ფილმში „ღიმილის ბიჭები“ ასრულებენ სიმღერას „პანტერა როსა“). დედამ პიონერთა სასახლეში, ციცინო ციცქიშვილის ჯგუფში მიიყვანა, საიდანაც ფილმ „მზიურში“ გადასაღებად მიიწვიეს. შემდეგ მღეროდა ანსამბლ „ნერგებში“. გარდატეხის ასაკში, სიმღერას თავი დაანება. დაამთავრა პუშკინის სახელობის ინსტიტუტი და ხობის რაიონის სოფელ ქვალონში 3 წელი მასწავლებლად იმუშავა. შემდეგ სხვა სკოლებში მუშაობდა. ბოლო 4 წლის განმავლობაში კი, თბილისის 112-ე სკოლის დირექტორი იყო. 1985 წელს დაქორწინდა და ორი შვილი ჰყავს: 14 წლის ტერეზა (ტერი) და 12 წლის დარიო (დაჩი).

ხოსე, ტერეზა და გია სუარეს-ინაშვილები

ხოსე სუარესის მეუღლე, მაია ვარდოშვილი:

– ბავშვობიდან ფანატიკურად მიყვარდა ფეხბურთი. ჩემი საყვარელი ფეხბურთელი მარიო კემპესი, არგენტინიდან ესპანეთის გუნდში გადავიდა სათამაშოდ და მეც ფანატიკურად შემიყვარდა ყველაფერი ესპანური. ჩემმა მეგობრებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ ჩემი ამ გატაცების შესახებ. ერთ-ერთი მათგანი ხოსეს მეზობელი იყო და მითხრა – ესპანელ ბიჭს გაგაცნობო. ძალიან დამაინტერესა და დავთანხმდი. 1985 წლის გაზაფხულზე გავიცანი ხოსე და შემოდგომაზე დავქორწინდით.

— ხოსე თუ ფიქრობდა საცხოვრებლად ესპანეთში წასვლაზე?

– ყველა ეკითხებოდა: აქ რა გინდა, შენ კიდევ არ წასულხარო? მაგრამ არ შეეძლო. ჩვეულებრივი ქართველი, თბილისელი, ნახალოვკელი ბიჭი იყო. ყველაფერი აინტერესებდა ესპანეთთან დაკავშირებული, მაგრამ სამუდამოდ წასვლა და აქაურობასთან ურთიერთობების გაწყვეტა არ შეეძლო... ■

ნოდარ ჩერქეზიშვილი

ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში ცხოვრობდა კაცი, რომელმაც მთელი სიცოცხლე იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილის სიყვარულში გალია. მან საკუთარ სახლში სტალინის მუზეუმი შექმნა. იმ ნივთების გარდა, რომელიც რაღაცით ბელადს უკავშირდებოდა, ამ მუზეუმში ინახება ყველა გაზეთი, რომელშიც კი ოდესმე სტალინის ფოტო დაბეჭდილა.

სიკვდილის წინ, ნოდარ ჩერქეზიშვილმა ტირილი დაიწყო თურმე: შეეშინდა — მასთან ერთად, მის ოჯახში სტალინის ხსოვნაც არ მომკვდარიყო... უკვე სამი წელია, რაც მუზეუმს მისი მეუღლე, ვერა ჩერქეზიშვილი პატრონობს. მიუხედავად გაჭირვებისა, ის უმნიშვნელო ნივთსაც კი არ ყიდის. ქმარს შეჰფიცა, შენს გულში ანთებულ ბელადის სიყვარულს, ჩემს გულში კოცონად ვაქცევო...

ოსიაურში ჩერქეზიშვილების მისამართს ბავშვიც კი გეტყვით. სახლს ამშვენებს სიტყვები: „დიდება დიდ სტალინს!“ როცა ბელადის ძეგლებს მთელ საბჭოთა კავშირში ხსნიდნენ, ჩერქეზიშვილს სტალინის სამმეტრიანი ქანდაკების წინ დაუჩოქია და უთქვამს: ნუ გეშინია, ახლა მე გიშველი — ჩემთან ხარ და მე დაგიფარავო...

ქალბატონ ვერა ჩერქეზიშვილს ბევრ კითხვაზე პასუხი არ აღმოაჩნდა, თუმცა თავისი მეუღლის ცხოვრების ზოგიერთი საინტერესო ეპიზოდი გვიამბო:

სტალინთან ერთად, მუზეუმში თავისი სულიც გამოამწყვდია...

დიანა ჭანკოტაძე

— მეუღლისთვის არასოდეს გიკითხავთ, რატომ შეიყვარა სტალინი ასე ძლიერ?

— ნოდარის ბაბუა, სანდრო ჩერქეზიშვილი, ცნობილი მეზღაპრე იყო. იგი ზღაპრებს მხოლოდ გმირების ცხოვრებაზე ჰყვებოდა. ერთ-ერთი ასეთი გმირი იყო სტალინი... ნოდარს სწორედ ბაბუამ ჩაუნერგა სტალინის სიყვარული და პატივისცემა. ეს სიყვარული თანდათან ისე გაუძლიერდა, რომ ნოდარმა სტალინი გააღმერთა, თავისი არსებობის მიზნად, ბელადის სამსახური და მისი ხსოვნის პატივისცემა გაიხადა.

— როგორ ფიქრობთ, ბატონ ნოდარს სტალინი ბრმად უყვარდა თუ გაცნობიერებული ჰქონდა ყველა მანკიერება, რომელიც ბელადის მოღვაწეობას ახლდა თან?

— ნოდარი სტალინის ბიოგრაფიას კარგად იცნობდა. პიროვნულადაც უყვარდა და მისი საქმიანობითაც მოხიბლული იყო. მოსწონდა ის პოლიტიკა, რომელსაც სტალინი სიცოცხლეში ატარებდა. არავის მისცემდა სტალინზე ცუდის თქმის უფლებას. შვილს წლების მანძილზე ხმას არ სცემდა — მხოლოდ იმიტომ, რომ სტალინი აუგად მოიხსენია.

— ოდესმე თუ შეხვედრია იმ ადამიანს, რომელსაც ასე აღმერთებდა?

— პირადად არ შეხვედრია, მაგრამ 1952 წელს ნოდარი შეხვდა ლავრენტი ბერიას... ნოდარს ძალიან უნდოდა სტალინის ნახვა. როგორც კი სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა, ჯარისკაცის ტანსაცმლით წავიდა მოსკოვში მის სანახავად. რა თქმა უნდა, ვერ მოახერხა, რის შემდეგაც ერთმა თბილისელმა სომეხმა ის ბერიას შეახვედრა. ისაუბრეს. ბერიას უთქვამს: სტალინს ვერ შეგახვედრებ, სხვა რა სურვილი გაქვს? — მითხარი და შეგისრულებო. ნოდარს უთხოვია: სწავლა მინდა და თუ დამეხმარებით, კარგი იქნებაო. ბერიამ დაურეკა ბათუმში პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელმაც შემდეგში ნოდარს მისცა ბინა და სამსახური. მერე ნოდარი (თუ არ ვცდები, ეს იყო 1955 წელს) გადმოიყვანეს ხაშურში.

— მას შემდეგ, რაც სტალინის „პიროვნების კულტი“ გაიცხეს, თქვენს მეუღლეს პრობლემები არ შეჰქმნია?

— ნოდარი ამ დროისთვის საპასპორტო მაგიდის უფროსად მუშაობდა და ამავე დროს, სოციალიზმის პროპაგანდას ეწეოდა — ჯგუფის პროპაგანდისტი იყო. მას ევალებოდა 20-30 კაცისთვის სოციალიზმის სიყვარული ჩაენერგა. თურმე იმდენი შეძლო, რომ როცა ოთახში შედიოდა, ხალხი ფეხზე დგებოდა და სამჯერ ამბობდა: „დიდება დიდ სტალინს!“ რა თქმა უნდა, ეს ამბავი გამჟღავნდა. ნოდარი არ დააპატიმრეს, მაგრამ სამსახურიდან გაათავისუფლეს.

1972 წელს ინაურმაც *(ალექსი ინაური — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე. — ავტ.)* დაიბარა თავისთან და მუზეუმის დახურვა მოსთხოვა. ნოდარმა მუზეუმის კარი ჩაკეტა და აღარავის უშვებდა შენობაში. ფიქრობდა, დრო შეიცვლებოდა და მუზეუმს დამთვალიერებელი ისევ დაუბრუნდებოდა, მაგრამ

როცა უკვე სახელმწიფო წყობილებაც შეიცვალა და მთავრობაც, ხალხს სტალინის სამყაროში შესვლის სურვილი აღარ გაუჩნდა, მუზეუმი სამუდამოდ დარჩა დამთვალიერებლის გარეშე და ასეა დღემდე.

— როდის გახსნა თქვენმა მეუღლემ მუზეუმი?

— მუზეუმი 1972 წელსვე გაიხსნა — მანამდე ნოდარი წლების მანძილზე აგროვებდა ნივთებს. ნოდარმა ამისთვის ჩვენი სახლის პირველი და მეორე სართულები მთლიანად დაცალა. უამრავი ხალხი მოვიდა. ყველა აღფრთოვანებული დარჩა. მოსაწვევები თვითონ, თავისი ხელით გააკეთა ნოდარმა.

— როგორ შეძლო ამდენი ნივთის შეგროვება?

— ყიდვით, არაფერი უყიდია, ყველა საჩუქრად უძღვნიდა — ვინც იცოდა ნოდარის არსებობის შესახებ, ყველას მოჰქონდა სურათები, ბიუსტები... ყველაზე დიდი ძეგლი, რომლის სიმაღლე სამი მეტრია, მან ქალაქის ბაღიდან მოიტანა. სტალინის ძეგლებს რომ ანგრევდნენ, განსაკუთრებით მაშინ გააქტიურდა: სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, ყველა ადგილიდან მოჰქონდა ბიუსტები... ჩვენს მუზეუმში არის მდიდარი ბიბლიოთეკა და ორასამდე ფირი, რომელზეც იოსებ ბესარიონის ძისა და მისი ქალიშვილის ცხოვრების დეტალებია აღბეჭდილი. ჩვენ გვაქვს სტალინის ჩიბუხები, ფოტოალბომი, თეფშები, სტალინის დედის ბროლის სარკე, რომელიც უნიკალურია. თეფშები სტალინის მზარეულმა გამოუგზავნა. ჩემმა ქმარმა ამ მუზეუმში თითქოს სტალინის სული გამოამწყვდია.

— როგორ ფიქრობთ, დღეს რატომ არ ჰყავს მუზეუმს დამთვალიერებელი?

— ხალხმა სტალინს ზურგი შეაქცია. უმეტესობა მას ლანძღავს. მუზეუმი თითქმის დაკეტილია. აღარავინ ინტერესდება. მხოლოდ უცხოელები მოდიან და ისინიც — ძალიან იშვიათად. ჟურნალისტები იყვნენ საფრანგეთიდან და საბერძნეთიდან. რამდენიმე წლის წინ ავსტრიელი ჟურნალისტი გვესტუმრა და ფილმი გადაიღო სტალინის შესახებ. ჩვენს სახლში სამი დღე იცხოვრა. მაშინ ჩემი მეუღლე ცოცხალი იყო. ფილმში ასახულია სტალინის შვილიშვილის, ევგენი ჯუღაშვილის მოსვლა მუზეუმში. ავსტრიელმა ჟურნალისტმა ხუთასი ლარი დაგვიტოვა: ნოდარი უკვე ავად იყო და — წამლები იყიდეთო, გვითხრა სტუმარმა. ჩვენ ძალიან გვიჭირდა და თუმცა არ გვინდოდა ამ თანხის აღება, საბოლოოდ, მაინც გამოვართვით. ეს

იყო პირველი და უკანასკნელი შემოსავალი, რაც სტალინის მუზეუმმა მოგვიტანა. თუ დაიჯერებთ, არასდროს, ხუთი კაპიკიც კი არ აუღია ნოდარს დამთვალიერებლისაგან. ოღონდაც ვინმე მოსულიყო და ფულს როგორ გამოართმევდა?! ისე არ გასულა არც ერთი 21 დეკემბერი, ნოდარს სტალინისთვის დაბადების დღე რომ არ გადაეხადა. ძირითადად, რესტორანში უხდიდა დაბადების დღეებს. მოდიოდნენ მისი მეგობრები და ის ადამიანები, რომლებსაც უყვარდათ სტალინი. არ მახსოვს, რომელ წელს იყო, მაგრამ ფაქტია, რომ მჟავანაძემ *(ვასილ მჟავანაძე — საქართველოს კომპარტიის ცეკას მაშინდელი პირველი მდივანი. — ავტ.)* დაიბარა თავისთან, ნოდარი კი არ ჩავიდა, რადგან 21 დეკემბერი იყო. მეორე დღეს წავიდა თბილისში. ცენტრალურ კომიტეტში დააპატიმრეს: როგორ გაბედე, რომ დათქმულ დღეს არ ჩამოხვედიო?! — სტალინის დაბადების დღე იყო და ხომ უნდა აღმენიშნაო! — განუცხადებია ნოდარს თამამად. მხოლოდ ერთი ღამე ჰყავდათ დაკავებული... სხვათა შორის, ერთხელ იგი, ინაურმაც დააპატიმრებინა, მაგრამ გამოუშვეს, რადგან ყველა ხედებოდა, რომ საზოგადოებისთვის საშიში არ იყო, — უბრალოდ, უყვარდა სტალინი და აგროვებდა მის ნივთებს. როცა ვინმე ეკითხებოდა ნოდარს, როგორ ხარო, მაშინვე უპასუხებდა: სტალინურადო! ეს ნიშნავდა, რომ იყო მედგრად, რკინისებურად...

— ხმამაღლა თუ საუბრობდა იმაზე, რა გრძნობით უყვარდა სტალინი?

— რა თქმა უნდა. ყოველთვის ამბობდა, რომ სტალინი უყვარდა თავის ოჯახზე მეტად, საკუთარ თავზე მეტადაც. დარწმუნებული იყო, რომ მისი მსგავსი აღარასოდეს დაიბადებოდა — ბუნება მეორეს, სტალინის მსგავსს, ვეღარ შექმნიდა.

— თუ გახსოვთ ის პერიოდი, როცა სტალინი გარდაიცვალა? ძალიან განიცადა ნოდარმა?

— ეგონათ, ჯავრისგან მოკვდებოდა. ბოლთას სცემდა თურმე და ამბობდა: ახლა რაღა გვეშველებაო... ახალ ხელისუფლებას ვერ შეეგუა. ფაქტობრივად, ცხოვრებას განუდგა და სტალინის სულთან ერთად, სტალინის მუზეუმში თავისი სულიც გამოამწყვდია...

— ალბათ მორწმუნე არ იყო ბატონი ნოდარი?

— მიუხედავად იმისა, რომ სტალინი არ იყო მორწმუნე, ნოდარს მაინც სწამდა ღმერთის, ეკლესიაშიც დადიოდა და სანთელსაც ანთებდა. ამბობდა: სტალინს არ ჰქონდა უფლება, თავისი სისუსტეები ხალხისთვის დაენახვებინა, მას რომ ღმერთის იმედი ჰქონოდა, ის რომ სხვის იმედად ყოფილიყო, მაშინ ხალხს როგორღა ექნებოდა მისი იმედიო?!.

— რომელიმე ექსპონატის ყიდვის სურვილი ხომ არ გამოუთქვამს ვინმეს?

— გერმანელ ტურისტებს უნდოდათ სტალინის მცირე ზომის ძეგლის შესყიდვა, მაგრამ მე, რა თქმა უნდა, არ დავთანხმდი. მოსულები იყვნენ კოლექციონერები, მთხოვეს — მუზეუმი მოგვყიდეო. სანამ ცოცხალი ვარ, ეს არ მოხდება. ჩემი ქმარი, როცა მძიმედ იყო ავად, საკუთარ თავს კი არ ჩიოდა — იმას დარდობდა, მუზეუმს ვინ მოუვლისო. რომ კვდებოდა, ატირდა და თქვა: ჩემი სიკვდილი არაფერია — მუზეუმს რა ეშველებაო... შევფიცე, რომ სათუთად ვუპატრონებდი. ჩემს პირობას პირნათლად ვასრულებ. ■

ნე იფიქრო თავსაბური

ქვეყნის ადგილმდებარეობისა და ჯლიმატური პირობების მიუხედავად, ამ ზამთარს ქუდის ტარება აუცილებელიც ჯია, რადგან ის, ტრადიციისამებრ, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ აქსესუარად არის მიჩნეული.

მშობლების გასახარად, ქუდმა მოზარდების გარდერობში საკმაოდ მყარი ადგილი დაიმკვიდრა და ტანსაცმლის უბრალო დანამატიდან, მნიშვნელოვან სამშვენისად იქცა. თურმე თინეიჯერებს განსაკუთრებით, თავზე მჭიდროდ მომჯდარი და თვალებამოჭრილი ქუდის ვარიანტი იზიდავს (Moschino).

თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, დიზაინერები ინტენსიურად ქმნიან ბავშვებისთვის, მოზარდებისთვის,

ქალებისა და მამაკაცებისთვის განკუთვნილი ქუდების ახალ, ორიგინალურ მოდელებს. სხვადასხვა ქვეყანაში ფართოდ არის გავრცელებული, როგორც ბერეტები და შლაპები, ასევე ნაქსოვი ქუდები და კეპებიც. ისინი ბეწვის, ტრიკოტაჟის, ხავერდის, ფეტრის, ზამშისა და ქვეწარმავალთა ტყავის მსგავსი ფაქტურისგან შეიძლება იყოს შეკერილი.

ამრიგად, შესაფერისი ქუდის შერჩევა დღეს ყველა ასაკისა და გემოვნების ადამიანს შეუძლია. კლასიკური სტილის მოყვარულ ქალებს ყველაზე მეტად, ალბათ ნატურალური ბეწვით გაწყობილი პატარა შლაპები მოუხდებათ. უბრალო, ტრადიციული, ნაქსოვი ქუდი კი, ნებისმიერი მოდელის პალტოს დაამშვენებს. თამამ და ექსპერიმენტების მოყვარულ ადამიანებს, ოთხკუთხაფარფლებიანი ან სულაც, უბრალო „ქვაბუნა“ ქუდით შეუ-

წიგნი, რომელშიც ანბანზე დაწყობილ სიტყვებია ახსნილი	პიპინიას შვილიშვილი (ფილმიდან)	ზოოლოგიკოსი „უდიპლომოსასიძოდან“ (მსახ. სახ.)	ტბა აფხაზეთში	„თერგი ..., თერგი ღრიალებს“	ბარაქა	ვულკანი სიცილიაზე

პოეზიის ნიმუში ზოგადად	ალკოჰოლური სასმელი	ვალიკოს გვარი ფილმ „მიზინოში“	თმის ზოლი თვალის ზემოთ	... სხვის ომში ბრძენიაო	სახელმწიფო ინდოჩინ ნახევარკუნძულ	

ქალის ბევრი

ძლიათ დაიმშვენონ თავი. განსაკუთრებით მოდური — „დუბლიონკის“ ტყავის ქუდი კი, ყველაზე პრეტენზიული ადამიანების მოთხოვნასაც კი დააკმაყოფილებს (Louis Vuitton).

მოდურ თავსაბურავებს შორის, კვლავინდებურად მყარი ადგილი აქვს დამკვიდრებული სხვადასხვა ფორმის ბერეტს. Christian Dior-ის მოდის სახლი კი, თანამედროვე მოდის მიმდევრებს უზარმაზარ, რბილ ბერეტებს სთავაზობს.

ძალზედ მოხდენილად ითვლება აგრეთვე მაღალბეწვიანი, დიდი ქუდები (Louis Feraud).

„უშანკის“ პოპულარობა კი, ზამთარში მუდამ პიკს აღწევს. ეს, თითქოს უბრალო ქუდი, ბოლო დროს დიზაინერებმა საგრძნობლად შეცვალეს — გაალამაზეს და ერთ-ერთ ჰიტად აქციეს. მის დიზაინში ცვლილება ყველამ შეიტანა: ზოგმა ფერით, ზოგმა კი, „უშანკა“ ხელოვნური ბეწვით დაამშვენა, თუმცა, ძირითადი შტრიხები მაინც უცვლელი დარჩა: მოდური „უშანკა“ წარბებამდე უნდა იყოს ჩამოწეული, მთლიანად უნდა ფარავდეს კეფას და ყურებს და თავისუფლად იკვრებოდეს ნიკაპთან.

უწინდებურად პოპულარულია კაპიუშონი. მათთვის, ვისაც ქუჩაში უქუდოდ გასვლა უყვარს, სიცივეში კაპიუშონი შეუცვლელი თავსაბურავია. ე.წ. თავისუფალი სტილი კაპიუშონსაც შეეხო: ის შეიძლება იყოს შალის, ტრიკოტაჟის, მოირთოს ბუნებრივი ან ხელოვნური ბეწვით. გაჩნდა ისეთი კაპიუშონიც, რომელიც ტანსაცმელს არ მოჰყვება; მას კისერზე იხვევენ და არა მარტო პალტოს ან ქურთუკის, არამედ სვიტერის შესანიშნავ დანამატადაც გვევლინება. ამ სიახლეს სკაფანდრს ან უბრალოდ, შლემს უწოდებენ.

დაბოლოს: ვისაც მიაჩნია, რომ არანაირი ქუდი არ უხდება, ძალიან ცდება, — მას უბრალოდ, თავსაბურავის ტარება არ უყვარს. გამოსავალი, ფართო შარფების ან ტრიკოტაჟის ლენტების გამოყენებაშია. მათი მეშვეობით, საკმაოდ ორიგინალური თავსაბურავის შექმნა შეიძლება. ასე რომ, მოიზომეთ მოდური ქუდები და თამამად შეარჩიეთ თქვენთვის ყველაზე შესაფერისი! ■





...ამული, ...ნალი	მოწოლების შეტანილი	... მოტანილს ქარავე წაიღებსო	ციხის ნაგრევები მცხეთასთან	სასიმღერო პარტია	უგრძესი მთათა სისტემა ამერიკის კონტინენტზე			მჭედლის იარაღი
„იგი, ... და სხვა მოვა ტურფასა...“	ტკბილი, კრისტალური ნივთიერება	ჭიდაობის ილეთი	იგივეა, რაც საზიარო	მუსიკაში რამდენიმე ბგერის აღება ერთად	ფრანგ. სიგრძის ერთ. (ძვ.)	გამის ნოტი	პარტიის ხელმძღვანელი ორგანო ძველად	

სალომე შოშიტაშვილი

სუბსარქისის ქარები და ყვავის მოყვანილი საბედო...

„უცხო სიზმრის“ მოლოდინში...

სუბსარქისის მარილიანი კვერები.

სურბ-სარქისი მითოლოგიური პერსონაჟიდან მოდის.

„ოცნებათა აღმსრულებელი“ წმინდანი...

— ვისაც მე ვუცხობ მარილიან კვერებს, ყველა თხოვდება, — ამბობს ნაზო ბებო.

დაიწყება თებერვლის ქარები და თბილისის ძველი უბნები თითქოს გამოცოცხლდება. გასათხოვარი გოგონები მეზობელ სომეხ მოხუც ქალებთან მოუხშირებენ სიარულს. მოხუცებიც „დატრიალდებიან“ და ბედის მაძიებელთ მარილიან კვერებს დაუცხობენ...

მთელ დღეს პირს არაფერს დააკარებენ გოგონები, საღამოს კი მლაშე კვერებს „გემრიელად“ მიირთმევენ და დიდხანს ვერ დაიძინებენ „უცხო სიზმრის“ მოლოდინში.

სიზმარში ოქროსრაშიანი არა, მაგრამ საოცნებო რაინდი კი მოვა. თუ გოგონებს დავუჯერებთ, აუცილებლად მოვა და მოწყურებულ საპატარძლოს წყალს დაალევინებს...

გოგონა, რომელიც ასეთ სიზმარს ნახავს, იმ წელიწადს უეჭველად გათხოვდება...

მიხვდით ალბათ, სუბსარქისის მარილიან კვერებზე გიამბობთ, რომლის გამოცხობის რიტუალი ჯერ კიდევ შემორჩენილა თბილისში.

ამჯერად ვესაუბრებით „გზის“ მკითხველისთვის უკვე ნაცნობ, ძველი თბილისის მკვლევარს, პროფესორ **თეიმურაზ ბერიძეს**.

— ბატონო თემო, თუ არ ვცდები, თბილისში იყო სუბსარქისის სახელობის სომხური (გრიგორიანული) ეკლესია.

— ეს ეკლესია იდგა ძველ უბანში — სეიდაბადში (ახლანდელი იოსებ გრიშაშვილის ქუჩა). დღეს ამ ეკლესიის რამდენიმე კედელია შემორჩენილი, რომელზეც მოგვიანებით საცხოვრებელი ბინა დაუშენებიათ. ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში მარმარილოს ფილაა ჩასმული, რომელზეც სომხურ-ქართული წარწერაა: „აღვაშენე და შევწირე ოთახი ესე წმინდის სურბ-სარქისის ეკლესიისათვის თელავის მოქალაქე იაგორ არუთინას ძე ოსკანოვმა მოსახსენებლად სულისა ჩემისა და მშობლებისა ჩემისა“. წარწერა 1883 წლით არის დათარიღებული. ასე რომ, სურბ-სარქისი სომეხთა ერთ-ერთი წმინდანია, რომლის სახელს დღესაც არაერთი გრიგორიანული ეკლესია ატარებს (დროთა განმავლობაში ფუძისეული „რ“ დაიკარგა და წმინდანი უბრალოდ სუბსარქისად მოიხსენიება).

— ვინ იყო სურბ-სარქისი (წმინდა სარქისი)?

— სურბ-სარქისი სომხური მითოლოგიური პერსონაჟიდან მოდის. როგორც ჩანს, იგი ქარისა და ქარიშხლის ღვთაება ყოფილა, მგლებისა და ნისლის მეუფე. როცა ადამიანები მგლების თავდასხმის საშიშროებას გრძნობდნენ, ლოცვით მიმართავდნენ სარქისის ღვთაებას, რომ მას ნისლითა და ქარიშხლით გზა გადაეღობა ნადირისთვის და მლოცველიც განსაცდელს გადარჩენოდა.

მითოლოგიური წარმოდგენით, სარქისი ულამაზესი შეიარაღებული მხედარია, თეთრ ცხენზე ამხედრებული. იგი ცდილობს დაეხმაროს ყველას, ვინც მისთვის ლოცულობს, ხოლო ურწმუნოთ და ავსულთ ქარითა და ქარიშხლით ებრძვის. სარქისის შესაწირი ფქვილია და თებერვალში, როცა ქარიანი დღეები დასასრულს უახლოვდება, სომეხთა ოჯახებში ამზადებენ ხორბლის ფქვილისგან ქუმელს (მსხვილად დაფქულ მოხალულ ხორბალს ურევენ თაფლს ან შაქარს) ან იმავე ხორბლისგან მოხარშავენ ფაფას და დადგამენ სახურავზე ან სახლის კართან. თუ ქუმელზე ან ფაფაზე ცხენის ფლოქვის კვალი აღმოაჩინეს, ეს ბედნიერების ნიშანია. დასაქორწინებელი გოგო-ბიჭები მარილიან კვერებს რომ მიირთმევენ, საბედოს ნახვის იმედით, ესეც იმის ნიშანია, რომ სურბ-სარქისი „ოცნებათა აღმსრულებლად“ ჩათვალონ და კიდევაც ასე უწოდებენ მას.

— ბატონო თემო, რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ არცთუ ისე იშვიათად, მარილიან კვერებს გრიგორიანელ თანატოლებთან ერთად, მართლმადიდებელი ქართველი გოგო-ბიჭებიც სიამოვნებით მიირთმევენ?

— ამ ძველთბილისური რიტუალის „გაქართულება“ ქართველთა და სომეხთა მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების შედეგია. გასული საუკუნის დასაწყისში, სუბსარქისის ღამის სიზმრებს ქართველი გოგონებიც მოუთმენლად ელოდნენ.

წმინდა სარქისის დღე მოძრა-

ვია. იგი უმეტესად თებერვალში აღინიშნება. სურბ-სარქისის დღემდე ერთი კვირით ადრე, ახალგაზრდები იწყებენ მარხვას. წინა ღამით კი აცხობენ მლაშე კვერს და ძილის წინ ჭამენ. ესიზმრებათ საბედო, რომელიც მოწყურებულს წყალს ასმევს. „სიზმრადმყოფმა“ ისიც კარგად უნდა დაიხსომოს, თუ როგორი ჭურჭლიდან დაალევინებენ წყალს – ოქროსა და ვერცხლის სასმისი მდიდარ საბედოზე მიანიშნებდა, სპილენძისა და თიხის – საშუალო შეძლების მქონეზე, ხოლო ხის ჭურჭელი ღარიბისა იყო...

მლაშე კვერის გარდა, საბედოს მაძიებელნი სქელ ფაფას ხარშავდნენ, ამ ფაფას „ყვავის ფაფას“ უწოდებდნენ. ფაფას თეფშით გარეთ გადგამდნენ (ფანჯრის რაფაზე ან სახლის ბანზე) და მოუთმენლად ელოდნენ მერე ყვავის მოფრენას. მოფრინდებოდა ყვავი, მოულხენდა გემრიელ ფაფას და ახლა მის გაფრენას დაუწყებდნენ ლოდინს, საითაც გაფრინდებოდა ან რომელი სახლის სახურავზე დაჯდებოდა „ბატონი ყვავი“, ბედის ვარსკვლავსაც იქიდან მოელოდნენ.

— გამოდის, რომ სუბსარქისობა საბედოს მომლოდინე გოგო-ბიჭების დღესასწაული ყოფილა...

— გარდა ამისა, წმინდა სარქისს ხვავსა და ბარაქას შესთხოვდნენ, მტრის დამარცხებაში დამხმარედ და შემწედ მიიჩნევდნენ და რაც უფრო ძლიერი ქარი იქნებოდა ამ დღეებში, მით უფრო მეტი მტერი იქნებოდა „უკუქცეული“...

— გრიგორიანული ეკლესია თუ აღნიშნავს სუბსარქისის დღესასწაულს?

— რა თქმა უნდა, აღნიშნავს. ამ დღეს სომხურ ეკლესიასთან ყოველთვის ხალხმრავლობაა.

...

ერთი სომეხი მეზობელი მყავს, ნაზო ბებო, რომელსაც ორი შვილი ჰყავს და ორივე ამერიკაში ცხოვრობს. ეხვეწებიან – წაგიყვანთო, მაგრამ ნაზო ბებო სასტიკ უარზეა, თბილისში დავიბადე და აქედან ფეხის გამდგმელი არსად ვარო.

ახლა ნაზო ბებო ჩვენი სტუმარია, უფრო სწორად მე ვარ მისი სტუმარი:

— უიმე, სალომეჯან, როგორ გამახარე... შე ეშმაკო, შენა, იცი რო კვერები უნდა დავაცხო და მაგიტო მოდი, არა?

— რა კვერები, ნაზო ბებო?

— მითომ არ იცი, სუბსარქისობა რო მოდის. იცი, რამდენი მირეკამს: ნაზო ბაბო, შენ ვისაც მარილიანი კვერები უცხობ, ყველა თხოვდებაო...

— ეს რა კარგი რამ მითხარით, მე მარილიანი კვერისთვის კი არ მოვსულვარ, სუბსარქისის შესახებ მაინტერესებს, რა იცით?

— სულ ყველაფერი, სულ ყველაფერი ვიცი, მაშ! გუშინ ეკლესიაში უთხრეს, 25 თებერვალს იწყება წელსა სუბსარქისობა და 2 მარტს თავდება.

— თქვენ როგორ ემზადებით ამ დღის აღსანიშნავად?

— მე რა, შვილო, ქუმელა გააკეთოს და ეგ არის. ამ დღის ქუმელასა ჩვენ წუმს ვეძახით. ქუმელა ხო იცი, როგორ კეთდება – ხორბალი დაფქული ვიყიდი, მოვხალამ და თაფლიანი წყალი აურევ, თუ თაფლი არ არი, შაქრიანი წყალი აურევ, მაშ! იგეთი გემრიელია, რომა... მამაშენი უყვარს ჩემი გაკეთებული ქუმელა.

— ჩემს ბებოსაც თქვენ ასწავლეთ ქუმელის გაკეთება?

— ვასწავლე, მაშ! აბა, კაი მეზობლობა როგორ გინდა!

— წელან კვერები ახსენეთ...

— ხო ვიცოდი, მაგითვინ მოხვედი და არ გინდა, გამოტყდე. ნუ გეშინია, შენც გამოგიცხობ, ნაზო ბაბო გენაცვალოს. ოღონდ 2 მარტს მთელი დღე არაფერი ჭამო, წყალიც არ დალიო, მერე ჩემი კვერი ჭამე, დაიძინო, საბედო ნახო...

— რომ ვერ ვნახო?

— არ შეგეშინდეს, „ზნაჩიტ“ წელს არ გათხოვდები, გაისად ნახამ, ნაზო ბაბო აქ არ არი, კიდევ გამოაცხობს კვერებსა...

ასე დაიმედებული გამომისტუმრა ნაზო ბებომ.

P.S. ...იოსებ გრიშაშვილის ლექსი გამახსენდა, სუბსარქისზე დაწერილი. გადავფურცლე წიგნი და.... „თათრის ქალი სუბსარქისში“ – ასე ჰქვია მის ერთ სონეტს:

შენმა ყაბარჩამ
უცხო ქოში ვერ შეითვისა,
დადიხარ მუდამ სუბსარქისში,
ჩემო ლამაზო,
ინახავ წუმსა, რომ
სიზმრებით შემოიყაზმო,
მაგრამ რად გიყვარს შენ,
თათრის ქალს,
ხაფება სხვისა?

თურმე ნუ იტყვით და, თბილისელი თათრის ქალებიც მიირთმევდნენ სუბსარქისის კვერებს სომეხ და ქართველ გოგონებთან ერთად.

რას იზამ, საბედოს მოლოდინს ბევრი რამ შესძლებია...

■

ნინო სალუქვაძე: დაჯვირვებული ვარ, რომ ჯერიოწული შემთხვევების დროს მიზანში უფრო კარგად ვისვრი

ტყვიის სროლაში ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის, ნინო სალუქვაძის ოჯახში ინტერვიუს ასაღებად ჩემი სტუმრობა სწორედ იმ საღამოს დაემთხვა, როდესაც საქართველოს მორაგბეთა ნაკრები გასვლაზე პორტუგალიის გუნდს ხვდებოდა. წინასწარ ვიცოდი, რომ ქ-ნი ნინოს მეუღლე, გოჩა მაჭავარიანი ყოფილი მორაგბე და სპორტის ამ სახეობის დიდი ქომაგი იყო, რაც კიდევ უფრო მეტად მის ოჯახში შესვლისას ვიგრძენი. ბ-ნი გოჩა მეგობრებთან ერთად დიდი მღელვარებით ადევნებდა თვალს პორტუგალია-საქართველოს მატჩს. „ჩვენები აგებენ," — გულგატეხილმა მითხრა ნინო სალუქვაძემ და სასტუმრო ოთახში შემიპატიჟა, თუმცა წინადადება არც კი დაემთავრებინა, რომ მეზობელი ოთახიდან სასიხარულო შეძახილები გაისმა... ქართველებმა ლელო დადეს. ოლიმპიური ჩემპიონის ოჯახში განსაკუთრებულად შეიმჩნეოდა 4 წლის ცოტნე მაჭავარიანის ყოფნა, რომელიც თავისი მოუსვენრობითა და სიცელქით მთელ სახლს „თავზარს სცემდა". ცოტნესაგან განსხვავებით, სიმშვიდით გამოირჩეოდა მისი 7 წლის და, ნინო, თუმცა ორივე დიდ ინტერესს იჩენდა იმის მიმართ, თუ რატომ ლაპარაკობდა ამდენს მათი დედიკო. შუა საუბარში ვიყავით, როდესაც ცოტნემ კიდევ ერთხელ შემოყო სასტუმრო ოთახის კარში თავი და აღტაცებით შესძახა: „მოვიგეთ!"...

ალექსი რეხვიაშვილი

ნინო სალუქვაძე ტყვიის სროლაში საერთაშორისო სარბიელზე 15 წლის ასაკში, 1985 წელს გამოჩნდა, როდესაც ევროპის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებს შორის. 1986 წელს კი, მსოფლიო ჩეპიონატზე გუნდური პირველი და ინდივიდუალური მესამე ადგილი დაიკავა. 1987 წელს იგი კვლავ გახდა ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. 1988 წელს ნინო სალუქვაძე ტყვიის სროლის ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი ქალი, რომელიც 19 წლის ასაკში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი (ეს რეკორდი მას შემდეგაც არავის გაუუმჯობესებია). 1989 წელს მან მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო ერთი წლის შემდეგ კი, კვლავ ევროპის ჩემპიონი გახდა. შემდგომშიც, ქართველი მსროლელი კიდევ რამდენჯერმე გახდა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი, დაამყარა 20-ზე მეტი რეკორდი, 6-ჯერ მოიგო მსოფლიოს სუპერთასი, რომელშიც მხოლოდ მსოფლიოს საუკეთესო რვა სპორტსმენი მონაწილეობს. ეს რვა სპორტსმენი წლის განმავლობაში მსოფლიო თასის ოთხჯერ გათამაშებაში მოიპოვებს სუპერთასზე მონაწილეობის უფლებას (თითო მსოფლიო თასზე ორი სპორტსმენი შეირჩევა). ეს მეტად პრესტიჟული ტურნირი ნინო სალუქვაძემ ბოლოს, 1999 წელს მოიგო. „ვისვრი ორი სახეობის იარაღიდან. ერთ-ერთი მათგანია პნევმატური იარაღი, — ამბობს **ნინო სალუქვაძე**. *— ადრე პნევმატურ იარაღში შეკუმშული ჰაერი გამოიყენებოდა. ამჟამად ამ იარაღს გაზის ბალონი აქვს მიერთებული, რისი მეშვეობითაც უფრო მაღალი შედეგების მიღწევაა შესაძლებელი. მეორე იარაღია „გეკოს" სპორტული პისტოლეტი, რომლითაც 25 მეტრის დისტანციაზე ვისვრით. „გეკოს" პისტოლეტით ვესვრით მრგვალ სამიზნესაც და აგრეთვე ვისვრით ჩქაროსნულადაც. ჩქაროსნულ სროლაში იგულისხმება სამ წამში ერთი გასროლა. ამ დროს ხელი, რომლითაც იარაღი გიჭირავს, ძირს გაქვს დაშვებული. როდესაც ფარი მოტრიალდება, სამი წამის განმავლობაში უნდა დაუმიზნო და ესროლო. ქართული ხასიათიდან გამომდინარე, მე ამ დისციპლინაში უფრო წარმატებულად ვასპარეზობ. ოლიმპიადა სწორედ სპორტული იარაღით მოვიგე, პნევმატური იარაღით კი, მეორე ადგილი დავიკავე".*

— თავად იარაღის ხარისხსა და მოდელს დიდი მნიშვნელობა აქვს?

— ამ სპორტში იარაღის მოდელს მართლაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რომ ვერ გააგრძელო ახალი მოდელის იარაღით ვარჯიში, ეს დიდად იმოქმედებს სპორტულ შედეგებზე. ეს ფაქტი პნევმატურ იარაღთან მიმართებაში უფრო შეიმჩნევა. ადრე ასეთი ტიპის იარაღის გადატენისთვის დიდი ფიზიკური ძალა იყო საჭირო. ახლა მას უფრო ადვილად გადატენი, რადგან ბალონით არის აღჭურვილი. სიზუსტის მხრივაც, ყოველი ახალი მოდელის იარაღი წინამორბედზე გაცილებით გაუმჯობესებულია. ამასთან ერთად, ყველა

პაგარა ნინო დედ-მამასთან ერთად

იარაღი ინდივიდუალურია. მას ყველა ისე ამზადებს, რომ საკუთარ ხელზე მოირგოს. მისი სამიზნეც (ნიშანი) შენს თვალზე უნდა იყოს გასწორებული, შენთვის მოსახერხებელი სასხლეტი ჰქონდეს და ა.შ. მაგალითად, ჩემი იარაღიდან ვერავინ ისროდა ნორმალურად, თვით მამაჩემიც კი. ორი ზუსტად ერთნაირი იარაღიც რომ იყოს, ზუსტად ერთნაირ სასხლეტს ვერ დაუყენებ. სასხლეტმა უნდა მოგცეს საშუალება, რომ ნერვიულობის, სტრესის დროს შენი ტექნიკა არ დაირღვეს და იოლად ისროლო.

— როგორ დაიწყეთ ვარჯიში და რატომ ამოირჩიეთ მაინცდამაინც ტყვიის სროლა?

— სპორტის ამ სახეობაში საერთოდ ვარჯიშს გვიან იწყებენ, იმიტომ, რომ აქ იარაღთან გაქვს საქმე. ამასთან ერთად, მოზარდს ძვლები უნდა ჰქონდეს გამაგრებული, რადგან, კილოგრამნახევრიანი იარაღის ორი-სამი საათის განმავლობაში ხელში ჭერა ძალიან ძნელია. მამაჩემი, ვახტანგ სალუქვაძე, წარსულში ტყვიის მსროლელი იყო, ჩემი პირველი მწვრთნელიც ის გახდა და დღემდე დამყვება შეჯიბრებებზე. ისე, ბავშვობაში მეც მუსიკაზე, ცეკვაზე დავდიოდი. ოთხი წელი კალათბურთზეც ვიარე. პირველად ქალაქის ჩემპიონი სწორედ კალათბურთში გავხდი. საწვრთნელ შეკრებაზეც პირველად მწვანე კონცხზე, როგორც კალათბურთელი, ისე ვიმყოფებოდი. შემდეგ კალათბურთს თავი დავანებე და თავისუფალ დროს უქმად რომ არ ვმჯდარიყავი, ტყვიის სროლაზე შემიყვანეს. უნდა ითქვას, რომ კალათბურთი მოძრავი, მხიარული თამაშია, ტყვიის სროლაში კი, საათობით უნდა იდგე და მოთმინებით ისროლო. მიუხედავად ამისა, ორ წელიწადში უკვე სპორტული შედეგი ვაჩვენე. მაშინ იუგოსლავიაში, ქალაქ ოსიეკში (რომელიც დღეს განადგურებულია) ვიმყოფებოდი და პირველი კურიოზიც იქ შემემთხვა. ჩვენ გვაძლევდნენ ტყვიებს, რომელსაც „ოლიმპი" ერქვა. ამ ტყვიებს საბჭოთა კავშირში, ერთ-ერთ გასაიდუმლოებულ ქარხანაში ამზადებდნენ. სროლის შემდეგ ვაზნებსაც ვაგროვებდით, რათა უცხოელებს მისი დამზადების ტექნოლოგია არ შეესწავლათ. ეს ტყვიები ხელით იწყობოდა და წარმოიდგინეთ, მე მაინც წუნიანი შემხვდა, შიგ დენთი არ იყო. როდესაც გავისროლე, რაღაც ხმა მეუცნაურა. ხელმეორედ სასროლად გადავტენე და შიგ ტყვია ძლივს ჩავდე. ვერ მივხვდი, რომ წინა ტყვია არ იყო გავარდნილი და ვაზნას დაშორებული — თურმე ლულაში გაჭედილიყო. გასროლისას ორი ტყვია ერთად გავარდა. სხვათა შორის, ეს შემთხვევა შეიძლებოდა ტრაგიკულადაც დამთავრებულიყო, მაგრამ მე ძალიან კარგი ხარისხის იარაღი მქონდა და საბედნიეროდ, ლულა არ გასკდა. ერთდროულად გავარდნილი ორი ტყვია კი, ცხრიანსა და რვიანში მოხვდა და ერთი დიდი ნახვრეტი გაკეთდა, რასაც მსაჯები გაკვირვებულნი უყურებდნენ. უკვირდათ, ამხელა ნახვრეტი ერთმა ტყვიამ როგორ გააკეთაო. მანამდე სამჯერ ათიანში მქონდა გარტყმული და ძალიან გავბრაზდი. ბოლო სროლა მსაჯებმა ჩათვალეს, თუმცა ისინი, ისევე, როგორც მე, ვერაფერს მიხვდნენ. მხოლოდ მაშინ გავიგე, თუ რაში იყო საქმე, როდესაც ჩემი იარაღის გაბერილი ლულა შევნიშნე. მეორე დღეს ამ გაბერილლულიანი იარაღით ისეთი შედეგი ვაჩვენე, რომ სამი ქულით გავუსწარი ჩემს მთავარ მეტოქეს. შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც უკვე ფინეთში ტარდებოდა, სასხლეტი გამიტყდა. წავიდა მამაჩემი და ხელოსანი მოიყვანა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ჩემს იარაღს წუნიანი დეტალი ჰქონდა და ამიტომ ვერაფერი მოარგეს. ჩვენს გუნდში ისეთივე იარაღი მხოლოდ ერთ ბიჭს აღმოაჩნდა. იმ უცხო იარაღით ვისროდი და საკმაოდ კარგ შედეგებს ვაჩვენებდი, რაც თავადაც მიკვირდა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ჩემს უახლოეს მდევარს მხოლოდ ერთი ქულით გავუსწარი და ისე გავიმარჯვე. დაკვირვებული ვარ, როდესაც ხელს არაფერი მიშლის, მაშინ უფრო ვერ ვისვრი.

— დედაც დაინტერესებული იყო თქვენი სპორტული კარიერით?

— დიახ, დედაჩემი, ნანული სალუქვაძე, ამ მხრივ ყოველთვის ზრუნავდა ჩემზე. წარმოიდგინეთ, საბჭოთა პერიოდში, როდესაც საწვრთნელ შეკრებებზე დღეში თითო კაცის კვების საფასური 16 მანეთი იყო, დილით წითელი ხიზილალა გვქონდა, შუადღისას შავი და საღამოს ორივე ერთად — და მაინც ვერ ავსებდნენ აღნიშნულ თანხას და კანფეტებს გვიმატებდნენ ხოლმე. მიუხედავად ასეთი გაძლიერებული კვებისა, საწვრთნელ შეკრებებზე ყოფნის დროს, მაინც ვხდებოდი ხოლმე, რაც ალბათ სახლიდან ჩემი დიდი ხნით მოშორებით იყო გამოწვეული. როდესაც თბილისში ვბრუნდებოდი, დედას მაშინვე გაძლიერებულ კვებაზე გადავყავდი, რათა წონაში კვლავ მომემატებინა. მთელი ოჯახი ყოველ მხრივ გვერდით მედგა, თუმცა, არავინ იფიქრებდა, რომ ვარჯიშის დაწყებიდან უკვე ორ წელიწადში (15 წლის ასაკში) საერთაშორისო სპორტის ოსტატი გავხდებოდი. როდესაც საქართველოს ნაკრებში შემიყვანეს, იქ სპორტის ოსტატობის ერთი-ორი კანდიდატი იყო მხოლოდ. დღესაც მახსოვს რჩევა, რომელიც მამამ მაშინ მომცა. ძლიერებს შეეჯიბრეო, მითხრა მან. სხვათა შორის, იმთავითვე, ერთი კარგი თვისება აღმომაჩნდა. ვარჯიშზე მიღწეულ შედეგს შეჯიბრებაზე ყოველთვის ვაუმჯობესებდი. ამით მამაჩემიც გაკვირვებული იყო, რადგან სხვა სპორტსმენების შემთხვევაში პირიქით ხდებოდა.

— არავისთვის უცხო არ არის, რომ საქართველოში დღეს სპორტსმენები სრულიად უყურადღებოდ არიან მიტოვებულნი. ამ მხრივ გამონაკლისი ალბათ არც თქვენ ხართ. ხომ არ გაგიჩენიათ სურვილი იმისა, რომ სხვა ცნობილი ქართველი სპორტსმენების მსგავსად, ასპარეზობა საზღვარგარეთ გაგეგრძელებინათ ან საერთოდ დაგენებებინათ აქტიური სპორტისთვის თავი?

— ვარჯიშისთვის მართლაც არანაირი პირობები არ მაქვს. ღია სასროლეთი თბილისში დღემდე არ გვაქვს და დახურულ ტირში ვვარჯიშობ. დახურული ტირის შემდეგ კი, ღია ცის ქვეშ, ბუნებრივ განათებაზე სროლა ძალიან ძნელია. ასეთი პირობების გამო, ხშირად გამჩენია სპორტისთვის თავის დანებების სურვილი. სიმართლე გითხრათ, ამჟამადაც ძალიან მოშვებული ვარ. ადრე თითქოს იმედი მაინც იყო, ახლა ესეც აღარ არის. საქართველოდან არც ერთხელ არავის დავუსპონსორებივარ. 1993-94 წლებში კი, ერთმა იტალიელმა ბიზნესმენმა გამოთქვა ჩემი სპონსორობის სურვილი. სწორედ მისი საშუალებით მივიღე შემდგომ ტურნირებში მონაწილეობა. რაც შეეხება უცხოეთში წასვლას, სხვადასხვა ქვეყნიდან მიწვევა არაერთხელ მიმიღია. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ერთ-ერთ

ამშ-მი ჩაგარებულ ტურნირზე ჩასული ნინო მეუღლითურთ

ტურნირზე, ჩუმად, სამხრეთ აფრიკის დეკლარაცია გადმომცეს. მოგეხსენებათ, მაშინ უცხოელებთან კონტაქტი გვეკრძალებოდა. შემდგომშიც, მრავალ ქვეყანაში მიწვევდნენ, მაგრამ სხვაგან წასვლის სურვილი არასოდეს გამჩენია, დროებით კი, ვერ წავიდოდი, რადგან ჩვენი სპორტის სახეობა პროფესიონალური არ არის, ამიტომ, კლუბის სახელით ვერ გამოხვალ და თუ სადმე წახვალ, იქაური მოქალაქეობა უნდა მიიღო. მე კი, მსურს, რომ ბედნიერი აქ ვიყო. თუმცა, ბიჭი რომ ვყოფილიყავი, ალბათ წავიდოდი, რადგან ოჯახი მეყოლებოდა სარჩენი, მით უმეტეს, რომ ჩვენი სპორტი, ასაკის მხრივ შეზღუდული არ არის.

— რომელი ტურნირი იყო ყველაზე რთული თქვენთვის?

— ყველაზე რთული ჩემთვის ატლანტის ოლიმპიადაზე გამოსვლა იყო. მსგავსი ნერვიულობა არც ერთ შეჯიბრზე არ გადამიტანია. ძალიან კარგად ვიყავი მომზადებული და დღესაც გაოგნებული ვარ იმით, რაც ფინალში მოხდა. ის დღე ახლაც ძალიან მტკივნეულია ჩემთვის.

— შვილებს თუ გამოჰყვათ თქვენი ნიჭი?

— ქვეყანა რომ იქცეოდეს, ნინო ფეხს არ აუჩქარებს. ჩვენი სპორტისთვის ეს ძალიან კარგი თვისებაა. ცოტნეს კი, მამაჩემის ერთი ამერიკელი მეგობარი, მოუსვენრობის გამო, „ცოტნე მატორჩიკას“ ეძახდა. თქვენც ხედავთ, რომ ის ერთი წამითაც არ ჩერდება. ჯერჯერობით მსურს, რომ გაკაჟების მიზნით, ორივე ცურვაზე ვატარო.

— თუ განიცდიან ხოლმე ნინო და ცოტნე ხანგრძლივი დროით თქვენს შინ არყოფნას?

— სხვათა შორის, ნინო ერთხელ ევროპის ჩემპიონატზე მყავდა წაყვანილი. მაშინ ის ხუთი წლის იყო და დილიდან საღამომდე სასროლეთზე ყოფნამ ძალიან დაღალა. დაჯილდოება საღამოს 7 საათზე უნდა გამართულიყო. „დედიკო, წავიდეთ, რა, სახლში, ასეთი მედლები ხომ გაქვს და აღარ გვინდა“, — მეუბნებოდა შეწუხებული. როდესაც საზღვარგარეთ მივდივარ ხოლმე, ცოტნე გამოსამშვიდობებელ რიტუალს ატარებს, რაც ჩემს ხანგრძლივ კოცნაში გამოიხატება. შემდეგ, ყოველი თვითმფრინავის დანახვისას ამბობს, რომ მე იქ ვზივარ. როდესაც ტელეფონით მესაუბრება, თითებით „მაჩვენებს“ და მეუბნება: ამდენი დღე დაგრჩა ჩამოსვლამდე? მეც ვპასუხობ ხოლმე: „ჰო, დედა, ორი დღე დამრჩა“. ცოტნე ახლა ბაღში დამყავს, რომ ცოტა დამოუკიდებლობას მიეჩვიოს. ბაღში ორი ძმაკაცი მყავს და ერთი შეყვარებულიო — მითხრა ერთხელ.

— თქვენი იარაღებით ჯერ არ დაინტერესებულა ცოტნე?

— როგორ არა. კარგად ვტენი ამასო, გაიძახის ხოლმე. სასროლეთზე კი, ჯერ ვერ წავიყვან, რადგან ძალიან გადარეულია. იარაღთან მიმართებაში ძალიან პედანტური ვარ. ყველაფერი სეიფში მაქვს შენახული.

— თქვენი მეუღლე როგორ გაიცანით?

— ერთხელ და ორჯერ ნანახ მამაკაცზე არასოდეს არაფერს ვიფიქრებდი, თუმცა, თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენელი ყოფილა ჩემი თაყვანისმცემელი. მაგრამ ვერ წარმომედგინა სხვა ქვეყანაში გათხოვება. თავიდანვე ვიცოდი, რომ ჩემი მეუღლე მხოლოდ ჩვენებური უნდა ყოფილიყო. ერთხელ, ჩემი ინსტიტუტელის ქორწილში ვიყავი. იგი მორაგბეზე ქორწინდებოდა და, რა თქმა უნდა, ამ ფაქტის გამო, იქ ბევრი მორაგბე იმყოფებოდა. როდესაც მათ თვალი გადავავლე, ყველაზე ნაკლებად გოჩა მომეწონა. თუმცა მაშინ მისი სახელიც არ ვიცოდი. შემდეგ ერთად მოვხვდით სუფრასთან და ვიდრე თამადა სადღეგრძელოს იტყოდა, შევნიშნე, რომ გოჩამ უკვე სამი ჭიქა დალია. ვიფიქრე, ეს ვინ ყოფილა-მეთქი და „სიიდან“ საერთოდ ამოვშალე. ამის მერე მან ჩემი ტელეფონის ნომერი გაიგო და მირეკავდა, თუმცა, შეხვედრაზე არ ვთანხმდებოდი. შემდეგ იყო აფხაზეთის ომი, სადაც გოჩა იბრძოდა და მძიმედ დაიჭრა. ამ შემთხვევამ ჩემზე საოცრად იმოქმედა, რადგან დავრწმუნდი, რომ მას პატრიოტული გრძნობა აქვს. დაჭრილის სანახავად საავადმყოფოშიც მივედი. შემდეგ მოსკოვში ერთ-ერთი ახლობლის ოჯახში ვიმყოფებოდი, რადგან იქ ჩასულს სასტუმროს ნომერი არ დამახვედრეს. გოჩა მოსკოვში მკურნალობდა და ძალიან გამიკვირდა, როდესაც დამირეკა, რადგან ვერ მივხვდი, ნომერი საიდან გაიგო. მოსკოვში ერთმანეთს ვხვდებოდით და 1993 წელს ჯვარიც დავიწერეთ. იმ წელიწადს ყველა შეჯიბრება მოვიგე, ერთი წლის შემდეგ კი, ნინო შემეძინა. როდესაც მეორე ბავშვს ველოდებოდი, ნინოს ვეკითხებოდი, ვინ გინდა, რომ დაიბადოს-მეთქი. ის მპასუხობდა: თუ ბიჭი დაიბადება, მანქანას დავარქმევ და თუ გოგო — „ლუსტრასო“. 1997 წელს, ცოტნეს დაბადების შემდეგ, გოჩასგან მივიღე წერილი, სადაც ეწერა: „მე და ნინოს ძალიან გვიხარია მანქანის შეძენა“.

— თქვენი მეუღლე ძალიან მკაცრია? ხომ არ გაზღუდავთ?

— გოჩა ძალიან მკაცრია ბავშვებთანაც და ისეც, თუმცა — შეგნებულად მკაცრი. რამდენჯერმე ჩემთან ერთად შეჯიბრებაზე იყო წამოსული და დარწმუნდა, რომ იქ ძალიან ჯანსაღი სიტუაცია სუფევდა. გარდა ამისა, ჩემშიც დარწმუნებულია და იცის, რომ ჩემგან არავითარი პრობლემა არ შეექმნება. ისე კი, როდესაც შეჯიბრებებზე ვიმყოფები, ძალიან უჭირს ხოლმე. მეუბნება: უშენოდ ერთი-ორი დღე შემიძლია გავძლო, მერე მიძნელდებაო.

— ტყვიის სროლის გარდა, კიდევ სპორტის რომელი სახეობები მოგწონთ და თუ გაქვთ რაიმე ჰობი?

— ძალიან მომწონს ფიგურული სრიალი, კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა, რა თქმა უნდა, რაგბიც, რომელიც, სხვათა შორის, მანამდეც მომწონდა, ვიდრე მორაგბის მეუღლე გავხდებოდი. ფეხბურთზე მაინცდამაინც თავს არ ვიკლავ. სპორტის გარდა, ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა ხატვა, ქარგვა. ბოლოს, ორსულობის დროს მოვქარგე. ვაგროვებ ცხოველებისა და ფრინველების მინის პატარა ფიგურებს. ისე, ამჟამად ძალიან დაკავებული ვარ და მეორე კლა-

სის „მოსწავლე ვარ“, რადგან ნინოს თითქმის ყოველთვის მე ვამეცადინებ.

— თანამედროვე ქართველ ახალგაზრდობაზე რას იტყვით?

— დღევანდელი ახალგაზრდები თვლიან, რომ დამოუკიდებლები არიან და ხშირად, ყველაფერ ცუდს გადმოიღებენ ხოლმე უცხოეთიდან. ჩვენ ერთი უბედურება გვჭირს: თავისუფლებას რატომღაც გარყვნილებად აღვიქვამთ და ეთიკა, კულტურა დავკარგეთ. მთავარი ის არის, რომ საკუთარი შექმნა და არა ის, რომ ბრმად მიჰბაძო ვინმეს. არა აქვს მნიშვნელობა, საესტრადო მუსიკა იქნება ეს, თუ სხვა სფერო.

— თანამედროვე ქართული ესტრადა არ მოგწონთ?

— ჩვენი შემსრულებლებიდან ძალიან მომწონს ნინო ქათამაძე. რომლებიც არ მომწონს, მათ არ დავასახელებ. უცხოური მუსიკიდან კი, ჯგუფ „მეტალიკს“ გამოვყოფდი, რომელიც ჩემს მეუღლესაც შევაყვარე. განსაკუთრებულად მიყვარს ამ ჯგუფის კონცერტი სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. ეს არის ჯგუფი, რომლის შემოქმედებაც არც ერთ სტილში არ ჯდება. სხვათა შორის, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, მოსკოვში საწვრთნელ შეკრებაზე ყოფნის დროს, ისინი ახლოს ვნახე. ძველ არბატზე ქართულ სამზარეულოში მეგობრებთან ერთად ვიყავი ხაჭაპურის საჭმელად. იქიდან რომ გამოვედით, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ქუჩაში იმ ადამიანის გვერდით აღმოვჩნდი, რომელიც ძალიან მივამსგავსე „მეტალიკის“ დრამერ ლარს ულრიხს. „ეს... ეს ის არ არის?!“ — აღმომხდა გაოცებულს. ისიც გაკვირვებული მიყურებდა, ალბათ მიხვდა, რომ ვიცანი. იქვე იყო ჯგუფის ვოკალისტი ჯეიმს ჰეტფილდიც.

ამ იარაღს კარგად ვტენიო, — ამბობს ცოტნე...

მალე ისინი თაყვანისმცემელთა გარემოცვაში აღმოჩნდნენ. სამწუხაროდ, მაშინ ძალიან დაძაბული დრო იყო და გუნდიდან კონცერტზე დასასწრებად არ გამიშვეს.

— „ერისიონის“ კლიპზე რას იტყვით?

— ეგ კლიპი პირველად პარიზში ვნახე, გასული წლის დეკემბერში, როდესაც მეუღლესთან ერთად ჩვენი ქორწინებიდან ცხრა წლის შემდეგ, პირველად წავედით ერთად საზღვარგარეთ, თაფლობის თვის გასატარებლად. მეტროში დავინახე დიდი პლაკატი, რომელსაც „ჯორჯიან ლეგენდ“ ეწერა. კლიპი ყოველდღე, თითქმის ყველა არხზე ტრიალებდა.

— ის ხალხი, რომელთანაც საზღვარგარეთ ყოფნისას ურთიერთობა გიხდებათ, რამდენად იცნობენ საქართველოს?

— ტყვიის მსროლელთა წრეში, რა თქმა უნდა, ყველა მიცნობს და ისიც იციან, რომ ქართველი ვარ. თუმცა, იყო ასეთი კურიოზული შემთხვევაც: ერთხელ ბანკეტზე ვიმყოფებოდით და ჩემ წინ მჯდომმა თურქმა ბიჭმა მკითხა, საქართველო სად არისო? ერთხელ კი, ჩინელებს ქართული ლარის კუპიურა ვაჩვენე და ძალიან გაუკვირდათ: „თქვენ რა, ასე წერთ? აბა, დაწერე“, — მითხრეს მათ.

— ღამის კლუბში, კაზინოში ან მსგავს გასართობ ადგილებში თუ დადიხართ ხოლმე?

— არ დავდივარ. შარშან ზაფხულში, სანაპიროზე, ღია ცის ქვეშ, ერთი ჩემი ახლობელი მღეროდა, თუმცა, იქ რომ მივედით, იმდენად გულისამრევი და ვულგარული სიტუაცია დაგვხვდა, რომ მალევე გამოვბრუნდით. ერთხელაც ქარვასლაში მივედით და ძალიან გამაკვირვა იმან, თუ რა სიტუაციაში მღეროდნენ ჩვენი გამოჩენილი მომღერლები. მაგალითად, მე მათ ადგილზე იქ სიმღერის შემრცხვებოდა. ათ წუთში უკან წამოვედით. უფრო ხშირად, მეგობრები საახალწლოდ ვქირაობთ ხოლმე დარბაზს და იქ ვიკრიბებით, რათა „ტრადიციულ ქართულ ინციდენტებს“ ადგილი არ ჰქონდეს. ერთხელ კაზინოშიც ვიყავით, თუმცა, მე იმდენი ფული არ მაქვს, რომ იქ წასაგებად გავიმეტო. ძალიან მიკვირს იმ ადამიანების, რომლებსაც ცოლშვილი მშიერი ჰყავთ და მაინც კაზინოში დადიან. ასეთს კი, ბევრს ვიცნობ. ისე კი, თბილისში არ არსებობს ნორმალური ადგილი, სადაც შეიძლება, საღამოს მიხვიდე და დაისვენო.

— ავტომობილის მართვა თუ შეგიძლიათ?

— შემიძლია და საჭესთანაც ვზივარ ხოლმე. თავიდან „მოსკვიჩზე“ ვისწავლე ტარება. შემდეგ სხვადასხვა მარკის ავტომობილით დავდიოდი. ახლა ისეთი ავტომობილით დავდივარ, რომელსაც გადაცემათა ავტომატური კოლოფი აქვს და ვფიქრობ, რომ ასეთი სისტემის მანქანიდან სხვაზე ვეღარ გადავჯდები, რადგან თბილისში სხვაგვარი ავტომობილით რთულია მოძრაობა. ეს ჩემი და მამაჩემის საერთო მანქანაა, მეუღლე კი, საკუთარი ავტომობილით დადის.

შვილებთან ერთად

— სწრაფად დადიხართ?

— სწრაფად დავდივარ ხოლმე, მაგრამ უაზროდ არ ვრისკავ, მით უმეტეს, როცა ბავშვები მისხედან. სხვათა შორის, მოძრაობის წესები ძალიან კარგად ვიცი და ხშირად მეუღლესაც ვასწავლი ხოლმე. თუმცა, თბილისში ისეთი მოძრაობაა, წესებს ძალაუნებურად დაარღვევ. ისე კი, როდესაც პოლიციელები მაჩერებენ, ყოველთვის მცნობენ. ძალიან ხშირად, მათ ცხვირწინაც რომ დავარღვიო მოძრაობის წესი, აღარ ვუჩერებ, მივესალმები და გავივლი ხოლმე.

P.S. როდესაც საუბარს მოვრჩით, მთელი დღის მანძილზე ცელქობით მოქანცულ ცოტნეს დედის კალთაში უკვე მშვიდი ძილით ეძინა. „ცოტა ხნის წინ ბავშვები რუსთაველის კინოთეატრში, დინოზავრების შესახებ გადაღებული მულტფილმის სანახავად წავიყვანე. ცოტნეს მულტფილმი ძალიან მოეწონა და მას შემდეგ ყოველ საღამოს მის გაგრძელებებს მაყოლებს და მხოლოდ ამის შემდეგ იძინებს. მეც ყოველდღე ახალ-ახალ სერიებს ვიგონებ და ვუამბობ-ხოლმე. კიდევ კარგი, დღეს ახალი სერიის თხრობის გარეშე დაიძინა“, — მეუბნება ქ-ნი ნინო და მიძინებულ ცოტნესთან ერთად, დერეფნისკენ მაცილებს.

■

1921 წლის 25 თებერვალს, სამწლიანი ინტერვალის შემდეგ, მოდერნიზებულმა იმპერიამ საქართველოზე 1801 წლიდან დამყარებული ბატონობა ჯვლავ აღიდგინა. სერგო ორჯონიკიძემ ბაქოდან ჯრემლში ლენინს უპატაჯა: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!"

ქეთა მაისურაძე

წითელარმიელები თბილისში

რატომ წავაგეთ 1921 წლის ომი?

აგრესიამდე ცოტა ხნით ადრე

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამხობა კრემლში 1921 წლის 26 იანვარს, რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გადაწყდა. იმ დღიდან ვიდრე 12 თებერვლამდე, ე.ი. საქართველოში წითელი არმიის შემოჭრამდე, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ასე მიედინებოდა:

1921 წლის 27 იანვარს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა დე იურე აღიარეს ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ. 6 თებერვალს ამ მოვლენის აღსანიშნავად, საქართველოს ყველა ქალაქში გრანდიოზული სამხედრო აღლუმები და დღესასწაულები მოეწყო.

თუმცა, გარკვეული ეიფორიის ფონზე, სახელმწიფოში უამრავი პრობლემაც იყო, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე — ჯარში შექმნილი მდგომარეობა. აი, ერთი მეტყველი მაგალითი — 27 იანვარს ახალციხეში საზეიმო აღლუმის მისაღებად, თბილისიდან საგანგებოდ გააგზავნეს გენერალი შალვა მაღლაკელიძე. აღლუმის შემდეგ, გარნიზონის უფროსმა, გენერალმა საგინაშვილმა მაღლაკელიძე ჯარისკაცებს შეახვედრა, რათა მისთვის არსებული პრობლემების შესახებ უშუალოდ მოეთხროთ. გამოვიდა ერთი ჯარისკაცი და გენერალ მაღლაკელიძეს მიმართა: ვერ დავიჭირეთ, ბატონო, ვერ დავიჭირეთო. საგინაშვილმა ჰკითხა — რაო, ბიჭო, რა ვერ დაიჭირეთო? — რა და ლობიო ვერ დავიჭირეო... ე.ი. წყალს გვაძლევთ და შიგ ლობიო ვერ დავიჭირეთო. საგინაშვილმა თქვა: „მართლაც კაცო, ორ კაკალ ლობიოს ჩავუყრით წყალში და მართლაც ძნელი დასაჭერია..." (გენ. მაღლაკელიძე, „მოგონებები", 1994 წ.).

უკეთესი ვითარება არც პოლიტიკურ „არმიაში" იყო: 11 თებერვალს დამფუძნებელ კრებაზე (პარლამენტი) მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგები დატოვა ერთ-ერთმა დაჯგუფებამ („სხიველებმა"), რომელმაც წაიკითხა დეკლარაცია „დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის" დაარსების შესახებ. „სხივის" დაჯგუფებაში 9 დეპუტატი შედიოდა, მათ შორის — სოჭის ოლქის ყოფილი გუბერნატორი მუხრან ხოჭოლავა და სამთავრობო გაზეთის — „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორი პავლე საყვარელიძე, რომელმაც ასეთი განცხადება გააკეთა სოციალ-დემოკრატიული პარტიის დატოვების შესახებ: „ვინაიდან გეგმაზომიერად მიმდინარეობს: განსხვავებულად მოაზროვნეთა დევნა, კრიტიკის აკრძალვა, სახელმწიფოს და მმართველი პარტიის ერთმანეთში აღრევა, მმართველობაში უპასუხისმგებლობა, — საქართველოს დემოკრატიულ-რესპუბლიკანური წესწყობილების განმტკიცების ინტერესები და სიყვარული მაიძულებს, დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია დავტოვო" („სახალხო საქმე", 13 თებერვალი). ეს ერთი ფაქტიც კი ნათლად მეტყველებს არა მარტო პოლიტიკურ წრეებში, არამედ თვით მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არსებულ უთანხმოებასა და დაპირისპირებაზე.

რუსული ჯარების შემოჭრა საქართველოში

რუსული ჯარების ინტერვენცია საქართველოში 11-12 თებერვალს ღამით დაიწყო. რუსეთის ინსპირირებითა და მათ მიერვე მიწოდებული იარაღით აჯანყდა სომხეთის საზღვრისპირა ლორეს რაიონში მცხოვრები 10000-მდე კაცი — ძირითადად რუსი კოლონისტებით დასახლებული სოფლებიდან: ვორონცოვკა, პრივოლნოე, პოკროვსკოე.

ამ ოპერაციას შედეგად ის მოჰყვა, რომ დატყვევებული იქნა მე-5 და მე-8 ქართული პოლკები (რუსული მხარის ცნობით, 7 ათასი ჯარისკაცი) და, რაც მთავარია, მთელი ლორეს რაიონი მტრის ხელში გადავიდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ქართული ჯარების სარდალი, გენერალი იოსებ გედევანიშვილი ატყობინებდა მთავრობას, რომ მას საქმე ჰქონდა სომეხ მეამბოხეებთან და ის ამ „ბანდებს" მალე დაამარცხებდა. სინამდვილეში კი, მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ საბჭოთა რუსეთის არმიის ერთი ქვეითი და ორი ცხენოსანი დივიზია, რუს და სომეხ მეამბოხეებთან ერთად.

რა მდგომარეობა იყო ამ დროისათვის შეიარაღებული ძალების ორ ძირითად — არმიის გენერალურ და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბებში? თავდაპირველად, ისინი ვერც გაერკვნენ, რა მოხდა. ამ ბურანში იყო ქართული ჯარების მთავარსარდალი ილია ოდიშელიძე და გენერალური შტაბი, 13 თებერვლის შუადღემდე. ამის შედეგად, მათი გაუმართლებელი ბრძანებით, სამხრეთ-აღმოსავლეთის ჯარების სარდალმა გედევანიშვილმა წამოიწყო მოუმზადებელი კონტრშეტევა, რომელიც ქართული ჯარის სასტიკი მარცხით დამთავრდა. ქართული ქვედანაყოფების ნარჩენებმა მდინარე ხრამის ნაპირებთან მოიყარეს თავი.

14 თებერვალს რუსები იერიშზე გადავიდნენ. ამ დღეს ლენინმა, ცენტრალური კომიტეტის სახელით, ასეთი დეპეშა გააგ-

ზავნა მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს სახელზე: „ცეკა მზადაა, ნება დართოს მე-11 არმიას, დაიკავოს თბილისი საერთაშორისო ნორმების დაცვით“.

თავის მხრივ, თითქოს ლენინს არ ენდობაო, სტალინმა დეპეშა გაუგზავნა ს. ორჯონიკიძეს, სადაც რუსული ასოებით ქართული ტექსტი ჩაწერა: Ахлаве, шеутие, дастуриа, аиге калаки.

15 თებერვალს რუსული ჯარი ორი მიმართულებით აზერბაიჯანის საზღვრებიდან გადმოვიდა იერიშზე, ყაზახ-წითელი ხიდის მიდამოებში, ქართული ჯარის თავდაცვითი ჯებირები გადალახა და თბილისისაკენ განაგრძო წინსვლა. სამაგიეროდ, უეცარი მარცხი განიცადა ფოილოს ხიდის რაიონში. რკინიგზის ხაზით მიტანილი იერიში რუსებს ძვირად დაუჯდათ. ქართველებმა მტრის შეტევისას ფოილოს ხიდი ააფეთქეს. აფეთქებამდე, ვინც მოასწრო მტკვრის მეორე ნაპირზე გადმოსვლა, განადგურებულ იქნა. იგივე დაემართა მტრის კავალერიასაც, როდესაც სოფელ კრაგესმანთან, ფონით მდინარე მტკვარზე გადმოსვლას შეეცადა.

16 თებერვალს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქართული ჯარის სარდლობაში. სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი, გენერალი იოსებ გედევანიშვილი თანამდებობიდან გადადგა. საერთო წარუმატებლობის გამო, იმავე დღეს, მთავარსარდლობიდან გაათავისუფლეს გენერალი ილია ოდიშელიძეც და მის ნაცვლად, გენერალი გიორგი კვინიტაძე დანიშნეს.

პირველი, რაც ახალმა მთავარსარდალმა განახორციელა – ალყაში მოხვედრის საშიშროების გამო, ფოილოს ხიდთან გამარჯვებულ ქართულ ჯარს უკან დახევა უბრძანა და ვინაიდან არსებული ძალებით (700 ჯარისკაცით) შეუძლებელი იყო მტრის ფრონტალური შეტევის შეჩერება, იძულებული გახდა, გადარჩენილი ნაწილები დედაქალაქის დასაცავად გადაესროლა.

ბრძოლა თბილისისათვის

თბილისისათვის ბრძოლა მტერმა 18 თებერვლიდან დაიწყო. ქალაქის ასაღებად მან შემდეგ ძალებს მოუყარა თავი: 1) შვიდი ქვეითი და ხუთი ცხენოსანი დივიზია (თითოეულ დივიზიაში 4500 კაცი ირიცხებოდა); 2) საარმიო მძიმე არტილერია; 3) 2 სატანკო რაზმი; 4) ჯავშნოსან ავტომობილთა რაზმი; 5) 5 ჯავშნოსანი მატარებელი.

რაც შეეხება ქართულ ძალებს – თუ გენერალ კვინიტაძის მოგონებებს დავეყრდნობით, 17 თებერვალს მის განკარგულებაში დედაქალაქის დასაცავად ორგანიზებული 400 ჯარისკაცი და სამხედრო სკოლის იუნკერთა ასეული იმყოფებოდა. მაგრამ 17-18 თებერვალს ღამით მოხერხდა ისე, რომ ეს რიცხვი 2500 კაცამდე გაზრდილიყო (სულ 25 თებერვლამდე თბილისის ფრონტზე ქართული ჯარების რაოდენობამ 9600 კაცს მიაღწია).

იმავე პერიოდში შეიქმნა I მებრძოლი რაიონი, რომლის სარდლად გენერალი გიორგი მაზნიაშვილი დაინიშნა. მას უნდა გაეკონტროლებინა რეგიონი ორხევის სადგურიდან ტაბახმელამდე. 19 თებერვლისათვის კი, ვინაიდან მაზნიაშვილის მარჯვენა ფრთა კოჯრამდე და შემდეგ, კიკეთამდე დაუცველი იყო, შეიქმნა II მებრძოლი რაიონი, რომელსაც გენერალი ანდრონიკაშვილი ჩაუდგა სათავეში.

18-19 თებერვალს ღამით პირველი გააფთრებული იერიში მტერმა სწორედ მაზნიაშვილის შენაერთებზე მიიტანა. შეტევა სამი ქვეითი და ერთი ცხენოსანი დივიზიით ხორციელდებოდა, რომელსაც სათავეში მე-20 ქვეითი დივიზიის მეთაური ველიკანოვი ედგა.

თავდაპირველად მტერმა გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. ხაშურის გვარდიამ უბრძოლველად მიატოვა კარგად გამაგრებული სანგრები, რის შედეგადაც რუსები ჩვენს პოზიციებში შემოიჭრნენ, მაგრამ ეს იყო და ეს. ქართულმა შენაერთებმა სოღანლუღის სიმაღლეებიდან და ლუნეტებიდან ჯვარედინ ცეცხლში მოაქციეს მტერი და აიძულეს, ღამის იერიში შეეჩერებინა. გათენებისას, უკვე ქართული ჯარი გადავიდა შეტევაზე. მტერმა ბრძოლა არ გაუმართა. ნაწილი ტყვედ ჩავარდა, ნაწილმა კი, იაღლუჯის სიმაღლეებისაკენ დაიხია. დატყვევებულ რუსთა რიცხვი 1600 კაცს აღწევდა.

მოპოვებულმა გამარჯვებამ ფრთები შეასხა მთელ ერს. დღე-ღამის განმავლობაში, თბილისისაკენ ჯარისკაცებიანი ეშელონები მოემართებოდა. დამფუძნებელი კრების წინ გატარებულ ქართულ ჯარს გენერალი ვარდენ წულუკიძე ასე მიმართავდა: „ქართველი ხალხი, ეს ისეთი პილპილია, რომ ვინც მის გადაყლაპვას მოინდომებს, ცხვირს დააცემინებს“.

21 თებერვალს თბილისის ქუჩებში გამოჩნდა „ლანდო“ – მთავრობის თავმჯდომარის ეტლი.

ნოე ჟორდანია მოსეირნობდა, ალაგ-ალაგ აჩერებდა და ამხნევებდა მოსახლეობას. ამის შემდეგ რუსი ტყვეები გაატარეს. საშინელი სანახავები იყვნენ: დაკონკილები, ჭუჭყიანები, ზოგს ფეხსაცმელი გახეოდა და თითები უჩანდა... თბილისის მოსახლეობას არანაირი სიძულვილი არ გამოუმჟღავნებია – ყველას მხოლოდ სიბრალული ეხატა სახეზე...

ტყვეები სიონის ტაძართან ჩაიყვანეს. საპატრიარქოდან სიონისკენ გამოემართა კათალიკოსი ლეონიდე (ლონგინოზ ოქროპირიძე), რათა წირვა-ლოცვა ჩაეტარებინა. ბოლშევიკური არმიის ჯარისკაცებმა დაუჩოქეს: „ვლადიკა ბლაგოსლავი“ – და იმანაც მოწყალედ, პირჯვარი გადასწერა.

1921 წლის 21 თებერვალი იდგა... დედაქალაქის ცხოვრების სამხედრო წესებზე გადაყვანის მიზნით, შემდეგი ღონისძიებები ტარდებოდა: ქარხნებსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში აყალიბებდნენ ე.წ. „მუშათა ბატალიონებს“; თბილისის გენერალ-გუბერნატორ ბენია ჩხიკვიშვილის ბრძანებით, თბილისის ფოსტა-ტელეგრაფი მუშაობის სამხედრო წესებზე გადაიყვანეს; საქალაქთაშორისო ტელეფონით კერძო პირთა საუბარი სასტიკად აკრძალეს; ფართო მოხმარების საგნებზე, განსაკუთრებით – პურსა და მჭადზე, ფასების ხელოვნურად გაზრდის გამო, ვაჭრებს სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცემდნენ; აიკრძალა ქუჩაში „უსაქმო მოქალაქეების შეჯგუფება და ხეტიალი“, ღვინითა და ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა. 19 თებერვალს შეიპყრეს და სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცეს რუსეთის გენერალური შტაბის აგენტები: ივანოვი და გოხი, რომლებსაც დახვრეტა მიუსაჯეს. დაარსდა ე.წ. „ფრონტის დღე“: ქალაქის საბჭოს დეპუტატები მთელ თბი-

ქართველი იუნკერები

ლისში ფულს და შემოწირულობებს აგროვებდნენ.

დედაქალაქს აქტიურად ეხმარებოდნენ უცხოელებიც: ამერიკის ახლო აღმოსავლეთის დამხმარე კომიტეტის თბილისის განყოფილებამ უფასოდ დაურიგა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი 1500-მდე ღატაკ ოჯახს. ამერიკელები ქართველ ჯარისკაცებს რძის პროდუქტებითაც ამარაგებდნენ. სამაგიეროდ, სრულ ბლოკადაში მოგვაქცია საბჭოთა რუსეთმა. ოკუპირებულ ბაქოში გამოტანილი ჰქონდათ ლოზუნგები: „არცერთი წვეთი მაზუთი ყვითელ საქართველოს!“ და: „ბაქოს ნავთი რუსეთის სისხლია, მას ჩვენ მტრებს ვერ მივცემთ!“

ბრძოლები კი უფრო და უფრო სამკვდრო-საციცოცხლო ხდებოდა. 23 თებერვალს რუსულმა ჯარმა სასტიკი იერიში მიიტანა კოჯორ-ტაბახმელის მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ I და II მებრძოლ რაიონებში მტრის შეტევები მოგერიებული იქნა, მნიშვნელოვნად დაიძაბა მდგომარეობა III მებრძოლ რაიონში (ვაზიანის უბანში). ამ მონაკვეთზე დღის 4 საათისათვის მტერმა ტანკები შემოიყვანა, რომელსაც რუსთა 70-ე მსროლელი პოლკი მოსდევდა. წინა ხაზზე განლაგებულმა ზუგდიდისა და სენაკის ბატალიონებმა, მტრის ტანკები რომ დაინახეს, სანგრები მიატოვეს და უკუიქცნენ. ქართველთა სანგრები რუსებმა დაიკავეს, მაგრამ მებრძოლი რაიონის სარდალმა, გენერალმა ჯიჯიხიამ გადაწყვიტა, გამოეყენებინა უკანასკნელი რეზერვი და დახმარებისთვის იმერეთის მეორე ბატალიონის მეთაურს აკაკი კვიტაშვილს მიმართა. კონტრშეტევა წარმატებით დაგვირგვინდა. იმერლებმა, არტილერიის აქტიური მხარდაჭერით, მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის მძიმე ტექნიკა.

ამრიგად, 24 თებერვლისათვის მტრის ყოველგვარი მცდელობა – ბრძოლით აეღო თბილისი, კრახით დასრულდა. ეს კი არა და, მოგვიანებით, მარიონეტული რევკომის წევრს შალვა ელიავას ისიც კი განუცხადებია: „მიკვირს, რომ ქართულმა ჯარმა გამარჯვება არ გამოიყენა და იერიშზე არ გადავიდა ფართო მასშტაბით – უკანდახეულ წითელარმიელებს ძლივს ვაკავებდით; თუ ქართულ ჯარს ენერგიულად შემოეტია, შეიძლება ფეხი ვერ მოგვეკიდებია ბაქომდე“.

მაშ, რა მოხდა, რატომ დავტოვეთ დაუმარცხებლად თბილისი? ქართული ჯარის იმდროინდელი მთავარსარდალი გენერალი გიორგი კვინიტაძე ამ ფაქტს ძირითადად, ალყაში მოხვედრის საშიშროებითა და რეზერვების არარსებობით ხსნიდა.

ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ 25 თებერვალს, დღის 12 საათსა და 15 წუთზე, წითელი არმია თბილისში უბრძოლველად შემოვიდა. თბილისის მიმართულების ჯარის სარდალმა ველიკანოვმა მოკლედ უპატაკა: „ქალაქი თბილისი, ბურჟუაზიის უკანასკნელი სიმაგრე, დაეცა, საქართველო გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკად“.

ომი თბილისის დაცემის შემდეგ

დედაქალაქის უბრძოლველად ჩაბარების შემდეგ, გადაწყდა, ქართული ჯარი ოთხ კოლონად, თბილისიდან 12-13 ვერსის (ერთი ვერსი = 1,06 კმ-ს) დაშორებით – მცხეთის პოზიციებზე განლაგებულიყო. მთავარსარდლის სტრატეგიით, იქვე უნდა მომხდარიყო მთელი სამხედრო ძალების კონცენტრაცია, ჯარის მობილიზაცია და მტერთან გადამწყვეტი შეტაკება. მაგრამ ყოველივე, აღნიშნული გეგმის საწინააღმდეგოდ წარიმართა: ჯარის მობილიზაციის ნაცვლად, მისი თვითნებური დემობილიზაცია და ლამის მთელი შეიარაღებული ძალების გადეზერტირება მოხდა.

„მცხეთის სადგურზე ხდებოდა რაღაც წარმოუდგენელი რამ! რამდენიმე ათასი ჯარისკაცი და გვარდიელი უფორმო მასად ქცეული, ვეებერთელა იარმუკას წაგავდა. მთავარსარდლის ცდანი, რომ ჯარი დაწყობილიყო პოზიციებზე, განსახორციელებლად შეუძლებელი შეიქმნენ... გვარდია არ ცნობდა არაფერს, აწვებოდა მიმავალ მატარებელს, მიძვრებოდა ვაგონებში, ბაქნებზე, მატარებელთა სახურავებზე, საიდანაც რამდენჯერმე გადმოდენეს იუნკრების საშუალებით, საუბედუროდ ეს არაფერს შველოდა და თავაშვებული განაგრძობდა თავის საქმეს“ (გენ. ალ. ჩხეიძე, „სამხედრო სკოლა“, 1991 წ.).

მთავარსარდალს სხვა აღარაფერი დარჩენოდა, თუ არა უკან დახევის ბრძანება რომ გაეცა. დაიწყო უკანდახევა გორისაკენ. „გზადაგზა ჯარისკაცები, ჯერ თითო-თითოდ, შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად თავს ანებებდნენ თავის ნაწილებს და თოფებითა და ტყვიამფრქვევებით მიდიოდნენ თავთავიანთ სოფლებში“. ამას დაემატა უგზოობაც, რის გამოც, მცხეთიდან გორში უკან დახევისას, ყველა საჯარისო, სატვირთო ავტომობილი და არტილერიის ნაწილი, ტალახში ჩაფლული გზაზე დარჩა.

ქ. გორში კი რა მოხდა? „აქ ბაბილონის გოდოლი სუფევს. სხვა და სხვა ნაწილების ჯარისკაცები, თუ გვარდიელები ერთმანეთში არეულა. რაიმე წესრიგზე ლაპარაკი მეტია. მშიერნი, დაღლილ-დაქანცული ჯარისკაცები დასცემიან ვაშლის საწყობს და ვინც მოასწრო, მით ირთობს თავს“, – იგონებდა ნოე ჟორდანიას ადიუტანტი კოტე იმნაძე.

მართლაც, ამ ქალაქშიც ისეთი ქაოსური მდგომარეობა შეიქმნა, მტრის შეჩერებაზე და, მით უმეტეს, მასთან გამკლავებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. „უკვე გორში დაიწყო ლაპარაკი ოფიცერთა შორის საზღვარგარეთ წასვლაზე და ადგენდნენ წამსვლელთა სიას“ (ნოე ჟორდანია, „ჩემი წარსული“, 1990 წ.). ამასობაში რუსები ქართული ჯარის ალყაში მოქცევასა და განადგურებას შეეცადნენ. 28 თებერვალს წითელარმიელთა არტილერიამ ცეცხლი გაუხსნა ხაშურთან განლაგებულ ქვედანაყოფებს. გენერალ კვინიტაძის ბრძანებით, უკანდახევა შეწყდა. გადაწყდა, საბოლოო შერკინება მტერთან სწორედ აქ – ხაშურ-ოსიაურის სტრატეგიულად ხელსაყრელ მიდამოებში გამართულიყო. ამ მიზნით შეიქმნა ორი: მაჯვენა და მარცხენა მებრძოლი უბანი, გენერლების – სუმბათაშვილისა და მაზნიაშვილის სარდლობით. მოაწყვეს თოვლის სანგრები. ახალქალაქიდან ჩამოვიდა მე-11 პოლკის ბატალიონი... მაგრამ ღამით, სახალხო გვარდიამ თვითნებურად მიატოვა დაკავებული პოზიციები, რის შედეგადაც, რუსებმა უბრძოლველად შეაღწიეს ქართული ჯარების ზურგში და განადგურებით დაემუქრნენ.

ჯარს ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა – კვლავ უკან დახევა. ამის შემდეგ, სარდლობამ სურამის ქედზე მტკიცე გამაგრება და, დასავლეთ საქართველოში გამოცხადებული მობილიზაციის მეოხებით, საპასუხო კონტრშეტევისათვის მზადება განიზრახა. მაგრამ ეს გეგმაც ჩავარდა. ამას დაერთო ქართული არმიის კატასტროფული მდგომარეობა ჩრდილო დასავლეთის – აფხაზეთის ფრონტზეც. ამ მიმართულებით შეტევას რუსეთის მე-8 და ე.წ. „მწვანე არმია“ (რუს ლტოლვილთა შეიარაღებული მასა, რომელიც ოკუპაციის შემდეგ აფხაზეთში დასახლდა) ახორციელებდა. იქ განლაგებული მე-2 და მე-3 ქართული პოლკები (სულ 1900 ჯარისკაცი), გენერალ ართმელაძის მეთაურობით, მტრის მზარდ იერიშებს ვერ აკავებდნენ და კატასტროფული შედეგებითა და სისწრაფით (დღეში 50 ვერსით) უკან იხევდნენ.

ნოე ჟორდანიას მთავრობამ საკითხი გათავებულად ჩათვალა. 17 მარტს იგი ბათუმის ნავსადგურიდან იტალიური გემებით საზღვარგარეთ გაიქცა. ამ აქტითვე რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობით და საბჭოთა რუსეთის სრული გამარჯვებით დასრულდა. საქართველო 70 წლით, უცხო სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად იქცა.

■

„შეუძლებელია, მისდევდე მონსტრებს, მიზანში ამოღებული გყავდეს მკვლელები და იმავდროულად, სიყვარულზე ფიქრობდე, — ასე ხსნის **ჯილიან ანდერსონი** იმას, რომ ტელესერიალ „საიდუმლო მასალებში“ მის მიერ განსახიერებულ სკალის — ძიებათა ფედერალური ბიუროს აგენტს, პირადი ცხოვრება, ფაქტობრივად, არა აქვს. — ცოტა ხნის წინ, საქმიანი ქალის კოსტიუმში გამოწყობილი თოჯინა სკალი მიჩვენეს. ვერც კი წარმომიდგენია, რა მოხდება, თუ რომელიმე გოგონა მას ბარბის ნაცვლად, კენთან პაემანზე გაუშვებს!“

თავისი გმირისგან განსხვავებით, საკუთარ მარტოობას მსახიობი სულ სხვაგვარად აფასებს.

„საიდუმლო მასალების“ დედოფალს ერთი საყვარელი აღამიანი შემორჩა

აგენტები მალდერი და სკალი (დევიდ დუხოვნი და ჯილიან ანდერსონი) განუყრელნი იყვნენ მთელი ცხრა წლის განმავლობაში

2001 წლის ზაფხული იდგა. მრავალწლიანი სერიალის „საიდუმლო მასალების“ ვარსკვლავი, რომელსაც მსოფლიო დანა სკალის სახელით იცნობს, როგორც იქნა, არდადეგებზე, საყვარელ ლონდონს ეწვია. ღია ფერის ქვედაკაბასა და თეთრ მაისურში გამოწყობილი ჯილიანი უბრალო ვარცხნილობითა და სრულიად უმაკიაჟოდ, სასტუმრო „კოვენტ-გარდენიდან“ ქალაქში სასეირნოდ გამოვიდა. შემდეგ ლონდონის მეტროში ჩავიდა და საკმაო ხანს ელოდა მატარებლის მოსვლას. როდესაც უცნობი მამაკაცის დაჟინებული მზერა იგრძნო, ჩვეულებისამებრ, მუქი სათვალის ძებნა დაიწყო და თავისი გმირის — სკალის ღირსებების მიმართ გამოთქმული კომპლიმენტების მოსასმენად მოემზადა. მაღალი, სიმპათიური უცნობი, ჯილიანს მიუახლოვდა და მოკრძალებით დაუკრა თავი. სულ მალე ანდერსონი მიხვდა, რომ მამაკაცს „საიდუმლო მასალების“ არც ერთი სერია არ ჰქონდა ნანახი და საერთოდ არ იცოდა, თუ ვინ იდგა მის წინაშე. ჯილიანი მას გრეეს სახელით გაეცნო (ამ სახელს ანდერსონს სიყმაწვილეში, ერთ-ერთი მეგობარი ეძახდა) და მასთან ვახშმობას იმ პირობით დათანხმდა, რომ რესტორანს თავად შეარჩევდა. სასტუმროში დაბრუნებული ჯილიანი ეჭვმა შეიპყრო: ხომ არ იყო ეს, რომელიმე პაპარაცის მიერ მოწყობილი ოინი?

ერთი კვირის მანძილზე, ჯილიანი და მისი ახალი ნაცნობი მდინარე ტემზის სანაპიროზე სეირნობდნენ და ისეთ რესტორნებს სტუმრობდნენ, სადაც შედარებით ცოტა ხალხი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საუბრისას, სკალისა და საერთოდ, კინოს არც შეხებიან, ჯილიანი მაინც სულ მობილიზებული იყო: საკუთარ დანახარჯს თავად იხდიდა, დროდადრო კი, უეცარი მკაცრი ტონით აკვირვებდა კაცს: „მაშინ, მეტროში, ჩემი საყვარელი მხატვრის — ჯონ სარჯენტის ტილოდან გადმოსულ ქალს ჰგავდი. ყველა მისი მოდელი ისეთი ნაზი არსებაა... არ მეგონა, თუ მამაკაცის ყურადღების ჩვეულებრივ გამოვლენას ესოდენ დიდ წინააღმდეგობას გაუწევდი...“

ერთხელ, ირლანდიური ბარის ნახევრად ბნელ, გაკვამლულ დარბაზში ჯილიანმა ჩხაკუნის ნაცნობი ხმა გაიგონა: მისი სახე ფოტოელვის შუქმა გაანათა. „რას ნიშნავს ეს?“ — გაოცდა კაცი. პაპარაციმ მაშინვე აცნობა ჯენტლმენს მისი თანმხლები ქალის ვინაობა. ამ ამბის შემდეგ, კაცს ჯილიანისთვის აღარც დაურეკავს...

ლოს-ანჯელესში დაბრუნებულმა ანდერსონმა ინტერვიუში განაცხადა: „როცა მამაკაცი მასზე ბევრად ცნობილ ქალს ხვდება, თავს რატომღაც

საჭურისად გრძნობს.“

ჯილიანი ბავშვობიდანვე ძლიერ პიროვნებად ყალიბდებოდა. გოგონა ორი წლის იყო, როცა მისი მშობლები ამერიკიდან ლონდონში გადავიდნენ საცხოვრებლად. ინგლისელმა ბავშვებმა გოგონას „იანკი“ შეარქვეს და დიდხანს დასცინოდნენ მის „ამერიკულ ინგლისურს“. ამის გამო, ჯილიანი თავგანწირვით ეჩხუბებოდა ყველას. რამდენიმე წლის შემდეგ, მშობლებმა გოგონა ისევ ამერიკაში წაიყვანეს. ოჯახი მიჩიგანის შტატის პროვინციულ ქალაქში დასახლდა და ჯილიანი ამჯერადაც ყველასგან გარიყული აღმოჩნდა, რადგან მისი ბრიტანული მეტყველება არავის ესმოდა. ის ძალიან უბედურად გრძნობდა თავს, მით უმეტეს, რომ მშობლებმა მალე და-ძმა აჩუქეს და გოგონას ეჩვენებოდა, რომ ის აღარავის სჭირდებოდა.

ჯილიანმაც ცხოვრების განსხვავებული სტილი აირჩია: ცხვირი და ლოყა საყურით დაიმშვენა, თმის ნაწილი გადაიპარსა, დარჩენილი ნაწილი კი,საოცარ ფერად შეიღება. ძველმანების გამყიდველებისგან, ორიოდე დოლარად, დიდი ზომის შავ კაბებს ყიდულობდა და უხეშ, ჯარისკაცულ ჩექმებს უხამებდა. 14 წლის ასაკში, ქალწულობა იმ ყმაწვილის მეშვეობით დაკარგა, რომელიც მოგვიანებით, ნეონაცისტური ორგანიზაციის წევრი გახდა. მალე ჯილიანი ათი წლით უფროს როკ-მომღერალს დაუახლოვდა. ისინი სიგარეტს იპარავდნენ, ღამეებს მიტოვებულ საწყობებსა და სარდაფებში ათენებდნენ, საღამოობით კი, ჯილიანი თავის „ბანდასთან“ ერთად, „ტილიან“ სცენებზე მღეროდა. როცა ახალგაზრდების ჯგუფი ქუჩაში მოდიოდა, მოქალაქეები გაოცებულები აყოლებდნენ თვალს. სკოლაში ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ერთ მშენიერ დღეს, ეს ყველაფერი პოლიციის უბანში მოხვედრით დასრულდებოდა. ვარაუდი მალე გამართლდა: ერთხელ, კვირა ღამით, ჯილიანმა სკოლის კარი შეამტვრია და იქ ისე ჩაიკეტა, რომ ორშაბათს დილით შენობაში შესვლა ვერავინ შეძლო. ადგილობრივმა პოლიციელმა გოგონა ფსიქიატრთან გააგზავნა. მას შემდეგ, ფსიქოანალიტიკოსის სეანსები ანდერსონის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

სწორედ ფსიქოანალიტიკოსმა ურჩია ჯილიანს სამსახიობო სკოლაში შესვლა, რადგან ამით მიეცემოდა საშუალება, თავისი ხასიათის უარყოფითი თვისებები როლებში გადაეტანა. 17 წლის ჯილიანი ჩიკაგოში გაემგზავრა და დრამატულ სკოლაში დაიწყო სწავლა.



ერთადერთი ნათელი მოგონება, რომელიც ჯილიანს ყოფილი მეუღლისგან დარჩა, ანგელოზივით გოგონა ფაიფერია...

სტუდია 20-th Century Fox-ი ახალი სატელევიზიო სერიალის – „საიდუმლო მასალებისთვის“ მთავარი როლის შემსრულებელს ეძებდა. სინჯებზე უამრავი ლამაზი გოგონა მიდიოდა, მაგრამ პროექტის ავტორმა კრის კარტერმა იცოდა, რომ სკალის როლისთვის გრძელფეხება, მკერდსავსე ქერა ქალი არ გამოადგებოდა. მას ერთი წამიც არ უყოყმანია, როცა საშუალო სიმაღლისა და არცთუ ისე დახვეწილი აღნაგობის გოგონა იხილა, რომელსაც მომნუსხველი

ჯილიანი მეუღლესთან, კლაიდ კლოტცთან ერთად 1995 წელს. მათი ბედნიერება ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა

ლურჯი თვალები და ერთდროულად, წითლად, ყავისფრად და თეთრად შეღებილი თმა ჰქონდა.

სკალის როლზე ჯილიანი იმ პირობით დაამტკიცეს, რომ სტუდიაში მას იმიჯსა და ვარცხნილობას შეუცვლიდნენ. ეს 1993 წელს მოხდა. მას შემდეგ, 9 წლის მანძილზე „საიდუმლო მასალების“ გადასაღებ მოედანზე საქმიანი, თავდაჯერებული ქალი დაბიჯებს, რომელსაც უწინდელ ჯილიანთან არაფერი აქვს საერთო.

„საიდუმლო მასალებზე“ მუშაობის პირველივე სეზონში, ჯილიანმა სერიალის დამდგმელი მხატვარი, კლაიდ კლოტცი გაიცნო. კლაიდი ვანკუვერში ცხოვრობდა, გადაღებებიც იმხანად სწორედ იქ მიმდინარეობდა. კლოტცი 33 წლის იყო, მშვიდი, გაწონასწორებული ხასიათითა და საოცარი ღიმილით გამოირჩეოდა და ჯილიანზე ძალიან დადებით გავლენას ახდენდა. სამთვიანი მგზნებარე რომანის შემდეგ, ჯილიანი და კლაიდი ყველასგან უჩუმრად, ჰავაის კუნძულებზე გაფრინდნენ და 1994 წლის 31 დეკემბერს სწორედ იქ დაქორწინდნენ. მათი ქორწინება, ერთადერთი ბუდისტი ბერის თანდასწრებით, გოლფის სათამაშო მოედანზე გაფორმდა.

ორსულობის ამბავმა ჯილიანი ერთდროულად გაახარა და დაამწუხრა

კიდეც, რადგან ეგონა, რომ სერიალიდან უეჭველად დაითხოვდნენ. მაგრამ კრის კარტერმა, რომელიც შემდეგ, ბავშვის ნათლია გახდა, ჯილიანის შესანარჩუნებლად, სცენარის შეცვლა გადაწყვიტა. ანდერსონს რთული მშობიარობა ჰქონდა და ბავშვი საკეისრო კვეთით გააჩინა. იმავდროულად, „საიდუმლო მასალების“ მორიგი სერიისთვის, სკალის ძებნის ეპიზოდებს იღებდნენ (შეცვლილი სცენარის თანახმად, დანა სკალი უცნობებმა მოიტაცეს). გოგონას დაბადებიდან 10 დღის შემდეგ, ჯილიანი გადასაღებ მოედანზე მიიყვანეს და სახეიბრო ეტლში ჩასვეს. სცენარში კი, სკალის დაჭრის ამსახველი სიუჟეტი გაჩნდა.

ანდერსონის პოპულარობა დღითი დღე იზრდებოდა და მისი შემოსავალიც, ქმრის შემოსავალთან შედარებით, გაცილებით სწრაფად მატულობდა. სულ მალე, ეს ცოლ-ქმრის ურთიერთობაზეც აისახა. ჯილიანი ყოველთვის საკუთარი პრინციპების გატანას ცდილობდა და კლაიდის აზრი არც კი აინტერესებდა. კლოტცს არ მოსწონდა, რომ ჯილიანს შვილი გადაღებებზე თან დაჰყავდა, ამასთანავე, მეუღლეები საკვების გამოც ხშირად კამათობდნენ. მას შემდეგ, რაც სმა მიატოვა, ჯილიანი მკაცრი ვეგეტარიანელი გახდა და მოითხოვდა, რომ ქმარიც ვეგეტარიანულ საკვებზე გადასულიყო. ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ, ისინი გაიყარნენ.

საკუთარი ქალური ღირსებების წარმოსაჩენად, ჯილიანმა მამაკაცების ჟურნალისთვის, ნახევრად შიშველმა გადაიღო ფოტოსურათები. ჟურნალი დახლებიდან ელვის სისწრაფით ქრებოდა, რედაქციაში კი, დამატებითი ეგზემპლარების მოთხოვნის ზარები არ წყდებოდა. ერთხელაც, ანდერსონმა თავისი პუერტო-რიკოელი ბებიისგან მიიღო წერილი: „ძვირფასო ჯილიან, ძალიან მეწყინა, როცა შევიტყვე, რომ უარის თქმა მოგიწია ტანსაცმელზე. კაბის შესაძენად ცოტა ფული ხომ არ გამოგიგზავნო? სურვილი გამიჩნდა, რამდენიმე ლეღვის ხე დავრგო, რათა მომავალში ბევრი ფოთოლი გქონდეს, რომელიც სხეულს დაგიფარავს. ძალიან მიყვარხარ და გაოცებული ვარ – მაინც რაში დაგჭირდა გაშიშვლება?“

სადღეისოდ, ჯილიან ანდერსონი „საიდუმლო მასალების“ ერთპიროვნული დედოფალია, რადგან დევიდ დუხოვნიმ (აგენტმა ფოქს მალდერმა), რომელთანაც ჯილიანს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, საბოლოოდ გადაწყვიტა სერიალის მიტოვება. თავიდან, დუხოვნი თურმე ჯილიანის „შებმასაც“ ცდილობდა, მაგრამ ანდერსონი იმ პერიოდში ცივი, უკარება ქალის იმიჯს იქმნიდა. შემდეგ ჯილიანმა დუხოვნის მიერ წარმოთქმულ ერთ ფრაზას მოჰკრა ყური: „რა ჯანდაბად მიიღეს ეს ერთობ შეუხედავი და ნაკლებსექსუალური თოჯინა?! – ის ხომ ცოცხალი მანეკენია...“

კლოტცთან გაშორების შემდეგაც, ჯილიანს დევიდთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა. გადაღებების დასრულებისთანავე, დუხოვნი უმალ უჩინარდებოდა, შესვენების დროს კი, დემონსტარაციულად ზურგს აქცევდა ჯილიანს... თავად ანდერსონი კი, თანასწორობის მისაღწევად, პროდიუსერებს ებრძოდა – სურდა, მისთვისაც იმდენივე გადაეხადათ, რამდენსაც დევიდს უხდიდნენ.

ჯილიანის ახალი პარტნიორი – რობერტ პატრიკი, რომელიც ცნობილია ფილმით „ტერმინატორი-2“, ანდერსონს თვალებში შესცინცინებს, უსიტყვოდ ასრულებს მის მითითებებს და გამუდმებით კომპლიმენტებით ამკობს, – მაშინაც კი, როცა დილით, თავისი „პორშედან“ გადმოსვლისას, ჯილიანს სახეზე წინა დღის გრიმის ნარჩენები ადევს... ბუნებრივია, პატრიკი, დუხოვნისგან განსხვავებით, არც სცენარში მოითხოვს ცვლილებების შეტანას. მიუხედავად ამისა, რობერტი ჯილიანს ძალიან აღიზიანებს. ანდერსონი უეცრად მიხვდა, რომ ძალიან მოენატრა დუხოვნი. ერთობლივი ცხრაწლიანი მუშაობის მანძილზე, ქალი ისე მიეჩვია თავის პარტნიორს, რომ მის გარეშე, თავი მარტოსულად იგრძნო. ამასთანავე, დევიდი ერთადერთი მამაკაცი იყო, რომელსაც შეეძლო, ჯილიანს სულის სიმტკიცეში გასჯიბრებოდა.

„ერთადერთი ადამიანი, რომელიც მიყვარს, ეს ჩემი გოგონა ფაიფერია, – ამბობს ჯილიანი. – მასთან მე ხანგრძლივი და საოცარი ურთიერთობა მაკავშირებს.“ წლეულს გოგონა ვანკუვერის ფრანგული სკოლის პირველ კლასში შევიდა. იქ მამამისი ცხოვრობს, რომელიც „საიდუმლო მასალების“ მხატვრად აღარ მუშაობს. ჯილიანი კი, გოგონასთან, გადაღებებისგან თავისუფალ დროს ჩადის ხოლმე. ჩვეულებრივ კი, ანდერსონი საყვარელ ძაღლთან ურთიერთობას სჯერდება. ქალმა მას ერთდროულად სამი სახელი შეარქვა: ჰეფი – რათა მუდამ ახსოვდეს, რომ ბედნიერად (happy – ბედნიერი) უნდა იგრძნოს თავი, ჯოზი – უბრალოდ იმიტომ, რომ ეს სიტყვა ძალიან მოსწონს, – და bhaqti – რაც სანსკრიტზე „ერთგულს“ ნიშნავს.

ცოტა ხნის წინ, ჯილიანმა განაცხადა, რომ რეჟისორობას აპირებს და საკუთარი სცენარით ფილმის გადაღება სურს. თუმცა, მისი ფსიქოანალიტიკოსი ირწმუნება, რომ ამით მის ქალურობას კიდევ ერთი დარტყმა მიადგება, რადგან რეჟისურა მაინც მამაკაცის საქმეა...

■

ჯილიანი, რომელსაც ყველა არაქალურობაში სდებს ბრალს, ზოგჯერ საოცრად მომხიბვლელი, ნაზი, ალერსიანი და უაღრესად ქალურია...

დასაწყისი იხ. „გზა“ №5-7

ისევ ტრასა... ფანჯრის მიღმა ამწვანებული ველები მიქრიან...

ზღვა გამოჩნდა. თბილი, ალერსიანი, ლურჯად მოლივლივე ზღვა...

კოტეჯი იქირავეს ზღვის პირას, ეულად მდგარი... გარშემო პალმები, მხოლოდ პალმები და არავინ სულიერი...

პალმები და ზღვა...

დედიშობილანი ბანაობდნენ. ელა ჩინებულად ცურავდა, მასზე უკეთ. ისე შორს გადიოდა, შიში იპყრობდა, არაფერი მოსვლოდა...

ერთხელ ქარიშხალი ამოვარდა. საშინელი ქარიშხალი. ლურჯად მოლივლივე ზღვა აბობოქრებულ, მრუმე ჯოჯოხეთად გადაიქცა. ვეებერთელა ტალღები თითქმის მათ სახლს ,სწვდებოდა და ჩაყლაპვით ემუქრებოდა...

ცუდ ხასიათზე დადგა. რაღაც ლოდივით მძიმედ დააწვა გულზე. არ სურდა გაერკვია, თუ რა აწუხებდა, თუმცა, ქვეცნობიერად ხვდებოდა... ხვდებოდა, რომ წარსული ბასრი კლანჭებით ჩაჰფრენოდა და არ აპირებდა მის გაშვებას...

მთელი დღე ადგილს ვერ პოულობდა, პლაჟზე დაბორიალებდა, ქვიშით გაევსო თმა, თვალები...

როგორც იქნა, დაღამდა. ფიქრობდა, ქარიშხალი ჩადგებოდა და ახალი დილა მოჰგვრიდა შვებას...

ადრე დაწვნენ. ძლივს ჩაეძინა. საშინელი სიზმარი ნახა... საშინელი! თითქოს ბნელ დერეფანში მიდიოდა. ბოლო არ უჩანდა დერეფანს... შორიდან კი ქალის შემაძრწუნებელი კვნესა ისმოდა... კივილი არა... კვნესა! ღონემიხდილი კვნესა... ფეხს აუჩქარა. ხმა ეცნო, მაგრამ ვერ გაიხსენა, ვისი შეიძლებოდა ყოფილიყო. გაიქცა. ხმა თანდათან ახლოვდებოდა. აი, დერეფნის ბოლოც გამოჩნდა, შუქით განათებული... შემზარავმა სურათმა ადგილზე გააქვავა... ბელა ეგდო იატაკზე შიშველი და რაღაც უცნაური მხეცი ჭამდა მის სხეულს. უზარმაზარი შიში და ვედრება იდგა ბელას თვალებში, შველას ითხოვდა. იგი კი გაშეშებულიყო და ვერც იძვროდა. მხეცი გულგრილად განაგრძობდა ჭამას, თან დორბლი სდიოდა. აი, მოაჭამა უკვე ორივე ფეხი და ხელებზე გადავიდა... ბელას თვალებში უკვე აღარ იყო შიში და ვედრება... მხოლოდ ცივი გამოხედვა, ოდნავ დამცინავიც კი... მხეცმა თავი ასწია. შავოს სისხლი გაეყინა. მხეცს მისი სახე ,ჰქონდა!.. მისი სახე... ბელამ უკანასკნელად შეავლო განწირული მზერა შავოს, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ აღარ დასცალდა, მხეცი ყელში ეცა და თავი წააგლიჯა...

ნუგზარ ბაშელი

ელა

საკუთარმა ღრიალმა გამოაღვიძა. ძლივს სუნთქავდა. საფეთქლები სასტიკად უცემდა. ბელას სახე ჯერ კიდევ თვალწინ ედგა...

გვერდით ელას ეძინა... მშვიდად, ღრმად...

უჯრა გამოსწია, რევოლვერი ამოიღო, ჩახმახზე შეაყენა და ელას საფეთქელზე დაადო. ელამ თავი მისკენ გადმოატრიალა. ბავშვური ღიმილი დასთამაშებდა მის მძინარე სახეს... ოჰ, რა ლამაზი იყო მისი ალეწილი ლოყები...

თავი გაიქნია. იარაღი უკანვე ჩადო.

— შენ არაფერ შუაში ხარ... ჩემი ბრალია!.. მხოლოდ და მხოლოდ ჩემი!.. — შუბლზე აკოცა. მისი სიმშვიდე გადმოედო. ადგა. გარეთ გავიდა. ქარიშხალი ჩამდგარიყო და არაჩვეულებრივად წყნარი ზღვა სარკესავით ირეკლავდა მთვარეს და ვარსკვლავებს...

რაღაც გადაწყვეტილება ჰქონდა უკვე მიღებული და ეს გადაწყვეტილება საოცრად ამშვიდებდა...

დილა გათენდა ლამაზი. ელაც ზღაპრულად მშვენიერი იყო...

სასაუზმოდ დასხდნენ.

— რატომ მიყურებ ასე? — გაბრწყინებული თვალებით შეეკითხა ელა.

— როგორ?

— რა ვიცი... რაღაც სხვანაირად...

— ყოველთვის ასე გიყურებდი.

— არა...

ოჰ, რა გემრიელი იყო ელას სველი ტუჩები...

— ელა, რაღაც მინდა გითხრა... თუ, ვთქვათ, პოლიცია... შენ არ თქვა, რომ ეს შენ ქენი... შენ არაფერი ჩაგიდენია!.. ეს მე ჩავიდინე, გესმის?.. ჩემი ბრალია!..

ელას სახე გაუფითრდა... თვალები აუწყლიანდა.

— რატომ?!

— იმიტომ!.. მოდი, ამაზე აღარ ვილაპარაკოთ...

იმ დღიდან არ გამქრალა ელას თვალებში სევდა — როცა იცინოდა, მაშინაც კი. მზერაც შეეცვალა, უფრო მზრუნველი, უფრო მოსიყვარულე გაუხდა. თითქოს ასაკიც მოემატა... ღამღამობით კი, უფრო მწველი და უფრო ვნებიანი გახდა, თითქოს ყველაფერი უკანასკნელად ხდებოდა.

. ყველაფერი უკანასკნელად...

მოვლენები ისე განვითარდა, როგორც თვითონაც არაერთხელ ჰქონდა ნანახი ფილმებში... პოლიციის მანქანები... უამრავი შეიარაღებული ადამიანი...

— ალყაში ხართ! წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს! ხელები ასწიეთ და ისე გამოდით! — ხმის გამაძლიერებლის ყვირილი...

— ელა, ხომ გახსოვს, რაც გითხარი! შენ არაფერი ჩაგიდენია! მე შინ გამოგიარე და წამოგიყვანე! გაიგე?!

გაფითრებული ელა დუმდა. ხელი გადახვია და კარისკენ წამოვიდნენ. ასე ხელგადახვეულები გამოვიდნენ გარეთ...

ვიღაც ეცა უკნიდან და მიწაზე დასცა. ელა განწირული ხმით დაეტაკა თავდამსხმელს, მაგრამ მასაც ამოუტრიალეს ხელები... ელა არ ნებდებოდა, ფეხებს იქნევდა და მისკენ გამოქცევას ლამობდა.

— თავი დაანებეთ, ეგ არაფერ შუაშია! — კბილებში გამოსცრა შავომ...

შემდეგ — საკანი... მერე, ისევ ტრასა...

ისევ მიქროდნენ ამწვანებული ველები...

„ელაც“ უკან დარჩა...

უცნაურად პირქუში მოეჩვენა მშობლიური ქალაქი...

გელამ მაშინვე ინახულა.

— მართლა შენ მოკალი?!

— კი...

— და რატომ?!.. — ბოლომდე არ სჯეროდა...

— არ ვიცი... მთვრალი ვიყავი...

— და ისე სასტიკად რატომ დაანაკუწე მერე?!

— არ ვიცი-მეთქი, გესმის?!.. — ხმა გაეზარა, — ელას მიხედე... ხომ იცი, რა ემოციურია... ეგ არაფერ შუაშია...

— ელა უკვე სახლშია...

შავოს სახე გაუნათდა.

გელა წამოდგა.

— გელა... იცი, მე შენი გოგო ძალიან მიყვარს... ძალიან...

— ვიცი...

გამოძიებას ბოლო არ უჩანდა... გაუთავებელი დაკითხვები, რაღაც ქაღალდები, რაღაცებზე ხელის მოწერა... მაგრამ ყველაზე მეტად საკუთარი ადვოკატი უშლიდა ნერვებს, ათასნაირ ვარიანტს სთავაზობდა, რაღაც თქვი, რაღაც არ თქვა...

ელა კი არ ჩანდა...

მხოლოდ თვალის ერთი შევლება, სხვა არაფერი სურდა...

მხოლოდ თვალის ერთი შევლება...

ბოლოს, ველარ მოითმინა, ადვოკატს სთხოვა, გელა მოეყვანა...

— ელა სად არის?

— ავად არის...

— რა დაემართა?

— ვენები გადაიხსნა, სულზე მივუსწარი...

შავომ ამოიგმინა და ქვედა ტუჩი მოიკვნიტა. წითლად შეეღება ნიკაპი...

— ახლა როგორ არის?

— უკეთ, მაგრამ წამლების მიღება არ შეიძლება...

— რატომ?

— ორსულად არის.

ნისლში გაეხვია ირგვლივ ყოველივე... სკამზე ჩამოჯდა... საამო მოთენთილობა, სხვა არაფერი... მხოლოდ ერთი აზრი — ელას შვილი ეყოლება, მისი შვილი...

გელას შეხება იგრძნო.

— რა მოგივიდა?

გამოერკვა.

— ელა მაჩვენე! — იმდენად კატეგორიული იყო მისი მოთხოვნა, რომ გელამ უარი ველარ გაუბედა.

— უფრო ანერვიულდება, ცოდოა... — სცადა მაინც.

— ნუ გეშინია, დავაწყნარებ...

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. გულისამრევად გაიწელა დრო... „დღეს ელას ვნახავ!“ — საოცარ ძალას მატებდა ეს აზრი...

ინათა, როგორც იქნა. აი, ისიც გამოჩნდა... ადვოკატი და გელა მოჰყვებოდნენ. კარი ღრჭიალით გაიღო. ადვოკატმა რაღაც უთხრა და გავიდნენ. დარჩნენ მხოლოდ ორნი — ის და ელა...

ელა გაუნძრევლად იდგა. ნესტოები უთრთოდა და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ორივე ხელით პატარა ხელჩანთა ეჭირა...

შავომ ძლივს მოახერხა ნაბიჯის გადადგმა. მაგრად ჩაიკრა გულში. ასე იდგნენ, ხმას არ იღებდნენ... სახეზე ელას თმა ელამუნებოდა და ამ თმის სურნელება სულს უმშვიდებდა...

კარი გაიღო — დრო გავიდაო!

შეშინებულმა ელამ ათრთოლებული ხელით რაღაც ჩაუდო ჯიბეში...

შავომ ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში და წასჩურჩულა:

— პატარას მიმიხედე, გესმის?! კარგად მიმიხედე!..

გავიდნენ. კარი დაიხურა. ჯიბეში ხელი ჩაიყო და პატარა რევოლვერი შეიგრძნო...

იმედის ნაპერწკალი აუკიაფდა თვალებში... ათასი აზრი აირია გონებაში... ერთი რამ კი ცხადი იყო: ის გაიქცეოდა, აუცილებლად გაიქცეოდა!.. ელას და მისი მომავალი შვილის გულისთვის!.. აუცილებლად!

სასამართლო გაიწელა.

ელა მუდამ ერთსა და იმავე ადგილას იჯდა და გაყინული მზერით ერთ წერტილს მისჩერებოდა...

პროკურორი ილანძღებოდა, მიწასთან ასწორებდა, ადვოკატი ენაწყლიანობდა, მას კი ყველაფერი ფეხზე ეკიდა. მას ჯიბეში რევოლვერი ჰქონდა დამალული...

დარბაზში მაყვალა შემოვიდა და განრისხებული მზერა სტყორცნა შავოს.

თავისი სიზმარი მოაგონდა რატომღაც... ის მხეცი, მისი სახით...

— მხეცი! — მოესმა, თითქოს ამ ფიქრის დასტურად. გაიხედა. მაყვალას ბაგეთაგან მოდიოდა ეს საშინელი ბგერები...

წამოდგა. მხარზე პოლიციელის ხელის შეხება იგრძნო. ჯიბეში ხელი ჩაიყო. ხელზეც მარწუხებივით შემოეჭდო მისი თითები. ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლი მოიწმინდა.

— რაიმე გსურთ, დაამატოთ? — შეეკითხა მოსამართლე.

შავოს გაელიმა. მშრალი და ცივი იყო ეს ღიმილი. სახეზე მკვდრისფერი ედო...

— კი... ცხოვრება მაგარი სანაგვეა, არა?!.. — ჩამქრალი თვალები მოავლო დარბაზს...

ელა შეძრწუნებული თვალებით შესცქეროდა, პირი ოდნავ დაეღო, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა. ერთხანს უცქირეს ერთმანეთს, შემდეგ შავომ ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო, ელვის სისწრაფით ამოიღო რევოლვერი და... პოლიციელს სისხლის შხეფებმა სახე დაუფარა...

ერთხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ ელას შემზარავმა კივილმა შეძრა იქაურობა, დასისხლიანებულ შავოს მივარდა და გულში ჩაიკრა.

— ო, არა, არა, შავო! შენ სხვა რამეს შემპირდი მე, სულ სხვა რამეს!.. ის ქალი მე მოვკალი, მე!.. შავო მიყვარდა და იმის გულისთვის მოვკალი! გაიგეთ?! — არაადამიანური ხმით გოდებდა...

— გაჩუმდი!.. შენ პატარა გყავს გასაჩენი და გასაზრდელი... შავოს პატარა... — მამის ჩურჩული მოესმა ყურთან...

მამის ძლიერმა ხელებმა წამოაყენა და მაგრად ჩაიხუტა...

დასასრული

Autonomy — ახალი ეპოქის დასაწყისი



მსოფლიოში არც ერთი სოლიდური საავტომობილო კომპანია არ დარჩენილა, ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს რომ არ ეძებდეს. მოარულ ხმებზე დაყრდნობით, ამ სფეროში გერმანელები და იაპონელები ლიდერობენ, რომლებმაც ბოლო დროს ბევრი საინტერესო სიახლე შესთავაზეს ავტომრეწველობას. თუმცა, მათ არც ამერიკელები ჩამორჩებიან. მაგალითად, კორპორაცია „ჯენერალ მოტორსმა“ შექმნა კონცეპტ-კარი AUTONOMY, რომელიც ავტომობილის ყველა არსებულ სტერეოტიპს ამსხვრევს: პირველ რიგში, იმით, რომ ეს ის ელექტრომობილია, რომლის ენერგიის წყაროსაც წყალბადი წარმოადგენს. მანქანის თითოეული ბორბალი, 40 ცხ.ძ-ის მქონე ავტონომიური ელექტროძრავის მეშვეობით მოქმედებს. შასი აწყობილია იმ პრინციპის მიხედვით, რომელსაც კონსტრუქტორები „სკეიტბორდს“ ეძახიან: მასში გაერთიანებულია ძალოვანი დანადგარი, წყალბადიანი ბალონები და მართვის სისტემა. საავტომობილო არქიტექტურის ასეთი პრინციპი ძარის სწრაფი გამოცვლის საშუალებას იძლევა, რის შედეგადაც, კომფორტაბელური სედანი ორადგილიან სპორტულ კაბრიოლეტად ან, პირიქით, ქალაქგარეთ სასეირნოდ მოსახერხებელ, ტევად ვენად შეიძლება გადაიქცეს. უფრო მეტიც – კონსტრუქცია იმის საშუალებასაც იძლევა, რომ საჭეს ადგილმდებარეობა შეუცვალოთ და მარცხნიდან, მარჯვენა მხარეს გადაიტანოთ, – თუკი კონტინენტური ევროპიდან დიდ ბრიტანეთში გადაინაცვლებთ.

„აუტონომის“ კონსტრუქტორები ფიქრობენ, რომ ამ მანქანას, მყიდველზე მეტი დამქირავებელი ეყოლება, რომელიც თავად შეარჩევს სასურველ ძარას. „ჩვენ ავტომობილის კონსტრუირების ახალ ერას ვიწყებთ“, – განაცხადა ამ ცოტა ხნის წინ მოწყობილ დეტროიტის ავტოსალონზე „ჯენერალ მოტორსის“ მთავარმა დიზაინერმა უეინ ჩერიმ. მიუხედავად ამისა, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ „აუტონომის“ სერიული წარმოების დაწყება მხოლოდ 2020 წლისთვის იქნება შესაძლებელი. ■



CIEN-ი — სახმელეთო „ბომბდამშენი“

კიდევ ერთი კონცეპტ-კარი დეტროიტში იმავე „ჯენერალ მოტორსმა“ წარმოადგინა. CIEN-ის დიზაინი თავისი იერით, უმალ თანამედროვე ბომბდამშენს მოგაგონებთ. მანქანის დაბალ ცხვირში მოთავსებულ ჰაერის შემწოვებს ტრაპეციის ფორმა აქვს და საერთოდ, ავტომობილს მართი კუთხეები და აგრესიული მონახაზი ახასიათებს.

CIEN-ი 12-ცილინდრიანი 7,5 ლ-იანი ძრავით არის აღჭურვილი, რომელიც 750 ცხ.ძ-ს ავითარებს. „კადილაკისგან“ ნასესხები რადიატორის ცხაურის მქონე ავტომობილი ბევრ ტექნიკურ სიახლეს შეიცავს: მაგალითად, ღამის ხედვის ელექტრონულ სისტემას NIGHT VISION-ს. მისი სპეციალური სენსორები იმ სახიფათო სიტუაციებსაც „იჭერს“, რომელიც სანათების მოქმედების არეალს სცილდება და შესაბამის გამოსახულებას საქარე მინაზე ასახავს. მანქანის უკანა ნაწილი ვიდეოკამერით არის აღჭურვილი, რომელიც მეორე დისპლეიზე გადასცემს შესაბამის ინფორმაციას. მოძრაობის ინტენსიურობისდა მიხედვით (ქალაქის ქუჩებში იმყოფება თუ ჩქაროსნულ ტრასაზე), მძღოლს საშუალება აქვს, არეგულიროს ძრავის სიმძლავრე და საჭიროების შემთხვევაში, 12 ცილინდრიდან ნახევარიც კი გამოთიშოს.



ჯერჯერობით CIEN-ი მხოლოდ კონცეპტ-კარის სახით არსებობს და ისიც არ არის ცნობილი, ჩაუშვებენ თუ არა ოდესმე წარმოებაში. ■

ახალი Rinspeed Presto

შვეიცარიელმა კონსტრუქტორმა ფრანკ რინდერკნეხტმა, მარტის დასაწყისისთვის დაგეგმილ ჟენევის ავტოსალონზე საჩვენებლად ისეთი ავტომობილი მოამზადა, რომელიც, მისი აზრით, დიდი ქალაქების ქუჩებში არსებული სივიწროვის ნაწილობრივ აღმოფხვრას მაინც შეუწყობს ხელს. მისი კონცეპტ-კარი, ტელესკოპიური ჩარჩოს წყალობით, სულ რამდენიმე წამში შეიძლება გადაიქცეს 2,95 სმ სიგრძის ორადგილიანი კაბრიოლეტიდან, 3,70 სმ სიგრძის ოთხადგილიან მანქანად. ტრანსფორმაცია სპეციალური ელექტრომამრავის წყალობით არის შესაძლებელი.

როგორც რინდერკნეხტი აცხადებს, მას სურდა დაემტკიცებინა, რომ საავტომობილო კონსტრუირების სფეროში შეუძლებელი არაფერია. 46 წლის შვეიცარიელმა ინჟინერმა თავისი ბიზნესი 1977 წელს წამოიწყო, როდესაც აშშ-იდან შემოტანილი ლიუკების გაყიდვას მიჰყო ხელი. წარმატებას კი იმით მიაღწია, რომ ხეიბართათვის განკუთვნილი ავტომობილების კონსტრუირება დაიწყო. 90-იანი წლების დამდეგიდან, მისმა ფირმამ – RINSPEED DESIGN – ჟენევის ყველა ავტოსალონში მიიღო მონაწილეობა.

კონცეპტ-კარ RINSPEED-ის შემუშავებას, გამომგონებელმა და მისმა თანაშემწეებმა საერთო ჯამში, 7 ათასი საათი მოანდომეს. ეს უჩვეულო ავტომობილი, A კლასის კომპაქტური „მერსედესის“ ბაზაზე იქმნებოდა. ჩარჩოს ორიგინალური კოსტრუქციის გარდა, რინდერკნეხტი გაზის ძრავით აღჭურვილი PRESTO-ს ვარიანტზეც მუშაობდა, რომლის საწვავადაც ბიომასა უნდა გამოიყენონ.

ჟენევის ავტოსალონზე დიზელისძრავიანი მანქანა იქნება წარმოდგენილი. კონსტრუქტორი იმედოვნებს, რომ მიიღებს ტექნიკურ სერტიფიკატს, რომელიც შვეიცარიასა და გერმანიაში „პრესტოს“ ექსპლუატაციის უფლებას მისცემს. თუმცა, ამის მიღწევა არც ისე ადვილია: ავტომობილს არა აქვს კარი და მყარი სახურავი, რაც მოხელეთა დიდი წინააღმდეგობის საფუძველი შეიძლება გახდეს. და მაინც, გამომგონებელს მიაჩნია, რომ სიგრძეში ასაკეცი ავტომობილის, თავად იდეა, ბევრი დიდი ფირმის დაინტერესებას გამოიწვევს. ■

ექსპერიმენტი — უმძლოლო ტაქსი

ინგლისის ქალაქ კარდიფში ავტომატური ტაქსის პირველი ტრასა ამუშავდა. რეზინის ბორბლებზე შემდგარი ვერცხლისფერი გონდოლები გარკვეული მარშრუტით მოძრაობს და ამა თუ იმ მგზავრისთვის საჭირო ადგილას ჩერდება, რაც მგზავრის მიერ სპეციალურ კომპიუტერში შეტანილი განაცხადით ხორციელდება. ამ ტრანსპორტს აკუმულატორებით მკვებავი ელექტროძრავა ამოძრავებს, ტაქსი-ავტომატი 400 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს და 4 ადამიანს იტევს. პროექტი ULTRA (URBAN LIGHT TRANSPORT – საქალაქო ტრანსპორტი) ბრისტოლის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა შეიმუშავეს, მისი დაფინანსება კი, რომელიც 5 მლნ ევროს ეკვივალენტს შეადგენს, ბრიტანეთის მთავრობამ იკისრა.

ტრანსპორტის ახალი სახეობის დადებითი მხარეები ნათელია: ტრასის ასაგებად საჭირო ხარჯები, ახალი ავტოსტრადის მშენებლობისთვის საჭირო სახსრების 10-ოდე პროცენტს შეადგენს, ენერგია კი, 80%-ით ნაკლები სჭირდება, ვიდრე ტრადიციულ ტრანსპორტს – ტროლეიბუსსა და ტრამვაის. ULTRA-ს მთავარი დამპროექტებლის, მარტინ ლოუსონის მტკიცებით, ქალაქის პირობებში, მისი ტაქსი, ავტობუსზე, ტრამვაისა და მსუბუქ ავტომობილზე 3-ჯერ უფრო სწრაფად იმოძრავებს. ყველა მანქანა ტელეკამერით არის აღჭურვილი, მოძრაობის უსაფრთხოებას კი ცენტრალური სადისპეტჩერო პუნქტი აკონტროლებს.

კარდიფში დაწყებული ექსპერიმენტი 2004 წლამდე გაგრძელდება. ამის შემდეგ კი, რამდენიმე ახალი ტრასის აგებაა დაგეგმილი. ■



მერაბ სეფაშვილი

ქართული ვარსკვლავები აშშ–ში

მარტის დამლევს მერაბ სეფაშვილი ამერიკაში, კერძოდ – ფლორიდის შტატში გაემგზავრება, სადაც მაია ჯაბუასა და ნუკრი კაპანაძესთან ერთად, საქველმოქმედო ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას. კონცერტების შემდეგ, მერაბი ჰოლივუდში გადაინაცვლებს და ახალ მუსიკალურ კლიპს გადაიღებს. რეჟისორის ვინაობა ჯერ საიდუმლოდ რჩება.

მაია ჯაბუა:

– აღნიშნული ღონისძიება 23 მარტს გაიმართება. მის ორგანიზატორებად აშშ-ის ქალაქების მერიები გვევლინება. ამ ღონისძიებაში მსოფლიოს უამრავი ქალაქი, მათ შორის – თბილისიც მონაწილეობს და ძირითადად, მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებას ემსახურება.

რაც შეეხება მერაბის ახალ კლიპს, მასში მონაწილეობას არ ვაპირებთ, ღონისძიების დამთავრებისთანავე თბილისში დავბრუნდები.

ნუკრი კაპანაძე:

– კონკრეტულად ჯერ არაფერი ვიცი. ჩემთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მიმიწვიეს ამერიკაში. არც ორგანიზატორების და არც საქველმოქმედო პროექტის შესახებ მსმენია რაიმე. ■

მაია ჯაბუა

ქეთი გომართელის ახალი კლიპი

ახალგაზრდა მომღერალმა ქეთი გომართელმა ახალი მუსიკალური კლიპი გადაიღო. რეჟისორად მისი უფროსი და – თამუნა მოგვევლინა. გადაღებები რუსთავში და თბილისის რესტორნებში მიმდინარეობდა, რაც ყველაზე საინტერესოა, მასში აქტიურად მონაწილეობდა ცნობილი რადიოწამყვანი, აჩი ფურცელაძე, რომელმაც კლიპში ქეთის შეყვარებული განასახიერა.

მომღერლის თქმით, გადაღებები დასრულდა და მონტაჟის შემდეგ, კლიპის პრეზენტაცია 21 თებერვალს, „ბერიკონში“ არის დაგეგმილი. ■

ამიერკავკასიის ფესტივალი საქართველოში

რამდენიმე დღის წინ დასრულდა საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის მიერ ორგანიზებული ამიერკავკასიის ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალი, რომელიც იუნესკოს ეგიდით ჩატარდა.

ფესტივალი სახელწოდებით – „ამიერკავკასიის ბავშვები მშვიდობისა და ერთიანი მსოფლიოსთვის“ – ერთ კვირას გაგრძელდა.

ფესტივალის დასასრულს საუკეთესო ჯგუფები და შემსრულებლები იუნესკოს საქმეთა კომისიისა და საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის დიპლომებით დაჯილდოვდნენ, რის შემდეგაც ოპერისა და ბალეტის თეატრში დასკვნითი – გალა კონცერტი გაიმართა.

შთამბეჭდავი იყო საზეიმო ბანკეტი, რომელიც მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სარკეებიან დარბაზში გაიმართა და მონაწილეებს უმასპინძლა. ■

ავთო ვარსიმაშვილი

ავთანდილ ვარსიმაშვილი ტურნესთვის ემზადება

რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი, რამდენიმე დღით სანკტ-პეტერბურგში მიემგზავრება, თეატრის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, სადაც თავის ორ ბოლოდროინდელ სპექტაკლს – „რაშენ ბლუზსა“ და „კომედიანტებს“ წარადგენს.

სანკტ-პეტერბურგიდან რეჟისორი კიევში გადაინაცვლებს და ქართული ხელოვნების დეკადაზე ცნობილი ქართული სპექტაკლის – „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“, სატელევიზიო ვერსიას შესთავაზებს უკრაინელ მაყურებელს.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ტელესპექტაკლი, ქართველმა მაყურებელმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საახალწლო გადაცემაში იხილა. ■

თონოგრამების საწინააღმდეგო საკონცერტო აქცია

მერიის კულტურის საქალაქო სამსახურმა, საკუთარი ინიციატივით შექმნილი ახალი დადგენილების მართებულობის აფიშირება გადაწყვიტა და ამ მიზნით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გალა კონცერტი გამართა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, აღნიშნული ღონისძიება ფონოგრამების წინააღმდეგ მიმართული აქციის დატვირთვას ატარებდა, რის შესახებაც დამსწრეთ მომღერალმა, ირმა სოხაძემ აცნობა. აქციაში უამრავ ნიჭიერ, მაგრამ ნაკლებად ცნობილ მომღერალთან ერთად, ქართული ესტრადის რამდენიმე პოპულარული შემსრულებელიც მონაწილეობდა. მათ, ორკესტრის თანხლებით, საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირების საშუალება მიეცათ.

აქცია ოპერის თეატრისთვის შეუფერებელი ტექნიკური ხარვეზებით მიმდინარეობდა, რამაც ბევრს ათქმევინა: გასაგებია, რატომაც ურჩევნია მომღერლების უმეტესობას „პლუსზე“ სიმღერაო... ყველაზე საინტერესო კი, მაინც მოულოდნელად გამოჩენილი „ზუმბა ლენდის“ გამოსვლა აღმოჩნდა, რომელმაც, იმპროვიზაციის შესრულებისას ორკესტრის წევრების უკმაყოფილო ჟესტიკულაცია და შეძახილები გამოიწვია.

საბოლოოდ, აქცია მშვიდობიანად დასრულდა და იმის დემონსტრაციადაც იქცა, რომ საქართველოში მომღერლების დიდ ნაწილს ცოცხლად სიმღერა ნამდვილად შესძლებია. ■

რეგო ძაგანიშვილი

ᲜᲘᲙᲝᲚ ᲙᲘᲓᲛᲐᲜᲡ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲣᲔᲢᲨᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲡᲣᲠᲡ

ნიკოლ კიდმანი გამოტყდა, რომ სიამოვნებით შეასრულებდა სიმღერას დუეტში თავის თანამემამულე კაილი მინოუგთან ერთად. როგორც ცნობილია, ტომ კრუზთან დაშორების შემდეგ, მან გარკვეული შვება იგრძნო რობი უილიამსთან ერთად სიმღერის – Something Stupid – შესრულებისას. სიმღერას საკმაო წარმატება ხვდა წილად და ამან კიდმანი ძალიან გაახარა.

მიუხედავად იმისა, რომ საშემსრულებლო შემოქმედების გაგრძელებას ნიკოლი აღარ აპირებდა, მან გადაწყვეტილება მაინც შეცვალა და ჩათვალა, რომ კიდევ ერთი ხმაურიანი სიმღერა ხელს არაფერში შეუშლის.

კიდმანს სრულებით არ აშფოთებს ის ფაქტი, რომ კაილი მინოუგი საკმაოდ ტანმორჩილია და თავად, მის გვერდით გოლიათად გამოჩნდება. ალბათ იმიტომ, რომ წინა სიმღერის ჩაწერისას ამ ფაქტს არავითარი უხერხულობა არ შეუქმნია მისთვის – რობი უილიამსიც ხომ სიმაღლით ვერ დაიკვეხნის.

„უარს არ ვიტყოდი კაილისთან თუნდაც ერთი სიმღერის ჩაწერაზე. მისი სიმღერების მოსმენა ძალიან მიყვარს. კაილიმ თავისი ახალი ალბომით ამერიკაში არნახული წარმატება მოიპოვა, რადგან საუცხოო მომღერალია.“

კიდმანის შეთავაზებაზე მინოუგის რეაქცია ჯერჯერობით უცნობია. ■

ᲨᲔᲠᲘᲚ ᲥᲠᲝᲣ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲗᲐᲡ ᲚᲐᲜᲫᲦᲐᲕᲡ

ბრიტნი სპირსის ჩაცმის მანერა დიდი ხანია დაცინვის საგნად იქცა. როგორც ჩანს, ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმულ ცნობილ ადამიანთა სიაში მან კარგა ხნით დაიმკვიდრა ადგილი. სულ ახლახან კი, ამ სიას კრისტინა აგილერაც შეემატა. ის და მისი „საყვარელი მეგობარი“ – ბრიტნი სპირსი ერთ ქვაბში მოხარშა მომღერალმა შერილ ქროუმ: US magazine-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ქროუმ მათ მუსიკალურ ბაზარზე გამოსული „პატარა იაფფასიანი პორნოვარსკვლავუკები“ უწოდა და მათი ჩაცმულობა და ქცევა დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა.

„რას უნდა ველოდოთ მათგან მომავალში, როცა დღეს, 19 წლის ასაკში, ისინი კამერის წინ საკუთარ ინტიმურ ადგილებს „ეთამაშებიან“?! – ირონიულად კითხულობს შერილი და დასძენს: – მე პირადად, ალბომის ტირაჟის გასაზრდელად, ასეთ რამეს არასოდეს ჩავიდენდი.“

შეიძლება ბრიტნისა და კრისტინას გემოვნება მართლაც დაეწუნებათ, მაგრამ ზოგჯერ თვით შერილიც არანაკლებ სასაცილოდ გამოიყურება. ის საკმაოდ დიდხანს ატარებდა მოკლე მაისურსა და შორტებს, მუცელსაც ხშირად იშიშვლებდა და შესაძლოა, ახლა უბრალოდ, იმის გამო ბრაზობს, რომ ამ თვალსაზრისით, ორი კონკურენტი გამოუჩნდა, თანაც – შერილზე გაცილებით ახალგაზრდები... ■

ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲛᲔᲥᲰᲔᲛᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲨᲘ ᲘᲮᲕᲔᲕᲐ

ცნობილი ფეხბურთელის, დევიდ ბექჰემის მეუღლე, წარსულში არანაკლებ ცნობილი პოშ სპაისი, იაპონელ ავტომწარმოებლებს სასამართლო სარჩელით ემუქრება. თურმე ვიქტორიას ცოტა ხნის წინ, ხელში სარეკლამო ბუკლეტი ჩაუვარდა, რომელშიც საკუთარი თავი მწვანე Daihatsu-ს ფონზე იხილა. ფოტოს წარწერაც ახლდა: „მწვანე მანქანა? მე ხომ ჩემი გარდერობის შეცვლა მომიწევს.“ ვიქტორია მისი გამოსახულების უნებართვოდ გამოყენებამ და ფოტოზე მოთავსებულმა წარწერამ ერთნაირად აღაშფოთა. თავის გასამართლებლად, Daihatsu-ს მწარმოებლებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი სარეკლამო განცხადებები დიდი წარმატებით სარგებლობს და მისი მონაწილენი „უნებურად“ გახდნენ ისეთი ცნობილი პოლიტიკოსები, როგორებიც არიან ტონი ბლერი და ჯონ პრესკოტი, მაგრამ მათ ფოტოების გამოქვეყნების გამო, სკანდალი არ მოუწყვიათ. კომპანიის მესვეურებმა ჩათვალეს, რომ რეკლამაში მათი ფოტოსურათების უნებართვოდ გამოყენებას შოუბიზნესის წარმომადგენლებიც მშვიდად შეხვდებოდნენ. სამწუხაროდ, იმედი გაუცრუვდათ და ახლა იაპონელებს წინ სასამართლო პროცესი ელით. ■

ᲯᲣᲚᲘᲐ ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲡᲘ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲪᲘᲓᲣᲚᲝᲑᲡ

ჯულია რობერტსმა თავისი საყვარლის – კინოოპერატორ დენი მოდერის „გამოსასყიდად“, მის ცოლს 100.000 დოლარი შესთავაზა. კინოოპერატორის მეუღლემ კი განაცხადა: „რობერტსს ჰგონია, რომ მე მოვკვდები, ისინი კი ჩემს ნეშტს გადააბიჯებენ და ამის შემდეგ, ბედნიერად იცხოვრებენ. ამას ვერ ეღირსებიან! რობერტსს ახლა ყველაზე მეტად, ალბათ დენის დასაკუთრება სურს, მაგრამ მე ამას არ დავუშვებ.“

ვარსკვლავის მეგობრები ირწმუნებიან, რომ ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ მანამდე გაფუჭდა, სანამ ჯულია და დენისი ერთმანეთს დაუახლოვდებოდნენ. როგორც გაირკვა, მათი რომანი უკვე ორი წელია გრძელდება, მოტყუებულმა ცოლმა კი, ამის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა შინ ტელეფონით საუბრის უზარმაზარი გადასახადი მიუვიდა და გაარკვია, თუ ვის ებაასებოდა ამდენი ხანი მისი ქმარი.

აღსანიშნავია, რომ თავიდან, რობერტსმა, საყვარლის სანაცვლოდ, მისის მოდერს 10.000 დოლარი შესთავაზა, მაგრამ როგორც კი გაიგო, რომ დენიმ რამდენიმე ღამე კვლავ მეუღლის საწოლში გაატარა, უმალ გაზარდა „ფსონი“. არავინ იცის, თუ საბოლოოდ, რა თანხაზე გაჩერდება ვარსკვლავი, რომლის ჰონორარი თითოეული ფილმისთვის 20 მლნ დოლარს აღწევს... ■

მოამზადა
მანანა ღოღობერიძემ

რჩევები

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

მწეველებს ვიტამინები ესაჭიროებათ

ჯანსაღი ცხოვრების წესი დღეს მოდაშია და არ თმობს თავის პოზიციებს. ელეგანტური ტანსაცმლის ტარებისა და ძვირად ღირებული ავტომობილის ყოლის აუცილებლობას თანამედროვე ყოფის მნიშვნელოვანი დეტალი — სპორტული დარბაზებისა და საცურაო აუზების რეგულარული სტუმრობა დაემატა. და ამ „პორტრეტში“ არაფრით არ ჯდება სიგარეტი.

თუ სიგარეტის „გადაგდება“ გადაწყვიტეთ

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მწეველთა 70%-ს სიგარეტისათვის თავის დანებების სურვილი აქვს, მაგრამ ამის განხორციელება მხოლოდ ძალიან უმნიშვნელო ნაწილს ძალუძს. მაინც რა სირთულეებს ვხვდებით ასეთ დროს?

1. **სტრესი**. საიდუმლო არ არის, რომ სიგარეტის ბოლი, რომელიც ნელა მიიზლაზნება ზევით, ადუნებს და განმუხტავს ადამიანს. ამიტომ სასარგებლო იქნება, თუ დაძაბულობის მოხსნისთვის სხვა საშუალებებს მიმართავთ: გასეირნებას, ცხელ აბაზანას, ან კონტრასტულ შხაპს, სექსს, ავტოტრენინგს.

2. **მარტოობის განცდა**. სიგარეტის შეთავაზება პირადი და საქმიანი კონტაქტების მოგვარების ერთ-ერთი ხერხია. უფრო ხშირად შეხვდით ხოლმე იმ ახლობელ ადამიანებს, რომლებიც თამბაქოს არ ეწევიან. იარეთ მაღაზიებში, საღამოებზე, თეატრში.

3. **ღრძილების დაავადებები**. თამბაქოს ბოლი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ამიტომ, როდესაც სტაჟიანი მწეველი უარს ამბობს სიგარეტზე, მას ღრძილებიდან სისხლდენა და ანთება უვითარდება. ურიგო არ იქნება, თუ ასეთ დროს სტომატოლოგს მიაკითხავთ.

4. **მოწევის სურვილი**. თუ მას დანებდით, ნუ ჩათვლით, რომ ვერასოდეს შეძლებთ სიგარეტისათვის თავის დანებებას. გახსოვდეთ, რომ მოწევის სურვილის პროვოცირებას ალკოჰოლური სასმელები, ყავა და მწეველთა საზოგადოებაში ყოფნა იწვევს.

5. **აბსტინენციის სინდრომი** — ყველაზე სერიოზული პრობლემაა. საქმე ის არის, რომ ნიკოტინი ნივთიერებათა ცვლის მრავალ პროცესში მონაწილეობს და მისი ჩვეული დოზის უეცარი მოხსნის შედეგად ვითარდება „გადაგდების სინდრომი“, რომელიც ვლინდება დეპრესიით, დაღლილობის გრძნობით, იმუნიტეტის დაქვეითებით. სირთულეების დაძლევაში დაგეხმარებათ ნიკოტინის შემცველი პრეპარატები (საღეჭი რეზინები, წებოვანი ფირფიტები), მცენარეული ანტიდეპრესანტები (კრაზანის ნაყენი), ბალანსირებული კვება, სპეციალური ვიტამინები და სპორტი. ამ ზომების მიღების გარეშე, ძალზედ გაგიჭირდებათ ასეთი კრიტიკული პერიოდის გადატანა.

მოწიეთ ჭკვიანურად

როგორ უნდა მოიქცნენ ისინი, ვისაც არ ჰყოფნის ნებისყოფა სიგარეტის „გადასაგდებად“? მათ მხოლოდ ერთი რამ რჩებათ — შეეცადონ, რომ სიგარეტის წევის მავნე შედეგები მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.

— გამოიყენეთ უარომატო, ხარისხიანი, ფილტრიანი სიგარეტი, ნუ გაიჩერებთ სიგარეტს პირში.

— მოწიეთ სიგარეტი მხოლოდ ნახევრამდე.

— სვით მეტი წყალი, რაც ტოქსინების (შხამების) ორგანიზმიდან სწრაფ გამოდევნას შეუწყობს ხელს.

— შავის ნაცვლად, სვით მწვანე ჩაი. იგი ბრონქებს ნიკოტინისგან გაწმენდს.

— აკონტროლეთ ფიზიკური დატვირთვა, რადგან ნიკოტინი არტერიებს ავიწროებს.

— მიიღეთ ვიტამინური პრეპარატები. სიგარეტის ბოლის კომპონენტები აჩქარებს მთელი რიგი ვიტამინების დაშლას ორგანიზმში, ამიტომ მათი მოთხოვნილება მწეველებში 50%-ით მეტია.

როგორ შევარჩიოთ ვიტამინები

ცნობილია, რომ სიგარეტის თითოეული ღერის მოწევისას მწეველის ფილტვებში ტრილიონობით თავისუფალი რადიკალი აღწევს, რომელიც დაბერებას იწვევს და შესაძლოა ონკოლოგიურ დაავადებამდეც მივიდეს საქმე. მათ განეიტრალებას ხელს უწყობს ანტიოქსიდანტი-ვიტამინები — C, E, B1. C ვიტამინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე ორგანიზმის დამცველობითი ფუნქციის ფორმირებაში, მონაწილეობს სეროტონინისა და ნორადრენალინის ბიოსინთეზში. ეს ნივთიერებები კი ჩვენს განწყობაზე ახდენს გავლენას. ბევრმა არ იცის, რომ მწეველი ადამიანისათვის არ არის სასურველი A ვიტამინი და ბეტა-კაროტინი, რადგან სიგარეტთან ერთად, ეს ნივთიერებები ზრდის ფილტვის კიბოს განვითარების რისკს. ასევე სახიფათოა სხვადასხვა მინერალის უკონტროლოდ მიღება.

გახსოვდეთ, რომ ვიტამინები დღეს ჯანსაღი ცხოვრების სტილის სიმბოლოდაა ქცეული, მაგრამ მათ მიღებასაც გარკვეული ჩვენება აქვს. ■

მამაკაცების საყურადღებოდ

წინამდებარე ჯირკვლის ადენომა

წინამდებარე ჯირკვლის ადენომა ამ ორგანოს კეთილთვისებიანი სიმსივნისმაგვარი წარმონაქმნის ზრდის შედეგია. იგი საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა, გვხვდება 50 წელს გადაცილებულ მამაკაცებში და უმეტესად ვითარდება კლიმაქსის ფონზე. ვარაუდობენ, რომ წინამდებარე ჯირკვლის ადენომის განვითარება სქესობრივი ჰორმონების ბალანსის დარღვევასთანაა დაკავშირებული და უპირველესად აღენიშნებათ იმ მამაკაცებს, რომლებსაც მჯდომარე, სტატიკურ პირობებში უხდებათ მუშაობა და ნაკლები ფიზიკური დატვირთვა აქვთ. სავარაუდოა, რომ ამ დაავადების აღმოცენებაში გარკვეულ როლს ასრულებს მემკვიდრეობითი ფაქტორიც. ხანში შესულ მამაკაცთა გარკვეულ ნაწილში წინამდებარე ჯირკვალი ზომაში მეტ-ნაკლებად მატულობს, მაგრამ რადგანაც მოშარდვის აქტი დარღვეული არ არის, პრაქტიკული თვალსაზრისით, ისინი ჯანმრთელებად ითვლებიან.

დაავადების კლინიკურ მიმდინარეობაში უნდა გავარჩიოთ სამი პერიოდი-სტადია:

პირველი სტადია. ავადმყოფს ეწყება გახშირებული შარდვა, განსაკუთრებით ღამით. პირველ ხანებში ავადმყოფი ამ ფაქტს მაინცდამაინც დიდ ანგარიშს არ უწევს, რადგან ფიქრობს, რომ ამის მიზეზია ძილის წინ მიღებული სითხის დიდი რაოდენობა, ალკოჰოლი ან უძილობა. შემდეგში ავადმყოფი შენიშნავს, რომ შარდვის სიხშირე მატულობს და შარდვის აქტიც გაძნელებულია. არის შემთხვევები, როდესაც ავადმყოფი დილის საათებში 3-5-ჯერ ზედიზედ გადის მოსაშარდად, შემდეგ კი ნორმალურად ატარებს მთელ დღეს. ადამიანი შედარებით კარგად გრძნობს თავს, თუ ჭარბად არ მიიღო მაგარი სასმელი, ან არ მოხვდა დაბალი ტემპერატურის პირობებში (ფეხების გაცივება, ცივ საგანზე ჯდომა, ცივ წყალში ბანაობა და სხვა). ძალზედ მნიშვნელოვანი სიმპტომია, შარდის შეუკავებლობა. ავადმყოფი აღნიშნავს, რომ არ შეუძლია შარდის შეკავება, რაც ზოგჯერ დიდ უხერხულობას უქმნის. დამახასიათებელია შარდვის აქტის გაძნელება. ავადმყოფი გარკვეულ ხანს ელოდება, ვიდრე შარდი გამოიყოფა. ნაკადი დუნეა, კარგავს ტრაექტორიას, რის გამოც შარდი იღვრება იქვე ახლოს, ფეხებთან. დაავადების პირველი პერიოდი ზოგჯერ რამდენიმე წელიც გრძელდება.

დაავადების **მეორე სტადიაში** შარდის ბუშტის შეკუმშვის ძალა ქვეითდება. ბუშტი ნორმალურად ვერ იცლება ე.წ. ნარჩენი შარდისაგან. ნარჩენი შარდის რაოდენობა დასაწყისში შეიძლება იყოს 50-100 მლ-მდე. მოგვიანებით 400-500 მლ-ს ან მეტს აღწევს. შემდეგ იგი მატულობს და ავადმყოფს აქვს გახშირებული და გაძნელებული შარდვა არა მარტო ღამით, არამედ დღისითაც. შარდის ულუფა თანდათან მცირდება, მოშარდვის შემდეგ აღინიშნება შარდის წვეთების უნებლიე დაქცევა, რაც უარყოფით ემოციებსა და დისკომფორტს იწვევს. დღე-ღამის შარდის საერთო რაოდენობა მომატებულია, ავადმყოფის საერთო მდგომარეობა თანდათან უარესდება.

დაავადების **მესამე სტადიაში** დამახასიათებელია შარდის არასრული შეკავების ქრონიკული მიმდინარეობა. ამ დროს თითქმის ყოველთვის აღინიშნება ზემო საშარდე გზების (შარდსაწვეთი, თირკმლის მენჯი, ფიალები) მეტ-ნაკლები გაგანიერებაც, შარდის ბუშტი მოდუნებულია და მისი კუმშვითი ძალა საგრძნობლად ქვეითდება. ავადმყოფს აწუხებს გახშირებული შარდვის სურვილი. შარდი წვეთ-წვეთად გამოიყოფა, ნარჩენი შარდის რაოდენობა 1-1,5 ლ-მდე აღწევს. ავადმყოფს დღისითაც ეპარება წვეთ-წვეთად შარდი, ხოლო შარდის ბუშტი ყოველთვის გავსებული რჩება. მესამე სტადიაში ვითარდება და ღრმავდება თირკმლების ფუნქციური უკმარისობა, რაც ორგანიზმის მოწამვლის მძიმე სურათით (აზოტემია, ურემია) გამოვლინდება. ავადმყოფი უჩივის საერთო სისუსტეს, მოდუნებას, უმადობას, პირის სიმშრალეს, წყურვილს, გულის რევას; მატულობს არტერიული წნევა, ვლინდება გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა ქოშინით, ქვემო კიდურების შეშუპებით. სისხლში მატულობს შარდოვანას, ნარჩენი აზოტის და კრეატინინის რაოდენობა. მესამე სტადია წინა ორ სტადიასთან შედარებით ხანმოკლეა.

წინამდებარე ჯირკვლის ადენომას შეიძლება თან ახლდეს შემდეგი გართულებები: შარდის მწვავე შეკავება, შარდის ბუშტის ანთება, ჰემატერია (სისხლნარევი შარდი), მეორეული კენჭები, პიელონეფრიტი (თირკმლის პარენქიმის ანთება).

წინამდებარე ჯირკვლის ადენომის დროს, მკურნალობის ამა თუ იმ მეთოდის ჩვენების განსაზღვრა დამოკიდებულია პათოლოგიური პროცესის სიმძიმეზე, გართულებების ხასიათსა და ავადმყოფის ზოგად მდგომარეობაზე.

მკურნალობის მეთოდები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს: კონსერვატიული და ოპერაციული. კონსერვატიულ მკურ-

ნალობას მიმართავენ დაავადების I სტადიაზე, გაურთულებელი ფორმის დროს. დაავადების ადრეულ პერიოდში (პირველ სტადიაში), მით უმეტეს, თუ მას არ ახლავს რაიმე გართულება, სასურველია, ავადმყოფს დაენიშნოს ჰიგიენური ვარჯიშები: განსაკუთრებით საკვების მიღების შემდეგ სიარული, ძილის წინ – აბაზანები; ენიშნებათ დიეტა: ეკრძალებათ ალკოჰოლიანი სასმელების მიღება; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კუჭ-ნაწლავის მოქმედების ნორმალიზაციას; ყაბზობის შემთხვევაში, ენიშნებათ ჰიგიენური ოყნა ან ნაზი მოქმედების საფაღარათო საშუალება. სასურველი არ არის, ავადმყოფმა ხანგრძლივად შეიკავოს შარდი.

დადგენილია, რომ სიცივე ხელს უწყობს დიზურიული (შარდვის დარღვევა) მოვლენების გაღვივებას, ამიტომ ავადმყოფი ყოველნაირად უნდა ერიდოს გაცივებას. პერიოდულად სასურველია ანტიბაქტერიული მკურნალობის ჩატარება.

იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული გართულებები და მკურნალობამ სასურველი შედეგი გამოიღოს, საჭიროა, ავადმყოფმა დროულად მიმართოს სამკურნალო დაწესებულებას. გართულებული ფორმის მკურნალობის რადიკალური მეთოდია ერთმომენტიანი ქირურგიული ოპერაცია.

დაავადების ადრეული ფორმების გამოვლენის მიზნით, სასურველია, 50 წლისა და მეტი ასაკის მამაკაცების პროფილაქტიკური სამედიცინო შემოწმება.

■

კონსილიუმი

ალცჰაიმერის დაავადება: ვისწავლოთ დავიწყება!

თუ მეცნიერები ვერ მიაგნებენ ალცჰაიმერის დაავადების სამკურნალო საშუალებას, 25 წლის შემდეგ ამ სენით ჩვენი პლანეტის 22 მილიონი მცხოვრები დაავადდება, ხოლო 50 წლის შემდეგ – 45 მილიონი. ასეთ სერიოზულ პროგნოზებს აკეთებენ დედამიწის მოსახლეობის დაბერების პროცესებით დაინტერესებული სპეციალისტები: ალცჰაიმერის დაავადების განვითარების ალბათობა ხომ სწორედ ასაკოვან ადამიანებში მატულობს. აშშ-ის ექსპრეზიდენტის, რონალდ რეიგანის სამწუხარო ამბავი ამ დაავადების ნათელი, მაგრამ არა ერთადერთი მაგალითია. ჯერჯერობით მედიცინას არ ძალუძს, გაუმკლავდეს ადამიანის მეხსიერებისა და აზროვნების დაკარგვის მიმდინარე პათოლოგიას, თუმცა მედიკოსთა ბოლოდროინდელი აღმოჩენები იმედს იძლევა, რომ ეს მზაკვრული სენი დაძლეული იქნება.

● იმ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ მემკვიდრული წინასწარგანწყობა ალცჰაიმერის დაავადებისადმი, ფსიქიკური დატვირთვის დროს თავის ტვინის მომატებული აქტიურობა აღენიშნებათ. ამერიკელმა მკვლევარებმა მსურველთა ჯგუფს ჩაუტარეს ტესტი სიტყვების დახსომებაზე. ტესტის ჩატარებამდე და ჩატარების შემდეგ მათ გაუკეთდათ თავის ტვინის ტომოგრაფია. აღმოჩნდა, რომ იმ ადამიანებში, რომლებსაც აქვთ APOE E4 გენი (სწორედ მას უკავშირდება ალცჰაიმერის დაავადების განვითარება), თავის ტვინის სისხლის მიმოქცევა გაცილებით მნიშვნელოვნად ძლიერდებოდა, ვიდრე დანარჩენებში. 2 წლის შემდეგ, ეს ადამიანები გამოიკვლიეს და აღინიშნა მათი მეხსიერების გაუარესება. ეს მონაცემები გამოდგება მეხსიერების დარღვევის ადრეული დიაგნოსტიკისათვის, რათა დროულად, ჭკუასუსტობის დაწყებამდე იქნას დაწყებული პროფილაქტიკური მკურნალობა. დღეისათვის შესაძლებელია დაავადების პროგრესირების შენელება, თუ მკურნალობა ადრეულ სტადიაზე დაიწყება.

● ინგლისელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს კომპიუტერული ტესტი, რომელიც მაღალი სიზუსტით ავლენს ალცჰაიმერის დაავადებას ადრეულ სტადიებზე. დიაგნოზი ისმება ხანმოკლე მეხსიერების მუშაობის შემოწმების საფუძველზე; სწორედ ეს მეხსიერება უზიანდება ავადმყოფს პირველ რიგში. პაციენტს სთავაზობენ ასეთ თამაშს: იგი უნდა დააკვირდეს კომპიუტერის დისპლეიზე გაჩენილ სურათებს, ხოლო შემდეგ აჩვენოს, ეკრანის რომელ ადგილას ნახა სულ ცოტა ხნის წინ, ესა თუ ის გამოსახულება. ეს პროცედურა სულ ათიოდე წუთს მოითხოვს, ხოლო დასმული დიაგნოზის სიზუსტე 95%-ს აღემატება. ბრიტანელი მკვლევარები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ტვინის პათოლოგიური ცვლილებების დარეგულირებას დასაწყისშივე – არ უნდა იქნას დაშვებული ტვინის უჯრედთა რღვევის შეუქცევადი პროცესები.

● ტორონტოელ მეცნიერებს უკვე თითქმის მზად აქვთ გამოსაცდელად ალცჰაიმერის დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინა, რომელიც აჩერებს მეხსიერების დაქვეითებასა და ჭკუასუსტობის განვითარებას. ალცჰაიმერის დაავადების დროს, ტვინში გროვდება ტოქსიკური ბიოქიმიური ნაერთები – ამილოიდური პეპტიდები, რომელიც ფოლაქებს წარმოქმნის. ეს ფოლაქები აზიანებს ნერვულ უჯრედებს და სენის სიმპტომებს იწვევს. ზემოხსენებული ვაქცინა ასტიმულირებს იმუნურ სისტემას და ხელს უშლის ახალი ფოლაქების წარმოქმნას, წმენდს ტვინის ქსოვილს და ამგვარად ეწინააღმდეგება დაავადების სიმპტომების განვითარებას.

● დაავადებასთან დაკავშირებით ახალი ჰიპოთეზა წამოაყენა შოტლანდიელმა მეცნიერმა მალკოლმ მაკლეოდმა. მას მიაჩნია, რომ მეხსიერების მზარდი დაქვეითება იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გამოუსადეგარის დავიწყება. დაბერებული ორგანიზმი ვერ იშორებს ზედმეტ ინფორმაციას და ემსგავსება კომპიუტერს, რომელსაც მეხსიერების გარკვეული მოცულობა აქვს: უარს ამბობს ახალ ცნობებზე, ვეღარც ძველში ერკვევა და იწყება ქაოსი. მეცნიერი თავისი თეორიის დამტკიცებას ვარაუდობს, 60-იდან 75 წლამდე მოხალისე პაციენტებთან თანამშრომლობის გზით. მანამდე კი, ყველას აფრთხილდებს: ნუ გადატვირთავთ ტვინს უსარგებლო ინფორმაციით, რომელიც ადგილს აღარ დაუტოვებს თქვენს „სათავსოში“ უფრო მნიშვნელოვან მოვლენებს!

■

რონალდ და ნენსი რეიგანები მაშინ „ალცჰაიმერს“ არ „იცნობდნენ“

ექიმის პასუხი

კითხვა: მთელი ბინის გათბობას ვერ ვახერხებთ, ამიტომ ბავშვი უმეტესად სამზარეულოში გვყავს – იქ თბილა და თავს კარგად გრძნობს. თქვენი ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში კი წავიკითხეთ, რომ სამზარეულოში ცუდი ჰაერი ყოფილა. რა შეიძლება დაუშავდეს პატარას?

პასუხი: სამზარეულო ჩვილი ბავშვისათვის მართლაც ყველაზე შეუფერებელი ადგილია. იქ ხომ მთელი დღე ქურა გინთიათ და კერძებს ამზადებთ? ამიტომ, შეუძლებელია, რომ სუფთა ჰაერი და ჩვილისათვის აუცილებელი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები იყოს. ის, რომ პატარა ასეთ სითბოში თავს კარგად გრძნობს, თქვენი სუბიექტური აზრია და მხოლოდ ერთი შეხედვით გეჩვენებათ ასე, რადგან ბავშვის უჰაეროდ ყოფნამ, მით უმეტეს, ქიმიური, მავნე ნაერთებით გაჯერებულმა ჰაერმა, შესაძლოა, ძალზე სერიოზული შორეული გართულებები გამოიწვიოს თქვენი შვილის ორგანიზმში. ასეთი გართულებებიდან, აღსანიშნავია ქრონიკული ინტოქსიკაცია (მოშხამვა), ანემია (სისხლნაკლებობა), ვიტამინების ნაკლებობა, რაქიტი და სხვა.

ამიტომ გირჩევთ, ბავშვისთვის გამოყოთ ცალკე ოთახი. იატაკი ყოველდღე გაწმინდოთ სველი ჩვრით. ბავშვს სახლში განსაკუთრებული სითბო არ სჭირდება. სუფთა ჰაერი მისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. ეცადეთ, ჩვილი უმეტესად კარგად განიავებულ ოთახში ან გარეთ, სუფთა ჰაერზე ატარებდეს დროს.

კითხვა: სჭირდება თუ არა ხილის წვენი ბავშვს, რომელიც დედის რძით იკვებება?

პასუხი: როცა მეძუძური დედის საკვები სრულყოფილია და დღის რაციონი მდიდარია ხილითა და ბოსტნეულით, მის რძეში ვიტამინებიც მრავლადაა. მაგრამ იმის განსაზღვრა, საკმარისია თუ არა მათი რაოდენობა ბავშვისათვის, ძნელია, ამიტომ, ექვსი კვირის შემდეგ სასურველია, პატარას მივცეთ ხილის წვენი. თავდაპირველად ყველაზე უკეთესია ვაშლის (უმჯობესია ანტონოვკის ჯიშის, რომელიც მდიდარია რკინით) წვენი. მისი მიცემა უნდა დაიწყოთ მცირე დოზებით (პირველ მიცემაზე 1/2 ჩ/კ) და თანდათან გაზარდოთ დოზა.

კითხვა: რასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული პულსისა და წნევის მკვეთრი მატება? საკმარისია რამე ამაღელვებელზე ვიფიქრო, მაშინვე პულსი მიხდება წუთში 120.

პასუხი: ემოციურ გადაძაბვაზე ასეთი რეაქცია, უპირველეს ყოვლისა, გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემების ლაბილურობაზე მეტყველებს. ასეთ ადამიანებს „ჰიპერრეაქტორებს“ უწოდებენ. პირველ ეტაპზე, თქვენს ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებები ზერელე ფუნქციური ხასიათისაა, მაგრამ შემდგომში, არის დიდი ალბათობა იმისა, რომ გაგივითარდეთ ჰიპერტონიული დაავადება. ამიტომ, უნდა იყოთ ფხიზლად და დროულად დაიწყოთ მედიკამენტური მკურნალობა.

კითხვა: მართალია თუ არა, რომ გულით დაავადებულისათვის არ შეიძლება ცხელი აბაზანის მიღება?

პასუხი: ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, გულის რა დაავადება აწუხებს პაციენტს და რამდენადაა იგი გამოხატული. თუ ადამიანს გულის იშემიური დაავადება აწუხებს (სტენოკარდია), გადატანილი აქვს ინფარქტი, გამოხატული გულის მანკი ან ძნელად კონტროლირებადი არტერიული ჰიპერტონია (წნევა), მაშინ მისთვის სითბური პროცედურები მიზანშეწონილი არ არის.

კითხვა: ვგრძნობ ძლიერ დაღლილობას, ზოგჯერ ხელ-ფეხის განძრევაც კი არ შემიძლია. ვიცი, რომ საქმე მაქვს, მაგრამ ძალას ვერ ვპოულობ მის გასაკეთებლად. როგორ გამოვიდე ამ მდგომარეობიდან? ისიც კი არ ვიცი, ვის მივმართო.

პასუხი: დღეს ბევრი ადამიანი უჩივის შრომისუნარიანობის დროებით დაქვეითებას. დაღლილობა, როგორც წესი, ზედმეტი გონებრივი და ფიზიკური მუშაობის შედეგია, როცა დასვენებას არასაკმარისი დრო ეთმობა. სწორად არ იქცევა ის ადამიანი, ვინც ამ მდგომარეობას სათანადო ყურადღებას არ უთმობს, რადგან იგი შესაძლოა ქრონიკულ დაღლილობაში გადაიზარდოს. ეს რომ არ მოხდეს, გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომელიც ტონუსში მოიყვანს თქვენს ორგანიზმს. თუ სამუშაოდან დაბრუნებისას ძლიერ დაღლას გრძნობთ:

– გააანალიზეთ თქვენი ყოველდღიური საქმიანობა და დაისვენეთ იმ სამუშაოსაგან, რომელიც დაღლის მიზეზი გახდა.

– დალიეთ რძიანი ჩაი თაფლით ან პიტნის ნაყენი.

– დალიეთ ნახევარი ჭიქა ყურძნის წვენი, შემდეგ გააგრძელეთ მისი სმა – 2-2 სუფრის კოვზი, ყოველ 2 საათში ერთხელ, დაძინებამდე.

– მიიღეთ თბილი აბაზანა.

– თუ დაღლილობას უფრო ფეხებში გრძნობთ, მოათავსეთ ფეხები ცხელ წყალში 10 წთ-ით, ან დაჯექით ისე, რომ ფეხები მენჯზე მაღლა შემოაწყოთ.

– ყურადღება გაამახვილეთ თქვენს კვებაზე: მიიღეთ მეტი ხილი, ბოსტნეული, რძე, ცილა. გონებრივი შრომით დაკავებულ ადამიანებს მეტი რაოდენობით ესაჭიროებათ კაკალი, მიწის თხილი, ნუში, ბარდა, თევზი. ე.ი. ის პროდუქტები, რომელიც შეიცავს ტვინის მუშაობისათვის აუცილებელ ფოსფორს.

– ვისაც ბევრი სიარული უწევს, ფეხებში ტკივილს მოუხსნის კონტრასტული აბაზანები. მათი გაკეთება ყოველ ღამეა საჭირო. ერთ თასში ჩაასხით 40-50 გრადუსამდე გაცხელებული წყალი, ხოლო მეორეში – რაც შეიძლება ცივი. ცხელ წყალში ფეხები გააჩერეთ 5 წთ, ხოლო ცივში – 1 წუთი. ეს პროცედურა 4-ჯერ გაიმეორეთ. შემდეგ ჩაიტარეთ ფეხების მასაჟი და შეიზილეთ ფეხების საცხი.

– გონებრივი შრომით დატვირთულმა ადამიანმა ძილის წინ უნდა გაიკეთოს ფეხებზე ცხელი (42 გრადუსიანი) წყლის აბაზანა, რაც თავიდან სისხლის გამოდინებას შეუწყობს ხელს.

თუ დღის რეჟიმისა და კვების რაციონის ცვლილებებმა და ჩვენმა რჩევებმა დაღლილობა არ მოგიხსნათ, აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს გამოკვლევისათვის, რადგან დაღლილობის შეგრძნებას მრავალი სერიოზული დაავადება იწვევს.

■

თეთრეული ძირითადი ძალებისთვის

№ 2

№ 1

№ 4

ჩვენს ახალ რუბრიკაში ქართული მოდის ტენდენციებს გაგაცნობთ. ამჯერად, დიზაინერი ზალიკო ბერგერი გვესაუბრება ქალის თეთრეულზე – ყოველდღიურ და გამოსასვლელ ბიუსტჰალტერებზე და გვაძლევს რჩევებს – სად, როდის და ვისთან რა ჩავიცვათ.

– ქალის თეთრეულის მასალად ძირითადად, ტრიკოტაჟი და ატლასი გამოიყენება. დღესდღეობით იკერება ყველანაირი ფერისა და ფორმის ლიფი, რადგან რომელიმე ფერი ან ფორმა გამორჩეულად არ არის მოდაში. ვისაც მკერდის ზომის პრობლემა აქვს, მას სილიკონიანი ლიფით შეუძლია ისარგებლოს.

ლიფები არსებობს, როგორც ყოველდღიურად სატარებელი, ასევე გამოსასვლელი. გამოსასვლელი ლიფი ისეთ კოსტიუმს ან გამჭვირვალე პერანგს უნდა შეუხამოთ, რომელშიც აუცილებლად გამოჩნდება. მაგალითად, ლიფი, რომელიც ნინო ორდენიძეს აცვია (ფოტო №1), ბისერებით შემკული და ხელით გაკეთებულია. ის, აუცილებლად უნდა ჩანდეს.

ზალიკო ბერგერი

იასამნისფერი სამეული, რომელსაც ლარისას ტანზე ხედავთ (ფოტო №2), ძვირად ღირებული ქსოვილისგან არის შეკერილი და ამ შემთხვევაშიც, ლიფი გამოსაჩენ ატრიბუტს წარმოადგენს.

შავი ლიფი, რომელიც ნინო ორდენიძეს აცვია (ფოტო №3), ჩვეულებრივი ლიკრანარევი ტრიკოტაჟისგან არის შეკერილი და ზურგზე იკვრება. იგი შეიძლება საცურაო კოსტიუმადაც გამოდგეს.

№ 3

მე ძირითადად, ქალის თეთრეულის ორეულებს ვკერავ; ის შეიძლება, ზუსტად ერთი ფერის არ იყოს, მაგრამ რაღაც შტრიხი მაინც უნდა ჰქონდეს საერთო, რომელიც მიგვახვედრებს, რომ ორეულია.

რაც შეეხება ხალათს, რომელიც ლალი ტოტიკაშვილს აცვია (ფოტო №4), ის ტილოსგან არის შეკერილი. ეს ხალათი ისევე შეიძლება ჩაიცვა წვეულებაზე, როგორც პლაჟზე ან შინ.

თეთრეულს ძირითადად, პოდიუმზე საჩვენებლად ვქმნი, რადგან მისი სერიული წარმოება საქართველოში დღესდღეობით მომგებიანი არ არის: ხალხს, სამწუხაროდ, არ აქვს იმის საშუალება, რომ 10 დოლარი მაინც გადაიხადოს ერთ ხელ თეთრეულში.

ბოლოს დავძენ, რომ ქალმა ისეთი თეთრეული უნდა ჩაიცვას, რომელშიც თავს კომფორტულად იგრძნობს. ყველა ადამიანი ინდივიდუალურად უდგება ისეთ ინტიმურ საკითხს, როგორიც თეთრეულია. ამიტომ – ჩაიცვით ის, რაშიც კარგად იგრძნობთ თავს და ტანსაცმელშიც მისახვედრი იქნება, რომ შიგნითაც ლამაზად გამოიყურებით. გამოსასვლელი ლიფი ტანსაცმლის შიგნიდანაც შეგიძლიათ ჩაიცვათ იმ შემთხვევაში, თუ იცით, რომ ვიღაცის თანდასწრებით გაიხდით.

ხათუნა ჯაჯანიძვილი

დასავლელი მოდელიერები ცივი ფერებისა და მკაცრი სტილის თეთრეულს გვთავაზობენ

CHRISTIAN DIOR-ი 80-იან წლებს უბრუნდება. მისი ახალი მოდელები ოდნავ პანკურ სტილს ატარებს. თეთრეული ტყავით, თასმებითა და მაქმანებითაა გაწყობილი (ფოტო №1).

ყოფილი ბანკირისა და ამჟამად წარმატებული დიზაინერის – ბერნარ დელეის თეთრეულის კოლექციაში თავს კომფორტულად ნებისმიერი ქალი იგრძნობს. მისი კორსეტები და ლიფები ჯინსის ნაჭრის, ბეწვისა და ბუმბულის კომბინაციითაა შექმნილი. ამის გამო, ჩაცმულობის ესოდენ ინტიმური დეტალის – ბიუსტჰალტერის ტანსაცმლიდან გამოჩენაც კი დასაშვებია.

მათ, ვისაც ავანგარდული სტილი არ ხიბლავს და უპირატესობას კლასიკურ მოდელებს ანიჭებს, COTTON CLUB-ი კვლავ სთავაზობს ტრადიციული ფერების მაქმანებიან თეთრეულს (ფოტო №2).

სამაგიეროდ, ძალიან დიდი გასაქანი და თავისუფლება აქვთ მინიჭებული ახალგაზრდული მოდის მიმდევრებს. დიზაინერები მათ სხვადასხვა სტილის, ფაქტურისა და ფერის თეთრეულისგან შემდგარ ნაკრებს სთავაზობენ. უზადო მკერდის მქონე ქალებმა თავს შეიძლება ულტრათანამედროვე ლიფების ჩაცმის უფლება მისცენ (ფოტო №3). ამ სტილის ლიფები მინიმალიზმით გამოირჩევა, მისი ფერი კი, სურვილისამებრ შეგიძლიათ შეარჩიოთ. მაგალითად, ძალიან მოდურია ე.წ. „ქამელეონი“: ერთი და იგივე ლიფი, მასზე დაცემული შუქის წყალობით, ხან შავია, ხან მოლურჯო, ხან მომწვანო და ხანაც იასამნისფერი.

№ 3

№ 2

№ 4

№ 1

თეთრეულის შერჩევას ოდნავ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ტანსრულმა ქალებმა. დიზაინერები მათ ორნაწილიანი ნაკრების ნაცვლად, მთლიან, ტანზე მომდგარ თეთრეულს სთავაზობენ (ფოტო №4). ამგვარ სამოსში თავი შეიძლება ოდნავ შეზღუდულად იგრძნოთ, სამაგიეროდ, აღნაგობის კორექცია გარანტირებული გექნებათ და ტანსაცმელიც თქვენს ტანზე უფრო ლამაზად გამოჩნდება.

არცთუ ისე იდეალური აღნაგობის ქალებზე მაღალი მოდა გამუდმებით ზრუნავს. თებერვლის დასაწყისში, ნიუ-იორკის მაღალი მოდის კვირეული სწორედ ჭარბწონიანი ქალებისთვის განკუთვნილი თეთრეულის ჩვენებით გაიხსნა. წარმოდგენილი იყო ამერიკული ფირმის LANE BRYANT-ის კოლექცია. აღსანიშნავია, რომ ტანსრული ქალებისთვის განკუთვნილი თეთრეული პოდიუმზე კარე ოტისმა, მია ტაილერმა, კეიტ დილონმა და ანა ნიკოლ სმიტმა წარმოადგინეს.

ასე რომ, თამამად შეარჩიეთ თქვენთვის შესაფერისი თეთრეული: მიუხედავად იმისა, რომ ხარისხიანი ნაწარმი შედარებით ძვირი ღირს, ამ სიამოვნებისთვის ფულს მაინც ნუ დაინანებთ, რადგან ლამაზი და კომფორტული თეთრეული საოცარ თავდაჯერებულობას, ძალასა და მომხიბვლელობას შეგმატებთ. ■

მოამზადა მანანა ღოღობერიძემ

ეინ რენდი (ამერიკა)

alisa saocrebaTa qveynidan

ჯაპიტალიზმის ფილოსოფოსმა და პრაქტიკოსმა, ამერიკელმა მწერალმა ქალმა, ეინ რენდმა ჯაპიტალიზმის უმთავრესი პროდუქტი – სამომხმარებლო საქონელი, ეროტიკული ავანტიურის შემცველი ფილოსოფიური რომანი შექმნა და ამით გაითქვა სახელი.

ალისა როზენბაუმი (რუსეთი)

უჩვეულო ბიოგრაფიის ჩვეულებრივი დასაწყისი

ებრაული წარმოშობის მიუხედავად, პეტერბურგელმა მეფთიაქემ, ზინოვი როზენბაუმმა იმდენი მაინც მოახერხა, რომ მის ქალიშვილს კარგი განათლება მიეღო: ალისა ქალთა იმ გიმნაზიაში სწავლობდა, რომელიც შემდგომში ცნობილი მწერლის, იური ნაბოკოვის დამ, ოლგამ დაამთავრა. 1924 წელს კი ალისა როზენბაუმმა პეტერბურგის უნივერსიტეტი, სოციალური პედაგოგიკის სპეციალისტის დიპლომით დაამთავრა. ცოტა ხანს პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეში ექსკურსია-მძღოლად მუშაობდა, შემდეგ კი, გამსვლელი ვიზის მისაღებად შეიტანა საბუთები. წამოწყება იღბლიანი გამოდგა და 1926 წელს, რიგის გავლით, ალისა ნიუიორკში მოხვდა. ამ დროს, მისი დედ-მამა პეტერბურგში დარჩა და ლენინგრადის ბლოკადის დროს დაიღუპა.

თავისი პირველივე რომანი – „ჩვენ, ცოცხლები“, ალისამ ეინ რენდის ფსევდონიმით დაწერა. მემარცხენე ამერიკელების გასაგონად, რომლებიც საბჭოთა კავშირში, როგორც მუსლიმანები მექაში ისე დადიოდნენ, რენდი ამბობდა: „ჩვენ, ცოცხლები“ – პირველი მონათხრობია იმ რუსი ადამიანისა, რომელმაც კარგად იცის ახალ რუსეთში არსებული ცხოვრების პირობები და თავად იგემა ის, თუ როგორია საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი წეს-წყობილება“. 1934 წელს დაწერილ რომანს, დღესაც გამუდმებით გამოსცემენ: ამ ათწლეულების მანძილზე ამ წიგნის 2 მლნ-მდე ეგზემპლარი გაიყიდა.

თეთრგვარდიელისა და ჩეკისტის სასიყვარულო პაექრობა

რომანის მთავარ გმირს კირა არგუნოვა ჰქვია. ის ძლიერი, ლამაზი, ავტორის თანატოლი ქალიშვილია. კირა ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლობს, კომკავშირული უჯრედის მუშაობაში მონაწილეობს და... ბოლშევიკების მიერ დახვრეტილი ადმირალის შვილს, ლოვას უახლოვდება. ისინი გადაწყვეტენ, ერთად გაიქცნენ საზღვარგარეთ, მაგრამ ფინური ყურეს შუაგულში შეიპყრობენ. ლოვას ჭლექი განუვითარდება. შეყვარებულის გადასარჩენად, კირა გადაწყვეტს, დედაქალაქის „ჩეკას“ საგამოძიებო განყოფილების უფროსს, ანრეი ტაგანოვს დანებდეს. ასე ვითარდება ახალი ტიპის სასიყვარულო ინტრიგა. კირა, ანდრეის ართმევს ფულს, რომლითაც ლოვას მკურნალობას უზრუნველყოფს, მაგრამ თანდათან, მას უფრო და უფრო იზიდავს ჩეკისტი... ანდრეი კი, თავის მხრივ, გაეხვევა უსიამოვნებაში: მას ტროცკისტობაში ადანაშაულებენ. ახლა უკვე ის სთავაზობს კირას საზღვარგარეთ გაქცევას, მაგრამ ქალს ლოვას მიტოვება არ შეუძლია. ერთ-ერთი ოპერაციის დროს, ანდრეი შეიპყრობს ლოვას. ასე ეცნობა ერთმანეთს კირას ორი მამაკაცი. ანდრეი უშვებს ლოვას და... თავს იკლავს. ლოვა კირას მიატოვებს. ქალი ლატვიის საზღვრის გადაკვეთას ცდილობს, მაგრამ მესაზღვრის ტყვიას ემსხვერპლება. ღამით, თოვლზე დავარდნილი, თეთრკაბიანი კირა სისხლისგან იცლება...

მოგვიანებით, ამერიკაში მცხოვრებმა გერმანელმა ემიგრანტმა ქალმა, ხანა არენდტმა ხოლოკოსტის ორგანიზატორ, ადოლფ ეიხმანზე დაწერა წიგნი. ბოროტება ბანალურია, წერდა არენდტი – და პირსისხლიანი ჯალათი ყოვლად უინტერესო, მოსაწყენ პერსონაჟად დახატა. თავის გა-

მოგონილ ტაგანოვში რენდმა გაცილებით რთული დინამიკა ჩადო, ვიდრე არენდტმა – რეალურ ეიხმანში: ტროცკისტი რეჟიმის ოპოზიციაში გადადის და საკუთარ თავს ასამართლებს. ის თავს იკლავს – მაშინ, როდესაც ეიხმანი, თავისი გადარჩენილი მსხვერპლისგან გაქცევას ლამობს. სწორედ ამიტომ არის ანდრეი მკითხველის თანაგრძნობისა და კირას სიყვარულის ღირსი. ნაცისტი და ჩეკისტი, ორივე თავისუფალი იყო არჩევანში – სახელდობრ იმაში, რომ არ დასდგომოდნენ კარიერის ისეთ გზას, როგორსაც დაადგნენ და ამიტომაც, პასუხს აგებენ იმისთვის, რაც ჩაიდინეს. ისინი მოხელეები იყვნენ და სხვის ბრძანებებს ასრულებდნენ, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს კაცს პასუხისმგებლობისაგან. არენდტისაგან განსხვავებით, რენდი თავის გმირს, ადამიანის უმთავრეს უფლებას უტოვებს – ეჭვის, მონანიებისა და, ბოლოს, საკუთარი თავის შეცვლის უფლებას.

საკულტო ფიგურა

ეინ რენდს არ მიუღწევია აკადემიური კარიერისთვის, მაგრამ საკულტო ფიგურად კი იქცა. მან ოთხი რომანი-ბესტსელერი და ათიოდე ფილოსოფიური წიგნი გამოაქვეყნა. კალიფორნიაში მისი სახელობის ინსტიტუტი არსებობს. ჰილარი კლინტონი ხშირად მოიხსენიებს მას, როგორც მისაბაძ მაგალითს. სოციოლოგიური გამოკვლევებით, რენდის რომანი – „ატლასი მხრებს შლის“ არაერთხელ დაუსახელებიათ მეორე ადგილზე, ბიბლიის შემდეგ. 1950-იანი წლების შუა პერიოდში მწერლის ირგვლივ შეიქმნა ინტელექტუალთა წრე, რომელიც რეგულარულად იკრიბებოდა მისი წიგნების წასაკითხად. ამ წრის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო აშშ-ის საფინანსო გენიად წოდებული ალან გრინსპენი, რომელიც 1987 წლიდან უდგას სათავეში ფედერალურ სარეზერვო სისტემას (ქვეყნის ცენტრალური ბანკის ანალოგს). თავისი კარიერის მწვერვალზე მყოფი გრინსპენი დიდი მადლიერებით იხსენებს რენდს: „სწორედ ამ ქალმა, ხანგრძლივ დავაკამათში გატარებული ღამეების დროს დამარწმუნა იმაში, რომ კაპიტალიზმი არა მარტო ეფექტური და პრაქტიკული, არამედ მორალური წყობაც არის“.

ბიოგრაფიის „ამერიკული ხანა“

თუ რენდის პირველი ნაწარმოებები – „ჩვენ, ცოცხლები“ და „ჰიმნი“ რუსეთის მტკივნეული გამოცდილების გააზრებას ეყრდნობა, თავის ორ მომდევნო რომანში – „წყარო“ და „ატლასი მხრებს შლის“, მწერალი მიტოვებულ სამშობლოს არც ერთი სიტყვით არ ეხება. ანტიუტოპიური „ჰიმნის“ პერსონაჟები, 1937 წელს მცხოვრები ადამიანები არიან, რომლებიც არ ფლობენ კერძო საკუთრებას და დაუვიწყებიათ მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელები. შეყვარებული პერსონაჟი თავისი სიყვარულის ობიექტზე ამბობს: „ჩვენ მათზე ვფიქრობთ“. კასტებად დაყოფილი, მწყობრით მოსიარულე, სექსს მოკლებული ადამიანები, ქვის ხანის პირობებში ცხოვრობენ. მისტიკური შიშის აღმძვრელ სიახლედ, სანთელი გვევლინება. რენდის პერსონაჟი ნათურას გამოიგონებს და ქალთან უკანონო კონტაქტს ამყარებს. ის მთებში გარბის, რათა ახალ ცივილიზაციას დაუდოს სათავე. უპირველეს ყოვლისა, სიტყვას – „მე“ – გამოიგონებს.

ამერიკაში ახალი მემარცხენეობის აღზევებამდე ცოტა ხნით ადრე, კალიფორნიაში, ბერკლის უნივერსიტეტში, 1965 წელს მომხდარი სტუდენტური გამოსვლების დროს, რენდი წერდა: „სოციალური მოძრაობა, რომელიც ჰეგელისა და მარქსის მძიმე, ურთულესი კონსტრუქციებით დაიწყო, დაუბანელი ბავშვების ჯგროს ფეხების ბაკუნითა და შეძახილით – „მინდა, ახლავე, დაუყოვნებლივ!“ – დასრულდა. 1961 წელს დაწერილ პატარა წიგნში – „ახალი ინტელექტუალისთვის“, რენდი ამბობდა, რომ გაჩნდება თაობა, რომელიც ბიზნესს მიაშურებს, თავს დაანებებს მისტიკას და საკუთარი გონების ძალას ირწმუნებს. ის მართალი აღმოჩნდა. ჰოლივუდის ფილმებისა თუ სოცრეალიზმის რომანების მსგავსად, რენდის წიგნები მუდამ „მართალი საქმის“ გამარჯვებით მთავრდება: შენობა აგებულია, საზოგადოება გადარჩა, ქალი კი თავად მიდის მთავარ პერსონაჟთან. „წყაროს“ (1943 წ.) სიუჟეტის ცენტრში, არქიტექტორი-კონსტრუქტივისტი დგას, რომელიც 1930-იანი წლების არქაულ სტილს ებრძვის. ის მინითა და ფოლადით ასაშენებელ სწორხაზოვან შენობებს აპროექტებს, ნიუ-იორკს კი ანტიკური ელემენტებით დამშვენებული ასსართულიანი სახლებით ავსებენ. მთავარ მოწინააღმდეგედ მემარცხენე სოციოლოგი გვევლინება, რომელიც გამუდმებით არწმუნებს საზოგადოებას იმაში, რომ სვეტებით დამშვენებული ფასადი სოციალური სამართლიანობისა და ანტიკური საგმირო სულისკვეთების შერწყმის საუკეთესო გამოხატულებაა. გამარჯვებული, რასაკვირველია, არქიტექტორი რჩება.

ეფექტურობისა და ზნეობრიობის შერწყმა

„ატლასში“ (1957 წ.) რენდი გასული საუკუნის მთავარ პრობლემას განიხილავს: კაპიტალიზმი ეფექტურია, მაგრამ არის თუ არა იგი ზნეობრივი? ინჟინრის, ხელმძღვანელის, წარმოების ორგანიზატორის ჭკუა, შემსრულებელთა ტექნიკურ შრომაზე მეტი ღირს, მაგრამ ომის შემდგომი

„წყაროს“ მიხედვით ფილმის გადაღებისას, კინოსტუდიის პავილიონში

ამერიკა სხვა იდეებით ცხოვრობს. პროფკავშირები შრომის უფრო მაღალ ანაზღაურებას მოითხოვს, გადასახადები ყოველწლიურად იზრდება, ინფლაცია კი, უარყოფს უბრალო ფორმულას: A=A. რენდის რომანში ჩერდება ქარხნები, მშენებლობა, რკინიგზა. ვაშინგტონში მოქმედ სოციალისტურ ბიუროკრატებს ვერ გაუგიათ, რა ხდება. ისინი ხელისუფლებაში იმისთვის მოვიდნენ, რომ ღარიბები გამდიდრდნენ, მდიდრები კი – გაღარიბდნენ, მაგრამ მხოლოდ ეს უკანასკნელი მოხდა. ამერიკელები ნიუ-იორკის ხიდებს აფეთქებენ. იწყება სამოქალაქო ომი ჯორჯიასა და ალაბამას შორის: სამხრეთი შტატები მოჭრილია ჩრდილოეთი შტატებისგან და სიღატაკეს მოუცავს. „ატლასის“ მთავარი გმირი – ინჟინერი, მოსახლეობას რადიოთი მიმართავს. თქვენ, მთავრობის წარმომადგენლები, ექსპლუატატორებად მიგაჩნივართ: კეთილი, მაგრამ როცა ჩვენ შევწყვეტთ ამ ექსპლუატაციას, ქვეყანა ზუსტად ისეთი გახდება, როგორიც თქვენ გინდოდათ რომ ყოფილიყო. ყველა უბედურება, რომელიც თქვენ მოგვიტანეთ, თქვენს უგუნურობაში, სახელდობრ კი, იმაშია, რომ არ გესმით: A=A. სწორედ რაციონალურობა და სწორი ანგარიშია ყველაზე მეტად მორალური; საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევისკენ მიმართული მოწოდებები, რომლებიც ინფლაციას იწვევს, ყველაზე ამორალური რამ არის... დასასრულს რენდი ამერიკას დიდ ბიზნესს სთავაზობს – მოაწყოს საყოველთაო გაფიცვა, რომელიც ყველაზე მეტად, რუსეთში 1905 წელს მომხდარ მოვლენებს ჰგავს. საკმაოდ შთამბეჭდავი, თუმცა, ერთობ ძნელად წარმოსადგენი პროექტია...

ეინ რენდი არ მიიჩნევდა თავს კონსერვატორად. მას არ მოსწონდა არსებული წეს-წყობილება და მისი შეცვლისკენაც მოუწოდებდა. მის მიერ განხორციელებული ჰიბრიდიზაციის შედეგად, იშვიათი პოლიტიკური ჯიშის მოვლენა – მემარჯვენე რადიკალიზმი წარმოიშვა. მის რომანებში დადებითი გმირები აუცილებლად ლამაზი და ჭკვიანი ადამიანები არიან, უარყოფითები კი – ჭკუასუსტები და უშნოები. ეს მასობრივი კულტურის ესთეტიკაა, რომელიც ფორმით სოცრეალიზმს ჰგავს, შინაარსით კი – სრულიად საწინააღმდეგოა. რენდის კაპრეალიზმი გაცილებით სიცოცხლისუნარიანია. თუ მას დავუჯერებთ, კაპიტალიზმის პირობებში მასობრივი წარმოება არ აუსახურებს ნაწარმს, მასობრივი მოხმარება კი, არ სპობს მის სულიერ ღირებულებას, რადგან მწარმოებელსაც და მომხმარებელსაც თავისუფალი არჩევანის საშუალება აქვთ. რენდისეული – არა მარტო ეფექტური, არამედ ზნეობრივი – სისტემის არსი, თავისუფლებაში მდგომარეობს. კაპიტალიზმის ფილოსოფოსმა და პრაქტიკოსმა შეძლო შეექმნა ის, რისკენაც ისწრაფოდა: წარმატებული სამომხმარებლო საქონელი, რომელიც მასობრივ წარმოებას იმგვარად უძლებს, რომ ადამიანური ღირებულებაც არ დაკარგოს. ■

აშშ-ის პრეზიდენტის ეკონომიკურ მრჩევლად ალან გრინსპენის დანიშვნის ცერემონიაზე, ოვალურ კაბინეტში. მარცხიდან: გრინსპენის დედა, პრეზიდენტი ფორდი, გრინსპენი, ეინ რენდი და მისი მეუღლე

ᲢᲔᲡᲢᲘ ᲔᲠᲣᲓᲘᲪᲘᲐᲖᲔ

1. ᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲚᲐᲓᲝ ᲒᲣᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ?



ა) ელენე ახვლედიანთან;
ბ) დავით კაკაბაძესთან;
გ) ტიციან ტაბიძესთან.

2.ᲡᲐᲓ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲔᲚᲓᲝᲠᲐᲓᲝᲡ ᲛᲗᲔᲑᲘ?

ა) ინდოეთში;
ბ) პაკისტანში;
გ) კოლუმბიაში.

3. ᲠᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲛᲐ 1981 ᲬᲔᲚᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲗᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ?

ა) 2:1;
ბ) 3:2;
გ) 1:0.

4. ᲰᲐᲜᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ ᲐᲜᲓᲔᲠᲡᲔᲜᲘᲡ ᲡᲘᲠᲘᲜᲝᲖᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ ᲓᲒᲐᲡ ᲫᲐᲚᲐᲫ:

ა) კოპენჰაგენში;
ბ) სანკტ-პეტერბურგში;
გ) ტულუზაში.

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ 61-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ



მე-17 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-გ.
მე-60 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-გ; 3-ა; 4-ა.

კვირის (25 თებერვალი - 3 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი

თევზები – 20/II-20/III

თუკი ამ კვირას თვალცრემლიანი შეხვდებით, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენთვის სამსახურისა თუ ცხოვრების მეგზურის გამოცვლის დრო დამდგარა. არ ღირს პირადი ანგარიშების გასასწორებლად დროისა და ნერვების ხარჯვა. ეცადეთ, მშვიდობიანად, ყოველგვარი მითქმა-მოთქმის გარეშე დაშორდეთ მათ. სულ რამდენიმე კვირაში საინტერესო და სასიამოვნო მოგზაურობა გელით.

ვერძი – 21/III-20/IV

ძალა მოიკრიბეთ და მეტი მოთმინება გამოიჩინეთ. ბედი არასასიამოვნო სიურპრიზებს გპირდებათ: პრობლემები შეგექმნებათ სამსახურში და კონფლიქტი გამწვავდება ოჯახში. ყველაფერს ფილოსოფიურად მიუდექით – ამით გაიადვილებთ ცხოვრებას. კვირის ბოლოსთვის ურთიერთობები მოგვარდება და უთანხმოება კარგი ქეიფითაც დასრულდება.

კურო – 21/IV-21/V

ძალზედ სასიამოვნო ძვრებია მოსალოდნელი. საქმიანი და შემოქმედებითი წარმატებები ერთმანეთს ენაცვლება. შესაძლოა, კვირის ბოლოსთვის გვარიანი ფული იშოვოთ. კვირა დღეს ბუნების წიაღში გაისეირნეთ – ეს კარგ გუნებაგანწყობას შეგინარჩუნებთ.

მარგალიტი – 22/V-21/VI

ჩანაფიქრის განხორციელების დრო დადგა. რისკს ნუ მოერიდებით და დასახული გეგმის მიხედვით იმოქმედეთ. ახლო მეგობრები იმედს არ გაგიცრუებენ და საჭირო მომენტში მხარში ამოგიდგებიან. საქმიანი მოლაპარაკებების დროს ყურადღება მოიკრიბეთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

კონტრასტული პერიოდია ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის. ზოგიერთ კირჩხიბს ფორტუნა გაუღიმებს, სხვებს კი, შესაძლოა, დიდი გარჯა დასჭირდეთ საკუთარი პოზიციების შესანარჩუნებლად. გუნება-განწყობის მკვეთრი ცვალებადობა თქვენი ურთიერთგამომრიცხავი სურვილების ბრალია. ეცადეთ – არ აჰყვეთ და ნელ-ნელა ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგება.

ლომი – 23/VII-23/VIII



თუ კვირა დამით არ მოგასვენებთ კითხვა: „რაში მდგომარეობს ცხოვრების აზრი?“ – შეგიძლიათ გულდამშვიდებული დაწვეთ და ტკბილად დაიძინოთ. ოთხშაბათს თვალყური ადევნეთ თქვენი ორგანიზმის მდგომარეობას, თუკი მოთენთილობას იგრძნობთ. შაბათს საუნაში შეიარეთ და მსუბუქი მასაჟი გაიკეთეთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ძალიან საქმიანი კვირა გელით. მხოლოდ კვირას შეძლებთ გათავისუფლებას და თქვენს გემოზე დასვენებას. მრავალი გადაუდებელი საქმე, რომელიც თქვენს ჩარევას მოითხოვს, მხოლოდ ხაზს გაუსვამს თქვენს შრომისუნარიანობას და კომპეტენტურობას. უქმე დღეებში ალკოჰოლს ნუ მიეძალებით.

სასწორი – 24/IX-23/X

ეცადეთ, რომ მატერიალურმა დაინტერესებამ და საქმეზე ფიქრმა, პირად ცხოვრებაში ხელი არ შეგიშალოთ. თქვენთვის სასიამოვნო ადამიანს, გაცნობისთანავე ნუ მოახვევთ თქვენს პრობლემებს. შესაძლოა, ხუთშაბათს ან პარასკევს ძალიან საჭირო კაცს შეხვდეთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავება და საკუთარი ძალების რწმენა მოწინავე პოზიციებზე „გადაგისვრით“. ამ კვირაში შეძლებთ, ყველა დაარწმუნოთ თქვენს სიმართლეში. მთავარია, საკუთარი წამოწყებების მართებულობისა, თავად გჯეროდეთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

მობილიზება გაუკეთეთ მთელ ძალებს და ძველი ქაღალდების წესრიგში მოყვანას შეუდექით. იქ ძალიან მნიშვნელოვან საბუთს აღმოაჩენთ: ხუთშაბათს „ამოგიტივტივდებათ“ იდეა, რომელიც ოდესღაც უარყავით. დაუყოვნებლივ შეუდექით ამ იდეის რეალიზაციას, რაც სოლიდურ ფინანსურ წარმატებას მოგიტანთ. კვირის ბოლო დღეებს სასიამოვნო ატმოსფეროში გაატარებთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტთ, გაერკვეთ, თუ ვინ არის თქვენი ჭეშმარიტი მეგობარი და ვინ – მტერი. ოღონდ, პირადი ურთიერთობების გარკვევას ნუ შეუდგებით. კვირის ბოლოსთვის ყველაფერი თავ-თავის ადგილას დადგება. ცრუ მეგობრების დაკარგვას ნუ შეუშინდებით. მათი წყალობით ხომ მრავალი უსიამოვნება შეგხვდათ.

მერწყული – 21/I-19/II

ნუ გაგიკვირდებათ, უფროსი თუ გულს გადაგიშლით, თქვენ ხომ გამოცდილი სპეციალისტი ხართ და, რაც მთავარია, კარგი ადამიანიც. ზედმეტ მორიდებულობასა და თავმდაბლობას ნუ გამოიჩენთ და ხელფასის მომატება თუ დაწინაურება შეიფერეთ. თქვენ ხომ მეტსაც იმსახურებთ.

გიყვართ თუ არა მბრძანებლობა?

ყოველი ჩვენგანი გარკვეულწილად გავლენის ქვეშ აქცევს სხვა ადამიანებს, ზოგჯერ კი სხვის აზრს დაჰყვება ხოლმე. პოლიტიკოსებს, პედაგოგებს, ექიმებსა და ჟურნალისტებს ამას პროფესიის სპეციფიკაც აიძულებს.

თუ გსურთ შეიტყოთ, გაქვთ თუ არა მბრძანებლობის და საკუთარი გავლენის ქვეშ სხვების მოქცევის უნარი, უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილი ტესტის შეკითხვებს:

1) თქვენი აზრით, შეგეფერებათ თუ არა მსახიობის ან პოლიტიკოსის პროფესია?
ა) დიახ – 5;
ბ) არა – 0.

2) გაღიზიანებთ თუ არა ექსტრავაგანტურად და გამომწვევად ჩაცმული ადამიანი?
დიახ – 0;
არა – 5.

3) შეგიძლიათ თუ არა გაუზიაროთ ნაცნობს საკუთარი ინტიმური პრობლემები?
დიახ – 5;
არა – 0.

4) იწყებთ თუ არა ახსნა-განმარტებას დაუყოვნებლივ, როცა თქვენს ქცევას ან თქვენ მიერ ნათქვამს არასწორად გაიგებენ?
ა) დიახ – 5;
ბ) არა – 0.

5) გრძნობთ თუ არა დისკომფორტს, თუ ვინმე წარმატებას იმ სფეროში მიაღწევს, რომელშიც თავს სხვებზე კომპეტენტურად მიიჩნევთ?
ა) დიახ – 5;
ბ) არა – 0.

6) შეგიძლიათ თუ არა მოჰკიდოთ ხელი რაიმე რთულ საქმეს მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებს საკუთარი უპირატესობა დაუმტკიცოთ?
ა) დიახ – 5;
ბ) არა – 0.

7) შეგიძლიათ თუ არა დაისახოთ რაიმე ძნელად მისაღწევი მიზანი?
ა) დიახ – 5;
ბ) არა – 0.

8) გიყვართ თუ არა მეგობრების ერთსა და იმავე წრეში გამუდმებით ყოფნა?
ა) დიახ – 5;
ბ) არა – 0.

9) არის თუ არა თქვენი ყოველი დღე ზუსტად დაგეგმილი?
ა) დიახ – 0;
ბ) არა – 5.

10) გიყვართ თუ არა ბინაში ავეჯის გადაადგილება?
ა) დიახ – 5;
ბ) არა – 0.

11) გიყვართ თუ არა სიახლე?
ა) დიახ – 5;
ბ) არა – 0.

12) გაღიზიანებენ თუ არა მეტისმეტად თავდაჯერებული ადამიანები?
ა) დიახ – 5;
ბ) არა – 0.

13) გიყვართ თუ არა იმის დემონსტრირება, რომ სამსახურში თქვენი უფროსი ხშირად ცდება?
ა) დიახ – 5;
ბ) არა – 0.

დაანჯამეთ ქულები

65—35 ქულა:

გარშემომყოფებზე გავლენას ადვილად ახდენთ, მათი აზრისა და შეხედულებების შეცვლა და ხალხის მართვა ნამდვილად შეგიძლიათ. ურთიერთობებს ადვილად ამყარებთ და საკმაოდ თავდაჯერებულიც ბრძანდებით. დარწმუნებული ხართ, რომ ადამიანი საკუთარ თავში არ უნდა ჩაიკეტოს და არ უნდა იყოს დაკავებული მხოლოდ პირადი პრობლემებით. გამუდმებით გაქვთ იმის მოთხოვნილება, რომ ხალხში იტრიალოთ, უსელმძღვანელოთ მათ, აღნიშნოთ მათი შეცდომები და ასწავლოთ პრობლემების დაძლევა, მაგრამ ურიგო არ იქნება, თუ საკუთარ ქცევას უფრო მეტად გააკონტროლებთ და უკიდურესობებში არ ჩავარდებით, თორემ, შეიძლება თანდათან ფანატიკოსად ან ტირანად იქცეთ.

30-0 ქულა:

სხვისი დარწმუნება მაშინაც გიჭირთ, როცა აბსოლუტურად მართალი ხართ. მიგაჩნიათ, რომ ყველამ საკუთარი ცხოვრებით უნდა იცხოვროს და ნაკლებად მოაქციოს ადამიანები თავისი გავლენის ქვეშ. არ გიყვართ, როცა ვინმეს რაიმე საქმის გაკეთებას აიძულებთ. მაგრამ საკუთარი ძალებში დაურწმუნებლობა ერთხელაც, ცუდად შეიძლება შემოგიბრუნდეთ და თავი დაჩაგრულად იგრძნოთ.

გარდაიცვალა ჰიტლერის უკანასკნელი ახლობელი

მიუნხენის ერთ-ერთ კლინიკაში, 81 წლის ასაკში, კიბოსგან გარდაიცვალა ჰიტლერის პირადი მდივანი ტრაუდლ იუნგე.

მისი ცხოვრების ამსახველი ფილმი პირველად, 10 თებერვალს იქნა ნაჩვენები ბერლინის კინოფესტივალზე. იუნგე კატეგორიულ უარს აცხადებდა თავისი ჰიტლერის პირად მდივნად მუშაობის მოგონებასა და ამ თემის ირგვლივ ინტერვიუს მიცემაზე. თავისი ცხოვრების გამო საუბარი ქალმა მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა, როცა ექიმებისგან შეიტყო, რომ დიდი დღე აღარ ეწერა. დოკუმენტურ ფილმში – „თეთრი ლაქა: ჰიტლერის მდივანი“ – ის აცხადებს, რომ მუდამ მოხიბლული იყო დიქტატორის პიროვნებით და არასოდეს შესწრებია იმას, რომ ჰიტლერს ვინმესთან ებრაელთა განადგურების საკითხი განეხილოს... სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, იუნგემ მოგონებების წიგნიც დაასრულა და მას უწოდა – „უკანასკნელ საათს“. ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ გადაიყვანეს იგი ჰიტლერის ბუნკერში, ბერლინში საბჭოთა ჯარების შესვლისთანავე. თურმე სწორედ მაშინ ჩაიწერა იუნგემ ჰიტლერის უკანასკნელი ნება და ანდერძი, ორი დღის შემდეგ კი, ფიურერმა და მისმა საყვარელმა ევა ბრაუნმა თავი მოიკლეს. ■

სკოლის მოსწავლემ ოქი „იაგუარი“ მოიგო

წმინდა ვალენტინის დღის აღსანიშნავად, ბრიტანეთის სამეფო ფოსტამ საგანგებო ლატარია გაათამაშა. მთავარი პრიზი – ორი ავტომანქანა „იაგუარი“, თერთმეტი წლის მოსწავლემ – ქალაქ იპსვიჩის მკვიდრმა, კიერა კოლვერმა მოიგო. მის სახელზე გაგზავნილი ანონიმური ბარათი, გათამაშებაში მონაწილე თორმეტიოდე მილიონ წერილს შორის შეირჩა.

მაგრამ ლატარიის პირობების თანახმად, არასრულწლოვან კიერას პრიზს ვერ გადასცემენ, ამდენად, ავტომობილები დედამისის საკუთრება გახდება. აღსანიშნავია, რომ პრიზი ძალზედ დროული აღმოჩნდა ამ ოჯახისთვის, რადგან იმ დღიდან ერთი კვირით ადრე, კიერას დედა ავტოავარიაში მოყოლილა და თავისი მანქანა დაუმტვრევია. ■

სატელეფონო სექსმა პენსიონერი გააპოტრა

62 წლის რუმინელმა პენსიონერმა სატელეფონო სექსის სამსახურში დარეკა და სანამ მომხიბვლელი ხმის „ჟღურტულს“ უსმენდა... ჩაეძინა, თანაც – საკმაოდ დიდი ხნით...

რამდენიმე დღის შემდეგ, ფოსტით მას 950 გირვანქა-სტერლინგიანი ანგარიში მიუვიდა. ეს თანხა რუმინეთში დაწესებული პენსიის წლიურ ჯამს უტოლდება.

პენსიონერმა „სიამოვნების საფასურის“ გადახდაზე კატეგორიული უარი განაცხადა, სასამართლოში სარჩელის საპასუხოდ მისულმა კი აღნიშნა, რომ ჯერ ერთი, მას ამდენი ფული არ აქვს და მეორეც – ეროტიკული სეანსი მეტისმეტად მოსაწყენი აღმოჩნდა.

რუმინეთის კანონის თანახმად, ცელქ პენსიონერს ხანმოკლე პატიმრობა ემუქრება. ■

ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა კობა ბუჩუკურმა.

ვულოცავთ ბატონ კობას და ვუსურვებთ წარმატებებს!

პროფილაქტიკური ღონისძიება

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (26 თებერვლის) 13 საათამდე.

„ფანტაზია“
პროფილაქტიკური
ღონისძიება

„ფანტაზიორებს
მკითხველი“
„ტავი მოჩრა“

გამოვა 23 თებერვალს

b 73/6

ყველაზე გასართობი ჟურნალი